

הארץ

1

1983

გედნიერება ჩვენს ხალხს
მივს, ახლო ნაღო,
რომ გუგარჯვდეს კვლავ
და გავიანოს ღებო.

კვიციანი ქვარც

სესია

307

გამომცემის ოცდამეექვსე წელი

1

ი ა ნ ე რ ი

1983

თბილისი

საქ. კვ. ცენტრის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

კოეზია და კროზა

- 3. მორის ფოცხიშვილი — ლექსები
- 6. გივი ალხაიშვილი — ლექსები
- 9. გოდედრი ჩოხელი — ადამიანთა სმვლა. რომანი.
- 62. ლია სტურუა — ლექსები
- 67. დილარ ივარდავა — წიგნიდან — „ამერიკის დღე-ბასაუბრთან“ ლექსები
- 71. ლეილა მისხი — ოპროგოფილი — „არს კვების ხურე“. მოთხრობა
- 86. გორანა ჯაფარიანი — ლექსები

მთავარი რედაქტორი

ჯანსუღ ღვინჯილი

სარედაქციო კოლეგია:

ჭაბუა ამირაჯივი

თედო ბაქიშვილი

მთავარი რედაქტორის

მოადგილე

გივი გეგაშვილი

გურამ გვერდფითელი

რისმაზ გორდუნიანი

გიორგი გუგულია

ნოდარ დუმბაძე

მერაბ ელიოზიშვილი

ვაჟა ლორთქიფანიძე

ოტია კაჭორია

გურამ ფანჯიკიძე

მორის ფოცხიშვილი

ნუგზარ შატანიძე

ჯანსუღ ჩარკვიანი

ავთანდილ ჩხიკვიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი

სოსო ცინცაძე

გივი ძვალაძე

ნუგზარ წერეთელი

თამაზ წიგნიშვილი

ტარიელ ჭანტურია

რეზო ჭიჭიშვილი

ნარკვევი

- 90. ჯამალ მახრიშვილი — დიდი ზინიანი

გეორგიევსკის ტრაქტატი — 200

- 95. ავაჟი თორღია — ლევ ტოლსტოი და სამცხე-ჯავახეთი

წერილები

- 97. კრიტიკის დიდი კასუხისმგებლობა
- 102. თეიმურაზ დონიშვილი — „აბოვსოთ — რაც ხარ-ვიზია“
- 120. აბაბი ურუხაძე — ერთი წერილის განმ.
- 124. მათა ჯოხაძე — „მეტონა ურუხიდან ურუხობაში“
- 131. ჯაჯა გოგია — ლირიკული კროზის გმირი
- 139. რევაზ თვაჩაძე — სოფელი და ზესტალოფლი. დასაწყისი

ახალგაზრდა მწიგნობრი „ცისკარში“

- 151. თამარ ლომიძე — „მან ცათა მარის, მანცა თა-მარის...“

სკორტი

- 156. გრიგოლ რუხია — ის იყო სვერდლოვსკში
- 160. ცოტა რამ „ცისკარის“ ახალგაზრდა ავტორებში

მორის ფოცხიშვილი

მხოლოდ ერთის წამით

ის ცა, ის მზე,
 ის მიწა და
 ის მაცდური ჟამი,
 მე რომ მღრღნიდა,
 მე რომ მშლიდა,
 ბადაგოვან შხამით;
 ის საუფლო,
 ის ბილიკი,
 ის ცრემლივით წამი, —
 ერთის წუთით დამასიზმრეთ,
 კიდევ ერთის წამით!

იმ ბადეში,
 იმ მორევში,
 სულს რომ ვლევდი ლამის,

ერთის წუთით ჩამაბრუნეთ,
 თუნდაც ერთის წამით!

იმ სიცილში,
 იმ ტირილში,
 იმ დრამათა დრამის
 ერთ სპექტაკლში მათამაშეთ,
 იქ დამკალით დანით;
 იქ დამაგდეთ...
 იქ დამმარხეთ...
 იქ მომიღეთ ბოლო, —
 იმ ხილვებით,
 იმ ხატებით,
 იმ ზღაპრებით მხოლოდ!!!

ამინისტიას ვუცხადებ ყველას:
 ფანქარს,
 საჭრეთელს,
 სისხლსა და
 მელანს...
 ამინისტიას ვუცხადებ ყველას.

პატიმრობიდან ვათავისუფლებ:
 სიყვარულს,

სიბრძნეს,
 სიგიჟეს,
 ვნებას...
 მარტოდენ ჩემს აზრს ვტოვებ
 ს ა კ ა ნ შ ი, —
 ჩემს აზრს, რომელიც
 ჩემს გულში
 რ ჩ ე ბ ა.

პოეტის დასაფლავება

შურით კვდებოდნენ
 არაპოეტი პოეტები,
 როდესაც

მოსუცი პოეტის კუბო
 ხელიდან ხელში გადაჰქონდათ
 ჭაბუკ პოეტებს.

სვინგი, რომელიც სრულდება ტირში

ჰოი, რა იოლია,
დაუმზინებ კაცს,
ჩახმახს თითს გამოჰკრავ და...
ტკაც!
ვილაც თუ გაგულისებს,
ვინმეს მტრად თუ რაცხ,
ვითომ იმას უმიზნებ...
ტკაც!
შენს აზრს თვითონ განაგებ,
თუკი ვილაც გძაგს,

მოჰკალ, პასუხს არ აგებ...
ტკაც!
გადარბიან ირმები,
ლანდი მისდევს ლანდს,
უქმად ხომ არ იდგები, —
ტკაც!
ცხოვრებაშიც ასეა,
თუ არ იღებ ხმას,
როგორც ტირში ჩნდები და...
ტკაც!

ჩიტვიით მზისკან

ცრუო სანუთრო,
ალბათ წამომცდა
სიმართლე, რახან ყრუ-მუნჯად
მთვლიდი,
გამოტყდი, გასურდა
ჩემი გამოცდა
მწუხრით, ტკივილით, ჩამტყდარი
ხიდით.
მე არ მიკითხავს შენთვის, რა ხდება,
გყავდი უღელში გაბმული გლახად,
გამოტყდი, გასურდა
ჩემი წახდენა,
როცა გუნდრუკით მიძლოდი მალლა.

არ ვასრულებდი არც ერთ ბრძანებას
და როგორც ჯალათს გინვდიდი
კისერს,
გამოტყდი, გასურდა
ჩემი წამება,
მე კი წამებულ ვიყავი ისეც.
და როცა წყრომის ნაჯახით მომწვდი,
ვერ მომკალ, რადგან ასეც და ისეც,
ო, სული ჩემი არ იჯდა ხორცში,
იგი ჩიტვიით
მიჰქროდა მზისკენ.

ღამარცხება

მაშინ დავმარცხდი,
მერე ბოლო მომიღო თრობამ, —
მტრებმა როდესაც

მეგობრობა შემომთავაზეს
და მეგობრებმა
დამიწყეს მტრობა.

გულივარი

ლილიპუტებში თავს იწონებ...
რად ჭავინყდება, —
გოლიათებშიც
მოხვედები ერთხელ.

ბოდვის მოხდით

ახალგაზრდები,
ერთ დიდებულ დღეს,
მახსოვს,
მარტიროს სარიანს
შეგხვდით.
ბოდვის იხდიდა დიდოსტატი
სიბერის გამო...

დღემდე იმ სიბრძნის ახსნას
რომ ვლამოზ
და ჩემს მომავალს ნისლებში ვხედავ,
ჯერ არშემდგარი სიკვდილის გამო
მე ბოდვის ვიხდი,
ცოცხლებო, თქვენთან.

უთქმელად თქმული

რატომ სულ მერე,
ო, იქნებ ახლა
სრულეჭყოთ იგავი
უთქმელად თქმული, —
უკუნ ლამეშიც ენთება სადღაც
ვარსკვლავი,
ჩვენ რომ
გაგვიმხელს სურვილს.

იქნებ ცის გახსნა სჭირდებათ
ფიქრებს, —
ვილაც, რომელიც არაფერს ამბობს,
ამ ართქმით ამბობს ყველაფერს
იქნებ.

რატომ სულ მერე,
ამ წუთს და ამ დროს

სადღაც უფსკრულზე გაჩნდება ხიდი,
რომელიც გაღმა გაგვიყვანს ერთად
და სადღაც ალბათ
შეგვხვდება იგი,
ვინც იმსახურებს
შეხვედრას ჩვენთან.

ამირანი

ვერ ამიტანეს.
დასაჯიჯგნად
მიმცეს ტიტანებს.
ტიტანებმა კი
უკვდავების განაჩენი
გამომიტანეს.

ჯვარზე მილურსმუ...
სხვათა კენესა
მესმა
შორიდან.
მერე წავიდნენ
ჯალათები
და ის მოვიდა!!!



თითქოს ვარსკვლავთა ბაგეებით
ჩურჩულებს ზეცა
და ცის მუსიკით გაჟღენთილ ღამეს
ისევ შეერთვის ჩვენი ჩურჩული.

„მოთმინებითა“, იხსენებს იგი,

„მოთმინებითა“, ჩუმიად ვპასუხობ
და ჩვილს,
რომელსაც აღიმებენ ანგელოზები,
ისე შევყურებ, თითქოსდა ვცდილობ,
გავიგონო მათი ფრთების ნაზი
შრიალი.

მიდის ზამთარი, თვალი ეჩვევა
ბალს გაბრწყინებულს ჭირხლის
ფარჩებით,
გამოანათებს ზოგჯერ იმედი
თავის დაღწევის და გადარჩენის.

მერეღა მივხვდი, ჩემი სიცოცხლე,
ვინც მომანიჭა იმას ეკუთვნის,
სხვა ბედისწერა ჩამსაფრებია,
მარადი ფიქრის ნისლით
შეფუთვნილს.

შენი ღიმილი ორაზროვანი
ისევ გამიჩენს ახალ საფიქრალს,
მე თავის მოკვლა მსურდა მრავალჯერ
და უხილავმა ხელი ამიკრა.

უნდა ვილოცო მუხლმოდრეკილმა,
— ღმერთო, მომეცი ნიჭი დათმენის,
ესაა ჩემი ბოლო ვედრება,
უკანასკნელი ჩემი სათქმელი.

ყინვის ლოლუებს —
თებერვლის კლანჭებს,
ჩამავალი მზე გაუსხლტა, გაქრა,
სალამოვდება და უკეთ ვამჩნევ,
მთებს, ჩაშავებულს, თბილისს რომ
აკრავს.
სალამოს მოსდევს ყვავის ჩხავილი
და უცნაურად მოლურჯო ნისლი,
ვაი, რა წითლად ჰყვავის ყვავილი,

დილანდელ თოვლზე ყვავილი
სისხლის.
იგი მოუკლავთ, როგორც ბელურა,
გართობის მიზნით, ისე რომ ჰკლავენ,
სისხლის ყვავილთან ჩანს ნაფეხური,
რომელიც თურმე ეკუთვნის კანს.
ხალხი მოედო თოვლიან ბექობს,
ზუზუნებს ბრბო და ამოდის ორთქლი,
ხოლო სივრცეში გროვდება ექო,
მოსალოდნელი ზარის და მოთქმის.

დაბრუნება

დედაო მიწავ,
განძარცვულო და მოწყენილო,
გაჟღენთილო ცივი წვიმებით,
მე დავიღალე ქარის დევნით
და ახლა შენ გეფერები,
შენ დაათბუნე შენი შვილი
ქაოსიდან დაბრუნებული.

დედაო მიწავ,
როგორ შეგზრდია ხმელი ფოთოლი,
მხოლოდ მისი ანაბეჭდი ჩანს,
უმწეო ბავშვის ხელისგულივით.

მე დავიღალე ქარის დევნით
და თვალებით შენ გეფერები.

დედაო მიწავ,
მე თავს ჩავგიდებ
ხმელი ფოთლებით სავსე კალთაში,
რომ შენს ჟანგისფერ ზედაპირზე
გაიშალონ ჩემი თვალები
შემოდგომის ყვავილებივით.

თითქოს ვარსკვლავთა ბაგეებით
ჩურჩულებს ზეცა
და ცის მუსიკით გაჟღენთილ ღამეს
ისევ შეერთვის ჩვენი ჩურჩული.

„მოთმინებითა“, იხსენებს იგი,



მიდის ზამთარი, თვალი ეჩრევა
ბალს გაბრწყინებულს ჭირხლის
ფარჩებით,
გამოანათებს ზოგჯერ იმედი
თავის დაღწევის და გადარჩენის.

შენი ღიმილი ორაზროვანი
ისევ გამიჩენს ახალ საფიქრალს,
მე თავის მოკვლა მსურდა მრავალჯერ
და უხილავმა ხელი ამიკრა.



ყინვის ლოლუებს —
თებერვლის კლანჭებს,
ჩამავალი მზე გაუსხლტა, გაქრა,
სალამოვდება და უკეთ ვამჩნევ,
მთებს, ჩაშავებულს, თბილისს რომ
აკრავს.
სალამოს მოსდევს ყვავის ჩხავილი
და უცნაურად მოლურჯო ნისლი,
ვაი, რა წითლად ჰყვავის ყვავილი,

„მოთმინებითა“, ჩუმი ვპასუხობ
და ჩვილს,
რომელსაც აღიმებენ ანგელოზები,
ისე შევეყურებ, თითქოსდა ვცდილობ,
გავიგონო მათი ფრთების ნაზი
შრიალი.

მერეღა მივხვდი, ჩემი სიცოცხლე,
ვინც მომანიჭა იმას ეკუთვნის,
სხვა ბედისწერა ჩამსაფრებია,
მარადი ფიქრის ნისლით
შეფუთვილს.

უნდა ვილოცო მუხლმოდრეკილმა,
— ღმერთო, მომეცი ნიჭი დათმენის,
ესაა ჩემი ბოლო ვედრება,
უკანასკნელი ჩემი სათქმელი.

დიღანდელ თოვლზე ყვავილი
სისხლის.
იგი მოუკლავთ, როგორც ბელურა,
გართობის მიზნით, ისე რომ ჰკლავენ,
სისხლის ყვავილთან ჩანს ნაფეხური,
რომელიც თურმე ეკუთვნის კაენს.
ხალხი მოედო თოვლიან ბექობს,
ზუზუნებს ბრბო და ამოდის ორთქლი,
ხოლო სივრცეში გროვდება ექო,
მოსალოდნელი ზარის და მოთქმის.

ღაბრუნება

დედაო მიწავ,
განძარცველო და მოწყენილო,
გაჟღენთილო ცივი წვიმებით,
მე დავიღალე ქარის დევნით
და ახლა შენ გეფერები,
შენ დაათბუნე შენი შვილი
ქაოსიდან დაბრუნებული.

მე დავიღალე ქარის დევნით
და თვალებით შენ გეფერები.

დედაო მიწავ,
როგორ შეგზრდია ხმელი ფოთოლი,
მხოლოდ მისი ანაბეჭდი ჩანს,
უმწეო ბავშვის ხელისგულივით.

დედაო მიწავ,
მე თავს ჩაგიდებ
ხმელი ფოთლებით სავსე კალთაში,
რომ შენს უანგისფერ ზედაპირზე
გაიშალონ ჩემი თვალები
შემოდგომის ყვავილებივით.

მიულწვევლი რაც იყო გუშინ,
მილწული და ძველია თითქოს,
ეჭვი კი ისევ სისინებს გულში
და ისევ ახალ სიმაღლეს ითხოვს.

გუშინ მეგონა, წლები გავიდა
და ყოველივე უკვე დამთავრდა,
დღეს კი ყველაფერს ვინწყებ თავიდან
და ისევ მარტოდ ვრჩები ზამთართან.

გაქრება ეჭვი, გაიფანტება,
გამოვახედებ სახეს ნიღბიდან,
ჩურჩულებს სიტყვა, ის იბადება
უსასრულობის ბნელი სიღრმიდან.

თითქოს ზეციურ ცისფერს ისრუტავს
ძარღვები — ჩემი ლურჯი ფესვები,
მოჩვენებითი ქრება სისუსტე
და დგება წამი სივრცით შევსების.

შემოიხედავ უცებ შველივით,
ცით, ვარსკვლავებით სავსე თვალებით
და შენ მიხვდები, ვერ შეველიე
გარდუვალობას ფერიცვალების.

ასე ცრემლებად ჩამონადენი,
ფურცელს სიტყვათა ფარავს გუბენი
და 'მე მივცურავ ღამენათევი,
მოხეტიალე, შავი ღრუბელი.

რომანტიკოსის დღიურიდან

ქარი დადუმდა, გაირინდა, გაუჩინარდა,
ის დაუბრუნდა გასაოცარ ზეცას მენამულს
და მწუხრის ვარსკვლავს, შეღამების ციურ ჩირადდანს,
კვლავ გადავუშლი გულს ეჭვით და დარდით მონამულს.

მინებს შეორთქლავს სუსხიანი სუნთქვა თებერვლის,
გრავიურას ჰგავს ძველი ბალი, ცა რომ ლურჯდება,
ბავშვს ნაჭრილობებს მიყურებდნენ სულის შებერვით,
ახლა ტკივილი შენზე ფიქრში გამიყურდება.

ჩემს ფანჯარაში მერამდენე ღამე შემოდის,
მწუხრის ვარსკვლავი მერამდენედ შემოეხეტა,
იმ ვარსკვლავივით ნეტავ ერთხელ გაგხსენებოდი,
უშორესიდან ნეტავ ერთხელ შემოგეხედა.

შენი სიშორე შემიყვარდა შეუცნობელი,
ცაში გაბნეულ ხმებში შენი ხმის გაგონება,
თუშტკ კოსმიური ჰარმონიის შუქით მოფენილ
უსასრულობას ვერ მისწვდება ჩემი გონება.

მოვიკუნტები, ცის მოხილვას ვეღარ გავბედავ,
დავხედავ მიწას, წინაპრები სადაც სახლობენ
და მხოლოდ გული, მხოლოდ გული გრძნობს უცაბედად,
ამ უსასრულო სიშორეში შენს სიახლოვეს.





ადამიანთა სკვლა

რომანი

შესავალი

— თუ დრო არა გაქვს, ნუ დაიწყებ კითხვას.

— რატომ?!

— ერთ მივარდნილ ხეობაზე ვწერ — გუდამაყრის ხეობაზე. დიდი ხანია გუდამაყრელებზე რომანის დაწერა მინდოდა, მაგრამ ვერა და ვერ მოვახერხე. თუმცა ჯერ ოცდახუთი წლისა ვარ და სულ სამი წელია მას აქეთ. რაც მწერლობა დავიწყე, მაგრამ, ასე მგონია, სამი წლის მაგიერ, სამი საუკუნეა გასული და ვიტანჯები, დღემდე გუდამაყრის ხეობის შესაფერი რომ ვერაფერი დავწერე.

აქამდე მეგონა, გუდამაყრის ხეობა დიდი წიგნია და შიგ უამრავი მოთხრობაა-მეთქი... არა, არა! ნამდვილად რაღაც არის ჩემს თავს. ადამიანებს ისე აღარ ვუყურებ, როგორც ამ სამი წლის წინათ ვუყურებდი. ახლა ყველა ადამიანი მოთხრობა მგონია და ყოველ მათგანს სათაურს ვუძებნი. აი, სადმე რომ შემხვდე და ლაპარაკი დამიწყო, იმწუთში წარმოვიდგენ, რომ მოთხრობა ხარ და სათაურს გამოგიძებნი. არ ვიცი, რას მივაწერო, თავდაპირველად მარტო გუდამაყრელები მეჩვენებოდნენ მოთხრობებად, ახლა, ვინც უნდა იყოს, და რა ეროვნებისაც უნდა იყოს, მოთხრობა მგონია. თუ აქამდე მარტო გუდამაყრის ხეობა იყო უცნაური მოთხრობებით სავსე წიგნი, ახლა მგონია, რომ დედამიწა არის მზითა და მთვარით განათებული დიდი წიგნი, სადაც უამრავი ცოცხალი მოთხრობა დადის. ოო, იცი,

რა დიდებულია ეს წიგნი! თვითონ მოთხრობები უდგამენ კარგ მოთხრობებს, იტყვება. უხილავი შემოქმედის ხელით იწერება და იშლება ეს წიგნი და, ნეტა ვიცოდე, რა მემართება — ახლა წარმომიდგა, რომ დედამიწა იმ დიდი წიგნის ფურცელია, რომელსაც სამყარო ჰქვია, ნეტა მაცოდინა, სად არის ის დალოცვილი მწერალი, რომლის ხელითაც იწერება ეს დიდი წიგნი. ან დასაწყისი სადა აქვს ამ წიგნს, ან დასასრული. ან იქნებ არც ერთი აქვს და არც მეორე... დედამიწა მისი ერთი ფურცელია, გუდამაყრის ხეობა კი ალბათ სხვა, უამრავი მცირე მოთხრობების ქვესათაური.

— მე?

მე ვინლა ვარ?

ალბათ მეც მოთხრობა ვარ.

მერედა, რა ხელი მაქვს ჩემს გარშემო მყოფ მოთხრობებთან?

იცი, რა მინდა?

— რა?

— რომ გითხარი, გუდამაყარზე რომანის დაწერა მინდა-მეთქი, მოდი, მართლა დავწერ.

ალბათ ვერ წარმოიდგენ, როგორ ვიტანჯები: რომ არ დავწერო, არ შემიძლია, არადა, რა დავწერო, როგორ დავწერო... ერთი კია, როგორც არის, ისე დავწერ. არაფერს გამოვტოვებ, მაგრამ დაწყება მიკირს. ალბათ შემოქმედსაც ძალიან უჭირდა დაწყება, როცა სამყაროს წიგნის წერა დაიწყო. როგორ მინდა, ზუსტად ისევე დავიწყო და არ

დავამთავრო... ყველაფერზე მინდა ისე ვილაპარაკო, როგორც ვხედავ და როგორც განვიცდი. ნუ დამემღურები, თუ თანმიმდევრობა არ დავიცავი ჩემს წიგნში. თანმიმდევრობა ხომ ჩემი საქმე არ არის, მოთხრობებზეა დამოკიდებული, იმათ კი ისეთი უცნაური ზნე ჰქონდა, სულ არ მეკითხებიან არაფერს. თავი მოგაბეზრე, არა?

რას იზამ, დასაწყისი ვერ ვცხოვე, არ ვიცი, რით დავიწყო, როგორ მოვეუყარო ამდენ მოთხრობას ერთად თავი. აგერ ახლა ფანჯრიდან ვხედავ, სამი მთვრალი მოთხრობა მოდის გზაზე სიმღერით. ერთმანეთისთვის ხელები გადაუხვევიათ და მობარბაცებენ. მოდი, ისევ სხვა რამეთი დავიწყებ, თორემ ეგენი არ მოგვისვენებენ, იმ სოფლიდან არიან, სადაც სულ გიჟი მოთხრობები ცხოვრობენ. ამას წინათ მაგათ სოფელზე დავწერე და იმის მერე მოსვენება მაქვს დაკარგული... აგე, ჩემი სახლისაკენ ჩამოუხვიეს. წინასწარ ვიცი, ჩემთან ჩხუბი სწალიათ. საერთოდ, შეჩვეული ვარ მაგათთან ჩხუბს. მარტო ეგენი კი არა, ყველა ჩემი მოთხრობა მეჩხუბება.

—რაზე?

— ბოლოს რატო გვეკლავო. იმიტომ კვლავ, რომ მიყვარან. ეგენი კი არ მიჭერებენ, ვერ იტანენ სიკვდილს.

— სიკვდილს ვერაფერ იტანს.

— მე ვიტან, მიყვარს. როცა მოთხრობებს სიკვდილით ვამთავრებ, სიკვდილი ისევე ალამაზებს მოთხრობების სიცოცხლეს, როგორც მზე და მთვარე ალამაზებენ წყვილიას.

— მერედა, სიკვდილისთვის არ გენანებიან შენი მოთხრობები?

— მენანებიან, მაგრამ წესი მაქვს ეგეთი. ისე არაფერზე ვწერ, თუ არ მიყვარს, ხოლო რაც მიყვარს, იმას სიკვდილის მომენტში წარმოვიდგენ ხოლმე და მერე ვნანობ. რომ მოვკალი, ჰოდა, ეს სინანული მაიძულებს სიცოცხლეზე ფიქრს. გუდამაყრელები კი მოდიან და მეჩხუბებიან.

— რაო?

— ჩვენ ჯერ ცოცხლები ვართ და გვინდა დავგვხოცო?

ვეუბნები, ტყუილია-მეთქი...

— რა არის ტყუილი?

— ის, რასაც აღამიანი ხედავს და განიცდის, ყველაფერი მოგონილია და სიკვდილიც იმიტომ საჭირო, რომ ამ მოჩვენებას მოუღოს ბოლო, თუმცა, რატო ვატყუებ, არაფერი არ არის მოჩვენებითი, ყველაფერი მართალია და სიცოცხლე ძალიან ლამაზია, მე კი ნაადრევად ვკლავ გუდამაყრელებს, ეწყინებათ, მარა იქნება, ყველამ რომ ერთ დღეს მოიკლას თავი, რა ვაშოვა... იმ დღეს ერთ ჩემ მოთხრობას მიასვენებდნენ დანარჩენები. ცხელოდა. ზემოთ მთაზეა საფლავები, იქ მიჰქონდათ. რატომღაც ყველანი მე მიყურებდნენ. ადრევე მოკვალი მე ეგ ქალი და მაშინ მეჩხუბაკიდე: — რატომაო? — ახლა მართლა მოკვდა და დანარჩენები ისე მიყურებდნენ, თითქოს ჩემი ბრალი ყოფილიყოს. მე განსვენებულს ვუყურებდი და რატომღაც გავიფიქრე:

— რა მნიშვნელობა აქვს, ადრე მოკვდებოდა თუ გვიან, მე რომ მოვკალი, მაშინ იმდენი მეჩხუბა, განა რა არის, რა შეიცვალა მას მერე.

— ალბათ, აქვს მნიშვნელობა, ალბათ შეიცვალა.

თუმცა ასე არ მინდოდა დამეწყო, სულ იმ სამი მთვრალის ბრალია, ჩამოვიდნენ, მეჩხუბნენ და წავიდნენ. ისე საცოდავად მიბარბაცებდნენ, მე კი იმაზე მეჩხუბებოდნენ — რატო წერ ჩვენზეო. ჩვენ არ დავიხოცებთო... მაგრამ ეს რა საინტერესოა, მოდი, ვცდი და, ისევ სხვა რამეთი დავიწყებ:

დასასრულისი

მზამ ჩაბრძანება დააპირა და საოცრად მომინდა წერა. ოთახში არ ზნელოდა, მაგრამ დაწყების წინ გადავწყვიტე, საწერ მაგიდაზე სანთელი ამენთო.

ციცხლი ავანთე და სანთელი მიგუფიცებ. დანთ თხლად ვათლიდი გვერდებს და ხელისგულზე ვზელდი, რომ



უფრო კარგად დარბილებულიყო. მე-
რე გამახსენდა. რომ ჩამოსახვევად ბამ-
ბის ძაფი იყო საჭირო, ვეძებე და, რომ
ვერ ვიპოვე, შალის ძაფზე ჩამოვა-
ხვივე. მივედი, საწერ მაგიდასთან დავე-
დექი და სანთლის ანთება დავიწყე...
რამდენჯერაც მოვუტიდე, იმდენჯერ ჩა-
ქრა. შალის ძაფს ცეცხლი არაფრით არ
მოეკიდა. მერე ბამბის ძაფის ძებნას შე-
ვუდექი, მაგრამ ვერ აღმოვაჩინე. გარე-
დან ვილაკამ დაიძახა. გავედი, თბილი-
სიდან ჩამოსულიყო ერთი გულამაყრე-
ლი მოთხრობა და ჩემ სანახავად მოვი-
და. დავსხედით. მაშინვე მისი სათაურის
შერჩევა დავიწყე. ის წასვლას არ აპი-
რებდა, ბოლოს, ეტყობა, აღარ ვუს-
მენდი და ვერ ვავიგე, როდის წავიდა.
ისევ შინ შევედი და სანთლის გულის
ძებნა განვაგრძე. ერთ სკივრში კარგა
სქლად შეკრული ქალაღდების დასტა
ვიპოვე, ზედ გასანთლული ბამბის ძა-
ფი ჰქონდა შემოხვეული. ქალაღდები-
სთვის ყურადღება არც კი მიმიტკევიდა,
იმ ძაფზე მაშინვე სანთელი ჩამოვახ-
ვიე, ავანთე, ისევ საწერ მაგიდასთან
დავდექი და დავიწყე ლოცვა:

— ღმერთო, სამყაროს დიდო მწერა-
ლო, სადაცა ხარ და როგორცა ხარ,
იდრე და იძლიერე. ვიცი, რომ გი-
ქირდა დაწყება, სხვანაირად არ შე-
იძლებოდა, გაუპირებლად არაფე-
რი მოდის. ოო, ალბათ რა დიდებუ-
ლად დიწყე, მაგრამ შენს წიგნში ყვე-
ლაფერს იმდენი მაღლი დაახარჯე,
ძნელია, კაცმა გაიგოს, სად არის დასა-
წყისი. თითქოს აქაც არის, მაგრამ ამა-
ვე დროს იქაც არის, ჩემშიც არის და
ავე, სამი მთვრალი მოთხრობა რომ ჩა-
მოლიოდა გზაზე ბარბაცით, იმათშიც
არის. ძაღლშიც არის, ძროხაშიც, წყალ-
შიც, ჰაერშიც, მიწაშიც. შენ ისე დიდე-
ბულად წერ, იმდენ რამეზე და ისე თა-
ვისუფლად წერ... სურვილი მაქვს, მეც
თავისუფლად ვწერო, ერთი ამბიდან
მეორეზე ისე გადავიდე, ვითომც არა-
ფერი. შენ ახერხებ, ყოველნაირ ვადა-
ხვევა-გადმოხვევაში დიდი კანონზომი-
ერება დაიცვა. აი, სანთელი რომ შალის

ძაფზე ჩამოვახვიე, არ აენტო, იმიტომ
რომ შენ წიგნში სხვანაირად წერია—
სანთელი შალის გულზე არ ანთება
და კაცი კიდევ ძაღლის გულით ვერ
იკაცებოს...

ამასობაში სანთელი ჩაიწვა და ხე-
ლმეორედ მივედი სკივრთან, რომ კი-
დევ აქედო ბამბის ძაფი. ერთი წყე-
ბა კიდევაც შემოვხსენი და რატომღაც
იმ ქალაღდებით დავინტერესდი.

რამდენიმე გვერდი წავიკითხე და ჩემ
სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა
საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ აქ სწო-
რედ იმ საოცარ ლაშქრობაზე იყო მო-
თხრობილი, რომელიც სოფელ ჩოხის
მცხოვრებლებმა მოაწყვეს გულამაყა-
რში. ამ საუცხოო ლაშქრობაში პირა-
დად ბებიაჩემიც იღებდა მონაწილეო-
ბას და რადგან საიდუმლოს შენახვით
განთქმული ქალი იყო, ეტყობა, ეს ქა-
ლაღდები იმიტომაც ჩაუბარებიათ. დე-
დაჩემს ამ ლაშქრობაში არ მიუღია მო-
ნაწილეობა, იმ ზამთარს ავად იყო, ხო-
ლო მე და ჩემი და, რადგან ჩვენთან
სკოლა არ იყო, სხვაგან ვიყავით გაბა-
რებულნი. ასე რომ, ყოველთვის გული
მწყდება, როცა ჩემი ტოლები ამ ლაშ-
ქრობაზე მიყვებიან...

აი ახლა სწორედ იქ მიმიყვანა ბედმა,
საიდანაც უნდა დამეწყო და, რადგან
ჩანაწერები არეულია, შევეცდები, ოდ-
ნავ მაინც დავალაგო და ისე წარმოვიდ-
ვინოთ.

ჩანაწერებს გარედან სქელი ყდა აქვს
შემოკრული და მსხვილი ასოებით აწე-
რიო:

ლაშქრობა გულამაყარში

პირველ გვერდზე მოყვანილია ამ სა-
ხელოვან ლაშქრობაში მონაწილეთა
სია:

1. ვაჟი გოგი — მთავარსარდალი
2. ბიბლაი — დეკანოზი (ანუ მედროშე)
3. სებაი — ზარის მრეკველი

გოდვარი ჩოხალი
აღაშიანთა სმვა

4. სამხარაული — მოლაშქრეთა ისტორიკოსი-გეოგრაფი (მემატინე)

5. ქიბარი — ფილოსოფოსი

6. ჩაღი — მოლაშქრეთა მწერალი

7. ზინაი — ექიმი

8. გამიხარდაი — დარღების შემგროვებელი

9. სალომე — მესაიდუმლე (ევალება საპიროების შემთხვევაში ჩანაწერების გადაძალვა)

10. შეთე — სასიძო

11. ელენაი — დიასახლისი (პურის გამოცხობა, კერძის დამზადება და სხვა)

12. ტატიანი

13. ტაშკენტი — მზვერავები

14. გარახტინაი

(ამათ საპიროების შემთხვევაში უნდა დაიხმარონ ელენაი და სალომე)

15. სოფიაი

16. კატუში

17. მართაი — მყვირალები

(ამათ მტრის ჯარში პანიკა და არეულ-დარეულობა უნდა შეიტანონ ყვირილით. კარგი ყვირილი იციან.)

18. ქეთუაი

19. ნინუაი

20. სიდუაი — უბრალო მოლაშქრეები

21. ტასიაი

22. კოტორაინთ ქალი

23. შარვანიანთ ქალი — საიდუმლო ნაწილი

24. შიჯანათ ქალი

26. ქალთამზე საზღვაო ნაწილი (რადგან გულდამყარში ზღვა არ არის, ამათ ევალება არაგვთან კავშირი, სანამ ლაშქრობა არ დამთავრდება, მანამდე სულ არაგვ-არაგვ უნდა იარონ).

26. თებრუაი

27. დარიკო

28. ლელაი

29. თამარაი

30. გალილეი

(ესენი უნდა დარჩნენ ჩოხში და სოფელს მიხედონ, საქონელს აქამონ, ფრინველებს და ლოგინად ჩავარდნილ ბებრებს მოუარონ).

აი, დაახლოებით სრული სია იმ სა-

ხელოვან მოლაშქრეთა და მამაც მებრძოლთა, რომელთა უმრავლესობა ქალეზია, იმიტომ რომ ზამთრობით კაცები ცხვარში მიდიან, ახალგაზრდები — ქალაქში და გულდამყარი ქალებსა და ბავშვებსა რჩებათ.

ავტორისაბან

მანამ დანარჩენ ჩანაწერებს წარმოგიდგენდეთ, მინდა შემოხსენებულ სიაში მყოფი რამდენიმე მოლაშქრე გაგაცნოთ.

1. ვაჟი გოგი (მთავარსარდალი)

ზამთარია. გულდამყარის ხეობა თოვლით არის გალესილი. თბილა.

აღმოსავლეთ მთის ფერდზე სოფელი ჩოხია შეფენილი. აქა-იქ სახლებიდან ზღაზვნით ამოდის ბოლი. მზე ნუნება ამოიწია და სხივები სოფელს მოედინა. სოფელში ჯერ სიმუხდროვია. ძაღლის ყეფაც კი არსაიდან ისმის. მერე თანდათან გამოვიდნენ სახლებიდან აქ შემორჩენილი მოხუცები. გამორეკეს საქონელი, წყაროზე დაარწყულეს და მზის გულზე დააყენეს. ძროხებმა სიამოვნებით მიუფიცხეს მზეს შემცივნებული ზურგები.

გამოვიდა სახლიდან ვაჟი გოგი, კალობანზე დათვის ტყავი მიიფინა და მზეს მიეფიცხა.

ნებ-ნება, თითო-ოროლაობით მოიყარა ვაჟი გოგის ბანზე სოფელმა თავი. რამდენიც ახლად მოვიდა, იმდენმა ჩახველა და ჩუმად დაჯდა.

სიჩუმეა ირგვლივ.

ჩუმად ზის ვაჟი გოგიც და გონებაში ახალ ტყუილს იგონებს.

თითქმის ყოველდღე ასეა, ამოვლენ ეს მოხუცები, რა ვიცი, ზოგს მოხუცობა არც ეთქმის, შუახნისები არიან, თუმცა უმეტესობა უკვე ხანშია შესული და იმიტომ ვამბობ, მოხუცები-მეთქი. ისინი ცალკე თავიანთი შვილებისა და შვილიშვილების უნახაობით არიან მოწყენილნი, ცალკე ზამთრის გრძელი ღამეებითა და სიწყნარით გულგამოკლუ-

ლნი. ერთადერთი ვაჟი გოგილა არის მა-
გათი გამამხიარულებელი.

ვაჟი გოგი ორ ომშია ნამყოფი და
ამით ძალიან მოაქვს თავი. მკერდზე გა-
ნუშორებლად რამდენიმე მედალი ჰკე-
დია და, როცა მზე ადგათ, ისე ბრწყინ-
ნავენ. მათი შემხედვარე ჩოხლები ძა-
ლაუნებურად იჭერებენ ვაჟი გოგის
ტყუილებს. რა ვიცი, შეიძლება ტყუ-
ლებიც არ არის, მაგრამ ისეთ რაღაცებს
ჰყვება. რამდენჯერაც მოვუსმინე, მგო-
ნი ტყუილი უფროა, ვიდრე მართალი.

— ექვ. ხანდახან არ დავიფასებენ
კაცს შრომას... — დაიწყო გულნატკენი
კილოთი ვაჟი გოგიმ.

ხალხმა ყური მიუგდო და გაინაბა.

— მეტი რაღა დავასება გინდა, მედ-
ლებით გაქვს აყვავებული მკერდი, —
წამოიძახა ბიბლამ.

— ეე, ეს რა არის, მე რო შრომა და-
მფასებო, ეხლა განა აქ, თქვენთან
უნდა ვმჯდარიყავ?..

— მაშასად უნდა იჯდე?

— იქა, მაშ!

— რა იყო, სად იქა?

— რა და, თორმეტი წელი წყალქვეშა
გემის კაპიტანი ვიყავ. თორმეტი წელი
წყლიდან არ ამოვსულვარ. დღეს რომ
ამ წყლის ძირ ვიყავ, ხვალ კიდევ აქ
ვიყავი, ეე! რა ქალაქები და ქვეყნებია
წყლის ქვეშ, რო იცოდეთ, ერთი არ გა-
სჩერდებოდით აქა, დღესვე წყალში ჩა-
სცვიოდით, მაგრამ, რა გამოგივათ?
არაფერი, თქვენ იმათი ენა არ იცით და
იმათ თქვენი... ვერ შეეწყოებით, ისევე
აქ გორჩევნიათ ყოფნა.

— გინდა ენაც ვიცოდეთ, ზღვა სადა
გნახოთ.

— აი, ზემოთ ნარიანის მთაზე რომ
ტბა არის, იქ შეგიძლიათ ჩასცვიდეთ,
ეგ ტბა ისეთი ძირის პატრონია, პირდა-
პირ ზღვასთანა აქვს კავშირი.

— მართლა იძახია?! — დაეჭვდა
ბიბლაი.

— მართლა, მაშა, განა ერთხელ შამა-
მიკურნია მაგ ტბაშია და ორჯერა, მაგ-
რამ თავის ამოყოფა არ შეიძლებოდა,
საიდუმლოდ დავცურავდი. ზოგჯერ

მწყემსების ლაპარაკი გამიგონია ტბის
ნაპირიდან, მაგრამ თავა ხო არ ამოვ-
ყოფდი. ერთი ქალაქი მაგ ტბის ძირ-
შიაც ათის.

— ისენიც სხვა ენაზე ლაპარაკობენ?

— ისენიც. იქ არავინ ჩავარდეთ, თო-
რო. სუ ერთია. იმათ ლაპარაკს ვერ გა-
იგებთ და შეიძლება ველარც ამოხვ-
დეთ.

— მაინც როგორი ენა აქვთ, როგორ
ლაპარაკობენ?

— აისერიო მისერიო მისერ, — თქვა
ვაჟი გოგიმ.

— ეგ რას ნიშნავს?

— კაცს ისე არ აფასებენ, როგორც
უნდა აფასებდნენო, — მართალიც არ-
ის. ეხლა მე აქ უნდა ვიჯდე?! მაგრამ
რა გინდა, თორმეტი წლის განმავლობა-
ში ერთხელ ამოვყავ წყლიდან თავი და
მაშინაც სამშობლოს დაღატი დამწამეს.

— ოატომ?

— არ უნდა ამოგეყო.

— რაღა უთხარი.

— ანდე თქვენა და ანდე თქვენი გე-
მი-მეთქი.

— მერე?

— ორი წელი ჩამსვეს ციხეში. იქი-
დან რომ გამომიშვეს, რეაქტიულ თვით-
მფრინავზე დავიწყე მუშაობა. ისეთი
სწრაფი იყო, თოლს ვერ მოჰკრავდი.

— არც იქიდან უნდა გამოგეყო თა-
ვი?

— არა. როგორი გაძლება გინდა...
გადავუვლიდი ამ ჩვენ სოფელს და გა-
დმოხედვის უფლება კი არ მქონდა. მი-
ვილოდი, რომელიმე ქვეყანას დავბომ-
ბავდი და მოვდიოდი ისევე უკან, გადმო-
ვივლიდი ამ ჩვენი სოფლის თავზე, ჩემ-
თვის კი გავიფიქრებდი, მოდი, გადავი-
ხედავ, იქნებ ხატობა აქვთ-მეთქი, მაგ-
რამ ჯერ მაშინ შევეცდი, წყლიდან რომ
ამოვყავ თავი.

— შენ ადგილზე რომ ვყოფილიყავ,
მე თვითმფრინავიდანაც გადმოვიხედავ-
დი, — თქვა ტატია.

გომდრძი ჩოხალი
აღამიანთა სმვა



— ჰოდა, რომ ვადმოვიხედე, იმიტომაც ვზივარ თქვენთან. — თქვა ამოოხვრით ვაჟი გოგამ და გაჩუმდა.

სხვებიც ჩუმად ისხდნენ. მერე ეს სიჩუმე ოზანოს მთიდან გამოქანებულმა ზვავის გრიალმა გააყრუა. კარგა ხანს აძლევდა ვუდამაყრის ხეობა ზვავის ხმას ბანს, მერე ისევ დადუმდა ყველაფერი.

ახლა ყველანი იხუმად გააყურებდნენ გალილეის, რომელიც თოვლის კაცებს აკეთებდა თავისი სახლის ბანზე. გალილეიც ომშია ნამყოფი და, რაც იქიდან მობრუნდა, სულ ომობანას თამაშობს. ისე ჰყვანან ქათმები მიჩვეული, აღარ აცილდებიან, ახლაც გარს ახვევია მთელი სოფლის ქათმები. ის კი ჯერ მათ უფროს არ უგდებს, თოვლის კაცებს აკეთებს. იქვე ახლოს ქათმებისთვის არაყში აზელილი პური უდგას ქვაბით. კაკანებენ ქათმები. გალილეი არყინ პურს უყრის და ისინი ჯერ ჩიჩახვებს დაიბერავენ. მერე, საკმაოდ შემთვრლები, ერთმანეთს დაერევიან საჩხუბრად. გალილეი მთავარსარდალია. როგორც უნდა, ისე მიჰყავს ომის მსვლელობა, ხან წითელ ქათმებს ეხმარება, ხან თეთრებს. ხელში ყოველთვის ხმალი უჭირავს, ჰაერში იქნევს და ქათმებს დაჰკვივის:

— ტატიაანთ ქათამო, მარცხენა მხრიდან შეუტევე მოწინააღმდეგეს და რაც შეიძლება ცოცხლად! ღალატია, ღალატი!!! აეგრე!

ყვირის გალილეი და მთვრალი ქათმებიც აღარ ინდობენ ერთმანეთს. ბრძოლა იმდენ ხანს მიმდინარეობს, ვიდრე ქათმების ჯარს ბრძოლის ველზე არ ჩაედინება.

— რომლებმა გაიმარჯვეს, გალილეი? — ეძახის ვაჟი გოგი ხმალშემართულ გალილეის.

— ჭრელებმა! — პასუხობს გალილეი და ბანის პირზე ბარბაცით მიმავალ ჭრელ მამალზე უჩვენებს ხმლით. მამალი ნებ-ნება მიდის, გამარჯვებულის ნაბიჯებით.

— ეგენი ვინ არიან? — თოვლის კაცებზე ანიშნებს ვაჟი გოგი.

— ეს ნაპოლეონია. — აჩვენებს გალილეი. — ეს ალექსანდრე მაკედონელი, ეს ჰიტლერი. ეს აქილეუსი, ეს შაჰ-აბასია, ეს კიდევ თემურ ლენგი... ყველანი ჩემს წინააღმდეგ არიან ამხედრებულნი. მაგრამ ვერაფერს გააწყობენ.

გალილეიმ მწყობრი ნაბიჯით ჩამოუარა თოვლის კაცებს. მერე განზე გადა და შესძახა: — წაგასლევთ თავებს! — ხმალი ჰაერში დაატრიალა და დაერიო. ჯერ თავები დაატრა, მერე მიდგა და სულ ერთმანეთში არივ-დარია. ცოტა ხანს დაისვენა და ახლა მძინარე ქათმებს დასკვივლა:

— ჰადიომ. ადექათ! ადექით მე თქვენი! — და რამდენიმე ქათამს წიხლი ამოართყა, ქათმებმა გამოიფხიზლეს და წამოფართატდნენ.

— სწორდით! — შესძახა გალილეიმ და ერთი ბლუჯა საკენკი დაუყარა. ქათმებმა უცებ შეკენკეს და გალილეის მიანერდნენ.

— ეხლა გალმა სოფელში მივდივართ სალაშქროდ, იქაურ ქათმებს მუსრი უნდა გავვლოთ. ვაი თქვენი ბრალი, თუ დამარცხდით! — თქვა ბოლოს გალილეიმ და ქათმებს გაუძღვა. ისინიც უკან მიყვენენ.

ღედაკაცები წიოკით გამოედევნენ გალილეის.

— სად მიგიდის ქათმები, შე გიყო. შენა!

— მანშორდით! — იყვირა გალილეიმ და ქათმებს ანიშნა, მამყევითო.

— ნუ გადაგვირიე ე ქათმები, შე ცეტო, შენა!

— წაგასლევთ თავებს! — დაიძახა გალილეიმ და ხმლით გამოუდგა ღედაკაცებს.

ვაჟი გოგამ გალილეი დაიჭირა, ხმალი წაართვა და საბლით ბოძზე მიაბა.

— წაგასლევთ თავებს! — ყვიროდა გალილეი.

ღედაკაცები ისევ ვაჟი გოგის მიუსხდნენ და ვაჟი გოგიც მორიგი ტყუილის სათქმელად მოემზადა.

თანდათან დათბა და გაღმა მთაზე ისევ წამოვიდა ზვავი გრუხუნით.

მერე კვლავ ჩაწყნარდა მიდამო. მარტო, ბოძზე მიბმული გალილეი არღვევდა სიჩუმეს:

— წაგასლევთ თავებს! — ემუქრებოდა დედაკაცებს. ქათმები გარს ეხვეოდნენ და კრიახ-კრიახით რალაცას ელაპარაკებოდნენ თავიანთ მთავარსარდალს, თავიანთ ენაზე.

— სადა ხართ, ხალხო! — დაიძახა ვილაყამ გალილეის ბანიდან.

— მიშველეთ! — იყვირა გალილეიმ, როგორც კი ამ ხმას ყური მოჰკრა.

— გამიხარდაია, — თქვა ვაჟი გოგომ.

— აქა ვარ, აქა! — ყვიროდა გალილეი.

გამიხარდაი მოვიდა და შორიდანვე დაიწყო:

— ვის რა გიჭირთ, მეზობლებო, ვის რა გადარდიათ, — თან გუდას იხსნიდა ზურგიდან და იქიდან სქელტანიან რვეულს იღებდა.

— ჭერ მე, ჭერ მე! — იყვირა გალილეიმ. გამიხარდაი მასთან მივიდა, რვეული გადაშალა და დაწერა:

ღარღი № 1671

ჩოხილი ბალიში

— რა გადარდებს?

— ის, რომ ხელში ხმალი არა მაქვს და დატყვევებული ვარ.

— მეტი არაფერი?

— ამხსენი ეხლავე.

— ეგ ჩემი საქმე არ არის, — თქვა გამიხარდამ.

— ამხსენ, თორემ წაგასლევთ თავს!

— ჩემი საქმე არ არის...

— მაშ რა არის შენი საქმე?

— მე დარდებს ვაგროვებ, ხალხის დარდს ვაგროვებ, ვის რა უჭირს, ვის რა ადარდია, — თქვა გამიხარდამ და გალილეის მოშორდა.

— უჰ. შენი! — ჩაილაპარაკა გალილეიმ.

— აბა, მეზობლებო, ახალი დარდები თუ გაქვთ, — დედაკაცებთან მივიდა

გამიხარდაი და რვეულში დარდის მერი ჩაიწერა:

ღარღი № 1672

ჩოხილი ვაჟი გოგონა

— რა გადარდებს?

— ისევ ისა.

— ისა?

— ჰო, ისა.

— მაინც ჩაეწეროთ...

— წყლიდან რომ თავი ამოვყავ, ის მადარდებს.

— მეტი არაფერი?

— თვითმფრინავიდან რომ გადმოიხედე? — იკითხა ტატამ.

— ჰო, ეგაც მადარდებს.

— მე კი არ ვიდარდებდი მაგასა, — თქვა ტატამ.

— მეტი არაფერი გადარდებს? — იკითხა გამიხარდამ.

— მეტი არაფერი, — უთხრა ვაჟი გოგომ. — ჰო, თუკცა: ასერიო. მისერიო, მისერ.

— რა? ეგ რა არის?

— დარდია.

— ვისი დარდია?

— წყალქვეშ ვინც ცხოვრობენ, იმათი.

— რა დარდია ეგეთი?

— ის, რომ ხშირად ადამიანს ისე არ აფასებენ, როგორც უნდა აფასებდნენ.

— ეგ ხომ წყალზემოთ მყოფების დარდიც არის.

— კი, ჩვენი დარდიც ეგ არის.

— მაღლობთ, ძალიან საინტერესო დარდი ჩამაწერინეთ, — თქვა გამიხარდამ და მორიგი დარდის ჩასაწერად ნომერი აღნიშნა.

ღარღი № 1678

ზიგლანი (სოფლის დეჰანოზი)

— რა გადარდებს?

— ხომ იცი, რაც მადარდებს.

— ადრე რაც გადარდებდა, ვიცი, მა-

გრამ ხომ შეიძლება, დღეს სხვა რამე გადარდებდეს?

— მე მაინც ავაშენებ იმ სახლს, მაგრამ ამისათვის საჭიროა...

ბიბლაი ცოტა ხნით გაჩუმდა და მერე, ვინ იცის, მერამდენედ დაიწყო უკვე გაზეპირებული ამბავი:

— ჩემო მეზობლებო, ხომ იცით, ტყუილი არ ვიცი, პროექტი უკვე დიდი ხანია შედგენილი მაქვს, ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ და გამიხარდასაც. ამ სახლის ასაშენებლად სოფლის მოედანი უნდა დამითმოთ და აშენებაში თქვენც მომეხმაროთ. მარტო ჩემთვის კი არ მინდა იმხელა სახლი.

— რამდენი ოთახი იქნება? — ჰკითხა სება.

— მე ხუთასი ოთახი მაქვს გადაწყვეტილი.

— ხუთასი? მერედა, რად გვინდა მაგდენი, ან მასალა საიდან მოვიტანოთ?

— მასალას ვიშოვით. რაც სახლები გვაქვს, სულ დავშალოთ და ერთი დიდი სახლი ავაშენოთ, შევიდეთ და ვიცხოვროთ ტბილად, სულ ერთი არ არის? მაინც ერთად გვინდა ყოფნა. ყველაფერი შიგ იქნება იმ სახლში. ჯერ მარტო ოცოთახიანი სასადილო აიგება.

— რა საჭიროა მაგდენი ოთახი? — თქვა ტატიამ.

— როგორ თუ რა საჭიროა, თუ ჭამა არის, ჭამა უნდა იყოს...

— მაინც, მაგდენი ოთახი...

— ჰირველ ოთახში ფეხებს დაიხდი, მეორეში — პალტოს, მესამეში ქუდს მოიხდი და ჩამოჰკიდებ, მეოთხეში სარტყელს მოიხსნი...

— ქალებმაც უნდა გავიხადოთ? — იკითხა სალომემ.

— არა, ქალებმა ისე რა, შიგადაშიგ.

— როგორ თუ შიგადაშიგ?

— ვისაც უნდა გაიხდის, ვისაც უნდა, არა.

— მეხუთეში რა იქნება?

— მეხუთე კოფრების ოთახია, აიღებ კოფრს და გახოლ შეექვსეში, იქ თეფშები აწყვია, ეგე გაჰყვები... ყველა

ოთახში სისუფთავეა, მეათე ოთახში რომ მიხვალ, იქ ბორშიანი ქვაბი დაგხედება, დაისხამ ბორშისა და გახოლ მეთერთმეტეში.

— მეთერთმეტეში რაღა არის?

— მეთერთმეტე ბლის ოთახია, მაგრამ...

— რაღა მაგრამ, კარგია.

— კარგი კია, მაგრამ შეიძლება გავაუქმოთ.

— რატომ?

— ზამთარში სად ვიშოვოთ ბალი?

— როცა ბალი არ იქნება, სხვა რამე შევიწახოთ მეთერთმეტეში.

— ხო, ეგაც შეიძლება, თუმცა მაინც მაღარდებს ეგ საკითხი.

— ძალიან გადარდებს? — იკითხა გამიხარდამ და საწერი მოინარჯვა.

— ძალიან, — თქვა ბიბლამ.

— შეტი არაფერი გადარდებს?

— მეთხუთმეტე ოთახი მაღარდებს კიდევ.

— მეთხუთმეტეში რაღა არის?

— მეთხუთმეტეში მარწყვია და ზამთარში...

— კიდევ რომელი ოთახი გადარდებს?

— დანარჩენებში კარგად არის საქმე, მეთექვსმეტეში ხინკალია, მეჩვიდმეტეში — მწვანილი, მეთვრამეტეში — ვაშლი, მეცხრამეტეში მაგიდები დგას, დასჯდები, საჭმელებს დააწყობ, ერთი ლამაზ გაიჯორები, გამოხვალ მეოცეში, იქ გაშლილი ლოგინებია, მისწვები და მიიძინებ.

ბიბლამ სასადილოს აღწერა რომ მოათავა, ამაყად გადახედა მეზობლებს და იკითხა:

— ჰა? როგორია?

— კარგია, მაგრამ...

— რაღა მაგრამ?

— აუცილებლად ძველი სახლები უნდა დავშალოთ, რომ ეგ სახლი ავაშენოთ?

— კი, კი, ძველები, ჯერ ერთი, აღარაფერში აღარ ვარჯანან, მეორე, რაღა ცალ-ცალკე ვიცხოვროთ, სულ ერთად ყოფნა არა სჯობია, ძველ სახლს რომე-

ლსა აქვს ეგეთი სასადილო? მესამეც ისა, რომ მასალა არის საჭირო.

— ჭმასალის თაობაზე ხომ არაფერი გადარდებს? — იკითხა გამიხარდამ.

— ჯერჯერობით არა.

— ზემოდან რა უნდა გადავახუროთ იმ სახლს? — ჰკითხა ვაჟი გოგინ.

— თუნუქით დავახუროთ, რომ ბრჭყვიალი დაიწყოს და ჩვენ მტრებს თვალები დააჭრას, დაუბრმავოს, — თქვა ბიბლამ და მეზობლებს გადახედა.

— გამიშვით თორთ, სუ ქვებით დაგიხვრეტთ ი თუნუქის სახურავს! — იყვირა გალილეიმ, რომელიც აქამდე ჩუმად ისმენდა სასადილოს ამბავს.

— ვინც იმ სახლს რამეს დაუშავებს, ვერც იმის სასადილოში შევა, — თქვა ბიბლამ.

— წაგასლექთ თავებს! მე მართოდ ბლის ოთახში შევალ! — ყვიროდა გალილეი.

— გირჩევნია, ჰკვიანად იყვე.

— ქათმების ოთახი ექნება თქვენ სახლსა? — იკითხა წყნარად გალილეიმ.

— ქათმებისიც ექნება და ვირებისიც.

— იცი, რას გიზამთ?

— რას გვიზამ.

— ჭამას რო მორჩებით მეცხრამეტეში, მეოცეში ხო დაიძინებთ...

— დავიძინებთ.

— ჰო, მაგრა დაიძინებთ...

— მაგრა დავიძინებთ.

— ჰოდა, შემოვალ და მიინარეებს წაგასლექთ თავებს! — თქვა გალილეიმ და ნასიამოვნებმა გადაიხარხარა.

დარღი № 1674

სამბაი

— რა გადარდებს?

— არაფერიც არ მადარდებს!

დარღი № 1675

სამხარაულო

— რა გადარდებს?

— ძალიან მადარდებს გულამაყრის მივარდნილობა.

— როგორ თუ მივარდნილობა?

— ისა რომა, ისტორიულად და გეოგრაფიულად მივიწყებული და მოუცვდრელი ადგილია. ხევსურებს იცნობენ, ფშავლებს იცნობენ, თუშებს იცნობენ, მთიულებს იცნობენ, მოხევეებს იცნობენ და რომ სთქვა, გულამაყრელი ვარო, ყველა სიცილით მოკვდება.

— რატომ?

— აბა, რა ვიცი, რა არის გულამაყარიო. იშვიათად თუ ვინმე იცის, რომ მსოფლიოში, საქართველოში არსებობს ხეობა, რომელზეც შავი არაგვი მოდის და ხეობას ჰქვია გულამაყარი, სადაც გულამაყრელები ცხოვრობენ. რომ გულამაყრელები ძველთაძველი და მეომარი ხალხია, რომ იმ სამასი არაგველიდან, კრწანისის ველზე რომ დაეცნენ, უმეტესობა გულამაყრელები იყვნენ. რომ იმათ სარდლობდა ათონხელი ნინია აფციანური და რომ პირიმიზის ხატში დაიფიცეს სათემო ხატზე და აქედან წაიღეს საბრძოლო დროშები. არავინ დღემდე არ იცის, რომ ჩოხის ზემოთ, მთის წვერზე, ბერების ნასაყდრალეზია და ამ მთას ბერების მთას ეძახიან, რომ პირიმიზე ახალციხიდან მოუბრძანებიათ ერთ-ერთი ბრძოლის დროს... გულამაყარიიი.. დროა, ბოლოს და ბოლოს, მსოფლიომ გაიგოს, რომ არსებობს ხეობა, რომელსაც გულამაყარი ჰქვია...

— ეე, შენ, როგორც გეტყობა, ბევრი რამ გადარდებს, აი! — შეაწყვეტინა გამიხარდამ სამხარაულს, რომელიც ისე სწრაფად ჰყვებოდა თავის დარდებს, გამიხარდამ ორი სიტყვის ჩაწერაც ვერ მოასწრო.

სამხარაული გაჩუმდა.

დარღი № 1676

მინმბარი

— რა გადარდებს?

— დასაწყისი სად არის, ის არ ვიცი.

— რისი დასაწყისი?

გოდუმი ჩოხელი
აღამინათა სმვა



— აი, ყველაფერი იმისა, რასაც ვხე-
დავთ და არ ვხედავთ.

— ეე, შენც მოიგონე დარდი, რაღა!

— რა, არ მოგწონს?

— არა, ისე საინტერესო დარდია, მა-
გრამ რა ჩვენი საქმეა, სად არის დასა-
წყისი...

— მაშ თუ იცი, დასასრული სად
არის?

— დასასრული სიკვდილია.

— სცდები, ტყუილია.

— რატოა ტყუილი.

— სიკვდილიც დასაწყისია, მაგრამ
მთავარი არა, მთავარი დასაწყისი სხვა
რამეა.

— ღმერთი?

— შეიძლება ღმერთი, მაგრამ, სად
არის?

— ეგ გადარდებს?

— ჰო, ვიცი რომ დასასრული და და-
საწყისი ერთად არიან, რომ დასასრულ-
ში დგას დასაწყისი, მაგრამ როგორ,
რანაირად, სად არიან?

— მეტი არაფერი გადარდებს?

— მეტი რაღა უნდა მადარდებდეს...

— გალილეი რომ ბოძეა მიბმული,
არ გადარდებს?

— არა.

— რატომ?

— რა ჩემი საქმეა, გალილეიმ დაიმ-
სახურა და მიაბეს, შენ რატომ არ ახ-
სენი?

— არც ჩემი საქმეა.

— ამხსენით, თორე დედას გიტი-
რებთ მეოცე ოთახში! — იყვირა გალი-
ლეიმ, მაგრამ კაციშვილიმა ყური არ
უგდო, მარტო ქათმებმა ატეხეს წიოკი.

დარდი № 1877

ჩალი

— რა გადარდებს?

ჩალი ახალგაზრდა ბიჭია. აქამდე ჩუ-
მად იჯდა და ყურს უგდებდა მოხუცებს.
ათი დღე იქნება, რაც ქალაქიდან ამო-
ვიდა. უკვე მიეჩვია ამ მოწყენილ და
თითქმის ერთფეროვან დღეებს. აქამდე
ერიდებოდა დარდების შემგროვებელი

გამიხარდაი მასთან საუბარს, ახლაც
რდის ნომერი ჩაიწერა და ხელმეორედ
ჰკითხა:

— რა გადარდებს?

— მე, არაფერი...

— სულ არაფერი?!

— არა.

— მაშ რატომ ხარ ეგე მოწყენილი?

— რა ვიცი, ისე, ქალაქი მომენატრა.

— შეყვარებული ხომ არა ხარ?

— არა, არა...

— მაშ რა გადარდებს?

— საღიპლონო თემა მაქვს დასაწერი.

— რაზე უნდა დაწერო?

— რა ვიცი, გულამაყარზე უნდა და-
წერო ნარკვევი, მაგრამ რა უნდა დავ-
წერო.

— ესე იგი, გადარდებს.

— ჰო, მადარდებს...

— შეყვარებული მართლა არა ხარ?

— არა, მაგრამ, გინდაც ვიყვი, სიყ-
ვარული რა დარდია.

— როგორ არა, სიყვარული ყველაზე
დიდი დარდია.

— შენ შეყვარებული ხარ?

— ვიყავი.

— მერე?

— გზაზე ყაჩაღები დახედნენ და გა-
აუბედურეს. იმან ჯერ არაფერი თქვა,
ერთი დღე იჯდა და უხმოდ მიყურებდა.
ვკითხე, რა დაგემართა-მეთქი. არაფერი
არ მითხრა. მერე მოვიდა და მუხლებ-
ზე მაკოცა. მე იქვე ჩავიხვიე. ხელიდან
გამისხლტა და წავიდა. წავიდა და ეგ
იყო... წავიდა... აღევებულ არაგვი ჩა-
ეხარხო თავი. იმის მერე დარდებს ვაგ-
როვებ. რაც რამ გვეყანაზე დარდია,
უნდა შევავროვო და ღმერთთან წავი-
ლო.

— რა ერქვა? — ჰკითხა ჩალიმ.

— ნინო.

— რომელი სოფლიდან იყო?

— დიდებათიდან. საფლავებიდან
ცოტა მოშორებით დამარბეს.

— რატომ?

— რახან თავისი ნებით მოიკლა თა-
ვი. ეგეთი რა გაუქირდაო, ბრანობდა
ხალხი, ჯერ არავინ იცოდა, რაში იყო

საქმე, მერე ისევ იმ ყაჩაღებს დაეკვე-
ხნათ... — გამიხარდას წყვილი ცრემლი
მოადგა თვალებზე და ჩალის რომ არა-
ფერი შეემჩნია, შებრუნდა, სალომეს-
თან მივიდა და რვეულში დარდის ნო-
მერი ჩაწერა.

დარღი № 1678

სალომე

— რა გადარდებს?
— ხმა არ მინდა გავიდეს სხოვან.
— რა ხმა?
— ის, რომ საერთო სახლს ვაშე-
ნებთ.
— გაიგონ, მერე რა.
— ხელს შეგვიშლიან.
— სხვა რა გადარდებს?
— ისეთი პირი უჩანს ამინდს, შეიძ-
ლება დიდი თოვლი მოვიდეს.
— მოვიდეს, მერე რა.
— დიდი ზვაეები წამოვა.
— მეტი არაფერი გადარდებს?
— ჩემი რძალია ავად და ბალებების
ამბავიც არა ვიცი რა.
— სხვა?
— ჯერჯერობით მეტი არაფერი...

დარღი № 1679

ის იყო დარდის ნომერი ჩაიწერა გა-
მიხარდამ, რომ ბანზე წიოკით ამოვარდა
გარახტინაი, უკან ტაშკენტაი მოსდევდა
წყევლით.
— რა იყო, რა მოხდა? — ფეხზე წა-
მოდგა ვაჟი გოგი.
— ისა, რომ აღარაფრად გვაგდებენ
ჩოხლებს.
— როგორ თუ აღარაფრად გვაგდე-
ბენ, ეგ საიდანლა მოიტანე?
— აი ტაშკენტაი დამემოწმება, რომ
მართალი ვარ. — თქვა გარახტინამ და
ტაშკენტას გადახედა.
— დაგემოწმები კი არა რო, მეტსაც
ვიზამ. — თქვა ტაშკენტამ.
— ბალოო, მოდი აქა! — დაუძახა გა-
რახტინამ თავის ბეჩავ ბაღს შეთეს,
რომელიც საცოდავად მობუზულიყო
ბანის კუთხეში.

— აი. ამ ბაღს ხომ ხედავთ.
— ვხედავთ, — თქვა სეზამ.
— ვხედავთ, — კვერი დაუკრა ვაჟი
გოგიმ.

— პო სუყველანი ხედავთ, ხალხნო!
— ხმამალა დაიძახა გარახტინამ.
— წაგასლექთ თავებს! — ხმა მისცა
გალილეიმ.
— გაჩუმდი, შენი! — დაუტია ვაჟი
გოგიმ.
— დედას გიტირებთ მეოცე ოთახში!
— დაემუქრა გალილეი.
— ხომ ხედავთ? — ყვიროდა გარახ-
ტინაი.

— ვხედავთ! — ეუბნებოდა ხალხი.
— ჩოხის წმინდა გიორგის სალოცა-
ვსაც ხომ ხედავთ.
— ვხედავთ, შეგვეწიოს იმის მადლი!
— მერედა, ხომ ისე იყო გუდამაყა-
რში დაკანონებული, რომ ჩოხის წმინდა
გიორგის ყმა, კოჭლი იქნება ის თუ
ბრმა, ვის კარზედაც უნდა მივიდეს ქა-
ლის სათხოვნელად, უარი არ უნდა
უთხრან.

— ეგეა! ეგე! — ფეხზე წამოდგა დე-
კანოზი.

— მერე?
— რა მერე?
— მერე ისა, რომ ეგე აღარ არის.
— როგორ თუ აღარ არის?!
— აი, იმ ჩემ ბაღს ხომ ხედავთ,
მოდი, შევილო, აქა, — თავისკენ მიიჭ-
რია გარახტინამ საცოდავად მობუზული
შეთე და მერე ჰკითხა:
— ცოლი გინდა?
— მინდა. — თქვა შეთემ.
— ხო გესმით, უნდა...

— მერე?
— მერე ისა, რომ არ მოგვეცეს.
— ვინ არ მოგვცათ ქალი! ვინ გითხ-
რათ უარი?!
— ვინა და, დიდებათ მწარიამ.
— რაო?
— ვერ მოგვემთო, ეხლა განა ისაგ
ის დროაო, ყურები გამოიჩიჩქნეთო, ეე,
ბნელებოო.

გოდვარძი ჩოხელი
აღმზინათა სმედა



— ბნელბოო?
 — მართლა ეგრე თქვა?
 — ჰო, და, თანაც, არ მოგცემთო, და-
 კანონებული იყოო, ესლა აღარ არიო.
 — გულით გინდა, შვილო, ის ქალი?
 — ჰკითხა დეკანოზმა შეთეს.
 — ჰო, მინდა.
 — წამო, შეეხვეწე სალოცავს. —
 ხატისკენ წაიყვანა შეთე დეკანოზმა და
 დანარჩენებიც თან გაჰყვინენ, აღშფო-
 თებულები, გამწარებულები.

— ამხსენით, მე თქვენნი! — ღრიალე-
 ბდა გალოლეი, მაგრამ იმას ყურს აღა-
 რავინ უგდებდა. ყველანი ხატის ქვე-
 მოთ, სამანთან იყვნენ დაჩოქილები.

გამიხარდაი გარახტინასთან მივიდა
 და დარდი ჩაიწერა.
 — რა გადარდებს?
 — მამწყდი თავიდან, ჩემო გამიხარ-
 დავ!

— მითხარი, რა გადარდებს.
 — ლამის არის, გულმა გამიტანოს
 დედაკაცი და ეს კიდევ...

— შენ მაინც მითხარი, — ახლა ტაშ-
 კენტას მიუბრუნდა გამიხარდაი.
 — ის მაღარდებს, რომ ჩოხლებს
 დღეის მერე უპირატესობა გვეკარგება
 გუდამაყრის ხეობაში. დღეს დიდებათ
 გვითხრეს უარი, ხვალ გამსივლები გვე-
 ტყვიან, ზეგ ჩობოლაურნი.

— სწორია ტაშკენტი! — წამოიძახეს
 აქეთ-იქითიდან.

— სათემო ხატი უნდა წამოვებრძა-
 ნოთ და იმით შემოვიაროთ სოფლები,
 რომ მეორედ ვეღარავინ გაბედოს წა-
 ნააღმდეგობა, — თქვა ვაჟი გოგოი.

ეს აზრი, ეტყობა. კუთუში დაუჭდა
 ხალხს, დეკანოზს ასძახეს ზემოთ (თვი-
 თონ სამანს ქვემოთ იდგნენ, იმას იქით
 არ შეეძლოთ წასვლა):

— სათემო ხატი გამააბრძანე, ბიბ-
 ლაო!

— იმის გამობრძანება არ იქნება, —
 ჩამოსძახა ბიბლაშ.

მაშინ ვაჟი გოგო, სებაი და სამხარა-
 ული ზემოთ ავიდნენ და დეკანოზს მო-
 ეთათბირნენ, სწორედ ის დროა, სათე-
 მო ხატით დავაშინოთ გუდამაყრელები,

სათემო ხატი

გუდამაყრის ხეობაში პირველად ჩო-
 ხლები დასახლდნენ და თავიანთ სო-
 ფელს ჩოხი დაარქვეს. მაშინ ჯერ კი-
 დევ არ იყო ქრისტიანობა და ჩოხლე-
 ბიც კერპთაყვანისმცემლები იყვნენ,
 ხოლო როცა ქრისტიანობა მიიღეს, თავი-
 ანთ მთავარ სალოცავად შთავარის
 ღვთაება — წმინდა გიორგი იწამეს.

გუდამაყრის ხეობაში თანდათან
 ახალ-ახალი სოფლები გაჩნდა. ხევსუ-
 რეთიდან მოსისხლეებს გამოქცეულნი
 ამ მიუვალ ხეობას აფარებდნენ თავს
 და აქვე სახლდებოდნენ. იმათ თავ-თა-
 ვიანთი სალოცავები აიშენეს.

წმინდა გიორგი სამას სამოცდასამ
 ნაწილად დაშლილა და ჩოხლების წმინ-
 ნდა გიორგი — ენა არის. ამის გამო აღ-
 რიდანვე ერიდებოდნენ გუდამაყრელები
 ჩოხლების „ენა-ყბაში ჩავარდნას“.

ჩოხლებმა ოქრომჭედელს ხატი გამო-
 აჭედვინეს და გუდამაყრის ხეობაში ახ-
 ლად გაშენებულ სოფლებში ჩამოატა-
 რეს.

რომელ სოფელშიც შევიდოდნენ, ჯერ
 ზარებს დარეკავდნენ, მერე იმ სოფლის
 ხალხს ხატზე დააფიცებდნენ, რომ ჩო-
 ხლებს უნდა დამორჩილებოდნენ. ამ
 მორჩილების შინაარსი ძარიოდადა ის
 იყო, რომ დანარჩენი გვარები ცნობდ-
 ნენ ჩოხლების გვარის უპირატესობას
 და თუ ჩოხელი მათთან ქალის სათხოვ-
 ნელად მივიდოდა, უარი არ უნდა ეთქ-
 ვათ, თუნდაც სანეფო კოჭლი ან ბრმა
 ყოფილიყო.

იმ დღიდან მოყოლებული დღემდე
 მოდიოდა ეს წესი, დღეს კი პირველად
 დაირღვა საუკუნეების მანძილზე და
 ამან ისე შეაშფოთა ჩოხლები, დედაკა-
 ცებიც კი აღშფოთებას ვეღარ მალავდ-
 ნენ, სათემო ხატის გამობრძანებას მო-
 ითხოვდნენ.

ხატს სხვა მისიაც ეკისრებოდა. თუ
 მტერი მოადგებოდა საქართველოს, მა-
 შინ ამ ხატს ჩამოატარებდნენ გუდამა-



ყარში და ვისაც კი შეეძლო, უკან უნდა გაჰყოლოდა ხატიონს. უკანასკნელად კრწანისისკენ მიმავალი სამასი არაგველი ეამბოროა მას.

— გამაბრძანეთ. ჩვენც დავიფიცავთ, რომ ან აღვადგენთ ჩვენ უფლებებს, ან არც ერთი აღარ მოვალთ უკან! — შტაკიოდნენ დედაკაცები დეკანოზს, რომელმაც მართლა გამოაბრძანა ხატი და წარბაქურაყი შეაქურიალა.

იმ ღამეს ვაჟი გოგის სასტუმროდ ბრძანაში თაყვარილობა ჰქონდათ ჩოხლებს. უმრავლესობას დედაკაცები შეადგენდნენ და ისეთი ყრობაშული გაუდიოდდათ, ყურთასმენა აღარ იყო.

გადაწყვიტეს, მეორე ღლიდანვე მოეწყოთ ლაშქრობა გუდამაყარში. ჩამოწერეს მოლაშქრეთა სია და წესისა და რიგის მიხედვით დაანაწილეს.

შეკრებილთ ერთხმად აირჩიეს ვაჟი გოგი მთავარსარდალად და მასვე მიანდეს ჯარის შედგენა.

— ყველაფერი იმთავითვე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ მერე აღაოაფერმა შეგვაფერხოს. — თქვა ვაჟი გოგიმ და დედაკაცებს განუმაოცა, რასაც ვულისამობდა:

— არც ერთი სახელოვანი ლაშქრობა ბრძამდ და უწესრიგოდ არ ჩატარებულა. — ამბობდა ვაჟი გოგი. — მშვენიერი მთავარსარდალს, როცა სხვა ქვეყნის დასალაშქრავად მიდიოდა, აიან მიჰყავდა ხოლმე მწერლები, ფილოსოფოსები, ისტორიკოსები და გეოგრაფები. ეს პირველ რიგში, მათ კულტურულობას უსვამდა ხაზს და ჩვენც ხომ არა ვართ მთლად შეუგებლები. ეს ხალხი კიდევ იმიტომაცა საკვირო, რომ ჯერ ერთი, მოწინააღმდეგე დაინახავს, რა განათლებულ გვაოთან აქვს საკმე, მეორეც, ჩვენთვისვეა სასარგებლო, ჩვენი ფილოსოფოსები და მწერალისტორიკოსები ბევრ რამეს ჩაიწერენ იმათგან. ვისაც სათემო ხატზე დავიფიცებთ, ეს ჩანაწერები შემდეგში ჩვენ შეილებსა და შვილთაშვილებს, ვინ იცის, რაში გამოადგებათ. თუ არ გამოადგებათ, ხომ არაფერს დაუშავენს? თანაც

რალაც-რალაცებს რომ ჩაეიწეროთ, ამიერიდან უფრო დავაბნევთ და დავიმორჩილებთ მოწინააღმდეგეს. პირველ რიგში საკირია, ავირჩიოთ ისტორიკოს-გეოგრაფი, ეს აუცილებელია. ისტორიკოსი ასევე აუცილებელია ამ ლაშქრობისათვის, როგორც მთავარსარდალი. თუ არა ვცდები, სამხარაული უნდა ავირჩიოთ ისტორიკოს-გეოგრაფ-მემატიანედ. ადგეს ფეხზე სამხარაული.

სამხარაული ფეხზე წამოდგება.
— ხართ მომზად?
— ვართ, — დაიძახეს აქეთ-იქეთიდან.

— მე მგონი, ლაშქრის მწერლად ჩალი უნდა წავიყვანოთ. — თქვა დარღების შემგროვებელმა.

ჩალი ჯერ უარზე იდგა და, საერთოდ, წინააღმდეგი იყო ამ ლაშქრობისა. როგორ არ ეცადა, დაერწმუნებინა დედაკაცები, რომ სისულელეს სჩადიოდნენ, რომ დიდებათ მწარიაი მართალი იყო.

— როგორ თუ მართალი?
— ისე რომ, გოგო იმისია, ვიხეც უნდა, იმაზე გაათხოვებს და რატომ ცდროლობთ, ვილაცა დაიმონოთ და დაიმორჩილოთ?

— როგორ თუ იმისია, რატო უნდა გეითხრას უარი? როდის ყოფილა, ჩოხლებისთვის უარი უთქვამთ...

— მინდა ცოლი და რატო მეუბნებიან უარს? — წამოიძახა კუთხეში მობუთულმა შტაკმა.

— ამასენით ხალხო, წამცივდა, — მოისინა გარედან გალილეს ევიოილი და ჩალი გარეთ გავიდა. რამდენიმე წუთში შემობრუნდა, უკან გალილესი მოყვებოდა და გაიძახოდა:

— დედას გიტორებთ მეოცე ოთახში. წაგასლეკოთ თავებს!

— მაიკა, გალილესი, ჩვენ ხომ მოვილაპარაკეთ, — დაწყენარა ჩალიმ და გალილესი დაწყენარა.

— იქნები თუ არა ლაშქრის მწერა-

გოფარში ჩოხალი
აბაშიანთა სიძვა

ლი? — ჰკითხა მთავარსარდალმა ჩა-
ლის.

— ჰო მაინც ნარკვევი უნდა დასწე-
რო გუდამაყარზე. — ჩაუტურჩულა და-
რდების შემგროვებელმა.

— ვიწნები. — დათანხმდა ჩალი.

— შენ გვეალებო ჩაიწერო მომხდარი
ამბები. ფილოსოფიურ ამბებს მე ჩავი-
წერ და თან გამოკითხვებსაც ვაწარმო-
ებ. — თქვა ქიმიბარმა.

გადაწყდა.

იმავე ღამეს შედგა მოლაშქრეთა სია
და მთავარსარდალმა ყველას თავისი
ადგილი მიუჩინა ამ სიაში. ჯარი განა-
წილდა საჭიროებისა და საომარი წესის
მიხედვით. გამოყვეს ქვეითი მოლაშქ-
რენი. მყვირალები, მზვერავები, საიდუ-
მლო ნაწილი, საზღვაო ნაწილი სამი ქა-
ლის შემადგენლობით. რადგან გუდამა-
ყარში ზღვა არ აოის, ლაშქრობის
ადათ-წესებს მაინც სცეს პატივი და
„საზღვაო ნაწილს“ დაავალეს, რომ
არაგვ-არაგვ იარონ, მანამ ლაშქრობა
არ ფამთავრდება, რამდენიმე ქალი და
გალილეი თავიანთ სოფელში დასატო-
ვებლად გაანაწილეს.

— რაო? მე არ მიგყავართ ჯარში! —
იწყენა გალილეიმ.

— შენ აქ დარჩი, აქაც ბევრი საქმეა.

— რომელი ხაოთ ჩემზე კარგი მეო-
მარი, ვერ დაინახა თქვენმა დასათხრელ-
მა თოლებმა წელან, რამდენ სახელოვან
მეომარს წავასლიეც თავი? — ჯალა-
ლედინი, მაცდომელი, ატილესისი, ჰიტ-
ლერი, ვერ დაინახეთ?

— დავინახეთ.

— იგიუ? რატო მირიდებთ.

— ზომ იცი, რომ მტერი შეიძლება
ჩვენ სოფელს დაესხას, აქ რომ არ ვი-
ქნებით, ვინ უნდა გაუმაგრდეს?

— აქა გვევიართ! ვრჩები აქ! — დაი-
ძაბა გალილეიმ.

— არის კიდევ ერთი რთული ამბავი,
— თქვა მთავარსარდალმა და ჯარს გა-
დახედა.

— რაო?

— ექიმი ხომ გვინდა.

— გვინდა.

— ჰოდა, ზინაი როგორმე უნდა
ვიყვანოთ.

იმავე ღამეს გალილეი აფრინეს კი-
ტობში ცხენით და გუდამაყარის საერთო
ექიმი მოაყვანიხს. გალილეიმ მოატყუა
ექიმი, ვაყ გოგი ავად არის, კვდებაო,
აქ თავის გეგმა გააცნეს და ზინაი ჯერ
უარზე დადგა, მეტე დააშინეს: თუ არ
წამოგვეყვები, მოგვკლავთო.

— ჰო, წაგასლევთ თავს, მაშ! — და-
ამატა გალილეიმ და ზინაი ც დაითან-
მეს ამ ლაშქრობაზე.

იმავე ღამეს გადაწყდა, რომ მზვერა-
ვებს მეორე დღიდან ზეგები უნდა ჩა-
მოეჭანებიანთ გუდამაყარის ხეობის შე-
სასვლელში, რომ მანამ ლაშქრობა არ
დამთავრდებოდა, ხეობაში სხვა არავინ
შემოსულიყო.

— მე ფეხით სიარული გამიჭირდება,
ცხენი უნდა შემებათ მარხილში, — თქვა
ზინამ.

— მართლა ვერ ივლის ეს, — დაემო-
წმა ტატიამ.

— კარგი, სურსათი რომელ მარხილ-
ზეც გვექნება. იმ მარხილზე დაჯდები,
— ნება დართო მთავარსარდალმა ექიმს.

იმ ღამეს თვალი არავის მოუხუჭავს.
შეადგინეს საბრძოლო გეგმა. გადაწყდა,
რომ იმ სოფელს, საიდანაც ქალი უნდა
წამოეყვანათ, ბოლოს დასხმოდნენ.

— ჰო, ეგრე სჯობს, ჯერ სხვები და-
ვაფიცოთ, რომ მეტე პირდაპირ ქორ-
წილზე გადავიდეთ. — მოიწონა გარახ-
ტინამ სარდლის გეგმა.

შეაგროვეს სურსათი და, ვისაც რო-
გორ შეეძლო, იაც შეიარაღდა. ყველაზე
კარგი თოფები მზვერავებს მისცეს. თე-
თრი კაბები წინეკერეს მიტკლისაგან
მზვერავებმა, რომ თოფელში შეუმჩნე-
ვლები ყოფილიყვნენ.

გათენებიაას ერთი-ორი საათით წაი-
ბინეს და კარგად რომ გათენდა, ატყდა
ზარების რეკვა.

ლაშქარმა გაიღვიძა და ხატის ქვე-
მოთ, პატარა მიწდორზე მოგროვდა.
ყველა საბრძოლოდ იყო მზად.

— სიმადლის მიხედვით, მოეწყვეთ!
— ბრძანა მთავარსარდალმა და დედა-



კაცები ერთიმეორის მიყოლებით ჩამ-
წკრივდნენ. ზოგს თოფი უკიდა, ზოგს—
ხმალი.

სებამ ზარები შეაქლიალა. დეკანო-
ზმა სათემო ხატი გაშობაბრძანა, გორზე
გადმოდგა და დაიძახა:

— ხატი გაუწყარეს, ვინც ლაშქარს
უღალატებს!

— ამინ! — დაიგუგუნეს დედაკაცე-
ბმა.

— დაიფიცეთ, რომ ძველ წესს აღად-
გენთ!

— ვფიცავთ!

— გწყალობდეთ!

— ამინ!

ამის მერე მთავარსარდალმა წასვლის
ბრძანება გასცა და ლაშქარიც დაიძრა.

ისევ ავტორისაგან

ეს ყველაფერი გადმოცემით ვიცოდე
და შეიძლება ბევრი რამ დავაკელი კი-
დეც, რაც შეეხება ჩანაწერებს, რომელ-
თაც გარეთა ყდაზე აწერია: „ლაშქრო-
ბა გუდამაყარში“. შევეცდები ისე წარ-
მოგიდგინოთ, რომ ამ სასახელო ლაშ-
ქრობის თანამიმდევრობა არ დავარღ-
ვიო. ჩანაწერები სულ ხუთი საერთო
რვეულისაგან შედგება

1. ისტორიკოს-გეოგრაფის რვეული.
რომელსაც ყდაზე მსხვილი ასოებით
აწერია — „მატიანე“.

2. ფილოსოფოსის რვეული, რომელ-
საც ასევე მსხვილი ასოებით აწერია—
„გუდამაყარელთა ფილოსოფია“.

3. მწერლის რვეული, რომელსაც
აწერია — „ადამიანთა სევდა“. ეს სათა-
ური ძალიან მომეწონა და ჩემს რომა-
ნსაც იმიტომ ვუწოდებ „ადამიანთა სევ-
და“.

4. დარდების შემგროვებლის რვეუ-
ლი, რომელსაც გარედან აწერია „გუ-
დამაყარის დარდები“.

5. საიდუმლო ნაწილის რვეული. გა-
რედან აწერია „საიდუმლო დავალებ-
ბანი“.

აი, ამ ხუთ რვეულში თითქმის ყველა-
ფერია იმ ლაშქრობის შესახებ. არა
მგონია, ყველაფრის აქ მოყვანა საჭი-

რო იყოს. შევეცდები, რაც შეიძლება
საინტერესო ამბები ამოვარჩიო.

კინალამ გამომრჩა; ამავე რვეულე-
ბებთან არის წერილები, რომელთაც მოლა-
შქრენი უგზავნიდნენ სოფელში მყოფთ
და რამდენიმე ბრძნული ჩანაწერი, მთა-
ვარსარდალი გზადაგზა რომ იწერდა.

ხელშეკრულება დაირღვა!

(მამაბიანის რვეულიდან)

ხელშეკრულება დაირღვა!

ამ ცნობამ ელვასავით დაუარა მთელ
გუდამაყარს და ჩოხლები იძულებულნი
შეიქმნენ გამოებრძანებინათ სათემო
ხატი. უნდა დაილაშქროს მთელი ხეობა
და მოსახლეობამ ხელახლა დაიფიცოს,
რომ კვლავაც შეასრულებენ ჩოხლების
მოთხოვნებს.

ლაშქარს სათავეში უდგას გამოცდი-
ლი ჩოხელი, მრავალ ომში ნაცადი,
თორმეტ წელიწადს წყალქვეშ ნამყო-
ფი, სახელოვანი მთავარსარდალი —
ვაჟი გოგი.

დღეს, ამა წლის 6 თებერვალს, ჩო-
ხლების ლაშქარი აღმოსავლეთისკენ
დაიძრა. წინ დეკანოზი მიდის სათემო
ხატით ხელში, უკან მთავარსარდალი
მიჰყვება, შემდეგ მეზარე და ამის შემ-
დეგ მივიდვართ ჩვენ, ისტორიკოს-
ფილოსოფოსნი და მოლაშქრენი.

ბრძოლის გეგმა

(„საიდუმლო დავალებათა“
რვეულიდან)

მთავარსარდალობამ თვალი გადაავლო
გუდამაყარის ხეობას და გადაწყდა შემ-
დეგ სოფლებზე თავდასხმა:

- | | |
|----------------|------------------|
| 1. ჩობოლაური | 10. საჩალის ჭალა |
| 2. ლიდა | 11. ქიქოხი |
| 3. ხოზა | 12. ლუთხუბი |
| 4. ცუცქუნაურნი | 13. დიხჩო |
| 5. კოტორიანი | 14. ბახანი |
| 6. ნისლაურნი | 15. წინამხარი |
| 7. ლაგაზიანი | 16. მაქართა |
| 8. თორელაანი | 17. კიტოხი |
| 9. ფახვიჯი | |

გოდვარი ჩოხელი
ადამიანთა სევდა

კიტოხის შემდეგ არის სოფელი დიდბანი. მთავარსარდლობამ გადაწყვიტა, კიტოხის ადების შემდეგ არ შევიდეს ამ სოფელში. აქ შევალთ ბოლოს, როცა ყველა სოფელს დავაფიცებო ხატზე და ამითაც სხვა გამოსავალი აღარ ექნებათ. ამ სოფელს ჩუმად ავუვლით გვერდს და შემდეგი თანამიმდევრობით ავიღებთ დანარჩენ სოფლებს.

- | | |
|---------------|---------------|
| 18. გამსი | 23. საქორე |
| 19. ჭალიველნი | 24. ქაქეენი |
| 20. ათნოხი | 25. ბუსარჭილი |
| 21. ბოსელი | 26. სალალო |
| 22. დუმაცხო | |

ამის შემდეგ მთავარი ძალებით შევტევთ სოფელ დიდბანს.

დღესვე ხეობის შემოსასვლელში გაიგზავნენ მზვერავები, რათა შემოსასვლელი ზეგებით ჩაჰკეტონ. საზღვაო ნაწილი გაგზავნილია არაგვზე.

ჩოხოლაურნი

(იმამბატინის რეზიდენსი)

სოფელი ჩოხოლაურნი ჩოხის აღმოსავლეთით ორიოდ კილომეტრზე მდებარეობს. სოფელს იქით და აქეთ კლდინი ხევები ჩამოუდის. სოფელში შესვლა თოვლის გამო გამძნელებულია, ჭირს მარბილებით გავლა საცალფეხო ბილიკზე, მაგრამ მთავარსარდლის ბრძანება ურყევია: „პირველი დარტყმა ელვისებური უნდა იყოს და ამისათვის ყველა ძალა უნდა გამოვიყენოთ. პირველმა გამარჯვებამ უნდა აღაფრთოვანოს მეზობლები და მომავალი გამარჯვებებისკენ გაუქვლიოს გზა“. — ეს მთავარსარდლის პირადი სიტყვებია.

ჯარი წინ მიიწევს. ირგვლივ თოვლი და სიწყნარეა. სოფელი გამოჩნდა. მთავარსარდლობა მოლაშქრენი შეაყენა და რახან მზვერავები ჯერ არ დაბრუნებულან ხეობის დასაწყისიდან, ელენაი და სალომე გაგზავნა ჩოხოლაურთას. ქალები თხუთმეტ წუთში დაბრუნდნენ.

— რა ამბავია? — ჰკითხა მთავარსარდალმა

— დედაკაცები ბანზე სხედან და წინდებს ჰქსოვენ, — თქვეს მზვერავები.

ჩვენი ლაშქრობა იმითაც არის გონივრული, რომ ზამთარში მამაკაცები ცხვარში არიან წასულნი. თუმცა ჩვენი ლაშქარიც დედაკაცებისაგან შედგება, მაგრამ ჩვენი დედაკაცები!..

მთავარსარდალმა შეტევის ნიშანი მისცა და საშინელი ყვირილით შეცვივდნენ სოფელში მყვირალები. მეზარემ ზარი აახმიანა. მეთოფებმა თოფები დააქუხეს. სოფელი ალყაში მოქცეული. საშინელი წივილ-კივილია. მგონა მტერი გვენბდება, მაღალ ბანზე ჩვენი დროშა არის გამოკიდებული. აი, შეტევაც ამას ჰქვია!

პირველი გამარჯვება

(ისევ იმამბატინის რეზიდენსი)

პირველი შეტევა პირველი გამარჯვებით დამთავრდა. ჯარი სოფელში შევიდა. მაღალ ბანზე ჩვენი დროშა ფრიალებს.

მთავარსარდალი და დეკანოზი ტახტზე სხედან. ჩვენებს მოწინააღმდეგენი ბანზე დაუჩოქებიათ და მორიგეობით აფიცებენ ხატზე, რომ კვლავაც სცნობენ ჩოხლების უპირატესობას, უმეტესად ქალის საკითხში. რა შეედრება ამ წუთს. ხატზე დაფიცება დამთავრდა და ახლა ფილოსოფოსებისა და მწერლების ჯერი დადგა. მოწინააღმდეგე ფილოსოფიით უნდა დააბნო, რომ შემდეგში ადვილად ვეღარ ვაგიწიოს წინააღმდეგობა. ცალკე მწერალი იწერს ამბებს, ცალკე ფილოსოფოსი, ცალკე ჯარისკაცები სწერენ სახლში გასაგზავნ წერილებს. მოწინააღმდეგე გაოგნებულია...

პითხვები

(ფილოსოფოსის რეზიდენსი)

- გვარი.
- წიკლაური სოლომონი.
- რამდენი წლისა ხარ?
- მეოთხმოცეში ვდგავარ.
- შენი აზრით, რა არის სიცოცხლენი საიდან მოვიდა.



— ვითომ სიცოცხლე ღვთისგან არის. მე ეგე ვიცი.

კაცი რო დიბადება, თავისა და მთორის სავალსა, მაშინ დაუწერს მწერალი, თავის თავგადასავალსა. თავში აწერიო.

— რა აწერიო?

— ბედი. ადამიანს თავის ბედი თავში აწერიო. ერთი დედაკაცი ყოფილა მშობიარედ და ბაჭი ჰყოლებია. იმ ღამეს მისულა სამი მწერალი. ეს დედაკაცი ისმენს იმათ ლაპარაკს, ისენი ბედს უწერენ... ერთს უთქომს რო: ემ ბაღღმა იმდენ ხანს იცოცხლოს, სანამ ხეზე ახლდამა შეეძლებაო, ჩამოვარდეს და მერე მოკვდესო. მეორემ, არაო: წყალმა წაიღოსო. მესამემ — ვიდრე აეს ნიგზურაი არ ჩაიწვებაო, — კერაზე ნიგზურაი ენთო, იმაზე თქო. ი. ბეჭის დედამ აიღო ნიგზურაი, ჩააქრო და შაინახა.

— მერე?

— გაიზარდა ის ბაღღი, მიიყვანა ცოლი, იმ ნიგზურაის ამბავიც უთხრა თავის დედამ.

— მერე?

— ერთ მთვარიან ღამეს ცხვრიდან მოდიოდა სახლში. ყანებში თავის ცოლს წააწყდა მეზობელთან მწოლარეს. ისენი იქვე დახოცა, თვითონ ავიდა და ის ნიგზურაი ცეცხლში დაწო. იმავე ღამეს მოკლეს თოფით მოკლულის ძმებმა.

— შენ რომ გქონდეს ეგეთი ნიგზურაი შენახული, რას უზამდი, როდისმე დასწვავდი?

— ზოგჯერ ისე ჯავრი მამივაკე ჩემ თავზე, მეც დავწოვდი.

— სიკვდილი რა არის?

— ეგეც ღვთისგან არის. ღმერთს უთქომს: ორი ბიჭი ჰყავდეს ადამიანს და ერთი ქალიო. მერე ეშმაკმა უთხრა: შენ ვინღა გახსენებს, ადამიანები რომ არ მოკვდნენ და სუ ცოცხლები იყვნენო. მერე ისე გამიგონია, რომ მოიგონა ღმერთმა სიკვდილი.

— ადამიანი რომ კვდება, სად მიდის?

— იცვლებაო ადამიანი, ასე გამიგონია.

— რა აზრი აქვს კაცის ხანგრძლივ სიცოცხლეს?

— სიცოცხლე გვიყვარს, მეტი არაფერი.

— ღმერთმა რომ ვითხრას, რამდენი ხანიც გინდა, იმდენი წელი მთხოვეო. რამდენი წლის სიცოცხლეს სთხოვდი?

— ოთხმოცდაათს.

— რო ეთქვა, არა, ორასს მოგცემო?

— ვერ შავძლებდი, ვერ გადავიტანდი.

— რატო ვერ შავძლებდი?

— სიბერის გამოდამა. დავუძღვრებო.

— როგორ გგონია, ეს დედამიწა სულ მუდამ იარსებებს?

— რა თქმა უნდა, მე ეგე ვფიქრობ. მაშ რამ უნდა შაქამოს, რომ ვთქოთ?

— ომი რომ მოხდეს?

— ომი არ არის, თქვენ რომ დაგვესხით, მა რა არის?

— დიდი ომი რომ მოხდეს?

— ომი მიწის ზევიდან იქნება, დაბლიდან ხო არა. დედამიწა რატო ჰქვია — ომსაც შაიშრობს და სისხლსაც.

— რო მოსწყდეს მოულოდნელადა? სად წავა?

— თუ აორთქლდება, თორო სხოვან სად უნდა წავიდეს, აღარ ვიცი. წყალი წაიღებს, სად წაიღებს?!

— აორთქლდება?!

— ჰო, აორთქლდება.

— ქვებსა და ხეებს ეყურება თუ არა?

— ეყურება თავის ენაზე, მაგრამ მე, აბა, რა გავაგონო. ეგენიც თავის ენაზე ლაპარაკობენ. კლდისა კი რა ვითხრა.

— როგორ გგონია, ღმერთი სად არის?

— აბა, მე ვინ მანახვებს.

— სიზმარი რა არის?

— სული დადის და დახტილობს აქა-იქ, ხან საიქიოს, ხან — სააქაოს.

— როგორ გგონია, ვარსკვლავებზე არიან ადამიანები თუ არა.

გოდერძი იოსებლი
ადამიანთა სმედა

(წერილებიდან)

— ზევითაც ხალხია და ქვევითაც, ჩვენ შუაზე ვართ და სარტყლები იმით გვარტყია წელზედა.

— აბა, მაშ ვინც ზევით ცხოვრობენ. იმათ თავზე ერტყმის?

— რა თქმა უნდა.

— ვინც ქვევით არიან?

— იმათ ფეხები ექნებათ გაბმული და რანაირ დაიწყებენ სიარულს, არ ვიცი.

— მკვლარს რატო გაუბამენკე ფეხებს.

— არ ვიცი, რომ მარხავენ, მერე გაუხსნიანკე. არც ქულს ახურებენ, გვერდზე უდებენ, — მარჯვენა გვერდზე. ერთისთვის დავიწყნიყოთ ფეხების გახსნა, ისე დაემარხათ, იმის დედა თურმე ყოველდამე სიზმარში ხედავს — მივა იმისი შვილი და ეხვეწება: დედი, ფეხები მაქვს გაბმულიო. ამოეთხარა იმ დედაკაცს და მართლა გაბმული ჰქონიყო.

— ქულს არ ახურავენ?

— არა, არ ახურავენ.

— სიცოცხლე ხომ გიყვარს.

— სიცოცხლე ყველაზე მეტად მიყვარს. რაც უფრო ვბერდები, მით უფრო მიტკბება სული.

მცირე გადახვევა

(„საიდუმლო დავალებათა“ რვეულიდან)

სანამ მწერლის რვეულიდან მოვიყვანდე ჩობოლაურებში ჩაწერილ მოთხრობას, მანამდე მინდა ერთი პატარა ცნობა მოვიტანო. „საიდუმლო“ რვეულში წერია:

„ხეობის დასაწყისში გაგზავნილი მზვერავეები მშვიდობით დაბრუნდნენ. ხეობა ზეავებით ჩაუტეხიათ. მოქმედება თამამად შეიძლება“.

და ერთი წერილი მინდა რომ გაგაცნოთ. როგორც კი შეტევა წარმატებით დამთავრეს, ჩოხლებმა თავიანთ სოფელში წერილები აფრინეს. წერილების მიტან-მოტანა ევალებოდა საიდუმლო ნაწილს: კოტორიანდ ქალს, შარვანიანთ ქალს და ტასიას.

„გამარჯვებით, ძვირფასო დებო და იმებო!

მოგიკითხავთ ყველას სულერთიანად. მოკითხვას გითვლიანთ ჩვენები, დიდის მოწყენითა და პირზე კოცნითა. მინდა გახაროთ, რომ საქმე კარგად დაიწყო. დღეს პირველი შეტევა გვქონდა. ჩობოლაურები აღებულია. კაწარ-მოვებით ფილოსოფიურ-მეცნიერულ გამოკვლევებს. ყველანი ისევ ჩვენი მორჩილები იქნებიან ამის მერე.

ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ!

ქვეითი მოლაშქრეები.

6/II-68 წ.“

ღიადი სიტყვა

(მემბტიანის რვეულიდან)

როდესაც ფილოსოფიურ-მეცნიერული გამოკითხვა დამთავრდა, სებამ ზარები დარეკა და დეკანოზმა სიტყვით მიმართა ჩობოლაურებს:

„ჩვენ და თქვენ ერთი ხეობის ხალხი ვართ. ერთი ცა გვხურავს მაღლიდან და ერთი არაგვი ჩამოგვიდის ქალაზე. დღეის მერე ერთმანეთთან მეგობრულად უნდა ვიყვნეთ. თუ ვინმემ რამეზე შეგაწუხოთ სხვა სოფლებიდან, იმწუთში შეგვატყობინეთ და მოგეხმარებით. ჩვენ რა გვაქვს გასაყოფი? არაფერი. ნურც ნურაფერს დავეშალოთ ერთიმეორეს. ჩვენ, ჩოხლებს, გადაწყვეტილი გვაქვს, ეაშენოთ ხუთასოთახიანი საერთო სახლი. ამისათვის გვჭირდება მასალა. თქვენ შეგიძლიათ დაგვეხმაროთ. აი, ეს კაკლები რომ გიდგათ, ამათაგან ძალიან კარგი მასალა გამოვა. რაც შეეხება ქალების გათხოვებას, ვინც ჩვენ არ გვინდა, ისინი ვიზეც გინდათ, იმათზე შეგიძლიათ გაათხოვოთ. თქვენ დღეს სათემო ხატზე ღიფიცეთ, ფიცის გამტეხს რისხავდეს სათემო ხატი!“

— ამინ! — დაიძახეს ჩოხლებმა.

— ამინ! — ხმა მისცეს ჩობოლაურთ.

ამის შემდეგ მთავარსარდალმა მოლაშქრენი მოაწყო და გზას გავუღებთ მწიგნობელი სოფლისკენ, რომელსაც ლიდა ჰქვია.

მღვდელი

(მოთხრობა მწიგნობლის რვეულიდან)

გუდამაყარში ერთმანეთშია არეული ქერბთაყვანისმცემლობა და ქრისტიანობა. ახლაც აცხოვენ პურისაგან მგლებს, რომელთაც აგურის კბილებს უკეთებენ. პურის მგელი საქონლის ბაგაზე მიაქვთ. ჯერ წნელით შეუკრავენ პირს და ულოცავენ

„აესრემც შეაკრვის პირი იმ მგელს, ვინც ჩემი ძროხიას შაჰმა მაინდომოს“.

მერე წნელს ახსნიან და მგელს აგურის კბილებს საქონლის ბაგაზე უმტვრევენ:

„აესრემც დაგენაყება, მგელო, კბილები!“

„აესრემც დაგემტვრევა მუხლები!“
— ამტვრევენ მუხლებს და ლუქმალუქმა ჩაცვიქნილ მგლის კვერს საქონელს აკმევენ.

ქრისტიანობა უცნაურად შემოდინდა აქ. ჯერ ვერ ურიგდებოდნენ ახალ სარწმუნოებას. მერე თანდათან იწამეს.

რამდენიმე გუდამაყარელი მცხეთაში დაიბარა კათალიკოსმა და საყვედური გამოუტყადა იმის თაობაზე, გუდამაყარელები უმღვდლოდ რატომ იმარხებიან.

მღვდელი არა გვყავსო, —თავი გაიმართლეს ამათ.

მაშინ გუდამაყარელებს მღვდელი გააყოლეს და თან გააფრთხილეს, უმღვდლოდ დღეის შემდეგ მკვდარი აღარ დამარხოთო.

ათონხში თორმეტი ქისტის მამკლავი, აკაი თამნაური კვდებოდა. მიუყვანეს მღვდელი.

მოკვდა აკაი.

შემოდგომის გაყინული მიწა ჰლივს ამოთხარეს წერაქვებით. ერთი ყარაუ-

ლი საფლავთან დააყენეს, რომ სამარტყაი ავი სულები არ დაჰპატრონებოდნენ, დანარჩენებმა ხენწით მოასვენეს მიღვალუბული, სანამ ჩაასვენებდნენ, კიდევ რაღაც ლოცვები თქვა მღვდელმა: და, როცა მისი თანხმობა მიიღეს, მძიმედ ჩაუშვეს გაყინულ მიწაში კუბო. მერე უცებ მღვდელს სწვდნენ და თან ჩააყოლეს. ყვიროდა მღვდელი და ამოსვლას ცდილობდა, მაგრამ რამდენიმე გაყინული ბელტი ისე მძლავრად მოხვდა თავში, უღონოდ გადააწვა კუბოს. გუდამაყარელები გულდაგულ კვებდნენ სამარეს მიწით და თან ბუტბუტებდნენ:

— მიწა ხარ და მიწად იქვე!

— მიწა ხარ და მიწად იქვე!..

ამ საქმესაც მორჩნენ და კვირის თავზე ახალი სადარდებელი გაუხდათ, — დუმაცხოში ხუთი ქისტის მამკლავი გაგილაი გარდაიცვალა. გუდამაყარელები მცხეთაში ჩავიდნენ და კათალიკოსს მოახსენეს:

— კაცი მოგვიკვდა და უმღვდლოდ ვერა ვმარხავთ...

— ხომ გაგაყოლეთ მღვდელი! — გაიკვირვა კათალიკოსმა ამათი „მოქცევა“.

— ის მღვდელი სხვა მკვდარს ჩავაყოლეთ, ხო თქვით, უმღვდლოდ არავინ დამარხოთო, ეს კიდევ სხვა მკვდარია.

კათალიკოსმა რა უთხრა, არ ვიცი. ქრისტიანობამ კი ფეხი მოიკიდა გუდამაყარში. თუმცა კათალიკოსი იმის მეტს რას იტყოდა:

„არ ცოდნა, არ ცოდვა არისო“. — მე მგონი, მეტს არაფერს იტყოდა.

ლიდა

(მემბატინის რვეულიდან)

ლიდა ჩობოლაურის აღმოსავლეთით ერთი კილომეტრის დაშორებით არის. ამ სოფელსაც ორივე მხრიდან კლდინი ხევები ჩამოუდის, გზაც უფრო მო-

გოდვარძი ჩოხელი
აღამიანთა სმევა



სახერხებელია და რაც შეიძლება სწრაფად მივდივართ. წინა შეტევამ გვიჩვენა, რომ სწრაფად მოქმედება გამარჯვების ნახევარს უდრის. მზვერავები ეს-ეს არის მობრუნდნენ და ამბავი მოიტანეს, რომ სოფელი თითქმის მთლიანად დაკლილია, მართა უშვილო ცოლ-ქმარიდა არისო დარჩენილი... ქალი ავად ყოფილა, ლოვინად ჩავარდნილი. მთავარსარდალი ფრთხილობს: შეიძლება მტერი ჩასაფრებულია სადმე, რომელიღაც სახლში, საჭიროა ალყა შემოვარტყათ.

სოფელს გარს შემოვერტყით და დაიწყო სახლების ჩხრეკა. მართლა ცარიელი აღმოჩნდა სოფელი, ქალაქში გახიზნულან საზამთროდ. მთავარი იერიში ცოლ-ქმარზე მივიტანეთ და ისინიც უცებ დაგვნებდნენ. სოფელ ლიდის თავზე ჩვენი დროშა ფრიალებს. დეკანოზი ცოლ-ქმარს ხატზე აფიცებს და მთავარსარდლის ბრძანებით, ექიმი წამლებს აძლევს ავადმყოფ ქალს. სუბანი ზარებსა რეკავს და ამით გულდამაყარს ამცნობს, რომ ლიდაც კვლავ ჩოხლებს სურვილების აღმსრულებელია, უპირველეს ყოვლისა, ქალენის საკუთხში. შემდეგ იწყება ფალოსოფიური დაკითხვა.

— შენ როგორ გგონია, როგორ გილოზე მოხვდები?

— მე... უშვილოები, თურმე, პირქვე წვანან. ოლონდ მაგას ნუ დაწერ.

— რატომ ნუ დაწერ?

— უშვილო ვინმე წაიკითხავს და გულს შამააკლდება.

— სიკვდილზე რას იტყვი. ქვებსა და ხეებს თუ აქვთ სიკვდილის განცდა?

— სიკვდილი რომ გამაიგონა ღმერთმა, იფიქრა, მოდი გამოვცდიო და ჯერ ქვას მიაჩინა იმის განცდა. ქვებმა ისე განიცადეს, იმდენი იდარდეს, დარდისაგან სუ ფშვნებოდნენ, აღარ იფიწყებდნენ თანამომძის სიკვდილს და ყველანი ფშვნებოდნენ. ღმერთმა იფიქრა, ამათთვის ეს განცდა არ შეიძლება, ამისათვის სუსტებიაო, აარიდა ქვებს სიკვდილი და ახლა ხეს მიაჩინა იმათაც ძალიან განიცადეს, მთელმა ტყეებმა ტოტები ჩამაილეწეს და აღარ იფიწყებდნენ. ხეებსაც აარიდა და ახლა წყალს მიაჩინა. ვერც წყალმა გაუძლო, დაშრობა დაიწყო. ადგა ღმერთი და ადამიანებს მიაჩინა სიკვდილი. ადამიანმა იტირა, იტირა... მერე დამარხა მკვდარი და ტირილით გადიამგლოვა კიდევ. ჰოო, ამის მერე ღმერთმა ადამიანს მიაკუთვნა სიკვდილის განცდა.

სული და სიკვდილი

(ფილოსოფოსის რამეულიდან)

- სახელი და გვარი.
- ბათილა ლიდაიური.
- რამდენი წლისა ხარ?
- ოთხმოცი.
- შეილება გყავს?
- არა, უშვილო ვარ.
- როგორ გგონია, სად მიდის სული სიკვდილის შემდეგ?

— სული? სული არ დაიკარგება. ხორცს გაეყრება და სიზმარივით იქნება. სულ სიზმარივით იქნება. ცხოვრებული ვინც არის, ის სულ ნათელში იქნება, ბოროტებს სხო ადგილი ექნებათ.

მცირე საიდუმლო

(საიდუმლო დავალებათა რამეულიდან)

მზვერავებმა ლიდაში ყოფნის დროს საზღვაო ნაწილის ცნობა მოიტანეს. შიჯანათ ქალი და ქალთამზე იტყობინებია, რომ არავგი რამდენიმე ადგილზე გაყინულია და საჭიროა ჩამტვრევა, რომ არავგის გაღმა მყოფმა სოფლებმა გამოლომა კავშირი ვერ დამყარონ. ზომები მიღებულია.

დარღი № 1680

(დარღების შემგროვებლის რამეულიდან)

- სახელი და გვარი?
- ბათილა ლიდაიური.

— რა გადარდებს?

— ის რომ უწილ-უკერძომ უნდა გადავიარო.

— მეტი არაფერი?

— ამაზე მეტი დარდი რაღა გინდა, ცოცხალი იყო და შენი არსებობის გამგროვლებლად შეიღს ვერა ხედავდე, რა დაფუშავეთ იმ დალოცვილ ღმერთს, რომ აქ შეიღი არ გვაღირსა, იქ კიდე პირქვე უნდა იწვნენ უშვილოები.

— ჰოო, მართლა დიდი დარღია. ღმერთთან რომ წავალ ამ ჩემი დარღებით. პირველს თუ არა, მეორეს ვეტყვი უშვილოების დარღს.

სალომე ლიღიაური

(მომთხრობა მწერლის რვეულიდან)

სოფელ ლიდის ზემოთავში ჩამონგრეული სახლ-კარია. ამ სახლში ათიოდე წლის წინათ მშობლებმა გამსიველ ბათირაზე დანიშნეს სალომე.

წალისფერი თმა კოჭებამდე სწვდებოდა სალომეს. ყანაში რომ მიდიოდა, ყანისაგან ვერ გამოარჩევდით, ღელავდა ყანა და ღელავდა ქალიშვილი.

უცნაურად უყვარდათ სალომესა და ბათირას ერთმანეთი. ხანდახან თვეობით არც კი ნახავდნენ ერთიმეორეს, სიახლოვისა ეშინოდათ.

იმ გაზაფხულზე ბათირაის უფროსი ძმა სალომეს მშობლებს კალობანს უშენებდა. ბათირაის ძმას საღირაი ჰქვია. ეხლაც ცოცხალია საღირაი. ჩუმი კაცია, უთქმელი. მთელი დღე რომ მასთან იყვე, ერთ-ორ სიტყვას ძღივს ათქმევინებ.

მაშინ ბათირაი სალომეზე ჯერ არ იყო დანიშნული, ქალ-ვაჭი ერთიმეორეს წყაროზე ხედებოდნენ ხოლმე მთვარიან ღამეში. მივიღოდა სალომე, კოკა აავსებდა, მერე მხოლოდ ერთხელ შეხედავდა ბათირას და წამოვიღოდა სახლში.

ერთ ღამეს ყანებში საღირაი დახვდა სახლში მიმავალ სალომეს და მკლავში წაავლო ხელი.

— ხომ ვიცი, ვისთანაც იყავი უთხრა საღირამ.

— მერე რა გინდა!

— ის რომ, მე მიყვარხარ.

— მე არ მიყვარხარ..

— შეგიყვარდები, როცა ჩემი გახდები, შეგიყვარდები.

— ეგ არასოდეს არ მოხდება.

— მოხდება. თუ არადა, არც ერთს არ გაგახარებთ.

იმ ღამეს არ დასძინებია სალომეს. მეორე დღესაც შეხვდა ბათირას, მაგრამ საღირაის შესახებ ხმა არ ამოუღია.

საღირამ მშენებლობა მოათავა და სახლში წავიდა.

შემოდგომაზე ბათირამ მარჯველება მიავზავნა და მშობლებმა სალომე ბათირაზე დანიშნეს. სალომეს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

გაჯავრებულმა საღირამ ძმას უთხრა:

— არ გინდა, ნუ მოიყვან სალომეს ცოლად.

— რატომ?

— იმად, რომ მე რომ მაგათას ვმუშაობდი, ყოველღამე მალვით მოდიოდა და ჩემთან წვებოდა.

იმ დღის მერე აღარც წყაროზე მისულა სალომეს სანახავად ბათირაი და არც ქორწილზე დაუწყია იმის მშობლებთან მოლაპარაკება.

სალომემ აღარ იცოდა, რა ექნა. მერე ამხანაგი გოგოს პირით ჰკითხა ბათირას მიზეზი. ბათირამ, რა თქმა უნდა, დაუბარა, ჩემი ძმის ნათრევს ცოლად ვერ მოვიყვანო.

სალომე ჯერ ხატში ასულა და დაუფიცნია, რომ მართალი იყო. მერე თურმე სულ ყარაულობდნენ მშობლები, თავს არაფერი მოუწიოსო.

გულდამაყრის არაგვი ხომ სუ შავი მოღის, ვაღმა სოფლელებს დაუნახავთ, ჩამოვიდა სალომე არაგვზე, მოიხსნა თავშალი, აიხვია თვალებზე და შედგახიღზე. ისე შეშინებულან, ვინც ხედავდა, ისიც კი ველარ მოუფიქრებიათ.

გოდუარი ჩოხელი
აღამიანთა სმვა



რომ მიწვევებოდნენ. ბათირასაც დაუ-
ნახია. ჯერ კი არც ის გაქცეულა.

გასულა თვალახვეული სალომე ხი-
ღე. მერე ისევ გამოსულა. მერე ისევ
გასასვლელად მიბრუნებულა და ამ
დროს იმისი მეგობარი ქალები გამო-
ჩენილან წიოკით. შუამდე ვეღარც კი
მისულა ხიღე, გადაშვებულა წყალში.
თურმე მისდევს ხალხი არაგვს და კე-
რავენ ბელავს შიგ შესვლას. ადევებუ-
ლი წყალი ყოფილა.

გამოქცეულა ბათირაი და შევარდნი-
ლა წყალში.

არაგვი ხომ წავია. თურმე რომ მოქ-
ქონდა წყალდაწყალ ბათირას სალომე,
იმისი თმაი ეგრე ლივლივებდა მდინა-
რის ტალღებზე, როგორც მოსამკალი
პურის ყანა ქარში...

სოფელ ლიდის ზემოთაგვი ჩამონ-
გრეული სახლ-ქარია...

ხოზა

(მემბათინის რვეულიდან)

მართალია, ლიდაში ხალხმრავლობა
არ იყო, მაგრამ დეკანოზმა მაინც სცა
იქ მყოფთ პატივი და წამოსვლისას გა-
მოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა:

„ჩვენ, დღევანდელი ჩოხლები, ვაგრ-
ძელებთ და კვლავაც ვავაგრძელებთ
ჩვენი წინაპრების ადამ-წყესებს.

ჩვენ ლიდის მცხოვრებლებთან აღ-
რიდანვე მეგობრული ურთიერთობა
გვქონდა დამყარებული. ისინი უარით
ვერ გამოგვისტუმრებდნენ ქალის სა-
თხოვნელად მისულებს. არა ერთხელ
და ორჯერ ვაგვიწყევია ერთიმეორისთ-
ვის დახმარება, ჩვენ კვლავაც უნდა
დავეხმაროთ ერთიმეორეს, ააშენი მასა-
ლითაც და ყველაფრით. მაგალითად,
აი ეს კაკლის ხეები ძალიან კარგ საშენ
მასალას მოგვცემს და, რა თქმა უნდა,
ამ დახმარებაზე უარს არ ვიტყვი.
მით უმეტეს, მაშინ, როცა ასეთი გრან-
დიოზული შენობის წამოწყებას ვაპი-
რებთ. პროექტი უკვე შედგენილია, სა-
ჭიროა მართო მასალა.

თქვენ დღეს ხატზე დაიფიცეთ და

მორჩილება გამოთქვით. სათემო
რისხავდეს, ვინც ეს ფიცი გატეხოს!“

-- ამინ! — დაიძახეს ჩოხლებმა.

-- ამინ! — თქვა ბათილამ.

— თქვენც თქვით, ქალბატონო,
ძალა დაატანეს ავადმყოფს.

-- ამინ! — ამოიქნავლა იმანაც.

სებამ ზარები დარეკა. ბანიდან დრი.
შა ჩამოგხსენით და ხოზისაკენ გავუ-
დევით გზას. ხოზამდე იგივე მანძილია,
რაც ჩობოლაურთიდან ლიდამდე.

სოფელს ზემო მხარეს ტყე აკრავს,
ხოლო წინ დიდი მინდორია გაშლილი.

მთავარსარდალმა მზევერავეები გაგზა-
ვნა და იმათ ამბავი მოიტანეს, ერთი
მოხუცი ქალი სულს ებრძვის და წუთი-
წუთზე სიკვდილს ელოდება ხოზაშიო.

— როგორ თუ ელოდება! — გაბრა-
ზდა სარდალი. — სასწრაფოდ შეტევა-
ზე და, რაც შეიძლება, ვიჩქაროთ, რომ
იმ კაცმა საქმე არ ჩაგვიშალოს.

სოფლისათვის ალყა აღარ შემოგვი-
რტყამს და სულ რაღაც ხუთ წუთში
ჩვენი ღროშა აფრიალდა ხოზის მაღალ
ბანზე.

— სად არის მომაკვდავი? — უყვირა
ხოზელებს მთავარსარდალმა.

— აქ არის, — აჩვენეს იმათ.

— აბა, ექიმო, ჩვენ აქ ყოფნამდე
არაფერი მოუვიდეს ამას, თორემ... —
გააფრთხილა ზინაი ვაყი გოგომ.

— დაიჩოქეთ! — ბრძანა დეკანოზმა
და მოლაშქრეებმა თოფები შეაყენეს.
იმთაც დაიჩოქეს და დეკანოზმა მორ-
ჩილებაზე დააფიცა. სულ პირველად
მომაკვდავი დააფიცეს, ის უფრო სას-
წრაფო იყო. ექიმმა გონზე მოიყვანა
მომაკვდავი და დაიწყეს მისი ფილო-
სოფიური დაკითხვა.

სული და ხორცი

(ფილოსოფოსის რვეულიდან)

- სახელი და გვარი.
- თამარ ხოზელი (მომაკვდავი).
- რამდენი წელი გინდა სიცოცხლე?
- რამდენსაც შევძლებდი. ადამიან-
მა იქამდე უნდა იცოცხლოს, მანამდე



თავის ზიდვა შეუძლია. კაცმა სხო არ უნდა დააღონოს თავის სიცოცხლით.

— მეორედ მოვლენ თუ არა მკვდრები?

— შენი მტერი მოვიდეს, როგორც ისენი მოვლენ. მოგონილია, მოგონილია ისაცა, ვითომა სულნი არიანო, როგორც სიზმარშიო. სუ ტყუილია, მოკვდა კაცი და იქცევა მიწად. აღარც სული იარსებებს.

— სულიც მიწაში წაჰყვება ხორცს?

— არა, როგორც ტიკი გაპბერო და მერე გამოუშვა, აეგე ამოუვა სული კაცს და ჰაერში წავა.

— ჰაერში ვერ იარსებებს?

— აბა რას იარსებებს. წავა და ჰაერად იქცევა.

— ღმერთი არსებობს?

— არ ვიცი. ვერც იმას ვიტყვი, ვერც ამას.

— რა აიძულებს კაცს თვითმკვლელობას?

— ერთი ის, რო აღარ შეუძლია, საქმე აწუხებს, მეორე, — მწარე სიცოცხლე, ზოგს კიდევ ეშმაკი დაადგება თავზე და ის აბედვინებს თავის მოკვლას. მერე იმის სული ეშმაკთ რჩება, ეშმაკად იქცევა იმის სული.

— ეშმაკები სად არიან?

— კლდეში. მე ვიხილე, ანთებენ ლანე ცეცხლსა. ეხლა ხალხი იქცა ეშმაკადა.

— ინატრებ რამეს?

— არა.

— რატომ?

— დამაცა, ამოვისუნთქო...
ქალმა ამოისუნთქა და გათავდა.

მეხვიდე თაობა

(მოთხრობა მწარლის რვეულიდან)

ის ქალი, რომელიც ეს-ეს არის მიიცივალა, ასპანიანთ გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი იყო. რატომ ჰქონდათ ქართველებს წყევლაში, შვიდი თაობის მერე გაწყდიო, არ ვიცი, ყოველთვის კი ასე იყო. იშვიათად შე-

სწყევლიდნენ გვარს, გაწყდიო და შესწყევლიდნენ, ყოველთვის ასე:

— მეშვიდე თაობაზედამც გაწყობება შენი გვარი. ასეა თუ ისე, შვიდი შემთხვევითი რიცხვი არ არის.

სწორედ ამ ქალის წინაპარი, შვიდი თაობის იქით, გუდამაყარში საქვეყნოდ განთქმული და მტრიანი ვაჟკაცის, კვირია ხარხელაურის ძმადნაფიცი იყო. კვირია არავის ენდობოდა, გარდა ასპანიანთ ბუთულაისა. იმას აპარსვინებდა და ხოლმე წვერს ხმლით. არასოდეს იარალს არ იხსნიდა კვირია.

იმისმა მტრებმა ბუთულაი მოისყიდეს და ერთხელაც, როცა კვირიას პირს პარსავდა, გამოუსვა ყელში ხმალი და გააგდებინა თავი. მიგორავდა ნახევრად წვერმოპარსული კვირიას თავი დედამიწაზე და ეძახდა ბუთულას: — შვიდ თაობას ქალებზე ჩამაილიოს შენი გვარი და მერე გასწყდიო.

სიტყვა, რომელიც დაეანოჯა წარმოთქვა

(მამაბინის რვეულიდან)

— ღრმა მწუხარებას განვიცდით, ასეთ გაჭირებაში რომ გხედავთ. ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას, მით უმეტეს, ეხლა უფრო, როცა ერთხელ კიდევ დაგვიფიცეთ მორჩილებაზე. მოკვდა — ასე იტყვიან მაგათ გვარზე. ჩვენ კი ვაგრძელებთ გვარებს და რაც შეიძლება მეტი სიახლოვე და მხარდაჭერა გვმართებს. თუ რამე გაგიჭირდეთ, ჩვენ გვითხარით. განსვენებულს კაკლის კუბო გაუკეთეთ. კაკლები, საერთოდ, მარტო სამასალედ არის კარგი.

სათემო ხატი გაუწყრეს, ვინც ფიცი გატეხოს!

— ამინ! — დაიგუგუნეს ჩოხლებმა.

— ამინ! — თქვენს ხოხლებმა.

— ჩამოხსენით ღროშა! — ბრძანა დეკანოზმა და მეზარემ ზარები აახმიანა.

გოდარძი ჩოხელი
აღამიანთა სივდა



მთავარსარდალმა წასვლის ნიშანი მოგვცა. ჩვენ უხმოდ გავედით სოფლიდან. ამით პატივი ვეცით მათ. ხომ უნდა იცოდნენ, რომ კულტურული და შეგნებული თემი ვართ.

მცირე საიდუმლო

(საიდუმლო დავალებათა რვეულიდან)

დღეს მზვერავებმა ამბავი მოიტანეს. საზღვაო ნაწილს ერთ ადგილზე დატბორილი არაგვი უნახავს, ტბორი, თურმე, კალმახით არის სავსე. დღესვე საიდუმლოდ გაიცა განკარგულება, რომ შენიღბონ თოვლით ის ადგილი და დროდადრო ლაშქარი იმ კალმახით მომარაგდეს.

ცუცქუნაური

(მემბტიანის რვეულიდან)

ხევი გავიარეთ და მთავარსარდალმა ლაშქარს შეჩერება უბრძანა. უკვე შუადღეა. საქმე კარგად მიდის. ელენამ სუფრა გაშალა. ცეცხლი დავანთეთ და მზვერავების მიერ მოტანილი კალმახი შევწვით. აქედან ცუცქუნაურთამდე ერთი კილომეტრია. თივის ზვინები ჩანს. აქა-იქ კვამლი ამოდის. მზვერავები დასაზვერავად წავიდნენ.

მზვერავები მობრუნდნენ და მთავარსარდალს მოახსენეს, რომ სოფელი დედაკაცებით არის სავსე. მთავარსარდალმა მადლობა გადაუხადა და მწერალს უბრძანა, დაეწერა ბრძანება მზვერავების დაჯილდოების შესახებ.

სუფრა ავალაგეთ და საბრძოლოდ დავიძარით. სოფელს სწრაფად მივუახლოვდით და სულ მალე ალყაში მოვიმწყვდით. ჯერ მყვირალეები შეცვივდნენ საშინელი კვილ-ჰყვილით, მერე ქვეითები მიჰყვნენ, თოფოსნებმა თოფები დაცალეს. ფილოსოფოს-ისტორიკოს-მწერლებიც მიყვევით მთავარსარდალს. მოვიარეთ მთელი სოფელი, მაგრამ კაციშვილს ვერ წავაწყდით.

მთავარსარდალმა მზვერავებს უხმო:

— აკი სოფელი დედაკაცებით სეაო?

— სათემო ხატსა ვფიცავთ!

— მერე, მერე და. სად არიან თუ იყვნენ?!

— იყვნენ და...

— დავინახათ ვინმემ?

— მგონი, არა.

— სუსტად მუშაობთ. გააუქმე ბრძანება ამათი დაჯილდოების შესახებ! — უბრძანა მთავარსარდალმა მწერალს.

— არის! — თქვა მწერალმა და ბრძანება გადახია.

— ეტყობა, ამათი დაზვერვა კარგად მუშაობს, — თავი გააძედა მთავარსარდალმა.

— დროშა გამოგვიდოთ? — ჰკითხეს ვაჟი გოგის.

— არა. ჯერ არა, სირცხვილი არ გვამოთ, ჯერ ხომ არ ვიცით, რას გვიპირებენ. გაამაგრეთ ალყა.

— ვირჩევნიათ, გამოჩნდეთ, თორემ დამალვისათვის ცეცხლს მივცაოთ თქვენ სოფელს! — ოთხივე მხარეზე გასძახეს მყვირალეებმა.

— ხუთამდე გაძლევეთ ვადას, იძახა სარდალმა, ჯოხის ერთ ბოლოს თივა გამოაბა, ცეცხლი მოუკიდა, თივის ზვინთან დადგა და დაიწყა დათვლა:

— ერთი... ორი... სამი... ოთხი...

რას სჩადით, მართლა არ დაგვლუპოთ!

დაიძახა ვილაც დედაკაცმა და თივის ზვინიდან გამოძვრა. თან ოცამდე დედაკაცი გამოჰყვა იქიდანვე.

— ხელაჟ?! აი სტრატეგია! — გაიკვირვა მთავარსარდალმა და თივის ზვინში შეიხედა.

— ხელები მალლა! — დაიყვირეს თოფოსნებმა და ჩახმახები შეაყენეს. დედაკაცებმა ხელები ასწიეს.

— დაიჩოქეთ!

იმათ დაიჩოქეს.

— დაიფიცეთ ამ სათემო ხატზე, რომ დღეის მერე არც დაგვემალებით, ქალებსაც მოგვათხოვებთ საქმის გაუქიანურებლად და კიდევ სხვა რამესაც

შეგვისრულებთ! — უბრძანა დეკანოზმა და მორიგეობით დააფიცა ხატზე. მალალ ბანზე ჩვენი ღროშა აფრი-
ალდა.

დაიწყო ფილოსოფიური დაკითხვა.

წარამწარალი

(ფილოსოფოსის რვეულიდან)

- გვარი და სახელი.
- ცუცქუნაური ელისო მიხას ასუ-
ლი.
- რამდენი წლისა ხარ?
- მესამოცეში ვდგავარ.
- შენი აზრით, რა არის სიცოცხლე?
- მე არაფერი არა ვიცი რა, კაცო.
გამანებე თავი!
- მაინც რატომა ვართ?
- ღმერთს დაუწერია, როგორ რა-
ტო. ღმერთმა ჩაგვიბერა სული და
ღმერთი ამოგვაძრობს ისევე სულსა.
- რა მიზნით? რა აზრი აქვს ან ჩა-
ბერვას, ან ამობერვას თუ ამოძრობას?
- ღმერთია სუყველაში.
- ყველაზე კარგი დღე, შენი გავ-
ლილი დღეებიდან.
- ვერა, ვერ მოვიგონებ.
- თუ შეშინებულხარ სადმე, ისე
რომ დღესაც გახსოვს?
- ბუსარჰილიდან მოვდიოდი ღამე
და წწანავილით რამ დამყვა. მე და ქა-
ლუი ვიყავით როგორც კატაო ისე
მოგვეწეაოლა. ეგ არ დამავიწყდება,
სანამ ცოცხალი ვარ.
- რა თქვეს, რა იყოო.
- ეშმაკო.
- რატო არ გეჩვენა?
- არ მეჩვენა, რავი, შეიძლება მჩვე-
ნებოდა, მაგრამ ესე მითხრა ძალუამ,
უკან არ მიიხედო, ხუმრობა საქმე არ
აროო.
- სხვებსაც უნახავს?
- რო მიიხედავს, ზოგს ეჩვენება.
- სიკვდილისა გეშინია?
- რატო გეშინია?!
- რატომ არა?
- იმიტომა რომა, სიკვდილი ვალია.
უნდა მიიხადოს კაცმა თავისი ვალი.

— რო მიიხედი, მერე სად წახვალ
— შვეთში, აბა სად წავალ, ჩემს
სამარეს ამოვაგებ.

მამამთილის სამართალი

(მოთხრობა მწერლის რვეულიდან)

მართაი ცუცქუნაური სოფელ კიტო-
ხში იყო გათხოვილი. ზაფხულში იქო-
რწინა მართამ და შემოდგომაზე ცხვარ-
ში წავიდა იმისი ქმარი. სხვა მეცხვი-
რეებიც ცხვარში წავიდნენ. სოფელში
მარტო ხეიბარი კაცები, მოხუცები და
ქალ-ბალებილა დარჩნენ.

ზამთარია. თოვს. მართაის მამამთი-
ლი ფანჯრიდან გაჰყურებს თოვას. ოთხ-
მოცდამეთე თოვლის მოსვლას შეეს-
წრო წელს. ერთი კვირის წინ იმათმა
ძროხამ პირველი ხბო მოიგო.

— აღრე ბალებს კლავდნენ, — თქვი
მოხუცმა.

— ჩუმაღ, ბალებმა არ გაიგონონ,
— აფრთხილებს რძალი და მეზობ-
ლის ბალებზე ანიშნებს. ისინი ყურა-
დლებით შესცქერიან მოხუცს.

— გაიგონონ, მერე რა, განა ეხლაც
ხო არა ვკლავთ ბალებს.

— ვინ კლავდა, პაპავ?

— თავის პატრონები.

— რატო კლავდნენ?

— პირველად რომ ბალო გაჩნდე-
ბოდა, ის ხატში უნდა დაელო.

— ეხლა?

— ეხლა აღარა კლავენ. პირველგა-
ჩენილ ბოჩოლებსა კლავენ იმათ მა-
გიერ.

— ჩვენ როდის დავკლათ? ჰკი-
თხა რძალმა.

— თორმეტი დღისა რომ გახდებო.
მერე, მანამდე არ შეიძლება.

— ხვალ გახდებო.

— გადადი ნინიასთან და სთხოვე.
თავი მოგიჭრას, დიდი თოვლია, მე ვერ
ამოვალ იქამდე.

მართაი ნინიასთან გადავიდა. ნინიამ
პირობა მისცა, წაიყვანე ბოჩოლია

გოდამჩი ჩოხელი
აღამიანთა სევდა

ხვალ ხატში და ამოვალო. ხატი სოფლის მძღლა არის, მთის წვერზე.

მეორე დილა გათენდა. თოვს. თოვს. თეთრია ყველაფერი. მართას ძლივს მიჰყავს აღმართზე ხბო. ხანდახან ფეხი უსხლტება და ორივენი ეცემიან მერე ხბოს ეტყობა, აღარ შეეძლო მეტი, წინა ფეხები ჩაეკეცა და ენის წვერით ფეხი აულოკა ქალს. იმან ზურგზე მოიკიდა და ისე ატარა მთის წვერამდე.

მთის წვერზე სალოცავი ნიშია აშენებული.

მართამ ხბო დაბლა დასვა და რატომღაც გააჟროლა. „კიდევ კარგი, ხბო ამოვიყვანე დასაკლავად და ბაღლი არაო“, — გაიფიქრა.

ისევ თოვს.

თოვს.

ხბო საცოდავად მოიბუზა.

გავიდა კარგა ხანი, ნინიაი არ გამოჩნდა.

ხბოს ეტყობა, მოშივდა, დაიბღავლა. მერე ქალს ხელები აულოკა პატარა ენით.

დიდხანს იცდიდა ქალი. ნინიაი მაინც არ გამოჩნდა.

ქალმა იცოდა, რომ ხატში მიყვანილი ხბო უკან არაფრით არ უნდა წაეყვანა და იცდიდა.

თანდათან შემობინდდა.

გალმა გორზე მგელმა დაიყმუვლა. ჯერ ერთმა, მერე გამოღმიდანაც მისცა რამდენიმემ ხმა. ქალმა იცოდა, რომ არ უნდა წაეყვანა ხბო უკან და თან არც ნინიაი ჩანდა.

უფრო ჩამოიბურა. მგლებმაც მოუხშირეს ყმუილს.

ქალმა სანთელი აანთო, დაილოცა, ხბოს შუბლი შეუტრუსა და სანთლები სალოცავის კედელზე მიაკრა.

დანა არა ჰქონდა. კედლიდან თოვლი გადახვეტა და ბასრპირიანი სიბი ქვა ამოარჩია.

წამოაქცია ხბო და გამოუხვა ყელში სიბი.

ხბომ დაიბღავლა.

თეთრ თოვლში თბილად ჩხრიალებდა სისხლი.

მოჭრილი თავი იქვე დატოვა, დანარჩენი მოიკიდა და სირბილით დაეშვა სოფლისაკენ.

უკან მგლების ყმუილი მისდევდა და ზურგს უხვრეტდა.

— სადა ხარ აქამდე? — ჰკითხა მამათილმა ეჭვით.

— არ ამოვიდა...

— მაშ თავი ვინ მოგიჭრა?

— მე.

— სანთელიც შენ აანთე?

— ჰო.

— თავი რით მოსჭერი?

— სიბით.

— წადი!

— სად?

— ჩემ სახლში არ დაეინახო შენი ფეხი.

მგლები უფრო ხმამაღლა აყმუვლდნენ.

— მაშ უკან ხომ არ წამოვიყვანდი, დაკანონებული ეგება და...

— დაკანონებული ისიც იყო, ბაღლებს რომ თავებს აჭრიდნენ. წადი, ჯერ ბოჩოლის თავი ჩამაიტანე, ხატი არ შალახოს შენმა მოჭრილმა, მერე სახლში წადი.

— პირდაპირ სახლში წავალ.

— ჯერ თავი ჩამაიტანე.

— იქ მგლები არიან.

— ნუ გეშინია, მგლები შენ ვერას გიზამენ.

— მეშინია.

— მე გეუბნები!

მართაი ადგა და ხატისაკენ წავიდა. უკვე საკმაოდ ჩამობნელდა. ძლივს მიაგნო სალოცავს. მგლები აღარ ყმუოდნენ. სანთლებიც ჩამწვარიყო. ხელების ფათურით თავს დაუწყო ძებნა. რამდენიმე ძვალიდა შერჩა ხელში. ადგილზე გაიყინა. ასე ეგონა, სისხლი გაუჩერდა და ყინულად ექცა. მერე რაღაც მძიმე და თბილი დაეცა ზურგზე და რატომღაც წელანდელმა სურათმა გაუელვა თვალებში — ხბოს სისხლი

თბილად ჩხრიალებდა თეთრ თოვლში...
 ბოლოს ისლა ივრანო, რომ რაღაც არ-
 სებები მის სხეულს ერთმანეთს ეცი-
 ლებოდნენ...

მართაი ცუცქუნაურთიდან იყო... სხე-
 ულები კი საერთოდ ეცილებიან ერთი-
 მეორეს არსებობაში.

დეკანოზის სიტყვა

(მემბტიანის რვეულისად)

მზე ჩასასვლელად გადაიხარა და ცუ-
 ცქუნაურთიდან კოტორიანთ მიმართუ-
 ლებით დავიძარი. ჭერჭერობით ყვე-
 ლა მოლაშქრე ადგილზეა. საზღვაო ნა-
 წილიდანაც კარგი ამბები ისმის. ჰაე-
 რიდან არაფრის გვეშინია, ჩვენმა მთა-
 ვარსარდალმა ჰაერში ბრძოლა და იქა-
 ური ამბები ზეპირად იცის. კოტორი-
 ანთამდე ორი კილომეტრია. ვჩქარობთ,
 მაგრამ ეს რა ხდება? დეკანოზმა ჯარი
 შეაჩერებინა მთავარსარდალს.

— რა მოხდა?

— სიტყვა დამავიწყდა, — თქვა დე-
 კანოზმა. — მოაბრუნეთ ჯარი!

— გვაგვიანდება, დაღამებამდე რო-
 გორმე კოტორიანი უნდა ავიღოთ.

— არ შეიძლება, მოკლედ მოვუჭრი
 და წამოვალთ, — გაჯიუტდა დეკანოზი.
 ვაჟი გოგამ მზვერავები გაგზავნა
 კოტორიანთას და ჯარი ისევ ცუცქუნა-
 ურთაკენ შემოაბრუნა.

ცუცქუნაურთ დედაკაცები ისევ სა-
 მალავში შეიმალნენ.

— გამოვრეკო? — ჰკითხა დეკანოზს
 სარდალმა.

— არა, ნუ შეწუხდები, იქაც გაიგო-
 ნებენ.

— ჩვენი ხმა გესმით? — შესძახა
 ვაჟი გოგამ დედაკაცებს.

— გვესმის! გვესმის! — გამოსძახეს
 იმათ.

— აბა, სიწყნარე იყოს!
 დეკანოზმა სიტყვა თქვა:

„ქალებო დედაკაცებო! ცუცქუ-
 ნაურებო! არ იფიქროთ, რომ თავს და-
 გესხით, ეს ისე, მეგობრობა გვწადია
 თქვენთან. ჩვენ უნდა გავერთიანდეთ.

იმას რა სჯობია, მთელი გულდამაყრე
 ხეობა ერთად რომ ვიყვეთ. ავაშენოთ
 ერთი დიდი სახლი და ვიცხოვროთ შიგ-
 პროექტი უკვე შედგენილი გვაქვს. რო
 იცოდეთ, როგორი სასაძილო გვექნება,
 დღესვე დაჭრიდით ამ თქვენ თხილ-
 კაკლებს. მასალა არის აშენებისთვის
 საჭირო, მასალა! თქვენიც არის ის სახ-
 ლი, განა მარტო ჩვენი. ჩვენ ხომ მე-
 გობრები ვართ, ჰოდა, უნდა დაგვიჯე-
 როთ კიდევ, ქალიც უნდა მოგვცეთ და
 კაკალიც, სხვანაირად გარეშე მტერს
 ვერ გავუმკლავდებთ. დაგვიჩვენებთ?

— დაგიჩვენებთ! დაგიჩვენებთ! —
 გამოსძახეს დედაკაცებმა.

— უჩვენოდ არაფერი გადასწყვი-
 ტოთ მან!

— არა, არა!

— აბა, მეგობრებო, ნახვამდის! სა-
 თემო ხატი გაუწყრეს, ვინც ფიცი გა-
 ტეხოს.

— ამინ! — დაიგუგუნა ჯარმა.

— ამინ! — გამოსძახეს დედაკაცებმა
 თივის გულიდან.

ჩვენ ისევ კოტორიანთაკე ავიღეთ
 გეზი. გზაში მზვერავები შეგვხვდნენ
 და მთავარსარდალს მოახსენეს, კოტო-
 რიანთას ერთი მოხუცი კაცია და ხუ-
 თიცი დედაკაციო.

— დამალული რაზმი ხომ არცა
 ჰყავთ?

— არა, გულდაგულ გადავათვალი-
 ერთე.

— არა სცდებით?

— არა, — თქვეს მზვერავებმა.

— დაწერე ბრძანება ამათ დაჯილ-
 დოების შესახებ, — მიუბრუნდა ვაჟი
 გოგი მწერალს.

— არის! — თქვა მწერალმა.

ჩვენ ელვის სისწრაფით წავედი
 წინ. მზის ჩასვლამდე როგორმე უნდა
 მოვასწროთ კოტორიანთ აღება და
 სრული დამორჩილება. [დამორჩილე-
 ბაში ვგულისხმობ ფილოსოფიურ გა-
 მოკითხვებსაც. თუ ეს მეხუთე სოფე-

გოფიანი ჩოხელი
 აღამინათა სმავა

ლიც ავიდეთ, მაშინ ვიტყვი, რომ ჩვენი მთავარსარდალი უდავოდ დიდი ნიჭით არის დაჯილდოებული. დღემდე მსოფლიოს არ ახსოვს არც ერთი სარდალი, ერთ დღეში ხუთი ქვეყანა რომ აეღოს. მართალია, ჩვენ სოფლები ავიდეთ ქვეყნების მაგიერ, მაგრამ, რიცხობრივად თუ შევადარებთ ჩვენი ჯარის და დანარჩენი სარდლობის რაოდენობას, გამოდის, რომ ჩვენც ხუთი ქვეყანა აგვიღია, მერე როგორ, ჯერ წვეთი სისხლი არ დაგვიღვრია და ყველა ქედს იხრის ჩვენს წინაშე, ყველა მონურ მორჩილებას გვპირდება. რა კარგა მოვიგონეთ ეს სათემო ხატი და ფილოსოფიური გამოკითხვები! სათემო ხატით ვაზავებთ და ვზარავთ, ფილოსოფიით ვაბნევთ.

ხუთი ქვეყანა ერთ დღეში... თუმცა ჯერ მენხუთე არ აგვიღია და აი, მოვსულვართ კიდევ. ჯარისკაცები სოფელს ალყას არტყამენ, მყვირალები სოფელში შერბიან არევა-დარევის შესატანად. მედროშე მაღალ ბანზე გარბის. ჩქარა! ჩქარა, თორემ მზე ჩადის და მერე აღარ გამოჩნდება დროშის ბრჭყვიალება. მზის ჩასვლის შემდეგ ვამარჯვებას რა ფასი აქვს.

მეთოფეებმა თოფები დაკალეს. ქვეითები სოფელში შედიან. ყველაფერი რიგზეა. სახლებიდან გამოჰყავთ დამარცხებულები და სათემო ხატთან აჩოქებენ. ისინი მორიგეობით გვპირდებიან მორჩილებას.

მზე სადაცაა ჩავა.
ასეთი მთავარსარდალი, მართლა არ ახსოვს მსოფლიოს. დროა, დრო!
იწყება ფილოსოფიური დაკითხვა.

სიყვარული და სიცოცხლე
(ფილოსოფოსის რვეულიდან)

- გვარი და სახელი.
- ვასილი კოტორაშვილი.
- რამდენი წლისა ხარ?
- სამოცდამეთექვსმეტეში ვდგავარ.

- რა უფრო ძლიერია, სიყვარული თუ სიცოცხლე?
- სიცოცხლე ნიაღვრავს. თუ ცოცხალია კაცი, ჯერ სიცოცხლეა კარგი და მერე სიყვარული.
- რა არის სიცოცხლე?
- სიცოცხლე ის არის რო, თოლებს ვახილებთ და ვხილულობთ მზეს, მთორეს.
- სიბერისა გეშინია?
- მე არ მეშინია, მაგრამ მუხლებს ეშინია. მე ის მგონია, აგუშინ თუ გავჩნდი-მეთქი.
- სიკვდილისა?
- არ მეშინია.
- რატო?
- არ ვიცი, ალბათ ისეთი გული მამცა რამანმე, რო არ მეშინია. კაცი რო ავად არის და უნდა მოკვდეს, ისევ ის ჰგონია, არ მოკვდებიო.
- რისა უფრო გეშინია?
- არაფრისა არ მეშინია, გაჭინთული ვარ. არ ვიცი, როდის მოკვდები და, აბა, რა მაშინებს.
- მიწა უფრო გიყვარს, თუ ჰაერი?
- ჰაერი, ჰაერი რო არ იყოს, მაშინ კაცი არც იცოცხლებდა, მიწა რალას უშველიდა.
- მიწა რომ არ იყვეს, მაშინ ჰაერი რალას უშველიდა?
- ეგ სწორია, მაშინ სუ დავილუპებოლით.
- როგორ გგონია, სულ იქნება ეს დედამიწა?
- მაშ სად წავა. იქნება და იქნება...
- დიდი ომი რომ მოხდეს?
- მაინც დარჩება და მაინცა. ზღვა რომ გადმოვარდნილა, მაშინ წყალმა სამჯერ მოუსვა ცას ჭაფიო, მაინც არის დღეს დედამიწა.
- ღმერთი აღამიანშია თუ გარეთ?
- აბა რა ვიცი, არის რამ კიდა თორე, რამ გააჩინა ეს ჭოყნიერობა. ეს მზე-თორე და აი ეს ხალხი. იქნებ ჩვენ ვართ ღმერთები?
- რას ამბობ? ეგ რამ გათქმევინა?!
- აღამიანს როცა ეყრება სული, სად მიდის?



— არსად. კაცი როცა მოკვდება, და-
იკარგება.

— მაშ უხარობა ყოფილა ჩვენი აქ
ყოფნა. რაში დასჭირდა ეს ღმერთს?

— ვლოცულობთ და იმად.

— მარტო მაგიტომ?

— აბა მაშ?

— მაგით რა ერგება ღმერთსა?

— არაფერი. იმან მე უნდა მიშვე-
ლოს, ჩემი შველა რად უნდა იმასა.

— ჩვენ რაღა შველა გვინდა, თუ სი-
ცოცხლის მერე აღარ ვიარსებებთ.

— მანამ ცოცხლები ვართ, ხომ გვი-
ნდა კარგად ვიყვნეთ.

— აი ამ კარგა ყოფნას რა თავშიღა
ვიხლით, თუ მერე აღარცა ვიარსებებთ.

— აბა, რა ვიცი, სულ ხომ არ ვიჭ-
ნებით, არა?

— მაშინ რაღა აზრი აქვს, ერთი წე-
ლი ვიქნებით თუ ასი.

— სად ერთი წელი და სად ასი...

— ასი წელი იცოცხლე და მერე
სულ დიკარგე, ეგ რაღა არის?

— მართლა მაინც ცოცხლობდეს სუ-
ლი, არა. არა, მე მგონი, იქნება რამე
იქ. სიზმარი აკი არის? აქა ვარ და იქა
ვარ... სული არ წავიდა, მა რა არის?!

— ბოროტება უნდა იყვეს თუ არა?

— მაშ, აბა, როგორ, სიკეთეს უიმი-
სოდ ფასი აღარ ექნებოდა.

— ყველაზე კარგს რას ეძახი ადამი-
ანის ცხოვრებაში?

— ჯიელი რომ ხარ და ვილაც გიყ-
ვარს. მერე თუ იმასთან კარგ დღესა და
კარგ წუთისოფელს ჩამოლევ, ის არის
ყველაზე კარგი.

— ძალიან მაგრა რომ გაგჭირვებიყო,
თავს მოიკლავდი?

— არა! არ მოვიკლავდი თავსა, რას
ამბობ?!

მეთევზე

(საიდუმლო დავალებათა
წვეულებიდან)

ჩვენ 6 თებერვალს ღამის გათევა
კოტორიანთას გადავწყვიტეთ. ამის შე-
სახებ ჯერ არავეინ არაფერი იცის

მზვერავები გავგზავნეთ საზღვაო ნაწილში
წილში და იმათაც შევატყობინეთ ჩვე-
ნი ადგილსამყოფელი. იმათ გათოკილი
კაცი მოიყვანეს. საზღვაო ნაწილს დაუ-
ჭერია არაგვის პირას.

ვიდრე დაკითხვას დავიწყებდით, ჩვე-
ნმა მთავარსარდალმა განზე გაგვიყვანა
და გავგაფრთხილა: თუ ვინიცობაა, და-
კითხვის დროს მაგ კაცმა პირში რამ
ჩაიდოს. იმწუთში ხეთქეთ, რომ გადა-
ულაპვა ვერ მოასწრო. ეგ შეიძლება
შემოპარულია, მაგათ თან პატარ-პატა-
რა ამპულები აქეთ. გადაულაპვენ და
მორჩა, გაფშეკენ ფეხებს, ჩვენ აი ვე-
ლარაფერს გავიგებთო.

მთავარსარდალი საბძელში შევიდა
და ბრძანა:

— შემოიყვანეთ!

მზვერავებმა ტყვე შემოიყვანეს.

— გაუხსენით ხელები! — ვანა
ხარ? რა ხარ? სადაუთი ხარ?

— ფასანაურელი ვარ, მერაბ მელი-
ქიშვილი, მეთევზე.

— ხეობაში საიდან შემოხვედი?

— შემოსასვლელიდან...

— მერედა, ზვავებით არ იყო ჩაკე-
ტილი? არ გაგიჭირდა?

— ისე, რა.

— მზვერავებო! ვერ მუშაობთ კარ-
გად. ეს არის, შემოსასვლელი ჩაკე-
ტეთო? მწერალო! გააუქმე ბრძანება
ამათი დაჯილდოების შესახებ!

— არის! — თქვა მწერალომა.

— მერე ჩვენ როგორ დაგიჭროთ,
რომ მეთევზე ხარ? საბუთები გაქვს?

— მაქვს.

— გვაჩვენე.

მეთევზემ უბის ჯიბე გაიხსნა, ხელი
პირთან წაიღო და კბლებში რაღაც
ამპულის მსგავსი ჩაიღო.

— ხეთქეთ! — იყვირა მთავარსარ-
დალმა, მაგრამ სანამ ამის თქმას მოას-
წრებდა, ტყვე უკვე დაბლა ეგდო თავ-
გატეხილი.

— ამოაცალეთ პირიდან ამპულა!

გოდუაძი იოსებლი
ადამიანთა სიკვდა



მზვერავეები მისცვიდნენ და ძლივს გამოაძვრეს კბილებიდან პატარა ქინძისთავი.

მთავარსარდალი გაშრა. ტყვე როცა გონზე მოვიდა, ჰკითხა:

— რა მიზნით ჩაიდევით „ქინძისთავი“ პირში?

— მა სად უნდა წამელო?

— როგორ თუ სად? რად გინდოდამეთქი, გეკითხები!

— ჯიბის გასაკრავად, რომ საბუთები არ დამეკარგოს.

— აქ რალაც იმალება, — თქვა მთავარსარდალმა.

მზვერავეებმა საბუთები წაართვეს.

— არაფერიც არ იმალება, ნეტევზევარ, მორჩა და გათავდა.

— ზამთარში უის გაუგონია თევზაობა!

— მე ყოველთვის ზამთარში ვიჭერ, ზემოთ ერთ ადგილზე არაგვი დავტბორე და როცა იყინება, იქ თევზი ყოველთვის არის.

— აა, ეგ საიდუმლოც იცი? ეხლა კი წვეთი აღარ გაუვა, რომ შენ საზღვაო ჯაშუში ხარ. დააკავეთ!

მზვერავეებმა მაგრად გააკოქეს ჯაშუში.

— ჩასვით! — ბრძანა ვაჟი გოგიმ და ჯაშუში სახლიდან საგანგებოდ ამისთვის წამოღებულ გოდორში ჩასვეს და ზემოდან გულდაგულ დახურეს.

ხატად ქცეული პაცი

(მოთხრობა მწერლის რვეულიდან)

მამუკას არ უყვარდა მუშაობა. გამოვიდოდა პანტა მსხლებთან, წამოუწევებოდა ძირს და ნატრობდა ქარის ამოვარდნას.

შააწუხა ცოლმა წყევლით და მერე გაექცა. ბევრი არ უდარდია მამუკას. შვილებიც თან გააყოლა ცოლს.

კოტორაანთ ზემოთ, მთის წვერზე სალოცავია აშენებული. არასოდეს არ ასულა მამუკაი იქ და ერთ დღესაც მოსწადდა მთაზე ასვლა და იქიდან გადმოხედვა. ძალიან მოეწონა ის ადგილი.

„ვითომ რა იქნება, ხატად რომ გიქცევა?“ — გაიფიქრა თავისთვის და მოეწონა კიდეც ეს აზრი. ჩამოვიდა სახლში, გაიხადა ტანსაცმელი, თუკი რამ თეთრეული ჰქონდა, ტანზე შემოიხვია და ერთი კვილ-ჰყვილით შეუდგა აღმართს:

— მოვდივარ, შე დალოცვილო! მოვდივარ! — კიოდა გზადაგზა. ხელში ანთებული სანთელი ეჭირა. კოტორიანი შეშინებულები მისდევდნენ უკან. მთის წვერზე რომ ავიდნენ, მამუკაი ნიშთან დაჯდა და ბრძანა:

— დაიჩოქეთ! მე თქვენნი ხატი ვარ და მამუკაის პირით გიბრძანებთ, რო დაიჩოქოთ!

ხალხი მიწაზე დაემხო.

— ეხლა ადექით!

ხალხი ადგა და თან პირჯვარს იწერდა.

— ჩადით დაბლა და არაგვის ჭალაზე რაც ლამაზი ქვებია. აქ ამომიზიდეთ. ჩქარა!

შეშინებული ხალხი დაბლა გაიქცა. აარჩიეს ლამაზი ქვები და წაიღეს მთის წვერზე.

— ესენია ლამაზი ქვები?! მეტი არ მეკუთვნის? — გაბრაზდა მამუკაი და დაუგორა დაბლა ქვები.

— ეხლა ჩადით და როგორიც მეკუთვნის, ისეთი ქვები ამომიტანეთ, თორე შვილ-ძირიანად ამოგწყვიტავთ.

ხალხი ისევ დაბლა დაეშვა.

მთელი თვე იჯდა მამუკაი იმ მთის წვერზე და ქვების გორებით ერთობოდა. რომელი ქვაც არ მიეწონებოდა, ხატი ამ ქვას არა ლებულობსო, იტყოდა და უკანვე დაუგორებდა ამომიტანს.

შემოდგომა იყო. დარები დაიჭირა. სულ ჩაყვითლდა გულდამაყრის ტყეები. არც წვიმდა, არც სასმელ-საჭმელი აკლდა მამუკას.

კოტორაანთ წიწის იმ დღეს არც ერთი ქვა არ მიუღო. თორმეტი ქვა აიტანა, თორმეტივე უკან დაუგორა. მეცამეტე გზობაზე ბროლის ქვა წაიღო წიწამ, თან იმედი ჰქონდა, ამას მაინც მიიღებო.

— არ ვარგა, — თქვა მამუქამ და ფერდაზე დააგორა ქვა. თვითონ დაჯდა და ჩაპყურებდა, როგორ მოგორავდა ქვა. ქვემოთიდან მწკრივად ამოდოდა ზურგზე ქვებმოკიდებული ხალხი.

წიწამ თავი ველარ შეიკავა, დასტაცა მამუქას ხელი და გადმოუშვა მთიდან. კაცს ისე სცოდნია, თუ დაგორდა, ისე შეიკვრის, როგორ ბურთი. მამუქაიც ისე მიგორავდა. ქვემოდან ამომავალ ხალხს ისევ ქვა ეგონა და ამ ამბავს ისე იყვინენ მიჩვეულნი, არც უგდეს ყური, გააგრძელეს გზა...

დარღვი № 1681

(დარღვივის შემგრომებლის რკვიულიდან)

- გვარი?
- კოტორაშვილი.
- სახელი?
- ნინო,
- რა გადარდებს?
- ბევრი რამ.
- მაინც?
- ბალღი დაგვეწვა გუშინწინ.
- ვისი?
- მეზობლის, მარინე ერქვა.
- დაწვრილებით არ შეგიძლია, რომ მომიყუე?
- როგორ არა. აგე დამწორო-ჩანახ-შირებულ კედლებს ხომ ხედავ?
- ვხედავ.
- იმ ხანებში მაგის პატრონი გიგუაი ციხეში დაიჭირეს.
- რატო?
- რატომაც თავმჯდომარე ვერ გაიხარებს, გიგუაის ცოლი მოსწონდა.
- ქალსაც მოსწონდა?
- ალბათ ქალსაც მოსწონდა.
- მერე?
- ერთი პატარა ბიჭი ჰყავდათ. იმას დააძინებდა და მიდიოდა თავმჯდომარე. მერე წამაიზარდა ის ბიჭი და ცალკე ოთახში აწვენდა თავის დედა, რომ ვერაფერი გაეგო. ერთ დღეს მთვრალი მივიდა თავმჯდომარე და ბალღაც იქ ყოფილა.

— მერე, მერე?
— ქალისთვის ძალადობა დაუწყო მთვრალს, ჩქარაო, ხდიდა თურმე ტანსაცმელს.

ქალს წინააღმდეგობა გაუწევია, ბაღლისა თუ შერცხვა, რა ბაღლისა, პატარა ბიჭი იყო. რო დაუნახავს თავის დედა ასეთ დღეში, ცეცხლის გამოსაჩხრეკი ხეჩენკალი აუღია, აბა ის რაღას დაარტყამდა. გადარეულა ამაზე თავმჯდომარე და გაუსროლნია გარეთ ბაღლი. დაუწყია ქალს ტირილი. იმას კარები მოუკეტია, ქალი თურმე გარეთ იზიდება ბაღლიდან, ი კაცსავას თავის საქმე გაუქეთებია და წასულა.

— მერე?
მთორიან ღამეში წაიყვანა ქალმა ბაღლი საყორნის ტყეში, თან ორი საბეღლი წაუღია, ერთი თავისთვის, ერთი ბაღლისათვის. ჯერ ერთი ჩამოუბია, მერე მეორე. მერე დამჯდარა, მოხვევია ბაღლს და დაუწყია ტირილი. შაშინებულა ბაღლი და გამოჰქცევია. ამბობდა, ჯერ კი მამდევდა დასაჭერად დედაიო, მერე თავი გამანება და უკანვე მიბრუნდაო. ისევ თავის სახლში მისულა ბაღლი.

დლით, არ ვიცი, ვინ დაინახა სახლიდან ამოსული ბოლი, მგონი კანუშამ, დაუძახნია და, ხმა რომ არავინ მისცა, შესულა. შესულა და, რას ხედავს, სახლს ცეცხლი უკიდა. თურმე ცეცხლს ანთებდა ი ბაღლი და, რა ვიცი, სახლს როგორ გაეკიდა.

— მერე?
მიცვივდით უცბად, გამოვიყვანეთ გარეთ. ზოგს საქონელი გამოჰყავდა. ეგე ტყვრებოდა ცეცხლისაგან დაბერილი საქონელი, როგორც თოფი.

— ბაღლი?
— ბაღლს ცეცხლი ეკიდა ტანისამოსზე და ჩვენ წყალი გვეგონა, იქვე იდგა ვედრით, თურმე ნავთი ედგა შიგა იმ ქალობა ბნელსა, დაწვით ბაღლი.

— დედა?

გოდუარძი ნოხალი
აღამიანთა სიმღა



— დედა რაღა, მეორე დღესლა მოვხედეთ... რა გადარდებსო, კიდევ მეტყვი, მეტი რა უნდა ადარდებდეს კაცის გულსა...

იქვე გამიხარდაის მინაწერია:
 ღმერთთან რო წავალ, მეორეს თუ არა, მესამეს მაინც მოვახსენებ ამ დარდს.

წარილი გალილის — მთავარსარდალისგან
 (წარილებიდან)

„გამარჯვება გალილი!
 პირველ რიგში მოგიკითხავთ დიდი მოწყენით და შორიდან ხელის ჩამორთმევით. ჩვენ ბრძოლით გამოვიარეთ ხუთი სოფელი და ახლა კოტორიანთას ვართ დაბანაკებულნი. ჩვენი საბრძოლო გეგმა მართლდება. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ აქ, მანდ შენ იცი და შენმა კაცობამ. სოფელს თავი არ მიანებო. გაუფრთხილდი მოხუცებსა და ქათმებს. თუ გაგვიჭირდა, გამოგიძახებთ. მანამდე ფეხი არცა ვაადგა. თუ მტერი შემოგვისოთ, შეგვატყობინე.

ჩოხლების ლაშქრის მთავარსარდალი ვაჟი გოგი“.

გალილის პასუხი

„ნუ გეშინიათ!
 აქილევსს წავასლიკე თავი, ჯალალედინს, ჰიტლერს და სხვებმა რა უნდა მიყონ...

თუ მტერი შემოგვესია, თქვენ არ შეგაწუხებთ, თვითონვე წავასლევ თავებს. თქვენ მარტო შეთე არ მოიყვანოთ ქეთინოს გარეშე.

გალილიეი“.

ღამე საბჭელში

(მემბტიანის რამეშლიდან)

დაღამდა. ეს დღე მართლა სასახლო დღე იყო გუდამაყრის ცხოვრებაში. დღეს ჩვენმა მთავარსარდალმა თავისი გენია გამოავლინა. ახლა კი დროა, მსოფლიომ მართლა გაიგოს, რომ დე-

დამიწის ზურგზე არსებობს ხეობა, რომელსაც გუდამაყარი ჰქვია. მერჯულაძე ვინმე მოისურვებს გუდამაყრის ცხოვრების გაცნობას, გვეწვიოს, მანამდე კი ვეტყვი, რომ უმთავრესად ცხვარძროხით ცხოვრობთ, მოგვეყავს კარტოლი. მცენარეებიდან აქ კარგად ხარობს კაკალი. აი ეხლაც, თუმცა ღამეა, მაგრამ ჩვენმა დეკანოზმა სოფლის დათვლიერება მოინდომა და ძალიან ნასიამოვნები მობრუნდა, იმდენი კაკლის ხე უნახია. იქიდან მობრუნებული ზის და კოტორიანთ უყვება ამ დიდი სახლის შესახებ, რომელიც მომავალში უნდა ავაშენოთ. კაკლის ხე ყველაზე კარგი სამასალეაო, ეუბნება.

გუდამაყრელებს გვზღუდავს ძალიან მაღალი მთები ოთხივე მხრიდან. გვახურია საკუთარი ცა, საკუთარი მზითა და მთორით. ვარსკვლავებიც, რამდენიც გინდა, იმდენი გვაქვს. ჩვენთან მოედინება მსოფლიოში ყველაზე შავი მდინარე. სხვაც ბევრი რამე გვაქვს, მაგრამ ახლა ამის დაწვრილებით ჩამოთვლა ძალიან შორს წავგიყვანს და ლაშქრობის ამბავს აგვაცდენს. მაშ ასე:

მოლაშქრენი სუფრას შემოუხსდნენ, რაღა თქმა უნდა, ჩვენ კულტურული თემი ვართ და კოტორიანიც ჩვენ სუფრაზე დავიპატიყეთ. ტყვეს ალგილზე მიართვეს მზვერავეებმა საჭმელი. სოფლის გარშემო ყარაულებია დაყენებული.

მთავარსარდალმა შეთე მიხსნია და ეკითხება:

- რა ჰქვია შენ საცოლეს?
- ქეთინო, — ამოდერლა შეთემ მოიტყვალ.
- შენ ხომ უარზე არა ხარ?
- არა. მინდა ცოლი.
- მთავარია, შენ არ იყო უარზე, თორემ თუ ჩვენი ლაშქრობა ასე გაგრძელდა, სამ დღეში ჩავაბარებ ქეთინოს.

შეთე გაიბადრა.
 შემდეგ ბევრ საშინაო საქმეზე მოველაპარაკენით კოტორიანთ და რადგანაც ჯარი დადლილია და ხვალ უთენია

უნდა გავლაშქროთ, ყარაულების გარდა, კარლანი საძილედ დავწევით.

ნისლაურნი

(ისავე მემბატინანის რვეულნიდან)

გათენდა. მეზარემ ზარი დარეკა. ელენამ სუფრა გაშალა და მცირედ წავიხემსეთ. მთავარსარდალმა ჯარი დაწყო. დეკანოზმა გამოსათხოვარი სიტყვა უთხრა კოტორიანთ. ჩამოვხსენით დროშა და დავიძარით სოფელ ნისლაურთაკე. ნისლაურნი აქედან ორ კილომეტრზე არიან. წინ მზვერავები წავიდნენ. რამდენიმე ხანში უკან მობრუნდნენ და უცნაური ამბავი მოიტანის.

— ნისლაურნი, შავებში ჩაცმულები — უმრავლესობა ქალებია, — გორდაგორ მოდიან და რაღაცას მოასვენებენ ნება, ცივ-ცივად, თითქოს კუბოაო, მაგრამ მიცვალებული არ არის შიგ. რა კაცი უნდა ჩაეტოს, კუბო ასანთის კოლოფის ტოლია.

— ცივ-ცივად მოაქვთ? — დაეკვდა სარდალი.

— ჰო, თითქოს მკვდარი მოაქვო. ისე.

— გასაგებია. თუ არა ვცდები, მაგათ ბომბი მოაქვთ და ეშინიათ არ აუფეთქდეთ: შავად კიდევ იმიტომ არიან ჩაკმულნი, ჩვენ უნდა შეგვიყუარონ შეცდომაში, ეს მანევრია, მაგრამ ამით ვერ მოგვატყუებენ. ეხლავე ალყა შემოვარტყათ და ალყაში რომ გვეყოლებიან, ხომ ველარ ააფეთქებენ. უოჩაღ მზვერავებო, თქვენ რომ არა, შეიძლება გზაში ჩაგვიდებდნენ იმ ბომბს. სასწრაფოდ დაწერეთ ბრძანება მზვერავების დაჯილდოების შესახებ, — მიუბრუნდა მთავარსარდალი მწერალს და მთელი სისწრაფით დავიძარით წინ. ნისლაურნი ვერც კი მიხვდნენ, როგორ აღმოჩნდნენ ჩვენს ალყაში.

— შეჩერდით! — უბრძანა სარდალმა.

ისინი შედგნენ.

— ცივად დაასვენეთ ეგ ბომბი!

— რომელი ბომბი, რა ბომბი?!
— მა რა გაქვთ მაგ ყუთში?
— მიცვალებულია.
— თავს ნუ იგდებთ მასხარად, რომელი მიცვალებული ჩაეტევა მანდ!
— რომელი და თავგი...
— რაო?!
— თავგი მოკვდა ჩვენ სოფელში.
— მერე?
— მერე იმას მოვასვენებთ.
— თქვენ გიყები ხომ არა ხართ?!
— რატო. ესეთი წესი გვაქვს. ჩვენ სოფელში რაც მოკვდება, ყველაფერს ვააფლავებთ. ყველანი ღვთის შვილები ვართ.

— რა წესია ეგ?! — გაბრაზდა დეკანოზი, — ჩვენი ნებართვის გარეშე ვინ მოგცათ მაგის უფლება, რომ ახალ-ახალ წესებს იგონებთ. ეხლავე დაიფიცეთ სათემო ხატზე, რომ კვლავაც წინ დააყენებთ ჩოხლების ვაჯის და თუ ქალის სათხოვნელად, ან კაცის ხეების სათხოვნელად მოვალე, უარს არ გვეტყვიო.

— უარს არც ადრე გეუბნებოდი...
— არ გვეუბნებოდით, მაგრამ უნდა დაიფიცოთ. რაც შეეხება თავგებს, საღვაწილია თავგის გასვენება...

— ჩვენ ეგეთი წესი გვაქვს, გველებსაც ვააფლავებთ, ძაღლებსაც, ცრინველებსაც და ბუზებსაც. აგე. ის გორი ამ უბედურებისია, — იმათ თავგს გადახადეს წასახურავი და გამოჩნდა ტუჩებმოპრუნწული და კუდგაფშეკილი საცოდავი არსება.

დეკანოზმა ჯერ მორჩილებაზე დააფიცა ხალხი, მერე მთავარსარდალს გადაუწერა:

— სჯობია, მივუშვათ თავის ნებაზე, თავისი მიცვალებულები გინდა დაასაფლავონ, გინდა ზეზეურ დაყარონ, გავყვეთ უკან.

ვაჟი გავიმ ალყა მოხსნა პროცესიას და უკან გავყევით. იმათ წინდაწინ გათხრილ მიწაში ჩაასვენეს თავგი. ამ ამბავს რომ მოვრჩიოთ, ნისლაურნი სოფე-



ლში წავიყვანეთ, მაღალ ბანზე დროშა გამოვკიდეთ და დაიწყო ფილოსოფიური დაკითხვა.

ნისლაური ზითანდარი

(ფილოსოფოსის რეპუზიციანი)

- რამდენი წლისა ხარ?
- ორმოცდამეთხუთმეტე წელში ვდგავარ.
- რა არის სიკვდილი?
- სიკვდილი რა არის? ჰა-ჰა-ჰა, კაცი რომ მოკვდება, ის არის.
- სად მივდივართ სიკვდილის მერე?
- სადა და, შენ ჯორი გეწეროს, სადაც ეხლა აის თავი წავიდა, იქ წავალთ, აბა სხოგან სადა? მიწაში წავალთ.
- მიწაში რა არის?
- ეე, მიწაში, აბა, რავი რა არის, მიწაში გველებია, ქიები და ბაყაყები, აბა, სხო რა.
- სული როგორია?
- სული ისეთია რო, ხან როგორ მოეჩვენება კაცსა, ხან როგორა. ხან იქ წავა სული, ხან იქ. აი, სიზმარში როგორ მოეჩვენება კაცსა.
- სიზმარში?
- ჰო, სიზმარს აკი ვნახავთ და სულიც ეგე არის, დადის არი-არეთ, დადის...
- სუ მუდამ იქნება ის სული?
- იმასაც დრო ექნება, წავა მერე და სუ დაიკარგება, სუყველას თავის დრო აქვს.
- არაფრად გადაიქცევა?
- ჰო, არაფრად. მერე არაფერი ისეგ რამედ მაიქცევა და ესე.
- შენ არ გეჩვენება, რომ ხშირად ამ ცხოვრებას ვიმეორებთ?
- როგორ თუ ვიმეორებთ?!
- აი, მაგალითად, რაღაცას რომ ვაკეთებთ, გეჩვენება, თითქოს ეს როდისღაც უკვე გავაკეთებია?
- ჰო, როგორ არა. აი, წელან თავს რომ მივასვენებდით, ვისხენებდი, სად მინახია-მეთქი ზუსტად ასე, მერე თქვენც გამოჩნდით, თქვენი ლაშქარიც

ზუსტად ისე ნახა მიყავდა როდისღაც ოლონდ არ ვიცი, როდის.

- როგორ გგონია, სამოთხე არა?
- სამოთხეს არ ეძახიან, აი, სულნი რომ შიკრიბებიან და არიან ერთადა, აბა რავი, როგორ ვითხრა. ძოლები მიწაში იკარგება, სული სიიქიოს მიდის. ადამიანის სული არ არის დაკარგული, არა.
- წელან აკი სთქვია, დრო აქვს და გაქრებაო.
- ჰო, ეგრე იქნება, სიიქიოსაც თავისი დრო ექნება. კაცი ორჯერა კვდებაო, ის არ იცინა?
- როგორაო?
- ორჯერა კვდებაო.
- როგორ ორჯერაო.
- აი, ორჯერ ისე, რო ერთხელ ხო მოკვდება, ხორცი მოკვდება, მეორედ კიდევ სული მოკვდება და დაიკარგება ადამიანი სულა.
- დედამიწას უდგას სული თუ არა.
- მაშა, დედამიწას როგორ არ უდგას სული!
- როგორც კაცს, ისე?
- როგორც ადამიანი იქცევის სულს, ისე დედამიწა.
- დედამიწა მოკვდება?
- არა, დედამიწას რალა მოჰკლავს. სულ არის და იქნება.
- ომი რო იყვეს? ესეთი კი არა, ჩვენ რო კულტურულად ვიქცევით, ჩოხლები, დიდი ომი რო იყოს...
- ეს ხო სიკვდილი იქნება.
- ჰო, თუ გადაიწევა, მოკვდება დედამიწა.

ორი მონადირა

(მოთხრობა მწიგნობრის რეპუზიციანი)

შუალამე ის-ის იყო გადავიდა, რომ სოფელ ნისლაურთიდან ორი მონადირე გამოვიდა ფეხაკრებით და საჩიხვეები-საკენ შეუყენენ აღმართს. ორივე ახალგაზრდა იყო. ორივე ჩუმად მიდიოდა. გათენებამდე ხმაამოუღებლად იარეს. ჰიუნის ძირში გაუთენდათ და დასხდნენ. ზურგზემოკიდებული გულები მოიხსნეს და ერთმა ხა-

ვიწი ამოიღო, მეორემ — მშრალად მოხარული ხორცი. დანაყრდნენ, იქვე, ქვის ძირში ცივი წყარო გამოდიოდა. დალიეს. თითომ თითო პეშვი დალია.

— ბევრი წყალი მუხლს ჭრის ადამიანს, — თქვა ერთმა.

მეორეს ხმა არ ამოუღია. გულები მოიკიდეს და კლდის ქიმს აპყვნენ.

ერთს გაგი ერქვა, მეორეს — ჯარჯი. ორივეს ერთი ქალიშვილი უყვარდა და იმ გოგოს იამზე ერქვა.

ჯარჯიც იამზეზე ფიქრობდა, გაგიც იამზეს ჯარჯი უყვარდა. გაგიმ იცოდა ეს.

ჯარჯიმ იცოდა, რომ ამ წუთში გაგი იამზეზე ფიქრობდა. გაგიმაც იცოდა ჯარჯის ფიქრი. ჯარჯის გულის სიღრმეში ენანებოდა კიდევ გაგი, მაგრამ...

ერთი კლდის წვერზე დარჩა, მეორემ უკნიდან წამოუარა კლდეს და ჯიხვის ფარა აქეთ წამოაფრთხო. გაგიმ ესროლა და თიანის დედა მოკლა. თიანის აღარ გაქცეულა, დედასთან დარჩა და ლოკვა დაუწყო თვალებზე.

იმათ გაატყავეს ჯიხვი და გამოქვაბოლოში წავიდნენ ღამის გასათევად.

იმ ღამეს ქარი ამოვარდა და ღრუბლები გადმორეკა გუდამაყრის ხეობაში. ჩამობნელდა. გამოქვაბული ცეცხლის შუქით იყო განათებული. ჯიხვის ციკანმა ერთხელ შემოიხედა შემოსასვლელიდან და გაიქცა. ნაღვერდლებზე სასიამოვნოდ შიშინებდა გულღვიძლი და კრიალა პაერს მწვადის სუნი ერეოდა. მონადირეები ისევ ჩუმად ისხდნენ.

გამოქვაბულის შემოსასვლელოში ნარი იყო ამოსული და ლურჯად ყვავდა. ქარი უბერავდა და აქეთ-იქით აქანავებდა.

— ხედავ სადამდე ამოსულა? — თქვა ჯარჯიმ.

— რა? — იკითხა გაგიმ.

— ნარი.

გაგიმ თოფში ტყვია ჩადო და გაიღიმა. მერე ჯარჯის უთხრა:

— ეხლა რომ მოკლა, ხომ ვერაფერს გაიგებს.

— რას ვერ გაიგებს? — გაიცინა ჯარჯიმ.

— იმას, რომ მე მოკალი, — ისევ გაეღიმა გაგის.

— აი, იმ ნარს ხომ ხედავ?

— ვხედავ.

— აი, იმ ნარს ვათქმევინებდი, რომ შენ მოკალი.

გაგიმ გაიცინა და თოფიდან ტყვია ამოიღო.

ჯარჯიმ ცეცხლს შეშა დააყარა და მწვადები წამოაცვა ჯოხზე. ზურგით გაგისკენ იყო შებრუნებული.

უცებ დაიგრილა თოფმა და ჯარჯი პირქვე ჩამხო ცეცხლში.

ჯერ გულადმა დააწვინა გაგიმ მკვდარი. მერე თვალები დაუხუჭა და ხელები გულზე დაუწყო.

ქარი ქროდა და მთელი ღამე აქეთ-იქით აქანავებდა შემოსასვლელოში ლურჯად გაყვავებულ ნარს.

ვათენებისას ცა გადაიწმინდა. სიზნელიდან თეთრად ამოიკვეთნენ მყინვარები.

გაგიმ მკვდარი აიკიდა და ზემოთ წაიღო. შუადღემდე ზურგით ატარა. მყინვარებში რომ ავიდა, იქ ყინულის დიდ ნაბრალში დამალა. ზემოდან სიპები დააყარა, მერე ყინულები.

ხუთი დღე ქიუხებში იხეტიალა. ღამეს გამოქვაბულში ათევდა. მერე შინ წამოვიდა, თან მოკლული ჯიხვი წამოიღო.

— რა იქნა ჯარჯიო — ჰკითხეს.

— არ მოსულაო?! — გაიკვირვა.

— არაო, — უთხრეს.

— სამი დღეა, რაც ჯარჯი შინ წამოვიდა. მოკლული ჯიხვი წამოიღო. მე ჯიხვების ფარამ გამოიტყუა, — თქვა, ჯიხვი დააგდო და ისევ უკან გაბრუნდა ჯარჯის სამებნელად. ჯარჯის ძმებიც თან გაპყვნენ. იმ ადგილზე, სადაც მკვდარი ჰყავდა დამალული, რამდენ-

გოდარძი ჩხეილი
აღაშინათა სივდა

ჯერმე ზემოდან გაიარ-გამოიარეს.
ვერსად ვერ იპოვეს.

თხუთმეტი წლის მერე, ნისლაურთ სოფელში, შემოდგომით, ზამთრის პირზე ხარებით ძნასა ლეწავენ ქალი და კაცი.

კაცი გაგი არის, ქალი იმისი ცოლი, იამზე. გაგი უკვე ხანშია შესული.

მერე ცოლი და ქმარი ჩალაში მიიშლეს ნახდებს და დასაძინებლად წვე-ბიან. კალოს შემოსასვლელში ნარი ამოსულა და ქარი აქეთ-იქით აქანებს.

კაცს გაეცინა.

— რა გაციენებს? — ჰკითხა ცოლმა.

— არაფერი, — თქვა გაგიმ.

ალარ მოეშვა ცოლი, მითხარი, რატომ გაციენეო. გაგი არაფრით არ ამბობდა. ალარც დამე მოასვენა ცოლმა. გაგიმ იფიქრა, ჩემი ცოლია, მას მერე თხუთმეტი წელია გასული და, მერე რა, ვეტყვიო.

— აი იმ ნარს ხომ ხედავ?

— ვხედავ, — თქვა ქალმა.

— მაგაზე გამეცინა. ჭარჯიმ მითხრა, რო მომკლა, ნარს ვათქმევინებ, რომ შენ მომკალიო. იმიტო გამეცინა. ნარს რისი თქმა შეუძლია.

მეორე დილით ცოლი ალარ დახვდა გვერდით. გაგის. ზემოთი ბანიდან ფეხის ხმა მოესმა. აიხედა. ჭარჯის ძმას მოჰკრა თვალი.

იმავე წუთში თოფმა იგრიალა და სანამ მთლად წაერთმეოდა ამქვეყნიური ხილვები, ერთხელ კიდევ უკანასკნელად, კალოს შემოსასვლელში, ნარს მოჰკრა თვალი გაგიმ.

ქარი ქროდა და ნარს აქეთ-იქით აქანავებდა.

ბაუზონარი უბევაა

(მემბატინის რვეულიდან)

იმის მერე, რაც ნისლაურებში ფილოსოფიურ დაკითხვებს მოვრჩით და დეკანოზმა მეგობრული სიტყვით მიმართა ნისლაურთ, მთავარსარდალმა

ჯარი დააწყო და იმ დღეს არნახული ლაშქრობა მოვაწყვეთ.

ალბათ ისტორიას არ ახსოვს, რომელიმე სარდალს ერთ დღეში ათი ქვეყანა აეღოს. თანაც ისე გონივრულად, როგორც ჩვენ. სხვათა ლაშქრობებს თან სდევს შიმშილი, სისხლი, ხოცვა-ჟლეტა, ნგრევა, ერების დამცირება... ჩვენ კი, პირიქით, უსისხლოდ, ჩუმიად და ფილოსოფიურად ვმოქმედებდით. გამოთხოვებისას ყველას მეგობრული სიტყვით მიმართავდა დეკანოზი, ხანდახან კაკლის თაობაზეც ჩამოაგდებდა სიტყვას.

7 თებერვალს მზის ჩასვლამდე ათი სოფელი ავიღეთ და დავაფიცეთ სათემო ხატზე, ჩავიწერეთ უამრავი დარდი, რაც იმათ აწუხებს, ვაწარმოეთ ფილოსოფიური დაკითხვები და სხვა და სხვა... ერთიმეორის მიყოლებით განვამტკიცეთ ჩვენი უფლებები სოფლებში.

მზის ჩასვლისას მაქართას მივაღვიქით და, მართალია, მზის სხივებმა ვეღარ ააეღვარეს მაქართის თავზე ჩვენი დროშა, მაინც ავაფრიალეთ. დაბინდებამდე მაქართაც დაგვენებდა და ის ლემეც იქ გავატარეთ დიდ ფილოსოფიურ-მეცნიერულ გამოკითხვებში.

განთიადისას კიტოხისაკენ დავიძარით. მთავარსარდალმა კიტოხის მისადგომებთან შეგვაყენა და სიტყვით მოგვემართა:

— ჩვენ არნახული შეტევა განვახორციელეთ. თითოეული თქვენგანი ქების ღირსია. როდესმე წაგიყვანთ წყალქვეშა ქალაქების სანახავად, მანამდე კი დიდი საქმე გვაქვს. მთავარია, ეწლი კიტოხი ავიღოთ და გუდამაყარი ჩვენია. კიტოხი, სხვა სოფლებთან შედარებით, კულტურული სოფელია და ცივილიზებული ხალხი ცხოვრობს აქეთ სკოლა. გამოცდილებით ვიცი, რომ თუ აქამდე კულტურულად ვექცეოდით გაუნათლებელ სოფლებს, განათლებულებს პირიქით, ველურად უნდა მოვექცეთ, რომ დავიმორჩილოთ. კულტურულებს სიველურისა ეშინიათ,

აბა მაშ გეძღვებთ სრული სიველურე და გადავდივართ შეტევაზე!

მყვირალეები ყვირილით გაიქცნენ. ატყდა თოფების გრიალი.

სოფელს ალყა შემოვარტყით. აქა-იქ თივის ზვინები დევწვით და ზღოსტად ერთ საათში ჩვენი დეკანოზი სათემო ხატზე აფიცებდა მუხლზე ღაჩოქალ კატობლებს.

მერე ფილოსოფიური დაკითხვაც მოვაწყვეთ, რომ ამით ჩვენი სიველურე გადაგვეფარა.

დეკანოზმა სკოლია დათვალიერება მოინდომა.

— ხომ უნდა ვიცოდეთ, რას ასწავლიან სკოლაში ბალებს, — თქვა და მთავარასარდალი მოიხმო.

— ჯარი წამოვიყვანოთ? — იკითხა ვაჟი გოგიმ.

— არა, სკოლაში ნუ შემოიყვან, სკოლის წინ გაატარ-გამოატარე ისე, რომ ბალებმა დაინახონ და შეიგრძნონ ჩვენი ძალა, — უთხრა დეკანოზმა.

დეკანოზი კლასში შევიდა და მასწავლებელს ჰკითხა:

— თუ უნერგავთ ბალებს ჩოხლების გვარის მორჩილებას?

— კი, — თქვა მასწავლებელმა.

— თუ შეიძლება ფილოსოფიური დონე გავისინჯოთ თქვენ და თქვენ ბაგშვებს?

— შეიძლება.

გამოკითხვა დაიწყო.

ფანჯრიდან დავინახეთ, როგორ აატარა და ჩამოატარა ვაჟი გოგიმ ჯარი.

მოსწავლე კობა

(ფილოსოფოსის რამეულიდან)

- რამდენი წლისა ხარ?
- მე ვდგავარ მეთერთმეტე ხელში.
- ყველაზე მეტად რა გიყვარს?
- რა ვიცი, ყველაფერი...
- რო გითხრან, ერთი დღე რადაც გინდა, იმად გადაგქეცი და მერე ისევე კაცად გადაგაქევეთო, რად გადაიქცეოდი?
- გუგულად.

— რაღა მიინცდამინც გუგულად?
— კარგია გუგული, გაზაფხულს ის გვახარებს და მთელი დღე ატკობს არე მარეს, გასძახის.

— თევაზად არ გადაიქცეოდი?

— არა.

— რატომ?

— ხმელეთზე რო თევაზად ვიქცეოდი, მანამ წყალთან მივიდოდი, ხომ მოვკვდებოდი.

— ყვავილად არ იქცეოდი, კობა?

— არა.

— რატომ?

— მაგლევდა ვინმე და ჩავხმებოდი.

— ცხენადა?

— არც ცხენადა, შასხდებოდნენ ჩემზე და რბენით გამხეთქავდნენ.

— არავგად არ იქცეოდი?

— არა. ჩამოვარდებოდა რამა ჩემში და დავახრჩობდი. წავიდოდი და ვინი. სად წავიდოდი. მოდი, დავამთავროთ შეკითხვები.

— კარგი, დავამთავროთ.

— მასწავლებელი რას გვეტყოდა?

— რაზე?

— რა არის სიცოცხლე?

— სიცოცხლეა, როდესაც აღწევ დასახულ მიზანს.

— სწორია, — მოუწონა დეკანოზმა.

— ახლა ჩვენ სწორედ ეგეთი სიცოცხლე გვჭირდება.

გრძელი შეტევა

(მამბატინის რამეულიდან)

უნდა აღვნიშნო. რომ კიტობლები გოცებულნი დარჩნენ ჩვენი და სამარადიანო მორჩილება აღგვიტქვეს. ისე მოეწონათ ჩვენი სათემო ხატი, ყოველ წუთს იმაზე ფიცულობდნენ.

კიტობიდან გრძელი შეტევა წამოვიწყეთ. გვერდი ავუარეთ სოფელ დიდებათ, ეს სამხედრო მანევრია, მანდ ბოლოს უნდა შევიდეთ ტრიუმფით და მანდღამ ქორწილით უნდა წავიდეთ სახლში.

გოლდარდი ჩოხელი
აღამიანთა სივლა



მზვერავები კარგად მუშაობენ. საზღვაო ნაწილიდანაც კარგი ხმები მოდის. ტყვე შეურიგდა თავის ბედს. ჯერ არ გამოტყენილა, მაგრამ გამოტყდება. შეიძლება ჩვენ მხარეზეც გადმოვიდეს, ისე სხარტად ვეჭვებით. თუ ჰქვია აქვს, ჩვენთან ურჩევნია. დავიპყართ ქაქენი, საქორე და გეზი ბუსარჭილისკენ ავიდეთ.

მზის ჩასვლისას ჩვენი დროშა ბუსარჭილის მაღალ კოშკზე აფრიალდა. დაიწყო დაფიცება და ამის მერე ფილოსოფიურ-მეტეორიკული ურთიერთობა.

გიგია ბუბუნაურის ძმადნაფიცო

(მწიგნობლის რამულიდან)

თოვს.

რძისფერი სიმყურდროვია ბუსარჭილის ფერდობზე ჩამომდგარი. მარტო თოვლის ფანტელები შრიალებენ ჩუმად, ჩუმად, ჩუმად, ზეცის გალობასავით. მერე არწივის ყეფა გაისმის: ერთხელ, მეორედ, მესამედ. არწივი გაჩუმდება და ისევ სიწყნარე ჩამოდგება ბუსარჭილის ფერდობზე.

თოვს.

თორმეტი წლის გიგია ბუბუნაური ქვენამთისაკენ მიუყვება აღმართს. მხარზე მამისეული თოფი ჰკიდია.

ზემოთ, გორზე ადგილის დედის სალოცავია. გიგია სხვა მხარეს მიდის. უცებ შედგება. მიმოიხედავს. ისევ გზას გააგრძელებს. ისევ შეჩერდება და მობრუნებას დააპირებს. გული რატომღაც „ადგილის დედისაკენ“ მიუწევს. მიანც სხვა მხარეს წავა.

ანაზღად ფეხი გაუსხლტა და დაეცა. წამომდგარმა მშვიდად ჩაიბერტყა შრიალა თოვლი. შემობრუნდა და „ადგილის დედისაკენ“ აუყვა აღმართს.

გორის ფხაზე არწივი დაინახა გიგამ და ფეხს აუჩქარა. ძალიან მოუნდა ახლოს ენახა არწივი. წელში მოიხარა და პარებ-პარებით წავიდა ზემოთ.

არწივის ყეფამ ჩაფხაქნა თოვლის სიმშვიდე. მერე გორზე ისე მძლავრად

აფართხალდა, თავის გარშემო კორინტელი დააყენა. ისევ მძლავრად დაიყეფა და ჩაწყნარდა.

ჯერ ვერ ბედავდა გიგია არწივთან ახლოს მისვლას. შორიდან ათვალისებდა. ყოველთვის რაღაც სხვანაირ სიამოვნებას ჰგვრიდა არწივის ცქერა. ასე ახლოს კი არასოდეს ენახა.

არწივმა ერთხელ კიდევ დააყენა გორზე თოვლის კორიანტელი. მერე ჰაერში აიწია და გიგამ დაინახა, რომ ფეხზე რაღაც ჰქონდა გამობმული. თოფი დაავდო და ახლოს მივიდა.

არწივმა დაიყეფა და ქშულით გაეჭანა ბიჰს.

გიგია იდგა და უყურებდა:

ახლად მოსულ თოვლს სანახევროდ ამოევსო გუშინდელ თოვლში ჩატოვებული აღამიანის ნაფხურები. ზედ ადგილის დედის სალოცავზე იყო ხაფანგის ჯაჭვი გამობმული. მარჯვენა ფეხის ბრჭყალებით იყო არწივი ხაფანგში ჩაბმული. გიგია კაცის ნავალს ათვალისებდა. მერე არწივს უყურებდა დიდხანს. ადგილის დედის სალოცავში ვერცხლის ფულები ეყარა. გადახუნებულ ირმის რქებზე წვრილი ზარები ეკიდა. თოვდა და თოვლის შრიალს ზარების ნელი წკრიალი უერთდებოდა. სალოცავის ქვებზე შემურული ნასანთლარები უფრო მყურდროსა და იღუმალს ხდიდა იქაურობას. ყველაფერი ზეცის გალობას ჰგავდა: სალოცავი, თოვლი, გადაცრეცილი ირმის რქები და თოვლის შრიალში შერეული ზარის წკრიალი. მარტო სალოცავზე გამობმული ჯაჭვი არღვევდა ბუნების ჰარმონიას, ამ ჯაჭვზე კი რგოლებით იყო გამობმული რკინის ხაფანგი, ხაფანგში გაბმული არწივი და იმის იქით, ძველ თოვლში ჩარჩენილი უცნაური ნაფხურები, რომელიც ნებ-ნება ივსებოდა ახალი თოვლით.

გიგია ბუბუნაური არწივთან მივიდა. იმან ისევ დაიყეფა და ქშენით გაეჭანა ბიჰს. მერე უცებ შედგა, ფრთები დაიბჯინა და გიგიას გაუშტერა თვალი. გიგამ ხაფანგიდან გამოუხსნა

ფეხი. არწივს თქრიალით გასდიოდა სისხლი. ერთი ბრკყალი ტყავითღა ება.

გიგია ბუბუნაურმა შინ ჩამოიყვანა არწივი.

ისევ თოვს...

შემურული კოშკები ძახილის ნიშნებით დგანან თოვლში. აქა-იქ კვამლი ამოდის და ნელი რხევით, შედედებული ზღაზნვით უერთდება თოვლიან სიმყუდროვეს.

სურათი ბუბუნაურების კოშკში: — კერაზე ცეცხლი ანთია. ჰერი შემურულია და მუხის ხეები შავად გაპყურებენ ერდოდან შემოჭრილ თოვლის სითეთრეს. კედლებზე საომარი აღტურვილობა ჰკიდია: ფარი, ხმალი, სამკლავე, ჯაჭვი, ჩაჩქანი, ხანჯლები, თოფი და კიდევ შემურული მშვილდ-ისარი, ძველი მოწმე ბუბუნაურთა გვარის მტრიანი ცხოვრებისა.

თავზე რამდენიმე ჩამომხმარი და კვამლით შემურული კაცის მარჯვენა ჰკიდია. უფრო ზემოთ, კუთხეში, სადაც მთლიანად ვერ აღწევს ცეცხლის შუქი, უშველებელი ჯიხვის რქებია ჯაჭვით ჩამოკიდებული.

გარეთ თოვს.

ერდოდან მკრთალი ნათელი შემოდის.

კერასთან დაფენილ ჯიხვის ტყავებზე თორმეტი წლის გიგია ბუბუნაური და არწივი ისხდნენ.

არწივი მშვიდი მზერით ათვალიერებდა სახლის კედლებს.

გიგია ადგა, კედლიდან ვერცხლის ხანჯალი ჩამოხსნა. სკივრიდან ვერცხლის თასი ამოიღო და ვერცხლისავე თუნგით წინწანაქარი არაყი მოიტანა. მერე არაყი თასში ჩამოასხა და ხანჯლის პირით ვერცხლი ჩამოათალა თუნგს. ჩამონათალი ვერცხლი არაყთან თასში ჩაყარა, მოურია და წინ დაიდგა.

არწივი მშვიდად უყურებდა გიგიას, რომელმაც ტუბა-ნება, ბერიკაცივით ასწია თავი, არწივს შეხედა და თქვა:

— მე ვარ გიგია ბუბუნაური, ბაძისა რე. ბუბუნაურთა გვარის უკანასკნელი

შთამომავალი. მყავს დედა და გავიწმინდული სოფელში გათხოვილი და, რომელსაც სამი შვილი ჰყავს: ნინო, შორენა და გავი. სამივე პატარები არიან, გავი ჯერ სიარულიც არ იცის.

მყავს მოსისხლე. როგორც წელან გითხარი, ბუბუნაურთა შორის მელა დავრჩი გვარის გამგრძელებელი. ჩემი წინაპრების უმეტესი ნაწილი მტრებმა დახოცეს. მამაჩემიც მთასიქითელმა ზევსურებმა მოკლეს. ზამთარი იყო, მიცვალებული დიდ თოვლში ვერ ატარეს და ნაწილ-ნაწილად გამოიტანეს ხურჯინებით. მაშინ ხუთი წლის ვიყავი. თავაურები არიან ჩემი მოსისხლეები. იმ მთაზე ასვლას ყოველთვის ვერიდები. არ გეგონოს, მოსისხლეებისა მეშინია. მე ახლაც შემიძლია სისხლის აღება, მაგრამ მრცხვენია, წინაპრებისა მრცხვენია. არ მინდა უაზროდ შევწყვიტო მათი გვარი. ჯერ ცოლი უნდა მოვიყვანო და მოგვარე გავიჩინო, მერე სისხლს ჩამოვირეცხავ, და თუ მომკლავენ, არაფერია, გვარის გამგრძელებელი ხომ დამრჩება. ისე, კაცმა რომ თქვას, არ მინდა კი კაცის მოკვლა, მაგრამ სისხლში მიზის ვილაც და მეძახის: — გვარი არ შეგვირცხვინო, ბაღლო! ვიცი, ჩემი წინაპრების ხმა არის, მაგრამ ჯერ ვიცი, ჯერ გვარს გავაგრძელებ და მერე....

გიგია ცოტა ხნით გაჩუმდა და უფრო ჩუმად ხმით თქვა: — აკვანში ვარ დანიშნული მზია თამნიაურზე... აი, გალმა რომ სოფელი ჩანს, იქ ცხოვრობს ჯერ რვა წლისაა. მზისფერი თმა აქვს. ხატობაში ვნახე რამდენჯერმე შორიდან. რომ დაგვიწმინდეს, მაშინ მამაჩემი ცოცხალი იყო.

ჰოო, იმ მთაზე ასვლას ყოველთვის ვერიდები, არ მინდა იქეთ გადავიხედო, არ იფიქრო, რომ მალლა ყოფნა მეჯავრება, პირიქით, მიყვარს. მე მზიაც მიყვარს. შენ ალბათ სულ სხვანაირად გესმის სიყვარული, სულ ცაში

გოდამიძე ნოზალი

აღამიანთა სპეციალი

ხარ და ოცნებაც უფრო მაღალი შეგიძლია. სიყვარული კიდევ, ჩემი აზრით, მარადიულ სიცოცხლეზე ოცნება არის. ჰოდა, მაგიტომ არ მინდა ჯერ სიკვდილი, ჯერ გვარი უნდა გავაგრძელო. ღმერთმა სიყვარული გვარის გასაგრძელებლად დაგვიწერა. ქალის სიყვარული დასაწყისია იმ დიდი სიყვარულისა, რასაც მარადიული სიცოცხლე ჰქვია. მე ჯერ ეს სიყვარული უნდა გავაგრძელო. შენ შეიძლება სხვანაირად გესმის, ჩვენ ალბათ მიწაზე უფრო ნაკლებად შეგვიძლია ოცნება, ვიდრე შენ ცაში. იყო, როგორც მინდა ხანდახან ცაში გამოფრენა! ბედნიერი ხარ, — მიწაზეც შეგიძლია ყოფნა და ცაშიც.

შენ სხვანაირი ვაჟკაცი ხარ. მეც მინდა შენნაირი ვიყო, მაგრამ არ გამოდის, ღმერთმა მიწაზე მომისაჯა ყოფნა... ეს ყველაზე იმიტომ მოგიყვები, რომ მინდა ჩემი ამბავი იცოდე. ვაჟკაცი ხარ და უნდა გამიგო, ძმად უნდა გამეფიცო. ზე თუ ვერ ვიფრენ ცაში, მაღლა რომ დავინახავ, იმას ხომ მაინც ვიტყვი, ჩემი ძმა არის-მეთქი.

გიგია გაჩუმდა. მერე არწივს შეხედა თვალბში. არწივი მშვიდად უგდებდა ყურს.

გიგია ბუბუნაურმა ხანჯლის პირით გადაისერა მარჯვენა ხელი, მერე არწივს სისხლიანი ფეხი აუწია და იმის სისხლს შეურია თავისი სისხლი, ვერცხლგარეული არყიანი თასი აიღო და არწივს უთხრა:

- შენი დედაი, ჩემი დედაი!
- შენი დაი, ჩემი დაი!
- შენი ძმაი, ჩემი ძმაი!
- შენი სიხარული, ჩემი სიხარული!
- შენი დარდი, ჩემი დარდი!
- შენ ვინც გაწყენინას, მე მაწყენინას!
- შენ ვინც მაგკლას მე მამკლას!
- შენი სიცოცხლე, ჩემი სიცოცხლე!
- შენი ფიცი, სამარადისო!
- ჩვენი ძმობა, უკუნისამდე!
- ამინ!

თქვა ბოლოს და თასიდან არაყი მოსვა. მერე არწივს შეასვა ერთი ყლუბი. დარჩენილი არაყით ჭრილობა მობანა,

შეუხვია, გარეთ გაიყვანა და გაუშვა თოვდა.

არწივი კარგა ხანს უვლიდა წრეს ბუბუნაურთა კოშკების მაღლა.

თოვდა. მერე ნება-ნება ჩამოლამდა. რამდენჯერმე ხმამაღლა დაიყვინძა არწივმა და ჭიუხებისაკენ გაფრინდა.



ამ გაზაფხულზე ცამეტი წელი შეუსრულდა გიგია ბუბუნაურს.

იეზით მოჩითული გაზაფხული მაღლა მთებისაკენ ეძახოდა გიგიასა და მის ტოლ ბიჭებს.

თოფი მარტო გიგიას ეკიდა. ბიჭები აჩქარებით მიუყვებოდნენ გორის ფხას. მწვერვალზე რომ ავიდნენ დაისვენეს.

საყორნის მთებიდან მზე ამოდიოდა.

ბიჭები გულალმა იწყნენ და ცას შეჰყურებდნენ. საღლაც არწივმა დაიყვინძა. მერე ყორნებმა მორთეს ყრანტალი.

არწივმა ბიჭების თავზე მოხაზა წრე და თანდათან ქვემოთ ჩამოიწია. უცებ გიგიას ერთმა ამხანაგმა თოფს დასტაცა ხელი. გიგია უმალვე მოეგო გონს და ინსტინქტურად ჩაეკიდა თოფს. იმ ბიჭმაც გასწია.

— არწივია, ბიჭო!

— არ ესროლო! — ამის თქმალა მოსწრო გიგიამ, რომ მოულოდნელად თოფი გავარდა და გიგია ჯერ მაღლა შეხტა, მერე პირქვე დაემხო მზით განათებულ ბალახებში.

ბიჭები უხმოდ იდგნენ, ის კი, რომელსაც თოფი გაუვარდა. უცებ შებრუნდა და ღრიალით დაეშვა სოფლისკენ.

კაცებმა საკაცზე იმ გაზაფხულის ახალი ფოთლები დააყარეს და ისე მსუბუქად დაასვენეს გიგია ბუბუნაური, იმზამთრინდელი თოვლის ფიფქი რომ დაესვენებოდა ხოლმე „ადგილის დედის“ შემურულ სიპებს.

გიგიას დედა შინ არ იყო. გიგიას დისწულს, პატარა გავის, იმ დღეს

პირველად გაველო და იმის სანახავად იყო წასული.

გიგია კერისპირ დაასვენეს, სწორედ იქ, სადაც არწივს გაეფიცა ძმად. რამდენიმე კაცი ექიმის მოსაყვანად გაიქცა, მაგრამ გელარ მოუსწრო, ვერც გიგიას დედამ ნახა, როგორ დაასრულა მამაპაპურ კოშკში, კერის პირზე, ბუბუნაურების უკანასკნელმა შთამომავალმა. ძველის-ძველი და მტრიანი გვარი. იმ დღეს საბოლოოდ ჩაჩუმდნენ ბუბუნაურთა სისხლში აკივლებული ხმები: არ შავგვარცხვინო, ბალოო! დარჩა მარტო კოშკი, შემურული ქერი, კედლებზე დაკიდებული: ხმალი, ფარი, სამკლავე, ჯაჭვი, ჩაჩქანი, შემურული მშვილდ-ისარი. თავიხეზე ჩამოკიდებული კაცის რამდენიმე ჩამომხმარი მარჯვენა, ეს ძველი მოწმეები ბუბუნაურთა გვარის მტრიანი ცხოვრებისა. დარჩნენ კიდევ მთები, ადგილის დედის სალოცავი, გიგიას სოფელი, სოფლის ზემოთ სამარადისო სამყოფელი, გულამომჯდარი ღორღიანი საფლავით, ზედ დაჩოქილო რამდენიმე შავოსანი და კიდევ ერთი, გიგია ბუბუნაურის ძმადნაფიცი არწივი, რომელიც მესამე დღეს გიგიას საფლავზე დაჯდა და აღარც გაფრენილა.

ჯერ სოფლის ძაღლებმა მოინდომეს არწივის დაჩაგვრა, მაგრამ ისეთ დღეში ჩაცვივდნენ, კუდამოძებულეები ვარბოდნენ სახლებისაკენ.

იჯდა არწივი და აღარსად აღარ მიფრინავდა, ერთ დღეს კი, ის ბიჭი დაადგა თავზე კეტით, რომელსაც თოფი გაუვარდა და რაკი ამის მიზეზი არწივი იყო. შურისძიება მოინდომა. მივიდა და კეტით დაუწყო ცემა. არწივმა ჯერ ითმინა, მერე ბიჭი კლანჭებში მოიმწყვდია და ორივე თვალი ამოჰკორტნა.

გამოცვივდნენ სოფლიდან და დაჰკარეს თოფი არწივის.

ცოტა ხანს მიწაზე ეგდო, მერე ისევ გაიმართა, კაცებმა ფეხებში ჩაივდეს და წიხლებით დაუწყეს ცემა. ისევ გასწორდა, ფრთებით მიწას დაეყრდნო, ერთი საშინლად დაუბრიალა ხალხს თვალები, პირი დაალო, დაიქმინა და

გულიდან ამოღებული სისხლი ხალხს მიაფურთხა.

მერე კლანჭებით ღრმად ჩაბლუჭა გიგიას საფლავის მიწა და ზედ დააკვდა.

კაცები უხმოდ დაეშვნენ ქვემოთ. სოფლისაკენ. ქვემოდან კი შავად ჩაცმული რვა-ცხრა წლის პატარა გოგო მოდიოდა, ისე ჩუმად, თითქოს მის გარშემო მყოფი საგნებისა ეშინათ...

და ბოლოს, მინაწერი ავტორისაგან — ეექ, დედამიწავ! გაგისკდებოდა გული, რომ იცოდე. რა სევდას მგვრის, როცა შენს ბეჭებზე შავად ჩაცმულ ქართველ ქალს ვხედავ.

ღარღი № 1682

- გვარი და სახელი.
- მარტია ბუბუნაური.
- რა გადარდებს?
- მარტოობა მაღარდებს. ადამიანი ხშირად ხალხშია, მაგრამ მინც მარტოდ გრძნობს თავს. ზოგჯერ თავის თავიც ეტყობება, საკუთარ თავს გაურბის. რატომ ხდება ეს? არ ვიცი. საიდან მოვედით ან სად მივდივართ? არც ეს ვიცი.

სული

(ფილოსოფოსის რამულიდან)

- გვარი და სახელი.
- მარტია ბუბუნაური.
- როგორია სული?
- სული ნამგალსა ჰგავს, ჩაუანგება იცის ადვილად. სულს ეკიდება შენი წარსული. ხანდახან სულიც ისევე უნდა გააფხავო, როგორც მახვილს აფხავებენ ქასურით, თორე ხორცმა ხანდახან ქანგივით იცის, მოეკიდება და ჩააჩლუნგებს სულსა. ესე ყოფილა, კაცი რომ ხანში მიდის, იმისი ჯანი და ასობა მიწისაკენ იწევს, მიწა ეძახის, ეშინ ტკებება სული.

გოდამიჩი ჩოხელი

ადამიანთა სივდა

პირველი წყნა.

(მმატიანის რვეულიდან)

დეკანოზი ძალიან ნაწყენი დარჩა, რომ ბუსარქილში კაკლის ხეები არა დგას. მეგობრული სიტყვა კი მაინც კი უთხრა გამოთხოვებისას.

ჩვენ ახლა სალალოსაკენ მივდივართ. ამ სოფელზე რაღაც ცუდი ხმები მოდის და სიფრთხილეთა საჭირო. სოფელში უმრავლესობა გიყი ყოფილა და შეიძლება არც კი შევიდეთ.

მთავარსარდალმა მაინც შემოართყა ალყა სალალოს. იმათ ყურადღება არ მოგვაქციეს.

— გიყებთან კულტურა არის საჭირო, — თქვა მთავარსარდალმა და სოფელში შევიდით.

სოფლის შუაგულში გიყებს კაცი გაუკრავთ ხეზე და დანებს ჩხელეტენ. ის კაცი ჩალილავებულია, მაგრამ მაინც არა კვდება. ერთი კაცი ეხვეწება გიყებს, დაანებეთ თავიო. ისენი კი თავისას არ იშლიან.

— აქეჩეთ თოფები! — ბრძანა მთავარსარდალმა

დაიგრიალეს თოფებმა და ამ ხმაზე ერთ ადგილზე გაიყინენ გიყები.

— რატო აწვალებთ მაგ კაცს? — იკითხა სარდალმა.

— არ ამბობს და იმიტომ.

— რა უნდა თქვას?

— რაც საიჭიოს ნახა.

უცნაური ამბავი

(პატარა მოთხრობა მწერლის რვეულიდან)

ერთი წლის წინ, ბაგილა აღდიაურმა გამოიღვიძა და, რო ადგა, იმისი სული ლანდის სახით სხეულიდან გამოვიდა. სულმა სხეული გარეთ გამოიტანა და გაიხედ-გამოიხედა. სალალოელები ის-ის იყო დგებოდნენ და სამუშაოდ ემზადებოდნენ.

— ეი, მოდი თქვამ! — დაუძახა ლანდმა ხალხს.

ისენი ბაგილაის კარზე შეიკრიბნენ

და ლანდი და სხეული ცალ-ცალკე დაინახეს, ადგილზე აკანკალდნენ.

— აემ ჩემ სხეულს ხომ ხედავთ, ამას შავიტან სახლში, ზემოთავში მივყავდე და მე საიჭიოს წავალ. მანამ მოვბრუნდები, ამას ხელი არავინ ახლოთ, მიწაში არ დამარხოთ, თორემ ვაი თქვენი ბრალი.

სხეული ილღიაში ამოიჭურთა ლანდმა და სახლში კარის ზემოთ კუთხეში მიაყუდა. გამოვიდა და წავიდა...

იმ დღეს თორმეტი კაცი გაგიჟდა სალალოს. ერთი წლის მერე სული ისევ მობრუნდა, ისევ ლანდივით მოდიოდა, შევიდა სახლში, გამოიტანა თავისი სხეული, სულ ჩაკირკილაულ-ჩაჭიკიკი ბული, მზეზე გაბერტყა და ჩაძვრა შიგ. უცებ გაცოცხლდა სხეული და ისევ კაცად მაიქცა. იმ დღეს ნახევარზე მეტი სოფელი გაგიჟდა. გააკრეს ბაგილაი ხეზე და დააქვთ, ხან აწვალებენ, — გვითხარ იქ რა იყო, ან რატომ არა ჰკვდებიო. არ ამბობს. ერთი პატარა გველი ჰყავს სხეულში. დადის, დადის, ის გველი და ულოკავს ჭრილობებს. არაფრით არ ჰკლავს ბაგილას, ლოკავს და ლოკავს. ეს გველი საიჭიოს მიეცათ და ეთქვათ: წაიყვანე, სხეულში ჩაისვი და რაც არ უნდა მოგივიდეს, ეგ არ მოგკლავს, მაინც მოგარჩენსო. თუ ადამიანად ყოფნა შეგწყინდეს და აქ გამოგწიოს გულმა. გველს კული მოაწყვიტე, ამასაც ძალა დაეკარგება და შენც მოჰკვდები და ისევ აქ მოხვალო.

სცემენ გიყები, ხანჯლებსა სჩხვლეტენ, მაინც არ აწყვეტს ბაგილაი იმ გველს კულს. არ უნდა იქ წასვლა.

ვერაფრით ვერ დაიჭირეს ის გველი გიყებმა. მარტო ბაგილაის შეუძლია იმის დაჭერა.

აწვალებენ და ის ხმას არ იღებს. არიან ასე.

თავის არიდება

(მმატიანის რვეულიდან)

გიყებს ვერაფერი გავუგეთ. არც ფილოსოფია აქვთ საჩვენოდ, არც კაკლის

ხეები უდგათ. ვამჯობინეთ თავი ავა-
რიდოთ.

გეზი ათნოხისაკენ ავიდეთ და მაღალ
ბანებზე ჩქარა დროშაც ავაფრიალოთ
შხის სხივებში. იმათ უსიტყვო მორჩი-
ლება გამოაცხადეს. სულ დედაკაცებია,
ერთი კაცია მარტო. ამ კაცის დაკითხვა
დავიწყეთ პირველ რიგში.

მარჯვენა

(მშვიდის დღიურიდან)

ბოსლელმა ლენჯამ ქორწილში ათ-
ნოხელი გორიანი წაიყვანა მეჯვარედ.
ქალი ყვირილანთიდან მოიყვანეს.
ლენჯაი ქისტებში იყო მეცხვარედ მო-
რიგებული და ერთი თვის მერე იქ წა-
ვიდა. დედაკაცი ბოსელს დატოვა.

ბოსლიდან ათნოხისაკენ გზა გადადის
ტყეზე. შემოდგომა არის. ლენჯაის
ცოლს შემისწივარებები მოუგროვე-
ბია და ტვირთს იშვადებს.

გამაიარა გზაზე ათნოხელმა გორიამ,
დაიილია ნათლიდელა და მოათარა
ტყეში.

გამაიარა კაცმა და შეხედა საბელგაყ-
რილ შემის ტვირთს. იმ კაცმა თავის
გზით ჩაიარა. რამდენიმე ხნის მერე
ლენჯაის ცოლმაც იმ გზით ჩაიარა,
ტვირთმოკიდებულმა.

ხუთი წლის მერე ცოლიც ქისტებში
წაიყვანა ლენჯამ. იქაც სულ ისე იყო,
იშვიათად მიდიოდა სახლში.

— დასდგოდე სახლში, იქაც სუ შე-
წუხებულია ვიყავდი და აქაც ეგე
ხო არ...

— რა? — იკითხა ლენჯამ. — ვინ
გაწუხებდა?

— არა, არავინ მაგრამ.

— წამომყევი მთაზე და ე ბაღლაც
წამაიყვანე, — თქვა ლენჯამ.

ქალი და ბაღლი გაჰყვნენ.

მთაზე რომ ავიდნენ, წამაქცია ცო-
ლი და დააბჯინა ხანჯალი.

— იტყვი თუ არა, ვისია ეს ბაღლი.

ცოლს რა მეტი გზა ჰქონდა, უამბო
ველაფერი.

— რო არა მგავდა, მაშინვე მივხვდი,
ჩემი არ იყო, — თქვა ლენჯამ და...
საქართველოს
საზღვაო მარშალის
სამხრეთ-აღმოსავლეთი

ქალს კალთაში ჩადო ბაღლის თავი
და ქვითინით მიდიოდა თავქვე.

ლენჯაი ათნოხს მივიდა და გორიანი
იკითხა.

— ზემოთ არის, მთაზე, ცხვარში. —
უთხრა გორიანს ცოლმა.

— ხო კარგადა ხართ? — ჰკითხა
ლენჯამ.

— კარგად, ღმერთმა შენც კარგა გა-
მყოფოს, შამო სახლში, როგორ დაგვი-
ვიწყე.

— ავალ, გორიას ვნახე ბარემ და
ერთად ჩამოვალთ, — თქვა ლენჯამ და
ზემოთ წავიდა.

გორიანი არყებთან იჯდა. ლენჯამა და
იმან დიდი ამბით მოიკითხეს ერთმანე-
თი. ლენჯას პატარა ცული ეჭირა.

— ე ცული რადლა გინდა? — გაუკ-
ვირდა გორიას.

— ამ ზამთარ აქვე ვაპირებთ გადმო-
სვლას და საცოცხე მინდა მოვჭრა, —
უთხრა ლენჯამ.

გაერთვნენ ლაპარაკში.

— აბა, კარგად იყავ, — თქვა ლენჯამ
და ხელი ჩამოართვა. ცული მარცხენა-
ში ეჭირა. რო ჩამოართვა ხელი, აღარ
გაუშვა, იქვე მდგარ არყზე დაადებინა,
დაუქნია ცული და გადააჭრა მტევანი.

— კარგად იყავ, — მიუგო ლენჯამ,
წაქცეულ გორიას შარვალი ჩახადა და
წავიდა.

საღამოთი ჩამოჩნდა გორიანი სოფელ-
ში, შარვალჩახდილი მარცხენა ხელში
მარჯვენა ხელის მტევანი ეჭირა, რო-
გორლაც მოეხერხებინა და გადაჭრილ
მკლავზე ხალათი დაეხვია.

ახლაც შენახული აქვს თავისი მარჯ-
ვენა ხანდახან განოამხევეებს ხოლმე,
სკივრში აქვს შენახული.

დარღი № 1688

— აფციაური გორია.

— რა გადარღებს?

გომდრძი ჩოხელი
ადამიანთა სმედა

— ქალები მწუნობენ, ცალხელი რომ ვარ.

გორია

(მსოფლიოს რვეულიდან)

— რა უფრო გიყვარს?

— ჰე-ჰეე-ჰე, ქალი, როგორ რა მიყვარს!

— სიცოცხლე გიყვარს?

— მენა?

— ჰო.

— ბარემ მიყორს, თუ ღმერთმა მაცოცხლა.

— ღმერთი არის კაცის სულისჩამდგმელი, მაგრამ კაი კაციც ღმერთთანა დგას.

— სიცოცხლე რა არი?

— სიცოცხლე ღმერთია, ღმერთისია ერთიც და მეორეც.

— ღმერთია თუ ღმერთისია?

— ცალ-ცალკე ღმერთებია სიცოცხლე და სიკვდილი და ერთად ღმერთისებია.

— დედამიწა რას უჭერია?

— ამეს უჭერია.

— რა ამესა?

— სიყვარულსა.

— რო გითხრან, მთორეზე წამოდიო, წახვიდოდი?

— თუ კი ქალს წამომაცოლებდნენ, ბარემ კი წავიდოდი.

— რაღა დროს შენი ქალებია, დაბერდი, შენი დედაკაცი წაიყვანე.

— ამისაგან აქა მაქვს გული გამოკლული და იქ რა შევ ქვად მიზნა.

— კიი სიზმარი არცა გინახავს?

— მინახია, მაგრამ ეშმაკათავინა. ზოგჯერ ისეთ ქალებს ვეხვეოდიკე, გავიღვიძებდი და სადღაა ქალები.

— რა ქვეყანა არის სიზმარი?

— მე ვერ გეტყვი, მაგრამ, აი ძოლები რო მიწაში ყრია, სული მაინც არის, თურმე, მე მგონი, სული და სიზმარი ერთი ქვეყნისანი არიან.

— შენ ხომ წახოლ იმ ქვეყანაში?

— მეც წავალ და ყველაი წავა.

— ჰოდა, იქიდან რომ გამოგზავნიდნენ დიდი ხნის მერე აქეთ, წამოხვიდოდი?

— წამოვიდოდი, რატომაც არა.

— აქ რო აღარავინ გეცნობოდა?

— ეე, შე კაი კაცო, გაცნობას რა დიდი ამბავი უნდა, ერთ-ორ საათში ქალს რასმე გავიცნობდი და...

— მიიცა კაცო, მე ფილოსოფიურ შეკითხვებს გაძლევ და შენ ისევ ქალებს გაიძახი.

— შე კაი კაცო, შენა, ქალებზე მეტი ფილოსოფია რაღა გინდა!

— ქალების გარდა, სხვას რას ინატრებდი?

— შე მინახია, როგორ ჰყვავოდნენ იგი მიწიდან ამოჩრილ კაცის ძვლებში. სიცოცხლეში რომ ეკითხათ ამ ძვლების პატრონისათვის, რას ინატრებდიო, ალბათ ვერც ინატრებდა ასეთ რამეს. მე კი ვინატრებდი.

ბრიუფშული ლაშქრობა

(მემბატინის რვეულიდან)

შუადღეა. დეკანოზმა ათონხელთა კაცლის ხეების დათვალიერება მოათავა და ამის შემდეგ გრძელი სიტყვა წარმოთქვა.

მთავარსარდალმა ჯარი მოაწყო.

დღეს დიდი ზეიმი გველის. გუდამაყრის ხეობა მთლიანად ჩვენს ხელშია თავის კაკლებიან-ქალებიანად. დაგვრჩა მხოლოდ ერთი სოფელი — დიდებანი. ეგ სოფელია, პირველად რომ გავიურჩა, ამიტომაც შემოვიჩახეთ ბოლოსათვის, ეს მანევრია. ძალზე ჭკვიანური მანევრი. ახლა, როცა ყველა სოფელმა სათემო ხატზე და ერთგულებაზე დაგვიფიცა. დიდებათ აღარაფერი დარჩენიათ. გარდა იმისა, რომ მორჩილად შემოგვეგებნენ... ვინ იცის, ფიქრობდნენ, რომ პირველად მათ შევესეთოდით. შეცდნენ, მწარედ შეცდნენ და ლოდინმა ალბათ მორალურადაც გატეხა.

ჩვენი ლაშქარი დიდებათკე გზას ადგას. მხვერაკები წასვლას აპირებენ. მაგრამ მთავარსარდალმა გადაიფიქრა.

— მხვერაკებო, თქვენი წასვლა იქ

საჭირო აღარ არის, წადით ჩვენს სოფელში და ამცნეთ, რომ დღეს ტრიუმფით შევალთ დიდებათას და ამავე საღამოს ქეთინოს ჩოხში მოვიყვანთ, უთხარით, ქორწილისთვის გავმზადნენ. გული მიგრძნობს, რომ გზაშივე მოგვეგებებიან დიდებანი და ქალს გვაახლებენ. ერთ-ერთი თქვენგანი საზღვაო ნაწილში წადით და მოახსენეთ, რომ თევზსაცავიდან ქორწილისთვის თევზი გამოგზავნონ, გადაეცით, კალმახები აარჩიონ. ჰო, მართლა, ჩვენი ტყვე თან წაიყვანეთ და კარგად აჭამეთ. რას ვიზამთ, ჩვენი მტერია, მაგრამ ჩვენ ხომ გამარჯვებულები ვართ.

შეთე! ყოჩაღად ბიჭო! ამაღამ ქეთინოს გვერდზე მოგისვამთ.

აბა! მარჯვენისა-კენ! — შესძახა ჯარს.

— სწრაფი სვლა! — ბრძანა მერე და ჩვენ ზარების რეკვითა და სიმღერით დავიძარით დიდებთაკე. ჩვენ ჩვენი საკუთარი საბრძოლო სიმღერა გვაქვს, ჩვენივე მწერლისაგან დაწერილი. ეს სიმღერა ასეთია:

რაც არი ჩვენია,

ამერ-იმერი

ი ი ი ი ი ი ი!

— იიი — ბოლოში დიდხანს უნდა გაგრძელდეს.

შუალღის მზე მოწმენდილ ცაზე კაშკაშებს. ჩვენ სიმღერას არ მწყვეტთ. მეზარე ზარებსა რეკავს. სულ ოთხი კილომეტრიდა გვაშორებს მიზანს.

ოო, რა დადებულაა ეს წუთი! აგერ, გამოჩნდა დიდებანი.

— მივუმატეთ სიმღერას. ფეხშეწყობილად შევიდეთ სოფელში! — ბრძანა მთავარსარდალმა.

ავუგუნდა ლაშქარი. შეთე გაბადრულია.

— საღამოზე ცოლი მეყოლება! — ამბობს ის.

ზარები რეკენ. ჩვენ წინ მივიწვევთ.

აგერ, გამოჩნდნენ კიდევ. გამართლდა მთავარსარდლის წინათგრძნობა, სოფლიდან ხალხი გამოვიდა, ეტყობა, ჩვენს შესახებდრად მოდიან, თან რაღაცა მოაქვთ მძიმედ, ალბათ ძღვენი.

— ხმას აუწიეთ! — კვლავ ბრძანა მთავარსარდალმა.

სიმღერით მივიღივართ ხალხისაკენ.

ისინი შედგნენ.

რა ხდება? ტირიან? ხმით ტირიან!

— ეს სიხარულის ტირილია, უხარიათ, რომ ასეთ სახელოვან ხალხს ისევ მორჩილებაზე დაგვიფიცავენ. ან, შეიძლება, სინდისი ქენჯნით და იმიტომ ტირიან, — აგვისნა დეკანოზმა.

— სიმღერა! — იძახის ვაყი გოგი.

— ჩვენი სიმღერა იმათ ტირილს ახშობს.

— ოო, რა დიდებული წუთია, ერთნი ტირიან, მეორენი მღერაინ და სადაცაა სიმღერა ჩაახშობს ტირილს.

სულ სამი ნაბიჯიდა და...

რა ხდება?

— შესდექით! — გვიბრძანა მთავარსარდალმა.

კუბო? აი თურმე რატომ ტიროდნენ.

ქეთინო

(ნამდვილი ამავენი მწერლის რეჟისორი)

ქეთინო და მიხო მეექვსე კლასამდე ერთად სწავლობდნენ. მერე მიხომ სწავლა ფასანაურში გააგრძელა. კიტოხში, სადაც ისინი სწავლობდნენ, ექვს კლასზე მეტი აღარ იყო და მშობლებმა ქეთინოს სწავლას თავი გაანებებინეს.

იმათი სოფლები გვერდი-გვერდ არის. მიხო კიტოხელია, ქეთინო — დიდებათი.

ბალობიდანვე სულ ერთად იყვნენ და თითქმის ვეღარც კი ძლებდნენ უერთმანეთოდ. მიხო რომ სასწავლებლად წავიდა, ყოველ მეორე-მესამე დღეზე გულამაყარში მორბოდა ქეთინოს სანახავად.

— მერე?

— მერე, ნათქვამია, როგორც თოლშორა — ისე გულშორაო. მიხოს რაღაც

გოგამიჩი ჩოხელი
აღამიანთა სიმე

გულცივობა დაემართა, იშვიათადღა მოდიოდა. ბოლოს უმადლესშიც ჩააბარა და ერთი წელი აღარ გამოჩენილა. ქეთინოს კი ადრინდელზე უფრო ძლიერად შეუყვარდა მიხო და ერთ დღეს ქალაქში წავიდა მის სანახავად.

— მისამართი იცოდა?

— არა, ისე წავიდა, იქნებ შეგხვდეთ. ქუჩაში მართლა შეხვდა. მიხო დაიბნა, მიხვდა, მასაც უყვარდა და რატომღაც მაინც გულცივობა გამოიჩინა.

— წამო, კინოში წავიდეთ, — უთხრა ქეთინომ.

წავიდნენ. რიგში ჩადგნენ. მიხომ ჯიბეები მოიქექა ჩუმად და მარტო ორი ბილეთის ფული აღმოაჩნდა. „კიდევ კარგი, არ შევრცხვი“, — გაიფიქრა გულში. ქეთინომ შეამჩნია, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, ვითომ ვერაფერს მიხვდა.

— მიხო, ბილეთებს იღებ? — უკანადან დაუძახეს ვიღაც გოგოებმა. — აგვიღე რა, სამი ბილეთი.

მიხო შეიშმუშნა.

ქეთინომ, იმ გოგოებს რომ არ დაეწახათ, ისე ჩაუღო ხელში მიხოს ხუთმანეთიანი.

სენასი რომ დამთავრდა, ხმა არ ამოუღია მიხოს. ავტოსადგურამდე ისე გააცილა ქეთინო, ერთი სიტყვა არ უთქვამს. მერე უცებ აფეთქდა და თითქოს იყვირა:

— რას დამდეგ? რატომ ჩამოხვედი? ქეთინო გაშრა.

მერე ავტობუსმა გულდამყრისკენ წამოიყვანა ქეთინო.

ათი დღის შემდეგ წერილი მიიღო. ხელნაწერზე იცნო. რომ მიხო უგზავნიდა, აკანკალებულმა გახსნა და ხუთმანეთიანი შერჩა ხელში.

გვიან ღამით, მშობლებმა რომ დაიძინეს, თავებზე თოკი ჩამოაბა...

ქეთინოს საფლავი საერთო საფლავებთან არ ამოათხრევიანა სოფელმა. თავისმკვლელიაო.

ჩვენი ტრიუმფული ლაშქრობა იმის საფლავთან შეწყდა.

რომ ვმარხავდით, სწორედ იმ დროს

მოვარდა გალილეი და შორიდანვე გვიყვირა:

— სადა ხართ აქამდე, საქორწილო სუფრა მზად არის უკვე! — ახლოს რომ მოვიდა და ჩვენს გამტკნარებულ სახეებს შეხვდა, იკითხა:

სად არის ქეთინო?

— ის არის, მიწას რომ აყრიან, — აჩვენა შეთემ.

— რას შვრებით, თქვენი დედა ვატირე, ვის აყრით მიწას! — დაიღრიალა გალილეიმ და გვეცა. რაც კი ხელში მოხვდა, არ გვარიდებდა.

მერე რამდენიმე კაცმა ძალით წაათრია იქიდან.

— წაგასლევთ თავებს! — გვიყვიროდა გზიდან.

ქეთინოს საფლავი შავ წერტილად დააჩნდა თოვლით გადათეთრებულ გულდამყარს.

ჩვენ უხმოდ შემოვბრუნდით და ასევე მდუმარედ მივედით ჩოხში.

ტყვე იმავე საღამოს გავათავისუფლეთ. მთავარსარდალმა კმზვერაგები გაგზავნა საზღვაო ნაწილის მოსახსენელად.

იმის მერე აღარც გაზაფხულს დაუგვიანია დიდხანს. საზამთროდ წასულმა მეცხვარეებმა ცხვრის ფარები მორეკეს და ახშიანდა გულდამყარის ხეობა. ბარში ჩასახლებული ხალხიც საზაფხულოდ მობრუნდა უკან.

აბტორისაგან

ბებიაჩემი, ვინც ეს ჩანაწერები შემოინახა, შარშანწინ დავასაფლავეთ. უმეტესი ნაწილი „გულდამყარელი მოლაშქრეებისა“ დღესაც ცოცხალია, ხოლო რაც შეეხება გამიხარდას, თურმე ყოველდღე მთა-წვერთ მოსდევდა ზურგზე გულდამოკრდებულო. გულაში გულდამყარელთა დარდები ეწყო და ხან რომელ მთის წვერზე აღამებდა, ხან რომელზე. ამბობდა, ღმერთებს სიმაღლეები უყვართ და შეიძლება რომელიმე მთის წვერზე დამხვდესო.

შენენათ მეცხვარეებს, ერთ მეცხვარეს მთლად თეთრი ტანპაცმელი ჩააც-

ვეს, მატყლის წვერი გაუქეთეს და ვითომ ღმერთი იყო, გამიხარდას დაუხვეს მაღალი მთის წვერზე.

გამიხარდამ შორიდანვე დაინახა თეთრტანსაცმლიანი და მუხლისჩოჩით მივიდა „ღმერთთან“.

— დიდება შენდა, ღმერთო! — უთქვამს მისვლისას.

— რამ შეგაწუხა? — ჰკითხა „ღმერთმა“.

— ღმერთო, აი ეს გულა გუდამაყრელების დარდებითა მაქვს სახვე, გაგვიქარვე, აგრეც დაილოცები! — გამიხარდამ გულა მოიხსნა.

— ოო! — ამოიხრა მწყემსმა, — ეს ძალიან ბევრია და მოდი, ერთ რამეზე შევთანხმდეთ: ამოარჩიე მაგ დარდებიდან ერთი, რომელიც უფრო გულით გინდა, რომ გაგიქარვოთ და გაგიქარვებთ, მეტს კი ნულარ მთხოვ.

მაშინ გამიხარდას აი ეს დარდი ამოუარჩევია გულიდან:

ღარღი № 1

— გვარი და სახელი.

— გიორგი ბეჭაური.

— რა გადარდებს?

— ამბობენ ომი იწყება,

კრფენ სამხედრო ძალებსა.

დაჰბუგავენ დედამიწასა.

ჩამოაგდებენ მთვარესა.

მწყემსს ეს დარდი წაეკითხნა, გამიხარდასთვის მხარზე ხელი დაედო და ეთქვა:

ამ დარდს აუცილებლად გაგიქარვებთო. დანარჩენი დარდები ისევ უკან წამოვლო გამიხარდას და იმის მერე გალაღებული დადიოდა თურმე — რაკი იმ დარდს გაგვიქარვებს ღმერთი, ჯანდაბას დანარჩენი დარდები, დარჩეს ისიც ჩვენთანაო.

მოლაშქრეთა მწერლის რეველში, გარედან „ადამიანთა სევდა“ რომ აწერია, არის ერთი მოთხრობა, რომელსაც ლაშქრობასთან საერთო თითქმის არაფერი აქვს, უფრო გვიან უნდა იყოს დაწერილი. მომეწონა ეს მოთხრობა და სრული სახით მომყავს აქ.

გუდამაყარში, სოფელ ჩოხის აღმოსავლეთით, დგას მთა, რომელსაც აქაურები ელიას მთას ეძახიან.

ხალხის წარმოდგენით, მთის წვერზე ღვთის საბრძანისია და აშენებული აქვს ნიში. მთის შუა ფერდზე სამანიო დაცემული. სამანს ზემოთ ღვთის ადგილია, საამანს ქვემოთ კიდევ, — ეშმაკებისა, რომელიც ღრმა ხევში იკარგება.

ყოველ წელიწადს ციკანსა კლავენ ნიშთან. დასტურები მთის წვეროდან თავმოპირილ ციკანს გადმოისვრიან ქვემოთ. ხალხი ცდილობს, სამანს ზემოთ, ღვთის კუთვნილ ადგილში დაიჭირონ მთიდან დაგორებული ციკანი და თუ ეს შეძლეს, ხარშავენ ხორცს და თითო წილს აჭმევენ ყველას.

თუ ციკანი სამანს გადაუცდათ, მაშინ იგი „ეშმაკების წილია“, თავს ანებებენ და დაღონებულები მიდიან შინ.

გათენდა. გუდამაყარის ხეობაში პირველი მზის სხივი ჩამოვდა, არაგვის ნაპირზე გრძლად გაწოლილი ნისლი ორად გაწყდა, ერთი ნახევარი ელიას მთის ფერდს აღმა აუყვია, მეორე ნახევარი კი ისევ ხეობაში დარჩა, არაგვს გადაეფარა, ჩაიწეწა, ჩაიწეწა და ჩაქრა.

მზემ გაანათა გუდამაყარის ხეობა.

ჩოხის წმინდა გიორგის სალოცავში დილიდანვე იწყო ხალხმა მოღენა. ამოვიდა ბიბლაი. ხმელ-ხმელი ყებებოგრეხილი დეკანოზი. ამოვიდა ომართ სანდრუაი, ამოვიდა შუღლიანთ ზორაი, იმათ მოჰყვენენ ქორაი, გამიხარდაი, ბიბლაი, შეთე, ბასაი, მწარიი, ჭიკყაი, ჯღუნაი, ტატაი, მერე და მერე კი განუწყვეტლად იწყეს ჩოხლებმა მოსვლა. მოვიდოდნენ გორზე; მოიყრიდნენ მუხლს; პირჯვარს გადაიწერდნენ. მიწას სამჯერ ემთხვეოდნენ და ამის შემდეგ საჯაროში სხდებოდნენ. ქალები კი ხატის ქვემოთ, სამანთან ჩერდებოდნენ, იქ ილოცებოდნენ და სხვა ქალებს უტრთებოდნენ.

გოდამაყარის ხეობა
ადამიანთა სევდა

თემის კანონებით, ქალებს ეკრძალებათ ხატის გორაზე ფეხის დადგმა, იქ მხოლოდ კაცები მიდიან და ისიც მარტო დღეობის დღეს, უდღეოდ დღეს ისინიც ერიდებიან ხატის მოედანის შელახვას.

ამოვიდა ბერი, დაილოცა, მიწას სამჯერ ემთხვია და ხალხთან მივიდა.

— წყალობათ ხატისა! — თქვა ბერმა.

— შენიმც მწყალობელია, — უპასუხა ხალხმა.

ჯღუწამ ლუდიანი თასი მიაწოდა ბერს. ბერმა თასი ჩამოართვა, დაილოცა და დალია.

— ბერო, წელს ხო იცი. შენ უნდა დაკლა ციკანი, შენი რიგია. — უთხრა ბიბლამ.

— |ვიცი, — |მიუგო ბერმა. — ბაღლი გავგზავნე მთაში ჩამოსაყვანად.

— ნუ დავაგვიანებთ, — თქვა ბიბლამ და წამოდგა. უველანი მას მიაჩერდნენ. ამ მოხუცს ისეთი სასიამოვნო გარეგნობა ჰქონდა, ძნელად მოსწყვეტდა კაცი თვალს. მაღალი იყო, ხმელი, მარტო ყბები ჰქონდა როგორც მრუდედ მოგრებილი და ეს უფრო ამკვეთრებდა მის იხედაც მკაცრ გამომეტყველებას.

სოფლის ზემოთ პატარა ბიჭი გამოჩნდა. მხრებზე თეთრი ციკანი მოედლო. მოვიდა და ბერის ახლოს დადგა. ციკანმა თვა აულოკა დაღლილ ბიჭს, მერე ხალხს მოავლო თვალები და დაიკიკინა.

— აბა, მოვკრიბოთ სანთლები. ნულა დავყოვნდებით! — უხმო დასტურებს დეკანოზმა.

დასტურებმა ხალხს ჩამოუარეს და სამ-სამი სანთელი გამოართვეს:

- სწყალობდეს ბერსა!
- სწყალობდეს ჯღუწასა!
- სწყალობდეს მარტიასა!
- სწყალობდეს ქორასა! — გაიძახოდნენ დასტურები ხმამაღლა და სანთლებს ჰკრეფდნენ.

— აბა, წავედით! — თქვა ბიბლამ. წერილი ზარებით მორთული დროშა მხარზე გაიდო და ხალხს ელიას მთისკენ წაუძღვა. მარტო დედაკაცი დარჩნენ თავის ადგილზე. ფეხზე წამოდგნენ

და ისე გაჰყურებდნენ მთის ფერდზე მიმავალ ხალხს, რომელთაც სულ წინ მხრებზე ციკანმოკიდებული თორმეტობე წლის ბიჭი მიუძღვებოდა, იმას უკან დეკანოზი მისდევდა ზარ-ბაჟურაყის ელრიალით, ხოლო მოშორებით დასტურები და სხვა ჩოხლები მიჰყვებოდნენ.

დეკანოზმა ბიჭს უბრძანა, დაწინაურებულიყო და მთის წვერზე მიეყვანა ციკანი. ბიჭი სწრაფად წავიდა. დეკანოზმა სამანს ზემოთ დაამწკრივა ხალხი და ავითონაც მთის წვერისაკენ აუყვავა აღმართს.

ბიჭი დეკანოზის მოსვლას ელოდებოდა ნიშთან. ციკანი წინა ფეხით ეჭირა და ეალერსებოდა. თოვლივით თეთრი იყო პატარა ციკანი, ცასავით ლურჯი თვალები ჰქონდა, ბიჭს ლოყაზე ენით ლოყავდა და თითქოს ელაპარაკებოდა, რაღაცას კიკინებდა.

დეკანოზი თანდათან ახლოვდებოდა. ელიას მთის წვერზე, ნიშანთან. უამრავი ციკნის თავი ეყარა. ზოგი დროთაშვალს უკვე ნაფშვენებად ექცია, ზოგს კი ჯერ ისევ შერჩენოდა თავის ფორმა. წესი იყო, მოჭრილი თავების აქ დატოვება და, რადგან მაღალი მთა იყო, ეტყობა, ნადირიც ერიდებოდა აქ ამოსვლას. მარტო ყვავ-ყონები თუ ჩამოხდებოდნენ ხანდახან. ისინი აქვე ჰამდნენ ლეშს. და ძვლებსაც აქვე სტოვებდნენ. ამიტომ დოთთა განმავლობაში იმდენი ძვალი დაგროვილიყო, შემოქმედნი რომ ხელახლა მოენდომებინა იმ ციკნის თავებისათვის სულის ჩაბერვა და იმ თავებს რომ ერთად შეეებლავათ ცისათვის, ალბათ ცა გაიხეოდა ცოდვით. დღეს კიდევ ერთი თავი უნდა შემეტებოდა ამ გამოხრულ ძვლებს.

დეკანოზი მთაზე ავიდა. დაიჩოქა და ისევ სამჯერ ემთხვია მიწას. მერე წამოდგა, ქვემოთ რომ შეაკროვეს დასტურებმა. ის სანთლები ანთო და კარგა ხანს ილოცებოდა. ეხვეწებოდა ელიას, შენმა ძალამ კარვად ამყოფოს ჩოხლების გვარი. სეტყვა და ქარიშხალი აარიდოს, ქვეს საგორავი ამოროს, წარღვნას ნუ მოუვლენსო...

ბიჭი იდგა, ცალი ხელით ციკანი ეჭი-
რა და წელში ოდნავ მოხრილი უსმენდა.

ბიბლამ ლოცვა დაასრულა, სანთლები
შემურულ ნიშის ქვებზე მიაკრა და ხან-
ჯალი ამოსწია. ბიჭმა ციკანი წამოაქ-
ცია, ორივე ხელით ფეხები დაუჭირა და
მერე, როცა დეკანოზმა ციკანს თავი
გადაუწვია, რომ ხანჯალი მარჯვენდ გადა-
ესვა, ბიჭმა განზე გაიხედა. ახლა ის
მარტო მოპირდაპირე მთის წვერს ხე-
დავდა და მთელი სხეულით გრძობდა,
როგორ ჭრიდა დეკანოზი თავს ციკანს.
მერე თავმოჭრილი ციკანი აფართხალ-
და და ბიჭმა ხელები გაუშვა.

დეკანოზმა ციკანის თავი ნიშზე ჩა-
მოაგო, მერე თავმოჭრილი სხეული აი-
ლო, ქვემოთ, ხალხისაყენ გადაისროლა
და ხმაილლა დაიძახა:

— ელისაა და ზაქარიას გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს! — დაიძახა ხალხმა
ქვემოდან და ციკანის დასაქერად აღმა
გამოიქცნენ. ეშინოდათ, სამანს არ გადა-
გვიცდეს, თორემ ვეღარა ვჭამთო. მარ-
თლა მალევე დაიჭირეს და დეკანოზს
დაელოდნენ.

— წავიდეთ, — უთხრა ბიბლამ ბიჭს,
რომელიც გაშტერებული უყურებდა
ნიშზე ჩამოვებულ ციკანის თავს. თავი
თვალებს ახამხამებდა.

— წავიდეთ, რალას უყურებ! — გაუ-
მეორა ბიბლამ.

— არ კვდება, — თქვა ბიჭმა.

— მოკვდება, მა რას იზამს! — ბიბ-
ლამ დროშა მხარზე გაიდო და ქვემოთ
დაეშვა. ბიჭი უკან გაჰყვა, მერე შედგა
და ყური მიუგდო.

— გაიგონე? — იკითხა ბიჭმა.

— რა?

— ციკანმა დაიკიცინა.

— მოგეჩვენა ალბათ, — თქვა დეკა-
ნოზმა, მაგრამ სწორედ ამ დროს ისევ
მოისმა ციკანის ხმა. შემობრუნდნენ და
მოჭრილ თავს დააშტერდნენ.

თავს წვეთ-წვეთად ჩამოსდიოდა სის-
ხლი. ისევე გაშტერებული თვლებით
უყურებდა ბიჭსა და დეკანოზს, დრო-
დადრო თვალებს დაახამხამებდა და

უწყლობით გამშრალ ენას ჰაერში ალი-
ვლივებდა. ქვებზე მიკრულ სანთლებს
ტკრციალი გაჰქონდა, ზედ სისხლას
წვეთები ეცემოდა და შიშხინებდა. იჭი-
აქა მიმოყრილი ძვლები სისხლით იყო
გათხუპნული. ციკანის თავი ისევ
მიშტერებოდა ბიჭსა და დეკანოზს.

— რატო არა კვდება? — იკითხა ბიჭ-
მა.

— ხანდახან ეგრე იცის, იგვიანებს,
სანამ სიკვდილი არ მოაკითხავს, — მიუ-
გო დეკანოზმა.

— რო არ მოაკითხოს?

— ეგ არ შეიძლება...

— რატომ?

— ეგეთია წესი.

— სიკვდილისა და სიცოცხლის წესი,
— აუხსნა დეკანოზმა, მერე პირჯვარი
გადაიწერა და შებრუნდა. ბიჭმა ერთ-
ხელ კიდევ შეხედა ციკანის თავს, რომე-
ლიც ჰაერში ალივლივებდა უწყლო ენას
და დეკანოზს წაჰყვა. თვალბში შიში
ელდა.

ხალხთან რომ ჩამოვიდნენ, ელდა ეც-
ათ, ციკანი ისევ ფართხალებდა.

— არა კვდება, — თქვა ბერმა.

დეკანოზმა ხმა არ ამოიღო, ხალხს
წინ გაუძღვა და ხატის გორზე გავიდა.

ხალხი დიდხანს ელოდა ციკანის სიკ-
ვდილს, მაგრამ ის მაინც ფართხალებდა,
მანამ უკანასკნელი სისხლის წვეთი ელ-
და ძარღვებში, მერე ჩაწყყნარდა და ოდნ-
ავდა ფეთქავდა.

— მოკვდა, — თქვა ბერმა და გაატ-
ყავა.

ხალხი საფიხვნოში დაჯარდა და დაი-
წყო სმა. ბერმა ცეცხლზე შემოდგა ციკ-
ანის ხორცი. ჯღუნამ ქალებს ჩაუტანა
ლუდი. იმათ გარმონი დაუკრეს და ხა-
ტის გორს სასიამოვნო ყრუანტელად
დაუარა მუსიკამ. გამხიარულდნენ ჩოხ-
ლები. გააჩაღეს ცეკვა.

უცებ მუსიკა შეწყდა. მეგარმონე გო-
გომ პირველმა დაინახა მათენ მომავა-

გოდამიჩი ჩოხალი
ადამინათა სავლა

ლი საუცხოო გარეგნობის ყმაწვილი კაცი. ყველამ იქით მიიხედა, ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს დამუნჯდნენო.

მოდოდა ყმაწვილი კაცი ხატის გორისკენ, ტანზე გაზაფხულის პეპელაის ფერი სამოსელი ეცვა მსუბუქად, ქერა კულულები მხრებზე ეყარა. მივიდა, გორზე მუხლი მოიყარა, მიწას სამჯერ აეოცა, ადგა, ხალხთან მივიდა და თქვა:

— წყალობათ ხატისა!

— შენიმც მწყალობელია, — ამოღერდეს აქეთ-იქიდან უცნობის სილამაზით დატყვევებულებმა.

— მიმიღებთ? — იკითხა მოსულმა და რომ გაიღიმა, ისეთი სიკეთით გაუნათდა სახე, ყველას ღიმილი მოეფინა.

— მიგიღებთ, რატომ არა, სტუმარი ღვთისაა, — დაიძახეს გაბედულად და საუფროსოსკენ მიიპატიჟეს.

— აქეთ; აქეთ!

მიიყვანეს და დეკანოზის გვერდით დასვეს. ჭლუნამ თასით ლუდი მოართვა. სტუმარმა თასი ჩამოართვა და დაილოცა:

— გაგიმარჯოთ, ჩოხლებო, კარგად იყვენით, სიკეთე და სიყვარული ნუ მოგიშალოთ ღმერთმა.

— ეგრევე შენა, — დაიძახეს აქეთ-იქითიდან. იმან დიდი სიამოვნებით მოიყუდა თასი და რომ გამოცალა, ისევ გაიღიმა.

— სანამ ხორცს მოვიტანდეთ, პურაი შეჭამე. — ჭადისკვერი მიაწოდა დეკანოზმა.

— გმადლობთ, — ისევ თავაზიანად თქვა უცნობამა. ხალხი დააბნია ამ თავაზიანობამ. მერე ბერმა მოხარშული ხორცი მოიტანა ზონჩით და სუფრაზე ჩამოდგა. ცხელი ოხშივარი ასდიოდა ხორცს.

— აბა, დაგვილივე სტუმარო! — ყანწით არაყი გაუწოდა ჭლუნამ... იმან გამოართვა, დაილოცა და ყანწი ისევ უკან გაუწოდა.

— დალიე!

— არა ვარ მიჩვეული, შერ დავლევე.

— როგორ, კაცი არა ხარ, ერთ ყანწს

როგორ ვერ დალევე, გაცნობისა, შამოსწრებისა.

სტუმარმა ყანწი მოიყუდა და სახის გამომეტყველებაზე ეტყობოდა, როგორ უჭირდა დალევა.

— ხორცი აიღე, — უთხრა ბერმა.

— არა, ხორცს არა ვჭამ, — იუარა და ისევ ჭადას დაეწოდა.

აქ მყოფთ ეს განცხადება გაუჟვირდათ. ისინი ისე გულიანად ილუქებოდნენ ციკნის ხორცს, რომ ვერ წარმოედგინათ, რატომ ამბობდა სტუმარი ასეთ სიამოვნებაზე უარს.

გაჩაღდა სმა-ჭამა. ყანწებს-ყანწებზე სცილიდნენ ჩოხლები და არაყსა და ლუდს თანდათან თავისი გაჰქონდა. სტუმარსაც აძალებდნენ, მაგრამ ის სმას ერიდებოდა.

ქვემოთ მყოფ ქალებს ისე მოეწონათ სტუმარი, სულ გადააფიწყდათ, სამანს ქვემოთ რომ უნდა ყოფილიყვნენ. ახლოს მივიდნენ, რომ უფრო კარგად დაეკვლიათ მოსულის სილამაზე. ეს შეამჩნია დეკანოზმა, წამოდგა, ბაუტრაყი შეაქვრივალა და ამით ქალებს ანიშნა, ქვემოთ ჩასულიყვნენ. იმათ ჩუმი ჩურჩულით ჩაიწიეს სამანს ქვემოთ და ცეკვა გააჩაღეს.

კაცები უკვე კარგა იყვნენ მთვრალეები. მღეროდნენ. ახლა უფრო დააძალებს სტუმარს არაყი, მაგრამ იმან მეტი აღარ დალია, მარტო დაილოცა და ყანწი ისევ ჭლუნას გაუწოდა.

— მე შენი საქციელი არ მამწონს, — უთხრა ჭლუნამ და საჩხუბრად აიფხორა.

— ჭლუნავ! — დაუძახა ბერმა.

— რა გინდა?

— სცდები, ჭლუნავ! — თქვა ბერმა და სტუმარსა და ჭლუნას შუაში ჩაუღდა.

— მე ჩემი მითქვია და ვიტყვი კიდევ, ყანწი თუ გამოართვი, კიდევ უნდა დალიო, — გაიძახოდა ჭლუნაი.

ქალები ქვემოთ ცეკვავდნენ.

— ჩამოდი! ჩამოდი! — შემოსძახოდნენ ახალგაზრდებს.

— შენ არ გეწყინოს, ჭლუნამ ყველას-

თან ეგეთი ახირება იცის, — ეუბნებო-
და ბერი სტუმარს.

— არა, რატო უნდა მეწყინოს, —
თქვა სტუმარმა.

ამასობაში იმ დრომ მოაწია, როცა,
ჩვეულებისამებრ, ჩოხლებს ერთმანეთი
ძალაში უნდა გამოეცადნათ. ხატის წინ,
სწორ მოედანზე ლუდით სავსე კოდი
დადგეს და ახალგაზრდები გარშემო
შემოეხვივნენ.

იმით შორის რამდენიმემ კოდს ხელე-
ბი ჩაავლო.

— რას აპირებენ? — იკითხა სტუ-
მარმა.

— ძალას სცდიან, ვინც ძლიერია, ის
გადასწევს ამ კოდს.

— შეიძლება მეც ვცადო?

— შეიძლება, მიდი: — მიუგო ბერმა
და სტუმარი კოდთან მიიყვანა. ამ ამ-
ბაზე ისედაც ცნობისმოყვარე ჩოხლებს
გული აუჩქროლა და გარს შემოეხვი-
ვნენ კოდის გარშემო შემოწყობილ ახალ-
გაზრდებს. რომლებიც თავ-თავისკენ
ცდილობდნენ კოდის გადაწყვეას. დიდ-
ხანს არ დასჭირვებიათ ლოდინი, სტუ-
მარმა კოდი ისე მძლავრად გადასწია,
ახალგაზრდებიც თან გადაიყოლა.

ქალებში ჩურჩული ატყდა. ჯღუნაი
ისევ საჩხუბნელად აიფხორა, მაგრამ
დააწყნარეს და სტუმარის საკარგეზო
ჩამოატარეს. წესის მიხედვით, იმ კოდ-
ში მდგარი ლუდით გამარჯვებულის სა-
დღეგრძელო ისმებოდა ხოლმე.

ჯერ დეკანოზმა აიღო თასი და მანამ
ლოცვას დაიწყებდა. მოკრძალებით
თქვა:

— არ გვიწყინო კია, სტუმარს რომ
სახელს გეკითხებით, მაგრამ წესია, სა-
დღეგრძელოში შენი სახელი უნდა ით-
ქვას.

— სიკვდილი, — უპასუხა სტუმარმა.

— რაო?!

— სიკვდილი მჭკია.

ხალხი შეტყობდა გაისუსა. დეკანოზს კი-
ნალამ თასი გაუფარდა ხელიდან.

— მართლა?!

— ჰო, მართლა, — თქვა სიკვდილმა

და ისევ ისე გაიღიმა. ხალხსაც გაეღიმა
იმის სახის დანახვაზე.

— ტყუის, — გადაიხარხარა ვილაცამ.

— არა, არა ვტყუი, სიკვდილი ვარ.

— მერე აქ რა გინდა?!

— როგორ თუ რა მინდა, რომ არ მი-
ნდოდეს, ხომ არც მოვდოდი.

— თუ ძმა ხარ, ნუ გვაგვიყებ, თქვი, ვი-
ნა ხარ?!

— მე ვარ სიკვდილი, თქვენთან ადა-
მიანური ყოფა მომენატრა და იმიტომ
მოვედი, მილიონი წლების განმავლობა-
ში ერთი დღე შემიძლია ადამიანად ყო-
ფნა და სწორედ ახლა დამიღგა ეს დღე.

— თფუი ეშმაკს. თფუი ეშმაკს! —
აყაყანდა ხალხი.

— მოიცა, მომისმინეთ, არ გაინტერე-
სებთ? — თქვა სიკვდილმა. ხალხი გაჩუ-
მდა.

— დღეს მზის ჩასვლამდე მაქვს ადა-
მიანად ყოფნის ვადა. მერე ისევ სიკვ-
დილად ვიტყვევი. იცით, რატომ მოვედი?
ძალიან შენატრებით ხოლმე.

— ვიცით, ვიცით! — თქვა ჯღუნამ.

— ჯღუნავ, რამდენიც არ უნდა იბრა-
ზო, მაინც არ აგყვები, ერთი დღე მაქვს
ადამიანად ყოფნის ნება და, რა ძალა მა-
დგას. შენთან ვიჩხუბო.

— ნუ იტყუები — გაბრაზდა ჯღუნაი.

— რას ვიტყუები...

— სიკვდილი არა, ისა ხარ, აი, კირა-
კოზაი, ლაწირაკი ხარ, ვილაცა ხარ.

— რატო არა გჯერა? თუმცა, რა მნი-
შენელობა აქვს მაგას, თუ გინდა, ნუ და-
იჯერებ, მე კიდევ გამეხარდება. დღეს
ისეთი დღეა, ქვეყანაზე არცრა სულიე-
რი არ მოკვდება.

— მაშე ეს ციკანი? — თქვა ჯღუნამ და
გამოხრული ძვალი თვალწინ დაუტრია-
ლა სიკვდილს.

— ევ არ მომკვდარა.

— როგორ, ეხლა არ შავკამეთ? ვერ
დაინახე? შენ არა თქვი, ხორცს არა
ვჭამო?

— ჰო, მე ვთქვი...



— მერე?!

— მერე ის, რომ არც ეგ ციკანი მომკვდარა.

— რას მიჰქარავს ეს კაცი!

— არ შეიძლებოდა, რომ მომკვდარიყო იმიტომ, რომ დღეს მე ადამიანად მაქცია ღმერთმა და მზის ჩასვლამდე ასე იქნება, ჩემი მოკვლა შეიძლება მართლ, სხვა დანარჩენი არავის და არაფრისა. ის ციკანი კიდევ ცოცხალია და და აგერ თავი მოდის ძვლებთან...

ხალხმა იქით მიიხედა. გორდაგორ თავი მოგორავდა, სამანთან გაჩერდა, ხალხს მიაშტერდა, გამშრალი ენა გააღვივდა და დაიკიკინა. იმავე წუთს გადაგორდა და თან გაიყოლა ყველა ძვალი, რომელიც კი მის ეკუთვნოდა. კარჩხაზე ჩამოკიდებული ტყავიც თან გაჰყვა...

ხალხს შიშისაგან კანკალი მოერიო, და ენას ველარავინ ძრავდა.

— რა გაშინებთ, ხალხო. თქვენთან სამხიარულოდ მოვედი, თქვენ კი... მოდიოთ, დასხედით, დავლიოთ ჩემი საკარგებო, — ხალხი დეთანხმა და ჩამოარიგეს თასი.

— სიკვდილს გაუმარჯოს! — თქვა დეკანოზმა.

— გაუმარჯოს! გაუმარჯოს! ცოცხალ სიკვდილს გაუმარჯოს!

გამხიარულდა სიკვდილი, ყანწს ყანწზე სცლიდა და მღეროდა. ხალხი ისევ მიეჩვია. ბერს ისე შეუყვარდა, გვერდიდან აღარ სცილდებოდა, მერე მმად გაეფიცა: არყიან თასში ვერცხლი ჩათალეს და ის დალიეს.

— ამის შემდეგ ვინც შენ გაწყენინებს, მე მაწყენინებს, — უთხრა ბერმა სიკვდილს და ჯღუნაა გადახედა.

ქვემოთ ისევ ცეკვავდნენ ქალები. სიკვდილი ადგა და საცეკვაოდ ჩავიდა. ქალები ერთმანეთს აღარ აცლიდნენ მასთან ცეკვას.

დიდებათიდან ერთი შავოსანი ქალი ამოვიდა, ჯოხზე დაეყრდნო. სიკვდილს თვალი თვალში გაუყარა და ჰკითხა:

— რატომ მოკალი ჩემი ქეთინო?

— დედი, მე დღეს ერთი დღე მაქვს

ადამიანად ყოფნისა და ძალიან ნუ ჩამიმწარებ?!

— მე რომ ჩამიმწარავს ცხოვრება?!

— განა შემეძლო, არ მომეკლა?!

— არ შეგეძლო?

— სიბერემდე მაინც დაგეცადებინა.

— სიბერემდე?

— ჰო, სიბერემდე.

— არ შეიძლებოდა.

— რატომ?

— არ ვიცი, დღეს შენსავით ადამიანი ვარ და ალბათ არ შეიძლებოდა, ამას დღეს ვერ აგიხსნი.

— მაშ როდის?

— მერე...

— არ შეაგენანა?

— იცი, დღეს ყველანი მენანებით სიკვდილისათვის, ისეთი კარგები ხართ, ისე კარგია ადამიანად ყოფნა, მაგრამ, როცა ჩემს მოვალეობას ვასრულებ, მაშინ... თუმცა რომ ვითხრათ, მსიამოვნებს-მეთქი, რა აზრი აქვს.

— მერე სად მიგყვივართ ხოლმე, შვილო, ჰა?

— მაგის თქმა არ შემეძლია, დედი.

— დედა გაყავს, შვილო?

— არა.

— ობოლი ხარ?

— ჰო, ობოლი ვარ.

— მაინც რატომ გვკლავ, ჰა?

— იმიტომ რომ, სიკეთე მინდა თქვენთვის.

— ეს რა სიკეთეა, შვილო?

— აბა მაშ სუ ადამიანები ხომ არ იქნებით?

— რატომაც არა...

— არ შეაწყენინებთ?

— რო დავებრდებით, მერე რაც გინდა, ის გვიყავი.

— ყველა რომ დაებრდეთ, მაშინ სიკოცხლეს ფასი აღარ ექნება.

— ეგ ბოროტებს არის, შვილო.

— მაგრამ, წესია.

— ქრისტეს რაღას ერჩოდო?

— ეგეც სიკეთისათვის გავაკეთე. უამისოდ ვერ დანახავდით ისეთს, როგორც საჭიროა. თქვენ ეს დიდი ბოროტება გგონიათ. იცი რა, დედი, მე კი არა



გკლავთ, თვითონ ვკვდები თქვენში, თვითონ ვიტანჯები სულის გაყრისას. მე ვასრულებ იმას, რაც უნდა მოხდეს, და ყოველთვის ხდება ის, რაც მოსახდენია... აუცილებლობა კი სრულიად არ გამოირიცხავს შემთხვევითობას... მოდი, მანამ ცოცხალი ვარ, დაივიწყეთ სიკვდილი. იცით, თუ გინდათ. ერთ სიიღუმლოს გეტყვი: დღეს მართო ჩემი მოკვლა შეგიძლიათ, თუ მომკლავთ, აღარასოდეს მოკვდებით, მაგრამ ამას ნუ იზამთ, უჩემოდ გაგიპირდებათ სიცოცხლე, აღარც სიყვარული გექნებათ, აღარც სიხარული... დრო მიდის, მოდი, ვიცეკვოთ, დაუპა-რიო!

გოგობებმა გარმონი დაუკრეს და მე-რე ისეთი ცეკვა გააჩაღეს, თვითონ დღემიწაც კი აცეკვდა. ხატის გორზე რამდენიმე კაცი საიდუმლოდ ჩურჩულებდა.

ცეკვავდა სიკვდილი. დროდადრო მზეს განედავდა და გული წყდებოდა, რომ ჩასვლამდე დიდი მანძილი აღარ ჰქონდა მზეს. ბერი გვერდიდან არ შორდებოდა ძმადნაფიცს. პატარა ბალები ყვირილ-ხვილით გარს უვლდნენ. გულიანად იცინოდა სიკვდილი. სახეზე სიკეთე გადასდიოდა.

მერე ყველა ცეკვავდა, დიდი და პატარა. რატომღაც ისეთ სიყვარულს გრძობდნენ სტუმრის მიმართ, ყველა მზესლა შეჰყურებდა სინანულით.

მართო რამდენიმე კაცი ჩურჩულე-ბდა საიდუმლოდ. იმათ შორის იყო ჯღუნიაც. მერე იმათაც ცეკვა დაიწყეს და თანდათან სიკვდილს მიუახლოვდნენ. უცებ ჯღუნამ ხანჯალი იზიშვლა და შიგ გულში ჩასცა ხელებგაწვდილ სიკვდილს, რომელიც მაშინვე მოწყვეტილ დაეშვა ძირს.

უცებ გაჩუმდა გარმონი და ხალხმა ცეკვა შეწყვიტა. ბერი ტირილით დაეკონა სიკვდილს და გულიდან ფრთხილად ამოაძრო ხანჯალი.

ჯღუნაი ხატის გორზე გარბოდა აღ-შა, ელბას მთისაკენ.

ხალხი უხმოდ დაჰყურებდა მომავლ-დავს, რომელიც ისე კეთილად უღიმ-

ოდა მათ, ძალაუნებურად ყველას გაე-ლიმა. მერე იმან ხელი ხელზე მოუჭირა აცრემლებულ ბერს, თვალები დახუჭა და ფეთქვა შეწყვიტა.

იმწუთში ყველა იქ მყოფი დიდმა სინანულმა შეიპყრო. ტიროდნენ პატ-არა ბალები. ტიროდა ბერი. იმ შავ-ოსანმა დედაბერმა ხმით დაიტერა:

— ჩვენთან რა გინდოდა, ჩემო შვილო, ჩვენთან შენნაირებს ვერ იხდენენ. აგრემც შენ სიყმეს შემოგველდი, მიწაში როგორღა მოისვენებ. შავად ჩაგეშლება ასობა... თვალმებს გველები წაგიღებენ, ნულარ მოიგონებ აქაობას, აქ შენნაირებს არ იხდენენ. არა, ჩემო შვილო, არ გვიწყინო, წადი, ჩემ შვილებთან დაიხვენე...

ხალხი ისე დალონდა, აღარ შეეძლო ამ სურათის ყურება. საჩქაროდ გათ-ხარეს მიწა და ფიცრების მაგიერ მინ-დვრის ყვავილებში ჩაასვენეს სიკვდი-ლი. მერე ზემოდანაც ყვავილები დაა-ყარეს და დიდხანს ვერავინ ბედავდა მიწის მიყრას...

მზე ნებ-ნება ჩაესვენა მთებს იქით და გულამაყრის ხეობას სიბნელე ჩა-მოებურა. მეორე დილით კი, მე თვი-თონ ვიყავ იმის მოწმე, როგორ ამოვი-და მზე, ოღონდ იქიდან კი არა, საიდ-ანაც ამოდიოდა ხოლმე, გუშინდელი საფლავიდან ამოვიდა, აიწია, აიწია და საშუალებოდ დაჯდა ცაზე.

ისევ ავტორისაგან

გულამაყრელ მოლაშქრეთა ფილოს-ოფოსის რვეულში ვნახე ქალაღლის ნაგლეჯი, რომელზეც მართო ორი კი-თხვა და ორი პასუხი წერია, არც გვა-რია, არც სახელი, არც იმ სოფლის და-სახელება, სადაც ეს არის ჩაწერილი, შუაში ვერსად ჩავსვი და ისევ ბოლო-სთვის შემოვიხანხე:

- რა არის სიცოცხლე?
- სიცოცხლე სევდა არის, ადამიან-ად ყოფნის ტბილი სევდა.
- სიკვდილი?
- სიკვდილიც სევდა არის, ადამი-ანად არყოფნის სევდა.

ჩემიანები

აი, ამ ხალხს მე ჩემიანებს ვეძახი,
 წელში ოდნავ წახრილებს და მხრებანურულებს,
 მოლაპარაკეთ სუფთა ქართულით,
 რომელიც მზის ირიბი სხივივით
 ქართლური კილოსკენ იხრება,
 ისინი ღამის მქრქალი პეპლებივით
 შეუმჩნეველი რჩებიან
 საკონცერტო დარბაზის სიჭრელეში,
 უგულოდ უსმენენ კამათს
 მუსიკოსის ღირსებასა თუ ნაკლზე,
 რადგან ამ დროს მათ ხორხში ჩატანებული
 ხმა ღვთისა თეთრი ლექსით კითხულობს
 ორღანის ანტიკურ ტრაგედიას,
 ხოლო მათ ტანში მენამული ნათურა ინთება,
 ათასსანთლიანი —

ასე ღონივრად ანათებს
 მუსიკით დაპურებული ტანი...
 შემდეგ კონცერტამდე ან წარმოდგენამდე
 ისინი მტვრიანი ოთახებში ჰაერს ისუნთქავენ
 სიგარეტისგან და ყავისგან ჩაშავებული ფილტვებით,
 მათი ოთახები სენაკებს გავს,
 ან ლოკოკინას ნიჟარას, რომელიც შეიძლება
 ზურგზე მოიგდო და ისე იარო
 და დადიან ქუჩაში ეს მუდმივი ქვეითები,
 წყევლიან მოძალებულ მანქანებს,
 ეფერებიან უპატრონო ძაღლებს,
 ცხოვრებიდან მიდიან ისე,
 როგორც ქარის წაღებულ სმელი ფოთოლი
 და არავის არ აკლდებიან...
 მაგრამ ვისაც მათი ავლადიდება ერგება,
 ერთ ფუთაში გამოკრული:
 ბუკინისტებთან ნაყიდი წიგნები,
 ნახატები, მათსავით მქრქალი კერამიკა,
 რომელზედაც ჩამოხაზულია პატინის მწვანე თმა,
 ისიც ერთი იმათგანი ხდება,
 ერთი ჩემიანთაგანი,
 მათი კასტის თუ ორდენის წევრი,
 ის ლაპარაკობს სუფთა ქართულით,
 თუმცა ეს ზღვჯერ ძალიან ჭირს,
 კედელივით აეფარება ხოლმე
 მუსიკოსს ან პოეტს,
 როცა მას სალონური კამათის ჯვარზე

უპირებენ გაკვრას
და მის ტანში მენამული ნათურა ინთება,
ათასსანთლიანი,
რომ დაინახონ, რა ღონივრად ანათებს
პოეზიით დაპურებული ტანი!
და მაინც ვინ არის იგი შენთვის?
არც ნათესავი და არც მეგობარი,
ის არც გმირია და არც წმინდანი,
უმეტეს შემთხვევაში შენ მას არც იცნობ,
მაგრამ ის შენიანია და თქვენ
ერთ ენაზე ლაპარაკობთ,
რომელიც მზის აღმაცერი სხივივით
უძველესი სამარხებისკენ იხრება,
სადაც პატინის მწვანე თმა ჩამოხაზული,
მშვენიერი და მგლოვიარე...

ქალაქის მსხვერპლი

ყოველთვის, როცა რაიმე ცუდი უნდა მოხდეს,
წერო მესიზმრება,
არა მინდორში გვირილასავით ამოსული,
არამედ ქუჩაში ცალ ფეხზე მდგარი,
როცა ერთიორად უფრო თეთრი და წაგრძელებულია,
მაგრამ მაინც ვერავინ ხედავს,
წამგებიანია მისთვის ქალაქის ფონი,
ქალაქის, რომელიც ადამიანების
და მანქანების მოძრაობაა,
ისეთი გაუთავებელი და უაზრო,
თითქოს საცერით წყალი მოგაქვს,
მაგრამ შეჩერება სიკვდილის ტოლფასია
და ვის რად უნდა
ვიღაც შერეკილის სიზმრიდან
ამოთრეული წერო თუ ადამიანი,
რომელიც წეროსავით იგრძელებს კისერს,
რომ შეამჩნიონ,
ფრთებიც თუ გაშალა,
სულაც ჯვარცმულს დაემგვანება
და გამოიწვევს ათას შეკითხვას,
გაოცებას, თანაგრძნობას...
ამიტომ ქალაღღივით უფერულ ცაზე
ყველა ფრთოსანს საშლელი უნდა გადაესვას,
რომ არ შეფერხდეს ხალხის სიარული
უკან და გვერდზე გაუხედავად,
ჰორიზონტს მიბჯენილი შუბლებით.
მაგრამ რომელიმე მათგანს რომ დაესიზმროს
ისეთი მკაფიო წერო,
თითქოს მწვანე მინდორს

გვირილა უჭირავს ხელში
და ერთი წუთით შეაჩეროს
ნაჯახივით წინ გასროლილი შუბლი,
მერე ვერასოდეს უცხოსავით ველარ ჩაუვლის
ნაკლოვანი კაცის პირმოთნეობას
და უსახურ ქალს,
რომელიც წეროსავით იგრძელებს კისერს,
რომ შეამჩნიონ,
და ახლა მასზე გამოცდის ქალაქი
ლამის ხელოვნებად ქცეულ
ვერშემჩნევის უნარს...



როცა შენი არავის ესმის,
თითქოს უცხო ენაზე ლაპარაკობ
და გგონია, რომ თვალები დაგთხარეს
და ბნელ ხაროში ჩაგაგდეს,
საკმარისია, ერთმა კაცმა შეგამჩნიოს
და მისი სიტყვები
თეთრი წვრილი ძაფივით ჩამოეკიდება სიბნელეში...
მართალია, ეს ძაფი მაშინვე განწყდება,
რომ მოეჭიდო,
ან კბილებით გაკვნეტენ ისინი,
ვინც ხაროში ჩაგაგდო,
მაგრამ სანამ შენ მას ხედავ,
თეთრ წვრილ ძაფს ამ ყიამეთში,
გეჩვენება, რომ ბავშვობის რვეულიდან
ამოხეული ქალაღდის თვითმფრინავში ზიხარ
და ფეხდაფეხ მიყვები იებს
და გინია ბრმა კაცის და მოძალადის
გააფთრებით შეეხო ყველაფერს,
რასაც წინათ მხოლოდ უყურებდი
და კმაყოფილი იყავი,
მაგრამ ახლა
ხელის მტევანი გინდა მოიკვეთო
და მიწაზე ისროლო,
რომ მიწის განცდა
ჭუჭყის შავი არშიებივით გაგიჟდეს ფრჩხილებში
და დაუბრუნო იმ კაცს სიტყვა,
ხავერდივით ღრმა და ისეთი ფერის,
თითქოს ქალაღდის თვითმფრინავში ზიხარ
და ფეხდაფეხ მიყვები იებს...
შეიძლება ამ ბოლო სიტყვამ
გადაწყვიტოს შენი ბედი
და მოგკლას კედელ და იწვები მუხის კუბოში
სათნო და მწყაზარი მკვდარი,

ჭუჭყის ვულგარული შავი არშიებით ფრჩხილებში
(მაინც შენებური გააკეთე,
ბოლო რიტუალის საზეიმო ელფერიც შეამღვრიე)
და კაცი აღარ გეყოლება კეთილმოსურნე,
რა იციან, რომ სიკვდილის წინ
მიწას ფხოჭნიდი,
ხეებს შეასკდა ქაღალდის თვითმფრინავი
და გაწყდა თეთრი წვრილი ძაფი,
ორი მარტოობის შეერთების
ბოლო შესაძლებლობა...

როცა სულ უფრო ემსგავსები ძვას

შენ შეგიძლია მშვიდად იძინო,
არ უნდა შეგანუხოს სინდისმა.
სულ პატარა წვიმამ
ჩამომრეცხა მიწის პირიდან,
როგორც სუსტი და მჭკნარი ბალან-ბულახი...
ყველაფერი აქეთკენ იყო მომართული,
ჯერ ახალგაზრდა, ფერხორციანმა დედაჩემმა
ბავშვის მაგივრად ია-ია გააჩინა
და დარდს გადაყვა,
მერე შენ დამადგი ქალაქურად მოწყენილი
და წვეტიანი თვალი
(იმ პერიოდში იმპრესიონისტებით იყავი
გატაცებული)
და იის ფურცლებში გახვეული ნექნები
ქალების ბღღვრიალა წალკოტში ჩამაგდე,
რომელიც მამაკაცური ყურადღების ქვეშ
ათასფრად ღუოდა,
მაგრამ თვალს მოაცილებდნენ თუ არა,
ქალები დედაჩემს ემსგავსებოდნენ —
თეთრად გადაპენტილი, ფაშფაშა დარდი...
რომელიც, თურმე, სასიკვდილოა,
ჩემისთანები კი დარდიან გულზე ფრენას სწავლობენ.
ავფრინდი კიდეც, მაგრამ ვიგრძენი,
რომ იისფერი ჭიბლარით
მკვდარ დედაზე ვარ გამობმული,
ბედნიერების იისფერი წამით კი შენზე
ისე მკვიდრად,
რომ ველარც ვიფრინე, ველარც ფესვი გამოვინასკვე,
და სულ პატარა წვიმამ ჩამომრეცხა
მიწის პირიდან...
ახლა ისეთი სიმშვიდეა ჩემს გარშემო...
ასწუთ სანიმუშო წესრიგში არასოდეს არ მქონია
ოთახი და სანერი მაგიდა
და სასაფლაოს მომვლელი ქალი,

ერთიანად ჩაშავებული, სხვა რა შეუძლია,
და სულ მაცვლის ბუჩქივით ყვავის,
როცა შენ ზომიანზე მეტ ფულს უტოვებ
საფლავის მისახედად
მას სჯერა, რომ ჩემი სული სამოთხეში
დაფარფატიებს ფეხების ცისფერ ლეროებზე
და ერთგულად დარაჯობს ბზის ტყეს
და აღდგომის კვერცხების მთას,
რომელსაც მე უკვე ვერასოდეს ველარ გადმოვაბიჯებ,
ქვაზე ამოტივიფრულ ფრთოსან ცხენსაც
ვერ გამოვექცევი,
(სად წაუხვალ საკუთარ სიმბოლოს?)
სულ უფრო იშვიათად ვხედავ შენს სახეს,
რომელიც თანდათან ჩემს სახეს ემგვანება,
ჩემი სახე კი სულ უფრო ემგვანება ქვას,
უბრალო ქვას,
სანამ მას მოათვინიერებდნენ
და პეგასს მიახატავდნენ...
მაგონდება
შორეულ ბავშვობაში დაწერილი ლექსი:
„როდესაც წევხარ სადღაც მიწაზე,
ხეები ჩანან უფრო მაღალი“.
ჩემი ერთადერთი უპირატესობა შენს წინაშე —
ხეები ჩანან უფრო მაღალი...



ნიგნიდან „ამერიკის დეპასაჟართან“

ვაშინგტონი. ძმათა სასაფლაო

ორასი ათასი ჯარისკაცის
ძვალი და ხორცი,
რალაა ერთად,
თუ არა და
გორაკი, ბორცვი?!
— სამომ საფლავი — სხვადასხვა დროს
დაღუპულეების...
ვდგავარ ზეგანზე,
ქალაქისკენ,
ძირს
ვიყურები:
კაპიტოლიუმს ვაშტერდები
და მერე ნელა:
მემორიალზე,
პრეზიდენტების სამარეზე
გადამაქვს მზერა,
ცოტა ქვემოთ კი
„თეთრი სახლის“
გუმბათი მოჩანს,
რომლის კენწეროს
აფერადებს
გაშლილი დროშა!
მუნიციპალი...
კონგრესი და...
ფიქრი ირევა...
ეს სასაფლაოც! —
მათია, ვინც
მათ ეწირება!
ღმერთივით ბედი! —
ამ ქვეყანას
არ ახსოვს ნგრევა,
აქ მშვიდი კერა
კვლავ უღვივის
ადამს და ევას.
მაშ, სასაფლაო საიდან და...
სამომ რად ჰქვია?!
მემატიანე
იტყვის, ალბათ
ადრე თუ გვიან,

ადრე თუ გვიან
მართალიც ხომ დაინერება:
საიდან,
როგორ,
რატომ,
როდის,
ვის რა ენება!

მემბტიანევე,
ბრძანე დროზე
ჭეშმარიტება,

აქ, ვაშინგტონში
თალხით ბორცუკ...
რატომ ირთვება?!

შამთაღმრიცხველი
რად გვჭირდება,
როცა ნათელი

არის ისედაც
წარსულის თუ
დღეის სათქმელი;

გარე მტრისაგან,
მომხდურისგან
ყუმბარა ერთიც,

იანკთა მიწას
არ ახსოვს და...
მსხვერპლი რად ეთქმის?!

ო, ეს ქვეყანა საფსე,
საფსე ოქროთა ხვავით,
სხვათა ნანგრევთა,
მონათ გვამთა
ბორცვებზე ჰყვავის...

აი, ის სია არასრული,
სია — ომების,

აქ, ვაშინგტონში
საფლავის ჯვრებს
ზრდიან რომლებიც:

- კორეა... 1950 წელი...
- გვატემალა... 1954 წელი...
- ლიბანი... 1958 წელი...
- ვიეტნამი... 1965 წელი...
- დომინიკა... 1965 წელი...
- კამბოჯა... 1970 წელი...
- ლაოსი... 1971 წელი...
- სამშობლოსათვის დაეცნენო, —
გვარწმუნებს გიდი, —

მაგრამ სიმართლეს
ვერასოდეს დაფარავს ბინდი!

სად კორეა და სად
იანკთა შემოგარენი,
სად ლაოსი და სად
ჯორჯიის გაშლილი ველი?!
ხოლო აქ,
ახლოს წევს
უცნობი ჯარისკაცი და...
ჩემთვის დეკემბრის
ვაშინგტონში
ერთობ აცივდა!
აცივდა, რადგან
ემ უცნობი
რჩება უცნობად, —
და ამ ბრალიანს
ეძახიან,
თურმე,
უცოდველს...
ის მოჰკლეს, როგორც ბარბაროსი,
ვანდალი,
მკვლელი,
ეს მომხიბვლელი რიტუალი
საქმეს
ვით შველის?!
...შუბლზე კვლავ იკრებს
პოტომაკი
ტალღას გოლიათს,
მის ნაპირზე კი
კოშმარების პენტაგონია!..

იგორ სტრავინსკის მუსიკას ვუსმენთ

კაცის ქუდბედი აუხსნელია!
ორენბურგიდან ვენეციამდე
სხვა ქალაქებიც ხომ მოგელიან,
სად ნაკვალევი შენი ციალებს...
მრავალი ქვეყნის სასურველ ხიზანს,
ყველგან ბაჯალლო მზე
დაგრჩენია?! —
„მინის ამბორი“ — საქვეყნო ვიზად
კვლავ მოაქვს შენთან
ზღაპრულ ფერიას!
კურთხეულ იყოს უთვლელი პლასტის
სიზმრის ბგერებით მოჩუქურთმება
და მუსიკოსთა
ჭრელ-ჭრულა კასტის
მონად გახდომა —
სიტყვაუთქმელად!

როგორც ბაროკოს, ისე ბელკანტოს
ძარღვში ჩაუსხი მშიერი ვნება
და პარტიტურაც
ფეთქდება,
ნათობს,
ზოგჯერ კი
თოვლის ფიფქებად დნება!
ბიბლიურსა თუ ანტიკურ მითოსს
მაძიებელი სული აკვდება!
გისმენთ:
ეგ ხმები ჭირხლის დღეს გვითბობს —
ტყუეს აშრილებს
ჩვილთა აკვნებად!..

მისისიპი, კოლუმბის გახსენება

თოვს...
აციაგდა თოვლი —
მისისიპს ცისფრად ათოვს,
მინაზე თითქოს სომლი
პირქვე დაეცა, —
ნათობს.
მისისიპსა და მისისურს
ბევრი რამ ახსოვთ ღელვის —
მომხდურს გაჟღეტვა
ვისი სურს,
ვინ მღვდელია
ან მრევლი.
ეგ ინდიელთა მხარეა,
მიჩიგანია ახლოს, —
სარევეიმო არია
აპაჩებს ცრემლად აღხობს.
ან ესკიმოსი უმზერს
სისხლს და ფერს
როგორ კარგავს, —
კოლუმბს,
დამარხულს ხუთჯერ,
სძინავს საფლავში კარგად?!



ოქრომჭადელი—„არს კვითის ხურო“

მარტო რომ დარჩა, დაიბნა, ლამის გამოჩერჩეტდა ბერეკაცი. ყველაფერი გადაავიწყდა ამქვეყნად, წარმოიდგინეთ, სასაფლაოსკენ მიმავალი გზაც კი. ამიტომ იყო, ცოლის დასაფლავების შემდეგ ერთი ორჯერ კი მოინახულა იქაურობა ჭა მორჩა, ფეხი აღარ გაუდგამს. არც ოჯახის მისახედად მოიტოვა გონი, სხვისი შემყურე გახდა, ძმისწულის ცოლი უვლიდა, ანო, ორი ბიჭის დედა. თბილი ლუკმაც მას გადმოჰქონდა სამეზობლო ღობეზე. დაგვარეცხვაც მას ევალებოდა.

იწვა მზისყურში ბერეკაცი, მითვლემილი, ძილ-ბურანში წასული. მკრთალი, ნაცრისფერი ხაზები უტრიალებდნენ თვალწინ. ეს ხაზები სადღაც გონების უსასრულობიდან მოიწვედნენ წინ და, როცა სივრცეს გადაფარავდნენ, უსაშველო სისუსტეს გრძნობდა.

არადა, ერთ საოცრებას ამჩნევდა ალექსი, ცხოვრების შუახანა, სიჭარმაგე თუ სრულკაცობა, თითქოს სადღაც გაქრა, გაეპარა. მეხსიერებაში მხოლოდ სიყმაწვილე, ჭველებიჭობა შემორჩა. ჯაჭვის ხიდთან, საბაია ციბაძის საოქრომჭედლოში პირველად რომ შეუღეს კარი, ის მაღლიანი დღეები შერჩა გონებას.

ფიქრსა და ძრწოლაში გაჰყავდა დათვლილი დღეები...

ან საიდან უნდა დალოდებოდა მშველელს, წლებმა რაც წაიღო და მიითვალა, აღარ დააბრუნებდა უკან.

გიჟფეთიანად არასდროს უცხოვრია, არც მოსწრებაზე ყოფილა, ზოგიერთი ათი წლის სიცოცხლეს ერთ დღეს რომ შემოილევს ხელში და ამას უძახის ნამდვილს, ასეთების არაფერი აწამლა... ერჩია, ასე ნელა, შეუმჩნევლად გაეყვანა წუთისოფელი, ტკბილ-მწარედ შეჰპარვოდა სიბერე თუ ჰქნობა, ვიდრე ფართიფურთში, „გამიშვი“ და „გამაკავში“ ერთბაშად ამოხდომოდა სული. ხის ნაყოფს, უნახსა და კომშს, ჰქნობაშეპარულს, ხომ უფრო მეტი სურნელი და გემო აქვს, ასეა ნამუსით დაბერებული და ღირსებით გარემოცული კაციც. ძველი ყაიდის კაცი იყო ალექსი, ხელობაკი უფრო ძველი ჰქონდა — ოქრომჭედელი გახლდათ...

რაკი საოქრომჭედლო საქმე (აგრე ძნელად შესაღებია!) გვერდზე გადადო — თითებს ვერ იმორჩილებდა — ისევ ადამისყამდელ წიგნებს მიუბრუნდა. ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“, ამბროსი ნეკრესელის — „ქადაგებანი და მოძღვრებანი“, საერო და სასულიერო ლექსები. სულხან-საბაც თან ჰქონდა, მისი ძველისძველი ნაცნობი, მოკეთე და მოყვარე, მეტი რაღა უნდოდა...

კითხვაც სხვანაირი იცოდა, ნახევრად მთვლემარემ, ნახევრად მლოცველმა: „ანგელოზი — არს არსება გონიერი, უნივთო, დასაბამიერი და დაუსრულებადი, უსხეულო, სული ნათელი და მსწრაფლ მიმდრეკი, წინაშე ღვთისა მდგომელი“.

ამ ბოლო დროს ბიჭი შემოეჩვია მოხუცს, ლექსო, ძმის ბაღში. იგი უხარებდა დაჩაგრულ წუთისოფელს, იგი უცოცხლებდა ერთფეროვან ყოფას. ჩუმი, უენო ბიჭი იყო, რასაც იტყოდა, ძუნწად უნდა ეთქვა. რაკი თანატოლებს აგრებიად ვერ უბამდა მხარს, ისევ მოხუცთან მეგობრობას, მის გვერდით ტრიალს ამჯობინებდა.

გამხდარ, აწოწილ ბიჭს სახეზე მწიფე ხორბლისფერი გადაჰკრავდა, სარკესავით სუფთა, ნათელი თვალები ჰქონდა. ძველ ქართველებს ჰგავხარ, — ეუბნებოდა ბაბუა. — კოლხების ნაწიერსო.

საწოლი აქ გადმოიტანა ბიჭმა, სახაზავი მაგიდაც, წიგნებიც...

სალამოს, დაწოლის წინ, „სიტყვის კონას“ გადაშლის მოხუცი... „მოცოცხა“, — ძუნწად გადაუგდებს სიტყვას. „გაექუსლა“, — პასუხობს ბიჭი; „თიბვა“, — „ცელვა“; „გუნდრუი“, — „საკმეველი“; „თითისტარი“, — „ჩერია“. რაღაც უცნაურ თამაშს წააგავს მათი სიტყვა-პასუხი, ერთი იწყებს, მეორე ამთავრებს.

ისიც იცის ალექსიმ, ეს უბრალო გასართობი არაა, ყოველი სიტყვა სამუდამამოდ რჩება ბიჭის გონებაში, მაღლიანი ქართული სიტყვა!

სანამ ლექსო სკოლაშია, თვლემამეპყრობილ მოხუცს ზღაზვნით გაჰყავს დრო, დაბრუნდება და... გამოცოცხლება ქვეყანა!

გაკვეთილებს რომ მოილევს ლექსო (მეშვიდე კლასში სწავლობს), საოქრომჭედლო ყუთი მომიტანეო, დასაქმებს ბერიკაცი. ლურჯი ტარსკონის ჩემოდანს, ხელსაწყო-იარაღებით სავსეს, ჩამოაღებინებს თაროდან. ეს ყუთი ისაია ვოლოხმა ჩამოიტანა გერმანიიდან. სამ კაცს ჰქონდა ქუთაისში ამგვარი ყუთი — საამაყოდ და თავმოსაწონად. ისაია ვოლოხს — ძველ მესაათეს, იუველირსა და გრავერს. ოქრომჭედლებს: საბაია ციბაძეს და კოწია ცაგარეიშვილს. საბაიას შეგირდი

იყო ალექსი იობიძე. ყუთი ანდერძად ერგო ოსტატისაგან.

— ეს კორცვანგია! — ამოაქვს მასა, — ჩვენებურად ტყეცი, ესეც ბიხცვანგი! აგერ სისო-წერხი, ბურღი და ქლიბი... — უმცირესი და უზუსტესი ხელსაწყობია, — ყოველ მათგანს ეფერება და ეალერსება მოხუცი, ტკბება. მერე ფიქრში წასული რაღაც შორეულს იგონებს...

— გელათის, ნიკორწმინდის, ჯრუჰის და „სობოროს“ განძეულობა რომ აღვწერეთ, ერთი მილიონი მანეთი მოგცეს გასამრჯელოდ, — წამოიწყებს ძველისძველ ამბავს.

— აუ! — ხტის ბიჭი.

— ერთ ბათმან ლობიოს იყიდდი იმ მილიონით.

— ლობიოს? — იოცებს ლექსო.

— ბონი იყო...

— როდის იყო ეს?

— მენშევიკები რომ გაიქტენენ... იმ წელს... — არ დაამთავრა.

— ყველაფერს თავი დავანებოთ, — ყოველ სალამოს შეგონებასავით იწყებს ბერიკაცი: — გამდიდრებულა, ფულში აცურებული ოქრომჭედელი არავის უნახავს. მის ხელში უთვალავი ნივთი გაივლის, ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი, გაივლის და წავა, შეჩერება არ უწყერია... ოქრომჭედელი ხელოსანი კაცია და თავისი შრომით უნდა გაიტანოს წუთისოფელი. თავისი ოსტატობით, კაცურკაცობით უნდა შემოიკრიბოს მუშტარა. გახსოვდეს, მხოლოდ გულთ ნაკეთებ საქმეს ვერაფერს აკლებს დრო, თორემ...

ჩუმდება ბერიკაცი, თითქოს რაღაც იმაზე მეტი წასცდა, რის გამხელასაც აპირებდა.

კარგა ხანია ჭიშკრის ჭრიალი არ გაუჯონია ალექსისს. არც ნაბიჯის ხმა. ვარდის შტოები მოეძალა ეზოს, გადამწვანდა დაფნარი. რაკი მიმსვლელ-მომსვლელმა იკლო, ბუნება გადაირია, გადაბაღჩდა.

მეორე წელია არ გაუსხლავს ალექსის, რაც უფრო იბურებოდა ეზო, მით უფრო სიამოვნებდა. სიმყუდროვე თვლემას ჰგვრიდა, თვლენა ცნობისწადილს უკარგავდა და მერე ჩუმი, შემბარავი ნაბიჯით მოვიდოდა სიკვდილი.

იმ დღეს ანოს უფროსი ვაჟი თენგულა ეწვია მანქანით. გუგუნით, ხმაურით, აღრიალებული მუსიკით მოასკდა ჭიშკარს.

— ეპეი, ალექსი ძველო!

ამ ბოლო დროს მთლად თავხედი და სულგაფრენილი გახდა ეს ბიჭი, დაუთრიდებლად შემოეჭრება...

— რა იყო, ბიჭო!

— მუშტარი გიშოვე.

— რა მუშტარი?!

— ჩემი უფროსის მეუღლეს რაღაც ნივთი აქვს, საიმედო ოქრომჭედელს ეძებს...

— როგორ საიმედოს?!

— ჰო, რომ არ მოჰპარონ...

— ოქრომჭედლები ნივთებს არ იპარავენ!..

— ეს ძველად...

— არც ახლა...

— კარგი ბატონო! რომ არ მიუფინაჩონ...

არ მოსწონს მოხუცს მისი მიხრამოხრა, გასაღებების რაჩხუნი, ცმუკვა. თავიდანვე ასე ღმერთგამწყრალი იყო ეს ბიჭი. არადა, მადლდათვისილ საქმეს ძნელად აეგვება მხარი, რძლის დიდი ხათრი აქვს ალექსის. გულდაუშურებელი ქალია ანო, მის ნახელავს სხვა გემო აქვს... უმადოს და ნერწყვგამწრალს პირს გაგისნის... გემრიელ ლუქმას გადაგაყლაპებს...

ჰოდა, ის ლუქმა ახლა გულზე ადგა ამ ბიჭის გადამიედეს... გახედა — დაბალი, ჩაფსკენილი, ქუთუთოებშესიებული...

ცოლიც თავის ჭკუაზე შეირთო თენგულამ, არავის დაეკითხა. ორჯერ მეტად არ სტუმრებიათ რძალი. დედაჩემს ერთადერთი ვყავარო, — და განზე გაუდგა ოჯახს. თუ ფეხი მოუცდა, მიეფეთება ანო, მიესიყვარულება —

დარჩი, შვილო, ცოტა ხანსო, — თხოვნა შენც არ მომიკვდე, სად მცალიათ, — აბზეგს ცხვირს. ნეტავ რა ცალი ჰკილია, სწავლით არ სწავლობს, მუშაობით არ მუშაობს...

— წამო, ალექსი, სიმდიდრე ყელამდე, ხელის ჭუჭყი საქმაოდ... სადღაც შენი ნახელავი უნახავთ და წამჭამეს ტვინი... წამო!

— ველარ ვმუშაობ... დავბერდი.

— დაბერდი არა, ხომ გაგიგონია, ბებერი ხარის რქაცა ხნავსო...

— მომეწვი, ბიჭო, ეგერ, ახალ ხილთან, რამდენიც გინდა, იმდენი არიან (არც ერთ მათგანს ოქრომჭედლად არ თვლიდა ძველი ოსტატი)...

— ოჰ! იმათთან არა...

— რატომ, ვითომ?..

— საიმედო კაცს ეძებს...

— რა ნივთია?

— მგონი ძეწკვია, არ მინახავს. დამაბარა, აქ მოვიდესო...

— ოქრომჭედლები სახლში არ აკითხავენ მუშტრებს.

უხზოდ იწყო ალექსიმ ჩაცმა. ცოტა ნაწყენი ჩანდა. თითები უკანკალეზბდა.



...ახსოვს, ბაგრატის ტაძრის აღდგენითი სამუშაოები რომ დაიწყო ქუთაისში. ჯერ ეზო მოასუფთავეს, ქვალორდი გაიტანეს, ახლომანლო ოდროჩოლორ ადგილები ამოავსეს. რამდენმა ვინმემ გაიარა იმ გზაზე, ფეხით თუ მანქანით, მაგრამ არაბული მონეტა-ალთუნისთვის არავის დაუდგამს თვალი. რაც სხვებისათვის შეუმჩნეველი იყო, მისთვის თვალდასატანი აღმოჩნდა. უმალ მუზეუმში მიიტანა. ზედწერილობაც იქ ამოიკითხეს: „სულთანი მფლობელი ხმელეთისა, მპყრობელი ზღვებისა, სულთანი ძე სულთანისა“. მოჭრის თარიღიც დაადგინეს — 1453 წელი. ექვსი გრამი სუფ-

ლილა მისი
იპროვაიდილი — „არს კვეთის ხარო“



თა ოქრო გამოვიდა, თავად აწონა ალექსიმ.

რამ გაახსენა ეს?!

მოწიწებით შეუღო მანქანის კარი თენგულამ, ფანჯრები ჩახურა. „არ გამოცივდე, ჩემო შუშა-ოქრო“, — მიუთილისმა.

სიბერეში უხალისო ხდება კაცი, მანქანის კუთხეში მიყუთული ალექსი, თითქოს დაბატარავდა, დაილია. მანქანა მიქროდა... ისევ ძველ საფექრალს მიუბრუნდა ალექსი... თამარ მეფის მეჭურჭლეთუხუცესი იყო აბულასან იობისძე (იმ დიდი წინაპრის შთამომავლად მიაჩნდა თავი მოხუცს). იობიძეები — ოქრომქედენი, მოსამართლენი და მეისტორიენი იყვნენ წინათ. ზევით, გორაზე ცხოვრობდნენ, გოქოთურასა და თეთრამიწის ფერდობს შუა...

ცრუ საქმიანობა, ფუყე ადგილი არასდროს ყვარებიათ, მუღამ ნადღსა და უცილობელს მიელტვოდნენ. შრომას ერთგულად ეუბიდებოდნენ. კუდის ქიციანი და მიეთმოეთი არ სჩვეოდათ... ეს ბიჭი ვის დაემგვანაო? გახედა თენგულას.

გააწვალა ფექრმა. ამიტომ იყო, ხეირიანად არც გაუგია, საით მიქროდა მანქანა, რომელ დაღმართს ჩაჰყვა, რომელ ქუჩას გასდია. „ნეტავი ლექსო წამომეყვანა“, — გაუღღვა წამით.

ამ ბოლო დროს ერთი სურვილი მოეძალა ალექსის, ცოტა მუხლმომაგრებულად რომ იგრძნობდა თავს, ლექსოსთან ერთად სურდა შემოეარა მშობლიური ქალაქი. ცალ ხელში ბზის ჯოხს დაიბჯენდა, მეორეთი იმ ჯოხივით ეგრკეტა ბიჭს დაეყრდნობოდა და ასე, ნება-ნება გაუყვებოდა გზას. უპირველესად, ჯაჭვის ხიდის გასაყართან ლეჩხუმლებსა და რაჭველებს მოინახულებდა. სათითაოდ შეათვალეირებდა მგზავრებს, რაც თავი ახსოვს, ნიგვზის, ვაშლის და თაფლის სურნელი რომ ასდით კაბა-ჭუბაზე.

ალექსის მამა-პაპანი რაჭველები იყვნენ, მრავალძალი ერქვა მათ სოფელს.

იობიძეები სახლობდნენ გიორგის თეთრი ეკლესია იდს სოფელში. თამარ მეფეს წყვილი ხარი შეუწირავს თურმე ეკლესიისთვის. გალავანზე ახლაც მოჩანს ხარის თავები, წიწილა რქებით. რალაც წარმართული იგრძნობა მათში.

ემა მივიწყებულის გახსენება.

ჯაჭვის ხიდს მიუახლოვდა მანქანა, რიონის პირას, სილაში, ბიჭები გორაობდნენ, სტევენდნენ, ჭიდაობდნენ. კლდიდან წყალში ხტებოდნენ მზეზე გახუხული, ხიოჭა ბიჭები!..

მერე ხალხით გადაჭედელ ქუჩას გაჰყვნენ. ფერად-ფერადმა სამოსმა, ზრიალა ხმებმა დაღალა მოხუცი. იგრძნო ალექსიმ, ნამეტანი დიდხანს მოუწია ბერულმა ცხოვრებამ, ხელში დათვლილი დღეებიღა შერჩენოდა და ასე მისამალ-მისაკარგავად სად ეცალა?! ვინ შემოაბრუნებდა უკან, რომელი მამაზეციერი?!

მიჰქროდა მანქანა. აგერ ბულვარი, გიმნაზიის შენობა... ყველაფერი სხვაგვარი ჩანდა, ხალხიც, ქუჩებიც. სად წავიდნენ ის ძველი, დარბაისელი ქუთათურები, მისი ნაცნობები?!



...გელათის, მოწამეთის, ჯრუჭის, „სობოროს“, ნიკორწმინდის ეკლესიების საგანძურის აღწერა-შეფასებაში ოქრომქედლებთან ერთად „მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დებუტატების“ წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

ცალ-ცალობით გადმოჰქონდათ ნივთები: ტყავზე ნაწერი სახარებები, ვერცხლის შანდლები, აღმასებით მოჭედული ჯვრები, ზომლი ვერცხლისა, ბარძიმი, ამფორა, ბისონი, ოქროს ხატები — მარგალიტით, ფირუზით, იაგუნდით მოჭედილი, ვერცხლის ზარები (მერე ის ზარები სკოლებს გადაეცა).

იწონებოდა ოქრო, ვერცხლი...

ისაია ვოლოხი მთავარ შემფასებლად მიეწვიათ. უცნაური ფერი მოძა-

ლებოდა ევროპაში აღზრდილ, ცხოვრებანანახ კაცს. გოცების, დაუჯერებლობის მაცდური სხივი დასთამაშებდა ძველი ებრაელი ერის შვილს. „შეუფასებელია“, წააწერა ხახულის, გელათის, ღვთისმშობლის, პალიასტომის ხატებს...

ძვირფას თვალთა კარგი მცოდნე ისაია ვოლოხი ხუთ წუთს თუ დაიჭერდა ნივთს ხელში და... Нет цены! — იტყორდა მკვეთრი ხმით. ქართულ ოქრომჭედლობას მოეხიბლა იგი.

სალამოს, მცირე პურობაზე, ოქრომჭედლის ფეშტემალი დაულოცა ალექსის კოწია ცაგარეიშვილმა. ღმერთის ტოლი ეგონა თავი!

მანქანა გაჩერდა.

ეკლარის ქვით ნაგები ორსართულიანი სახლი თავმოწონედ, თითქოს ოდნავ წარბაზიდული იდგა ქუჩის ბოლოს. ქვეთკირით ამოშენებული ვრცელი გალავანი ეზოს მყუდროს და შეუმჩნეველს ხდიდა. ვერცხლისფრად ლაპლაპებდა სახურავი.

ვრცელ ტალანში შეზღონგები და სავარძლები მოჩანდა. მიიწვიეს და მიპყვა. საღ ჩამორჩა თენგულა. არ გაუგია.

ერთი ოთახი, მეორე... ლამის შთანთქა ავეჯმა, კარადისხელა საათის უღრიალმა მთლად დააბნია ბერიკაცი. მერე მიუთითეს და დაჯდა. დაუხვავეს და გაიღმა. მასპინძელი თავზე ადგა, მიმქრალ-მინაზებულები სახის ქალი იყო. მაღალი ყელი, გადატკეცილი თმა, შავ ძოწისფრად ნაქსოვი შალის კაბა შვენილად.

ღარბაზის შუა გულში როიალი იდგა. ცნობილი ფირმისა. ასეთი როიალი ისაია ვოლოხის ოჯახში უნახავს ალექსის, ჯერ კიდევ ადრე, სიშაბუქეში. ნონია ჭლიგულაშვილის დიდი სახლის ქვედა სართული რომ ეკავა ისაიას, მაშინ ოდესიდან ჩამოიტანა. თვითონაც ოდესელი იყო, რუსულად

წერდა და კითხულობდა. სიტყვაც იცოდა ქართულად.

შვილები გენახა, ქართველებში ვერ გამოარჩევდი, რა სიმღერა, რა მუსიკა. ხალხი ჩერდებოდა ქუჩაში. განსაკუთრებით უმცროსი, დედა ფანიას რომ ეძახდა და თავად თამარი დაიჩქავა.

რამ გაახსენა ალექსის?! როიალმა. საბაია ციბაძე ხან ვოლოხების ოჯახში გზავნიდა შეგიარდს, ხანაც რიონგაღმა, კოწია ცაგარეიშვილის ძველ, ფიცრულ სახლში (ბორანს უნდა გაპყოლოდა).

გამოერკვა. რამ აუტივტივა ადამიქამინდელი ეს მოგონება?! რას არ შემოირჩენს გონება, რამდენ ჩენჩსა და ნაგავს... მერე, ნაგავია თამარ ვოლოხის მოქნილი თითების გახსენება?! ამაზე ლამაზი და მომხიბლავი რა უნდა ენახა კაცს.

რამ მოაგონა?!

ცისფერბაფთიანი გოგონს მიჯლომია როიალს, ნოტები გაუშლია. თითები კენკავენ კლავიშებს. მასპინძელი ქალი ახლა გოგონას უზის გვერდით, ყურადღებით ჩასჩერებია ნოტებს. უთვლის, არც დისახლისის როლი ავიწყდება, მაღიმალ მოხედავს მოხუცს, გაუღიმებს, მოუბოდიშებს, ახლავე გეახლებითო...

განა სწყინს ალექსის?! პირიქით, უსმენს ინსტრუმენტის წკრიალა ხმებს და საოცარი სიამით ევსება გული.

უზრუნველი მზერით მიმოიხედა, კედლიდან კედელზე გადინაცვლა... ჰედურობა, კერამიკა, ხალხური ხელოვნების იშვიათი ნიმუშები, მოკლედ, რა გინდა, სულო და გულო! ერთი ფიქრით შეკრთა კიდევ. აქ სად მოხვდიო, — გაუკვირდა. აკი უთხრა იმ ღმერთგამწყურალმა თენგულამ, მუზეუმში მიგიყვანო და მიიყვანა კიდევ.

მისდა იღბლად წამით. სარკეში თმაგათეთრებულ, ჭოლოკივით გამხმარ

ლელია მასიო
ოქროვამადლი — „არს ამითის ხურო“



ბერკაცს წაატანა თვალი: უანგისფერი სახე, გოაცებული მზერა. „აქ საიდან შემოხეტე?! — ჰკითხა. რამდენი ხანია ასეთ სახალტურო საქმეზე დაიწყე წანწალი?! სახე იბრუნა, მეტად აღარ გაუხედავს იქით.

გოგონამ დაკვრა დაამთავრა. როიალი დახურა, ნოტები აკრიფა, დაემშვიდობა და წავიდა.

— ბატონო ალექსი! — თვალეში შესცივინებს მასპინძელი.

„სახელიც სკოდიანია...“

— თქვენი ოსტატობა, ოქრო-ხელობა ბავშვობიდან მსმენია. მესიამოვნა, რომ თუნგოს ახლობელი აღმოჩნდით, კარგი გულის ყმაწვილია, მე და ჩემს მეუღლეს შვილივით გვიყვარს...

თვალის უბებთან შემოჯარული წვრილ-წვრილი ნაოჭები ქალის საიდუმლოს ამხელს. ორმოცი წლის იქნება, შეიძლება მეტიც...

— რისთვის მოგიხმეთ, ბატონო ალექსი...

— ბჭძანეთ.

როცა მშვიდადაა ალექსი, თითები წყვეტენ კანკალს, ხელის მტევანიც უფრო დამორჩილებული ეჩვენება. ოდნავ თუ აფორიაქდა, მორჩა! მთელი სხეული უსასაოო თახთანს იწყებს.

ამ ქალს დამამშვიდებელი ძალა ჰქონდა... ახლოს ჩამოუჭდა.

წლობით გამომუშავებულმა პროფსიულმა ჩვევამ აქაც იჩინა თავი. უმცირესი საგნისადმი უღრდესი ყურადღება! რასაც სხვები ვერ ამჩნევენ ან მოგვიანებით მიადევნებენ თვალს, ერთი გადახედვა და...

ქალია საყურადღებო გაქეცა მზერა ალექსის. თბილის გულისოდენა მარგალიტები, ტიხრული მინაქარი, იუველირის სუფთა ნამუშევარი. გული აუფრიალდა... ათასში გამოარჩევდა საბაია ციბაძის და კოწია ცაგარეიშვილის ნახელავს. თავ-თავიანდი კვითა ჰქონდათ, თავისებურად ხმარობდნენ პუნსონს — ფოლადის შტამპს, სისოხერხს თუ მელისკულს. ზინდანიც სხვა-

დასხვა ედგათ, პატარა გრდემლის ეძახიან ოქრომჭედლები.

საბაია ციბაძე ოქროს ნამცეცხვს კურდღლის თათით მოხვეტდა. უმცირესიდან უღრდესი წამოდგებოდა — ეტყოდა შევირდს. მთელი ცხოვრება ასე აგროვებდა ოქროს ნამცეცხვს, მაგრამ გამდიდრებული და ქონგადადენილი არავის უნახავს. ერთი გამზდარი, ჩია კაცი გახლდათ, ფარცხანაყანებელი გლეხის შვილი იყო და ასევე დარჩა... რამ გაახსენა?! არა, ამ ქალის საყურეები საბაია ციბაძის ნახელავი არ არის, მაშ ვისია?

მასპინძელი მეორე ოთახში გადის. ლანჯრით გამოაქვს ხილი, კონიაკი და... ისევ ცუდად გახდა. ვერცხლის სირჩა! შეხედა და ნამდვილად იცნო, ხელი მოჰკიდა, შეათვალღერა, სიხარულის სხივმა გადაჰკრა სახეზე, ამგვარ სირჩებს კოწია ცაგარეიშვილი ამზადებდა, ჯერ კიდევ ადრე, ბოლშევიკების მოსვლამდე. კოწია სურებსაც ამზადებდა, ვერცხლის სურებს. ვაზის მტევნებს, ხვეულა ლერწმებს კვითდა ზედ. წელში გამოყვანილი, ტანწერწეტა პატარძალივით გასაფრენად შემართული სურები იშვიათი რამე იყო. მერე შემოილია ვერცხლიც და სურაც, გაბონდა ფული. შიმშილმა დარია ხალხს ხელი. სურები ერთხანს ხვდებოდა აქაიქ, ძველებურ ოჯახებში. მალე ისინიც გაქრნენ.

ღმერთო! სად წააწყდა კოწიას ნახელავს?! ნეტავ სურა თუ აქვთ ამ ოჯახში? ერთი შეავლებინონ თვალი და მეტი არაფერი უნდა, მთელ თვეს ეყოფა საამოდ და გულგასახარად. სასმისი ნამდვილად მისია, აგერ, ვაზის წნულებში ამოტვიფრული წარწერა „კ. ც.“ ახლა დგომა ნახე! მაგიდაზე დადგა სირჩა. არ არის წელში გასკვნილ-გამარყულებული?! რაც კარგია, კარგია!

ამოიხვნეშა, შეინძრ-შემოინძრა.

— მოგეწონათ, ბატონო? — შელიმა ქალმა.

— ჰო... ვიცანი.

— იცანით?

— კოწია ცაგარეიშვილისაა. ბაზრის შესასვლელთან ჰქონდა სახელოსნო. ბევრი არ შეუქმნია... მაგრამ, რაც შექმნა, ნაღდი იყო, მერე ღვინოს მიეძალა და... მარტო ესენი გაქვთ თუ სურაც...

— სურა?! არა, ბატონო. ვის არ ვთხოვე, ვერსად მივაკვლიე. არადა, უღირალს მივცემ, ოღონდ...

— არ ვიცი.

— ვერ დაგიფარავთ, ბატონო ალექსი, მშვენიერი ნივთების თაყვანისმცემელი ვარ. ვნახავ რამეს და... სანამ შევიძენ, მოსვენებას ვკარგავ.

თავი დახარა ბერიკაცმა. ძნელი გასარკვევი იყო, ეთანხმებოდა თუ...



...ოქრამქედლებს ორი აღწერილობა ედოთ წინ. ერთი საუკუნეების წინანდელი, ბერების მიერ მრავალგზის გადაწერილი, ხოლო მეორე, — ჯერაც მელანშეუშრობელი, ქუთაისის სამაზრო აღმასკომის წარმომადგენლის ხელით შედგენილი.

„აღწერილობა შედგენილი გაენათის (გელათის) მონასტრის წინამძღვრის, არხიმანდრიტის ნიკიფორესაგან 27 დეკემბერს 1906 წელსა, გაენათის მონასტრის ქონებათა თანახმად სამღვდლო ეპისკოპოსს პეტრეს რეზოლუციისა, რომელიც ჩაიბარა არხიმანდრიტმა ნიკიფორემ, გაენათის მონასტრის ეკონომისის მღვდელ-მონაზონის ანთიმოსისაგან“. ამ ძველისძველ აღწერილობას, ნივთთა თანმიმდევრობით ჩამოთვლას, შენიშვნები ახლდა თან.

...„ხატი მაცხოვრისა, სივრცით 31 X 23 ვერშოკი მთლიან ფიცარზე. მისია ვერცხლის პერანგი, მოოქვრული, თავზე მოვლებულ გვირგვინში უზის სამი წითელი ქვა, ერთი მათგანი არაბული წარწერით. მარჯვენა ხელით ჯვარსა სახაეს, მარცხენაში სახარება უპყრია ბერძნული წარწერით: „მე ვარ ნათელი სოფლისა“.

„არის“, — იუწყებოდა ახალი წარწერა.

...ხატი აწყურის ღვთისმობლისა ოქროს პერანგმოსილი, ირგვლივ ვერცხლმოვლებული. — „არის“.

...ხატი ხახულის ღვთისმობლისა, სივრცით 12 X 9 ვერშოკი. ფიცარზედ მოხატული, ფრიად დაძველებული, რის გამოც წამალი გადასულა და ხატს მკრთალი ფერი დასდებია. უზის 68 სხვადასხვა თვალი, იმათში ერთი მეტად დიდა — კედელა — და 87 მარგალიტი. კიოტი ხატისა გარდა კარებისა 34 X 28 ვერშოკია, ძვირფასად და ხელოვნურად მორთული, ოქროდამ გამოყვანილი, სხვადასხვა ფიგურებითა და 11 მინანქრიანის ჯვრით, ზედმოფენილი მრავალი ფინიფეტის ხატები წმინდათა და მოციქულთა ზედა წარწერებით და მორთულია მრავალწვრილ და მსხვილ თვალ-მარგალიტით“.

„არის“ — გულვასახარად ელავს წარწერა.

...ხატი მაცხოვრით ფიცარზე მოხატული, სივრცით 9 X 7 ვერშოკი ოქროსპერანგით მოსილი. გარშემო 12 მოციქულთა სახენი, ამათში 6 საუკუნეთესო ფინიფეტისა, ზემოთაც ფინიფტი, ზედ წარწერით „ქრისტე“.

„არ არის“, — წყენის უსიამო განცდის მანიშნებლად ტივტივებს შენიშვნა.

...ხომლი პატარა ტანისა, ოქროსი, ოთხი სასანთლით, წონით 91 მისხალი. ზემოთ თავში ჯვარი აქვს და ზედ ზურმუხტის თვალი წითელი და ლურჯი. „არ არის“.

...ხომლი ვერცხლისა, 9 სანთლიანი, შემოწირული მეფე სოლომონისაგან 1775 წ.

„არ არის“.

...ბარძიმი ვერცხლისა — შემოწირულია „მარიამ დედოფალ დადიანის ასულისაგან“.

ლევია მუსხი
იპრომედეალი — ...საქვეთის ხარო“

„არ არის“.

...ჯვარი ვერცხლისა ოქროში და-
ფერილი სივრცით 9 X 8 ვერშოკი წა-
რწერიტ. ეკუთვნის მეფე დავით აღმა-
შენებელს.

„არ არის“.

...კვერთხი შავი ძვლისაგან. გამოხა-
ტულია სპილოს ძვლისაგან გველის სა-
ხე. რაზედაც ამოჭრილია ჯვარცმა და
ვნება მაცხოვრისა.

„არ არის“.

...ჯვარი იაშმისაგან. მოჭედილი ვე-
რცხლით და ოქროთი. შემკობილი 39
ფასიანი ქვით. შემოწირულია ბაგრატ
მეფისაგან და მისი მეუღლის ელენე-
საგან, XVI საუკუნე.

„არ არის“.

...სახარება. ხელთნაწერები. ვერც-
ხლით მოჭედილი, ოქროში დაფერი-
ლი. ოთხი მოზრდილი იაგუნდის ქვით,
მოჭედილი ყდით. დაწერილია XIII
საუკუნეში.

„არ არის“.

...ღვთისმობლის ხატი ოქრო-ვერცხ-
ლით მოჭედილი, ოქროს ბარძიმი და
დავით აღმაშენებლის ბეჭედი გატაცე-
ბულნი იქმნენ ავაზაკების მიერ 1904
წელს, მონასტერზე თავდასხმის
დროს...“

მიჰყვა და მიჰყვა, ხილული და გან-
ცდილი, დაუტბრომელი და მამიებელი
წუთი გახსენებისა...

გაცოცხლებულნი, გაფაჩიზებულნი
და ნათელმოსილნი მოიწვედნენ ისინი
გონების უსასრულო სიღრმეებიდან.

— ბატონო ალექსი, ცუდად ხომ არ
ბრძანდებით?

— არა...

— აგერ წყალი, გინდათ, გულის
წვეთებს მოგიტანათ.

— გმადლობთ, ახლა კარგად ვარ.

— რაზედ შეგაწუხებთ, ბატონო ალე-
ქსი...

— ბრძანეთ!

— ერთმა ჩემმა მეგობარმა თქვენი ნა-
ხელავი საყურე და ბეჭედი შეიძინა,

არ ვიცი, ვისგან. ამეთვისტოს თქვენი
თუ გახსოვთ... ლურჯი თვალია, უფრო
იისფერი.

ჩაფიქრდა ოქრომჭედელი, ვერ გაი-
ხსენა.

— რომ მანახოთ...

— განახოთ? ცოტა ძნელია.

— საყურე ფოთლებში ხომ არ
არის?

— დიახ... დიახ! — გაიხარა ქალმა.

— ოქრო გაქვთ?

— როგორ არა!

— თვლები?

— თვლებიც. ოღონდ ერთი ძველი
ნივთი მაქვს, ბატონო ალექსი, მამაპა-
პური. ჩემს თავს მირჩევნია. ახლა
ისეთ ნივთს აღარავინ ატარებს. არადა,
სანამდე შევიწახო, მერე ის საყურეები
ვნახე და... მოკვლედ, თუ გამიკეთებთ,
უღირაღს გადავიხდი.

— ვნახოთ...

ქალი წამოდგა, ხმებს მიაყურა, მე-
რე კარადის კარი გამოაღო და ყუთი
გამოიტანა. ოდნავ აღვზნებული ჩან-
და, დამფრთხალიც. სწორედ ეს არ
მოეწონა ალექსის.

— ეს ნივთი, ბატონო ალექსი, ახ-
ლანდელ ოქრომჭედლებს რომ ჩაუგ-
დო ხელში, ვინ იცის... არადა, დედა-
ჩემის ხელშენავლებია, ხომ იცით,
ოჯახური რელიკვია...

ქალი ხმადამლა, ჩურჩულით ლაპა-
რაკობდა, გულზე მიკრულ ყუთს კი
თავს არ ხდიდა.

ძვირფასი ადამიანის ხელშენავლებ-
მა ნივთებმა დიდი სიყვარული იცის,
ვერ გააწბილებდა ალექსი. დაეთანხმა
კიდევ.

ქალმა სავარძელი მიაჩოჩა და ახ-
ლოს ჩამოუჭდა. სუნამოს სურნელი
ასდიოდა. კოლოფს თავი ახადა ქალმა.
ნივთი ამოიღო, პირველად იოცა კიდევ
ალექსიმ, ამდენი საკანკალო და საფა-
თერაკო რა იყო!

სიძველის ფერი დაჰკრავდა ნივთს.
ალაგ-ალაგ ჩაშავებულიყო. ოქროს
ძეწკვი და მედალონი, ეს იყო და ეს.

ძეწკვი სივრცით ოცდაათი სანტიმე-

ტრი იქნებოდა, შეიძლება მეტიც. ხელში შეათამაშა ალექსიმ, 60-70 გრამი გამოვიდოდა. მედალიონზე თვლებიც იცნო — ზურმუხტი, იავუნდი, საფირონი. კოლოფს უკანა მხარეზე რაღაც წარწერა ემჩნეოდა. მაგრამ ამოკითხვა გაუძნელდა. ოთახში მკრთალი შუქი შემოდოდა, გამადიდებელი შუშაც არ წამოედო.

— ნახეთ, გატეხილია... — ყელსაბამის უნწი დაანახა ქალმა.

— დიახ... მიჩრჩილვა უნდა, არაა მაგი ძნელი საქმე.

— როგორი ნივთია?

— კარგი... — ხმადაბლა ჩაილაპარაკა მოხუცმა, დიდად არ დაფეთებულა.

— დედაჩემის ნაქონია, — აცრემლდა ქალი. — გასულ წელს გარდაიცვალა.

— რა გვარის ქალი ბრძანდებოდა დედათქვენნი?

— კვიციანძის...

— სახელი?

— ფაცია, შინაურობაში ფაცურას ეძახდნენ. წითელ ხიდთან რომ აბანოა, იქ მუშაობდა მოლარედ. ხომ არ იცნობდით?

— არა, არ ვიცნობდი, — მოხატრებულად პასუხობდა მოხუცი.

— გადამყვა თან... კონსერვატორია დამამთავრებია, ოღონდ მე მესწავლა და... ოჰ! საცოდავო დედაჩემო! — კვლავ აცრემლდა.

მასპინძლის მინაზებელი ხმა, წუწუნის აფორიაქებდა მოხუცს, ერთი სული ჰქონდა, როდის გაეცლებოდა აქაურობას.

არშიებშემოქარგული ცხვირსახოცი ამოიწრო ქალმა ცრემლიანი თვალები, ისე შემოხედა მოხუცს, თითქოს ანიშნებდა, შემიტოდე მე უბედურო... —

— რას იზამ, ასეა ცხოვრება... — ჩაილაპარაკა მოხუცმა.

— ბატონო ალექსი, ამ კოლოფიდან „ტროიკა“ გამიკეთეთ, ბეჭედი და საყურეები. საფირონის თვლებით ცალკე ფირუხით — ცალკე. — მინაზებულ ხმით განავარძობდა ქალი.

— ოქრო უნდა აიწონოს...

— აწონილი მაქვს, 77 გრამია. აუწონა ნლად ხომ არ ვიყ... — ქალი შედგა. სიტყვა ენის წვერზე გაეყინა. — ბატონო ალექსი, თენგულა რომ გავგზავნოთ და ხელსაწყოები აქ...

— ალექსი ოქრომჭედელს მთელი ქუთაისი იცნობს! — დაიბოღმა ბერიკაცი, ხმას აუწია.

— რას ბრძანებთ, მე ისე...

— კარგად იყავი! — წამოდგა ალექსი.

— წაიღეთ, ბატონო! გასამრჯელოზე არ დაგწყვეტთ გულს, მე ხელობა მიინტერესებს მხოლოდ...

ქიშკართან თენგულა ელოდათ.

...გელათის მონასტერი ორჯერ გაძარცვეს ქურდებმა. ავაზაკებმა მოიტაცესო, — წერდნენ ბერები. სამამულიშვილო საგანძურს მარტო მტრები როდი ესხმოდნენ თავს, ამ საქმეში „თვისნი სჯულიერნი ძმანიც“ — ქართველებიც ერივნენ. არც მენშევიკებს დაუკლიათ ხელი...

გული შეუთანაღრდა საბაია ციბაძეს და მის შევირდს. რაღაც არ ხდებოდა ისე, როგორც საჭირო იყო.

მერე ბრძანებაც გაჩნდა: „ყოფილი შულდინგერისა და ვოლოხის ბეჭდების დამამზადებელი საგრავეურო სახელოსნო გადავიდა კომუნალური მეურნეობის განყოფილების განკარგულებაში“.

ისაია ვოლოხს გაქცევაზე ეპირა თვალი... მერე რა ოსტატი იყო! დღესაც ამბობენ ქუთაისში, ვოლოხის საათივით მუშაობსო.

გელათის მონასტერი უპატრონო ბავშვთა თავშესაფრად აქციეს, ხოლო მოწამეთაში დინამიტი შეიტანეს ასაფეთქებლად. არქივი?! ძველი ისტორიული დოკუმენტები ბაზარში გირვანქობით იყიდებოდა. რა არ ხდებოდა ქვეყნად.

ლილა მისი
 მოპროვაძელი — „არს კვირის ხარო“



წონია ელიგულაშვილი, ქუთაისის ყველაზე მდიდარი სოფდაგარი, ვაჟი ფინანსთა მინისტრი რომ ჰყავდა მენ-შევიკების დროს. პარიზში გაიქცა... მათი სახლი, სამსართულიანი, ვეებერთელა შენობა, საჯარო ბიბლიოთეკამ დაიკავა, საბაია ციხადის კერძო „სახე-ლოსნო“ სახელმწიფო საკუთრებად აქციეს. დიდად არ უღარდია საბაიას, როგორც მანამდე მუშაობდა, ისე განა-გრძო. თუმცა, კოწია ცაგარეიშვილისა არ იყოს, მასაც შემოეღია მუშტარი. შიმშილობდა ხალხი. ერთი ნაცნობი მჭედელი ქელეხში მოკვდა, ხუთი დღის უჭმელს, ნაწლავები გადახლართვოდა. მეორედ მოსვლა დადგაო, ზრიალებდა ქალაქი.

ჩურჩული ქუხილად ისმოდა...



როგორც უსაქმურობა ღლის ადა-მიანს, ისე დაძაბულ-დამუხტულობა ფიტავს. ამ ერთმა საათმა მოქანცა ალექსი.

მუდამ ერთი სიბრძნე სწამდა, სჯობს ადამიანი შრომისაგან გაცდეს. ვიდრე უქმად ყოფნით ობი მოეკიდოსო.

როგორც კი დაბრუნდება შინ, მა-შინვე შეუდგება მუშაობას. სახვლიო საქმე არ სწამს. ჯერ ბიკს მოაძევს, ხელსაწყოებს გამოჟატანინებს, ვირავს ჩამაგრებს, ბეწვა ხერხს კბილებს შე-უქლიბავს და...

რამდენი ხანია საოკრომჭედლო საქ-მეს არ გაკარებია (საოცარ ენერჯიას გრძნობდა!). თავად ხომ უკუაგდო, არც სხვები მიძალბიან. დავიფყეს ძველი ოსტატი! ცოცხლად მისამარეს. არც არავინ აკითხავს. ჰაი, დედასა, რა დრო იყო, ორ ნაბაღზე რომ ხტებო-და!.. ცოტა აცალონ. ისეთ ბეჭდებსა და საყურეებს გაუკეთებს იმ ქალს, ქვეყანა ეკითხებოდეს, ვისი ნახელა-ვიაო. ჰა! ჰა! ეს ახლად გამოცხვარი ოკრომჭედლები შურით დასკდებიან. ნახეთ, ცოცხალი ყოფილა ალექსი იო-ბიძეო.

მომავრდა ბერიკაცი, მოლონიე... თვალბში უცნაური შუქი ჩაუდგა. ამ-დენ ხანს მრუდე სარკეში რომ იცქი-რებოდა და ყველაფერი თავდაყირა ეჩვენებოდა, ახლა დაიწმინდა სივრცე. საგნები თავთავიანთ ადგილას დალაგ-დნენ.

რა ფერის კაბასაც ჩაიცვამს ის ლა-მაზი ქალბატონი, საყურეც იმ ფერის ექნება... თეთრი კაბა? — მარგალიტი ინებეთ, ქალბატონო! ცისფერი? — ფ-რუზი. წითელი? — ლალი, ბატონო! მე შენ გეტყვი და, არ დამშვენდება... ჰა, ჰა!

ლამის გადაირია ბერიკაცი. ერთ-ხანს აივანზე იდგა, წითელკრამიტიანი სახლებით აფერადებულ სივრცეს გას-ცქეროდა.

გრილი, მაცოცხლებელი ნიაფი უბე-რავდა. ეამა. მერე ეზო-გარემოს მო-ხედა...

ძველი სახლი... სიმწვანეში ჩაფლუ-ლი ბილიკი... ერთობ უკაცური თუ გადაბურული ეჩვენა იქაურობა. სასხ-ლავი და წაღლი მოიძია. დაფნები გას-ხლა, ტოტები შეკვეცა, ბალახბულახი ათხარა.

თავჩალუნული მუშაობდა.

ბიჭი რომ დაბრუნდა სკოლიდან, გაოცდა, რა ბუზმა უკბინა ბერიკაცსო. გამზმარი ფოთლები, ბალახბულახი, ვარდისა და დაფნის ტოტები ათრევიანა ალექსიმ. გზის პირას დაანთეს ცეცხ-ლი, ნეშოს სუნით გაიჟღინთა ეზო. ეს სუნი ასდიოდა მოხუცის ხალთს, შა-ლის წარგალს, ქუდსაც — პატრონი-ვით ძველა და ფერგასულს.

სალამოს პირს, ცა საავდროდ რომ მოქტურუხდა, აჩქარდა ალექსი, ბარი და ნიჩაბი სარდაფში შეინახეო, — და-საქმა ბიჭი. მუხლში შეპარულ უსიამო სისუტეტს ერთხანს არ ათხოვა ყური, სახსრების მტკრევეც უამინდობის ბრა-ლია, საცაა გაწვიმდებაო, გაიფიქრა. ოთახში შეიბუღრა, ბიჭიც თან შეჰყვა. სინათლე აანთეო, — უბრძანა.

— იარაღების ყუთი მომიტანე! —

მოუტანა. ისეთი განცდა ჰქონდა ალექსის, თითქოს ვიღაც აჩქარებდა, ამბობს ბევრი რამ უნდა მოესწრო!

კოლოფი გახსნა.
— შეხედე... — ბიჭი მოიხშო. ხელი-სგულზე ჯერ ოქროს ძეწკვი აციმციმდა, მერე მედალიონი... ფერად-ფერადი, ციმციმა ქვებით მოჭედილი. გამადიდებელი შუშით დააკქერდა... კარგა ხანს უყურა... მღუმარედ... ყურადღებით.

მოხუცი ოქრომჭედლის თვალები თანდათან ყმაწვილური სიანციით აელვარდნენ. ხმაც სხვაგვარი გაუხდა — თბილი და მყუდრო.

— ამ ქვებმა სხვანაირი სიყვარული იციან, ბაბუ... ერთი ცალიც რომ იპოვოს ვინმემ, მორჩა! თილისმით შეიკვრება, ვერ მოისვენებს, თავად დაიწყებს ძვირფასი ქვების შეგროვებას. დასაკუთრების სურვილი გააგიჟებს, ჰკუას დაუბნევს, შეძენის ყინი შეიპყრობს. ესენი უძველესი ქვებია, ბაბუ! საუკუნეებით გამოჩნადი... ამ ქვებისთვის ადამიანები ერთმანეთს ებრძოდნენ, სახელმწიფოები — სახელმწიფოებს. კლავდნენ, ანადგურებდნენ... ეს ქვები საყვარელიც არიან და საძულველნიც... გესმის, ბიჭო? ამ თვლებს, როგორც ბუნების იშვიათობას, სილამაზეს, ისე უნდა უტკირო, მათი მომხიბვლელობა იგრძნო... მოდი ახლოს... ნახე როგორია... აგერ... სინათლეზე გახედე...

ბიჭი გაფართოებული თვალებით შეჩერებოდა მოხუცის ხელისგულზე აციმციმებულ მედალიონს. ფერად ქვებს.

— ეს ზურმუხტია, ნახე, მოლურჯო შუქი როგორ კვეთს მწვანე სხივს... მხოლოდ ულამაზეს ზურმუხტს აქვს ასეთი სასწაულებრივი, ფარული სილურჯე, მოგწონს?

ბიჭი დუმს.
— ამას ოქრო-ქვას ეძახიან. ყვითელ იაგუნდს. სულხან-საბა ამბობს: „ჰკურნავს სტომაქსა და მუცელსო“. იშვიათი ქვაა...

— სტომაქსო?! — ჩაძიობითა ბიჭმა.

— ჰო, ესეც საფირონი. ძველი ქართველები ლურჯ იაგუნდს ეძახდნენ. აგერ აყიყი...

— აყიყი? — კვლავ ჩაეცინა ბიჭს.
— მაშ. არაბული სიტყვაა, წითელ ქვას ნიშნავს... მოგწონს?!

— სად გქონდა?
— ღმერთმა გადმომიგდო!
— არა, მართლა, სად გქონდა...

დიდათ არ აღფრთოვანებულა ბიჭი, პირიქით, თითქოს ნაწყენიც ჩანდა.

— რად გინდა? — ოდნავ აგდებით ჰკითხა.

— მე რად მინდა... მის პატრონს მოახმაროს გამჩენმა. სე... — ჩაფიქრდა. — რაღაც იშვიათის შექმნა მსურდა მუდამ... თუკი რამ სასიკეთო, ოდნავ თვალდასატანი გამომივიდა ხელიდან, ისიც იმ წუთების გასახარად, როცა ვქმნიდი, როცა თავი ღმერთი მეგონა, გავიდა დრო და... ეჭვმა და გულგატეხილობამ შემიპყრო, ასე შემომგელია ცხოვრება ხელში. დღეს კი... — მიხვდა ბერიკაცი, იმაზე მეტი წამოროშა, რაც საჭირო იყო.

— რა დღეს?! — ჩაეცინა ყმაწვილი.
— არაფერი...

ნელ-ნელა დაიძრა საწოლისაკენ, ცუდად გრძნობდა თავს. ბიჭიც მიჰყვა.

„წინასწარ არაფრის თქმა არ შეიძლება... არც შეპირება. მთავარია, ბიჭი მოვიცილო...“ — მოხედა, ნამეტნავად თვალზე შემოკცეებული იჩვენა.

— ამელამ დედამენტან ვერ დაწვიბი?

— რატომ?

— ისე... მარტო მინდა ყოფნა. ოდნავ განაწყენებულმა ბიჭმა ჩახუნით რომ გაიხურა კარი. დიდი ყურადღება არ მიუტყვევია ალექსის. პირიქით, ჩქარობდა, ფართიფურთობდა. ერთხანს უჯრები ქექა, საწონი და გირები მოძებნა. სულ მისხლობით, სულ

ღეილა მისხბი
ოპრომედილი — „არს კვთის ხარო“

უნციობით აწონა. 77,6 გრამი სუფთა ოქრო გამოვიდა, მერე ისევ მოიმარჯვა გამადიდებელი შუშა და ნათურის შუქზე მეტი გულმოდგინებით შეუდგა ჩხრეკა-ძიებას. ამდენ ხანს თუ ძვირფასი თვლების ციმციმმა გაიტაცა, ახლა... გადმოაბრუნა მედალიონი და... სიმწრის ოფლით დაენამა საფეთქლები. ძველი ქართული ოქრომქედლობის ნიმუში ეჭირა ხელში. მედალიონი რომ ეგონა, ნელსაცხებლის კოლოფი აღმოჩნდა. ასეთ კოლოფს ძველად ატარებდნენ ქართველი ქალები, მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეში, შეიძლება უფრო ადრეც...

ყელი გაუშრა, თავი სუსტად იგრძნო.

„ფაცურა კვიენაძის საგვარეულო ნივთი... რა უცნაურადაა ეს ცხოვრება მოწყობილი.“ — ხელახლა დახედა. ნამგლად გართხმულ ხვიარებში ძვირფასი ქვები ისხდნენ. და რაღაც უცნაურ, უხილავ ფერებად ციმციმებდნენ. მზერა ვერ მოაცილა, თითქოს გამკვირვალე, ცივ წყალში გადააგდეს ერთბაშად. სუნთქვა შეუჩერდა. ასეთი რამ არასდროს დამართია...

კვლავ დახედა. რთულ, ორნამენტულ ყვავილნარში ძველი ქართული წარწერა იკითხებოდა და არც იკითხებოდა — „ღმერთო!“ — დაძაბა მზერა კიდევ უფრო ახლოს მიიტანა თვალთან, წარწერის გარჩევა გაუძნელდა. თვალები დახუჭა: დაჭიმული ნერვი შეასვენა. კარგა ხანს იყო ასე. არადა, გონებით განათებულ სივრცეში გარკვევით მოჩანდა წარწერა — „თამარ“, ხვირიანად ვერც გაერკვა, მოეჩვენა თუ...

ღმერთო! ამის გადადნობას აპირებს ის დედაკაცი! ხვიარები... ყვავილნარი. სად უნახავს?! ხახულის ხატის მინანქარი... ოქროთი ზედმოფენილი... ბექა ობიზარის ოქრომქედლობა... ვაძაგ-ძაგა. გასაოცარი ძალა გაჩნდა ამ ნივთს, ამ ქვებიდან ერთ-ერთს მომნუსხველი ძალა აქვს, რომელს?!

ხელიდან გაშვება გაუძნელდა, რომ! რა არ ხდება ამ ქვეყანაზე. რაღაც მის ხელში ჩააგდო განგებამ ეს ყელსაბამი, რა ცოდვა ადევს ასეთი, რა დანაშაული მიუძღვის?!
გასავათებული ბერიკაცი ძლივს იტყვამდა სულს... გაიარა ერთმა წუთმა, მეორემ. თანდათან ჩათბა და ჩაწყნარდა ალექსი. ისევ ფიქრს მიენდო, მიჰყვა და მიჰყვა...

...ადელვებული ზღვა რომ ჩაწყნარდება, ქაფს მოიწმენდს და ლივლივ ტალღებად კენჭებზე გადირბენს, ისე ჩაწყნარდა და ჩაშოშმინდა ქალაქი, ახმაურებული ქვეყანა. ახალი ხელისუფლება მუშა კაცის მხარეზე დადგა. მოსულმა — დამხვდური იცნო, ღირსეულმა — უღირსი. კაცურ კაცს პატივი მიანიჭეს. მოწამეთის მონასტრიდან სასწრაფოდ გამოიტანეს დინამიტის ყუთები. გელათის ტაძარი მუზეუმს გადასცეს. განძეულობა ერის საკუთრებად, მიხ ხელდაუკარებელ სიმდიდრედ აქციეს. ცოტაც და... ჯერაც სტამბის საღებავ-შეუმშრალი ფურცლები აფრიალდა...

„სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება — სიძველეთა, ხელოვნების და ბუნების ძეგლთა დაცვის შესახებ.“

...რემონტი, რესტავრირება, გადაკეთება, დანგრევა ან რაიმე მიზნისათვის გამოყენება საერო და რელიგიური კულტის შენობათა (სასახლე, ციხე, ეკლესია-მონასტერი) უნდა ხდებოდეს მხოლოდ განათლების კომისარიატთან არსებულ რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს წინასწარი ნებართვით.

...ყოველგვარი აღმოჩენილი განძი და აგრეთვე არქეოლოგიური მნიშვნელობის ცალკე ნივთები აუცილებლად უნდა ჩაბარდეს სახელმწიფო მუზეუმს.

...ამ დადგენილების დარღვევისათ-

ვის დამნაშავე მიეცემა პასუხისგებაში, თანხმად სისხლის სამართლის კოდექსისა.

შუალამისას გამოეღვიძა ალექსის... ძლივს გაახილა თვალი. შემოსასვლელთან ნათურა ენთო. ჭერაც ვერ გარკვეულიყო, სად იწყებოდა სიზმარი და სად იყო ცხადი... ეჩვენებოდა, თითქოს ტალახში იწვა გულალმა. ერთბაშად რომ გამოგიდებენ სარმას და თავშეუკავებლად გადაემხობი, ისე ეგდო. წამოდგომა არ შეეძლო. დამპალ ფოთლებში, გრძელ-გრძელ ბოწოწივებში იწვა. ვილაც-ვილაცები, „ძალოვანნი, ქალნი და კაცნი“, მის სხეულზე გადადიოდნენ. ტალახში ჩაფლულ ქვას რომ მოიშველიებს კაცი, დაპკრავს ფეხს და გადაევლება, ისე აბიჯებდნენ, კიდევ უფრო ღრმად ფლავდნენ წუნწუნში...

ხელები მოაფათურა, ცივი ეჩვენა საწოლი, მგონი მომაკითხა მიქელგაბრიელმაო, — გაუელვა. აქამდე კერკეტი და გაუბზარავი რომ ეგონა თავი, ახლა ერთბაშად დაძაბუნდა, ბიჭის საწოლს გახედა.

— „ბიჭი სადაა?!“ ვერაფრით ვერ გაიხსენა, თავად რომ გაიცილა, მაინც რა მოხდა ასეთი, რამ მოგვლა და მოგსპო, — ჰკითხა საკუთარ თავს. — რომელმა წუთმა?! თქვი! ოქროს ხვიარებში ქალის სახელი ამოიკითხე?!.. სულმნათი მეფის ხელშენავლები ნივთი ჩაგივარდა ხელში?! ხედავ, რა განებივრებული ჰყოლიხარ გამჩენს!.. გაიჩინდა. კარგა ხანს ვერ მოვიდა გონს, ეჩვენებოდა, რომ საუკუნეების მიღმა მოუწია ცხოვრებამ, ბერად თუ მკედლად, ბერის კუნკულით თუ მკედლის ფეშტემლით. ახლა გამოღვიძება უწყევდა, ხელახლა გაცოცხლება.

ახლად განათებულში ანო შემოვიდა ფეხაკრფდით. თეფშით ფაფა, თბილი რძე, კომშის ნახარშიც შემოუტანა. არ გაუგია, როდის წავიდა.

მოგვიანებით ჭიშკარმა რომ გაიჭ-

რიალა და ერთიმეორის მიმდევრობით შემოლაგდნენ ოთახში, უკვე იცდნენ ვინც იყვნენ... „რა გრძელია ღამე მღვიძარე მწუხარებისა“, — გაიფიქრა.

სულ ახლოს მივიდნენ. გამოერკვა. თენგულას — ამ ცოდვის შვილს, რაღა უნდა, ასე დაეინებით რომ ჩასჩურჩულებს? ნეტავი რას ეხვეწება უნამუსობასა და ნამუსიანობას შორის გამომწყვდეული ეს ცოდვის კრავი?..

გუშინდელი მასპინძელიც აქაა... ცისფერი კაბა აცვია... სახე* ახლოს მოაქვს, უღიმის. გადავიფიქრეო, — ეუბნება. ნივთის დაბრუნებას ითხოვს.

ნეტავ რატომ გადაიფიქრა, რამ შეაშინა, რომელმა წუთმა?! აბანოს მოლარეს საიდან გაუჩნდა ოჯახური რელიქვია. სიცრუეა ყოველივე. ვილაცამ სული გაყიდა! ეპი! ვინ გაყიდა სული? როდის? მყიდველს სათანადო ფულიც აღმოაჩნდა და ურცხვობაც. ნუთუ ასე იაფია ადამიანის სული? ეპი! იყიდეთ, ვის გინდათ კაცის სული!

მაცდური ძალა აქვს ამ ნივთს... მისი დიდებული პატრონის შემდეგ რა ხანი გავიდა და... ვერა და ვერ იბოვა ნამდვილი მფლობელი, მერე ვინაა მისი ნამდვილი... ჰო, თქვი!

— შენ?! — ჩააკითხა საკუთარ თავს, — მე, რატომ? ლექსო, ბიჭი... კიდევ? რიონის ტალღებში გადასაფრენად გამზადებული ის ტიტლიკანა ბიჭები, ყველანი... მთელი საქართველო... გაიგეთ!

როგორ შეცვლია ამ ქალს სახე. ბოლმას აფრქვევს. მარტო რომ დაიგულლოს, ალბათ მიახარობს ბერიკაცს. გაყიდული აქვს სული!

აგერ მელოტი, მუცელშესიებული კაცი. თავზე ყინჩად დადგომა და იქედნური ღიმილით შესცქერის, „იქედნე, — ამბობს საბა. — გველი რამე არს, საშო არ აქვს და პირით მაცდება. შვილნი მუცელს გამოსჭამენ და ეგრე გამოვლენ. თუ კაცს უკბინა, აღარ მო-

ლელია მისი

მშრომელი — „არს კვითის ხურო“



რება“. გააზრიალა. გველბოკერას სი-
ახლოვე, მისი სლიპინა ტანი იგრძნო...

— სად შეინახე? — ჩაესმის ხმა.

— არ ვიცი... — გადააქნია თავი.

— ამ ბებერს თავი ხომ არაფერზე
მიურტყამს, — ცხარდება მელოტი.

— თქვენი... არაა... — ძლივძლიო-
ბით ამოილულღულღა.

— რას ჰქვია, არაა... აბა ვისია?!

საღლაც, მიღმა იხედება ალექსი, ვა-
ურკვევლად, ბუნდოვნად.

თანდათან მხრებში ჩაძვრა თენგუ-
ლა, ძალა არ ჰყოფნის, რომ მოხუცი
დაიცვას, გამოეჭიკომაგოს, — ბაბუა, —
უჩოქებს. — სად შეინახე?!

— არ ვიცი...

როგორ შევიძლია დააჯერო ეს ხალ-
ხი, რომ ეს ნივთი მათ არ ეკუთვნით,
ერის საკუთრებაა, მისი საგანძურია,
ამის მიჩქმალვისათვის ისჯება კაცი...

ჩანს, თვითონაც იციან, რომ არ
იცოდნენ, ასე არ იკანკალებდნენ, არც
დილაადრიან დაადგებოდნენ თავზე.

არადა, ჩქარობს დათვლილი წუთებო,
სიცივე თანდათან მოიწვეს ზევით. გა-
უშეშა ფეხები... ნეტავი ბიჭი წავიდა
სკოლაში?

სიმწრით მოატრიალა თავი...

მომხვდურები წუთით არ ისვენებენ,
გამოაღეს კარადა, გადაქექეს უჯრები,
ჩამოიღეს იარაღების ყუთი, ვარდის-
ფრად გადალაქულმა ფრჩხილებმა გაი-
ელვეს...

თურმე რას არ იკადრებს ადამიანი...
საოცარი ის იყო, გული არ ტყენია მო-
ხუცს... არც გაჰკვირვებია, თითქოს
ასეც უნდა მომხდარიყო.

მერე კედელ-კედელ დაჰყვა გიდელა
კაცი, თითების რაკუნით ფუყე აღ-
ვიღს ირკვევდა. „სამალავს ეძებს“.
ჩანს, თავად იყენენ ნაჩვევი, თავად
ჰქონდათ სამალავი, თორემ ბერიკაცს
კატურკაცობით ნაგროვები წლების
გარდა, სხვა სიმდიდრე არ გააჩნდა.

რაც უფრო აფორდებოდნენ მომ-
ხვდურნი, მით უფრო მშვიდად იყო
ალექსი. ან კი რა იყო ამდენი სადავი-
დარაბო და საქოთქოთო, ვინ დამალა,

სად, როდის?! აგერ, მაგიდაზე
დევს წამლის შუშასა და წყლიან ჭი-
ქას შორის? მოჩანს კიდევ მოჩარდა-
ხებულები კოლოფი. წუხელ აქ იყო, ახ-
ლაც აქ არის. ამ დილით ანომ ფაფა და
კომშის ნახარში შემოუტანა, მაშინაც
აქ იყო. თეთრი სახოცი გადააფარა
ზედ, არავის უხვლია ხელი. მაშ რად
შფოთავენ?!

სიცივე სულ ზევით და ზევით მოი-
წვეს. ირგვლივ ნისლი ჩადგა.

აბანოდან გამოჭრილი ორთქლის ბუ-
ლით გაივსო ოთახი. ყოველი კუნჭუ-
ლი ამოავსო უკვე ველარავის ხედავს
მოხუცი, ვერც ტკივილს გრძნობს...
გულის ჩამწეწკ ტკივილს.

წამით საღლაც შორს განათდა სივრ-
ცე. მოდიოდნენ, გრძელ-გრძელი კე-
ლაპტრები ეჭირათ ხელში, მოიწვედ-
ნენ. ხმაშეწყობილად გალობდნენ. ფა-
რჩა-ხავერდი, დიბა-ატლასი შევნოდათ
ტაძრულთ, მეფის ამაღას. აბუღასან
იობისძეც ახლდა მათ. მალალი, ხმელ-
ხმელი, თოროსანი ვაჟაკი. დაიჩოქა
და მოხარატებული კოლოფი მიაართვა
მეჭურჭლეუთხუცესმა დიდებულ მე-
ფეს. ღინჯი იერი შევნოდა.

თვით ნეტარი მეფე თამარი ვერ
ღანახა ალექსიმ, მისეულ შუქს გრძნო-
ბდა მხოლოდ, მიმკრთალ შუქს...

რეკდნენ ზარები... ვერცხლის წკრი-
ალა ზარები... გელათის... მოწამეთის...
ჯრუქის...

მეფე სოლომონი და მეფე ბაგრა-
ტიც ჰქვე ჩანდნენ, დედოფალი ელე-
ნე... დარეჯან დედოფალი პაწიაყრმით,
მამუჯათი, ერეკლეს ასული ანა... მეფე
— აღმაშენებელი!

ყველანი აქ იყვნენ დიდი ჭართველე-
ბი. ღმერთო, რას მოეწრო ალექსი!

— ჩემია! — აბანოს მოლარის წიკვი-
ნა ხმამ გააქრო დიდებული ლანდები.

შეწყდა ზარების რეკვა, გალობაც
შეწყდა. მხოლოდ გაუთავებელმა ტი-
რილმა თუ ზღუქუნმა მოაღწია უსას-
რულობიდან.

— ბაბუა... ალექსი ბაბუა!

უსაშველო ტკივილმა თუ თრთოლვამ გულის კოვზი შეუწირია მოხუცს. გულის, რომელიც უკვე აღარ ფეთქავდა...

მოხუცი ოქრომჭედლის დასაფლავების დღეს დილიდან კოკისპირულად წვიმდა. მეზობლებიდან ათი-თხუთმეტი კაცი მიჰყვებოდა პროცესიას, ამდენივე შორეული ნათესავი. მამაკაცებმა ერთხანს ხელით ატარეს სასახლე, ბორძიკით, ჩლახუნით, გაჭირვებით მიიწევდნენ წინ. მერე აღმართს რომ შეჰყვინენ, სველ, ვალუმპულ მანქანაზე შედგეს კუბო და ოდნავ მოითქვეს სული.

მოთქვამდა ანო: ჩემი შვილების პატრონო, ჩემო დიდო იმედო. ძალისძალად აკიდებული ლეკვივით მისდევდა ბიჭი კუბოს, ბორძიკობდა, წვალობდა. კუბოს მაინც არ უშვებდა ხელს. მეზობლებს ედებოდა ფეხებში, მთლად სველი იყო, სლუკუნებდა. კაცი არ გამოჩნდა, რომ შეეჩერებინა ბიჭი, სადმე მყუდრო ადგილი მოენახა, ან ქოლგა გადაეფარებინა. ტალახნი ატლეზილი ფეხსაცმელით... ტირილისაგან დასივებული თვალებით... მიბიჯებდა და ირგვლივ ვერავის ამჩნევდა.

თენგულა და მისი ცოლიც მიჰყვებოდნენ პროცესიას, ისინი არავის შეუმჩნევია, რატომღაც ყველას ბიჭისკენ ეჭირა თვალი.

მერე აღმართზე შეფენილი საფლავები რომ გამოჩნდა და წვიმამაც ოდნავ ჩაითქვა სული, ერთბაშად შედგა ბიჭი, მანქანას უშვა ხელი! იმიტომ კი არა, რომ დაიღალა და მეტი არ შეეძლო, ან კუბო უნდა ჩამოეღოთ და ადგილი გაენთავისუფლებინა... მოხუცის მძინარე, ფერმკრთალ სახეს წვიმის წვეთებმა თუ თეთრამიწას ფერდობზე გაქროლილმა ნიავმა, რალაც უცნაური სინათლე, გამჭვირვალე ფერი მისცეს... და ამ ფერმა შეაკრთო იგი. მაინც რა ფერი იყო, საიდან მოდიოდა?! ვერ იქნა და, ვერ მიხვდა. ამ დროს იყო, ხანშიშესულმა, ბოხობიანმა კაცმა მაღლა ცისკენ აიხედა და თქვა: — სხვა კაცი იყო ალექსი, ოქრო ხელი ჰქონდა... აცხონოს უფალმა!..

რალაც სამის მსგავსი ჩაილაპარაკა მეორემაც, შავულვაშა, გამხდარმა კაცმა. მეტი არაფერი გაუგია ბიჭს, ოღონდ... წამით მოეჩვენა, თითქოს ვიღაც მიუახლოვდა და სველ ბეჭებზე თბილი, ოდნავ მძიმე ხელი გადახვია... ამ ხელმა ვერ გაათბო, ვერ დაამშვიდა ყმაწვილი, მაგრამ მოდუნებული, მომჩვარული სხეული ოდნავ შეუმავრა...

ყმაწვილის მოხრილ ბეჭებს, წაწვეტებულ ნიკაპს, ჭლიქვის კვრით კი არ მიჰყვებოდა ის მძიმე ხელი, არამედ უფროსი რომ უმცროსს აუმჩატებს ტვირთს, შარაზე გაიყვანს და სივრცის სილამაზეს დაანახებს, ასე უბიძგებდა წინ...



როცა გეძახი

როცა გეძახი ჩიტების ენით,
ანდა წვიმის და ქარის ხმაზე
როცა გეძახი — შენც გამიხსენე!
ნუ მოარიდებ ჩემს ძახილს სმენას,
გარეთ გამოდი, გახსენი კარი,
რომ შემოვიდე შენს არსებაში,
როგორც შედიან ნისლეები ტყეში.

როცა გეძახი — ჩემი მკერდიდან
ამოიფრქვევა შენი სახელი —
ნუ გაიკვირვებ და გამოსწიე
მაშინვე ჩემსკენ...
მე დაგანახვებ ვერცხლისფერ მინდვრებს
ბავშვის სიზმრებით აფერადებულს.

როცა გეძახი — მომიახლოვდი,
ჩამომიჯექი აქვე, გვერდით
და ჩემი თმის მწვანე ტვერში
ჩამალე სახე... და დაგავიწყებ
ათას სატკივარს, მოგიალერსებ
ყველა სატრფოზე უფრო მსურვალედ
და ჩემი კოცნა შენს ბაგეებს
ისევ დაატკობს.

როცა გეძახი — ჩემი ცრემლით
გისველდება ძლიერი მხრები
და შენი მკერდი — სასთუმალი
ყველა ფიქრების,
ასე ამაყი
და მშვენიერი — ჩემით სველდება
და გამირბიხარ. მაინც იქვე ვარ,
შენს ნაბიჯებს ადევნებულო...
და ისევ თბება გრილი წვეთები
შენს მკლავებზე, სახეზე, თმებზე
და უფრო მეტად, უფრო სწრაფად
მოვედინები, რომ დაგეუფლო.

როცა გეძახი — გამოჰყევი
ჩემს ბილიკებს. ნუ შეგაშინებს
მთების სიმაღლე, ნურც უფსკრულთა
შხელი სიმშვიდე. ისინი შენსკენ
ხელს იწვდიან, რომ ჩაგეხვიონ,

მიგიკრან მკერდზე,
გაირინდონ სიყვარულისგან
და წუთით მაინც გადაივიწყონ
რანი არიან,
რა ხანგრძლივი მოლოდინით იტანჯებოდნენ.

როცა გეძახი — ჩემი ხმა ისმის
შენს სასთუმალთან.
და როცა სატრფოს შემოჰხვევ მკლავებს,
როცა შესცქერი მათა მწვერვალებს,
როცა ბალახზე დილის ცრემლს ეძებ,
როცა გგონია ამ ტანჯვისგან
თავს ვერ დაიხსნი —
ეს მე გამშვიდებ. დედამინის ყველა კუთხიდან
მე გამოვიხმობ, მე ვუაღერსებ
შენს დაღლილ სხეულს... ხან წვიმად,
ქარად, ხანაც მზის სხივად —
მე გიბრუნდები.

არც ამ ყანებზე გადაივლის
ჩემი მზერა,
არც ამ ლექსში გაბრწყინდება,
არც ამ მდინარეში დაასველებს
სხივებს,
არც გორის თავს მოექცევა...
შენში, მხოლოდ შენით
ამოივსებს გულმკერდს,
შენს გვერდით ადიდდება,
წალეკავს დაბლობებს და ყანებს,

წავა, წადინდება,
თან წაგიღებს ამბავივით
და ჩაგატარებს თეთრ ნისლში
ამოვლებულ ხეობებს...
არსად დარჩება, არავისთან.
ოღონდ ნაპირთან თუ დახვდება
და თვალბეჭეში თუ ჩაგხედა —
ჩასრიალდება შენს თვალთა ფსკერში,
ჩავა, ჩადნება, ჩაიფერფლება
სამუდამოდ ჩარჩება სევდად.

უნდა გამოჩნდე,
რომ კვლავ მოლოდინს
ხელით შევეხო და მივეფერო.
უნდა მოხვიდე,
რომ მე ბოლომდის
გაგიმეორო შემდეგ ზეპირად.
უნდა შემოხსნა
სულის კარები,
დაგმანულები წლობით ყინულით;
უნდა დარეკონ
ხსოვნის ზარებმა
უკანასკნელად, თავგანწირულად.
მერე დადუმდეს,

მერე, ერთბაშად,
ყველა სახლი და ყველა საკანი.
მერე მოვარდეს ნიაღვარივით
ფიქრები შენზე — თავშესაფარი.
მერე ცრემლებმა
გზა გაიკვლიონ,
დარდიც ზევაივით
ჩაჰყვეს უფსკრულებს.
უნდა გამოჩნდე!
რადგან მოლოდინს
ღმერთი ყოველთვის როდი
გვისრულებს.

მშვიდობით, მზეო, ზღვაში ჩასულო
შენი ხელია შუბლზე რომ მადევს.
მშვიდობით! ოღონდ ეს დასასრული
ამ მარტოობას არ უნდა ჰგავდეს.

მშვიდობით! როცა კვლავ დაბრუნდები
გაზაფხულივით, რომელსაც ვნატრობთ,
ჩემი მინდვრებიც გადახუნდება,
მეც სადღაც ჩავალ შენსავით მარტოდ.

ციკლიდან — „წვეთები ბალახის ჩრდილზე“

ისე დიდი ხანია გელი, —
რომ მოკვდა მოლოდინი...
რომელიღაც უნდა მომკვდარიყო
ჩვენს შორის...
მე გადამარჩინა შენმა სიყვარულმა.

შენზე ფიქრები —
ჩემგან წამებით დარგული ყვავილივით,
ამ გვალვაში მაინც იზრდება.
ცუდი დარები ფესვებს უხმობენ,
ის კი ფოთლებით
ისე ისრუტავს საჭირო ჰაერს,
დღის სინათლეს
თუ მთვარის სხივებს,
რომ საცაა ქუჩაში გასვლას
ველარ შევიძლებ.

ის თანდათან მეჩვენა.
ხესავით იფოთლება სიყვარული სულში...
ამ კვირტობისთვის ნუ დამაძინებ!
რომ ჩავუსაფრდე და მივაჭურადო
მის სუნთქვას —
სანამ ფოთლებად გაიშლება.

არავინ და არაფერი არ მიყვარს შენსავით!..
რა ღარიბია ჩემი სიტყვების სალარო,
ისევ სიყვარული — ვერაგი ქალბატონი —
სხვა ვერაფერი დავარქვი გრძნობას,
რომელიც ყველაფერს აღემატება ქვეყნად.

●
მომეცი, ღმერთო, ძალა,
რომ მის გვერდით ამოვისუნთქო!
შენ მაინც იცი —
ჩემი მარტოობის უდაბნოზე
რა ყვავილად ამოიზრდება ის წამი.

●
ახალი, ახალი, ახალი სიტყვები —
მხოლოდ მისთვის, მის შესამკობად!
დედამინის ფსკერიდან ამომატანიწე,
ამომაზიღინე,
ამომათქმეწინე
ღმერთო!

●
არ დაიჩოქებს ჩემი ფიქრი
შენს აჩრდილთან,
არც ქვაფენილზე დაცემული ფოთოლი
აჰყვება ქარის აღერსს...
ორივ დაღლილი სულივით
მიიცვალა, გაზაფხულს,
შენს მოლოდინში...

●
განა ღირდა ასეთი დაგენახე!
გამხმარი ეკალი — ჩარჩენილი
ფერად მინდორში!
შენ — ყვავილების ჭიაკოკონა გეკიდა,
უცხო სხივით იწვოდი;
მე — ქარისგან სხეულდაღწილი
უგონოდ ვეგდე
და საკუთარი ეკლებით
ვიკანწავდი სხეულს.

●
ნუთუ ასე დიდხანს ვკვებოდი?
მიცვალებულის სიზმარავით
შორეული სიცოცხლე
ქუთუთოებს ეჯახება და მიკვირს:
როდის დაიწყო ჩემი გარდაცვალება?



ჯემალ მენრიშვილი

დიდი ზინაბი

ლამაზად შეილის აღმზრდელი
დედა მიცენია ღმერთადა!

გაბა-ფაბაველა

სოფელ ვაქირის ნახევარი ვაკეზე, ასფალტ-ტანი გზის ორივე მხარესაა გაშლილი, ნახევარი მთის ფერდობზეა შეფენილი. ჩვენი ნარკვევის გმირების პაპისეული ორსართულიანი სახლი სოფლის თავში დგას. სახლს უკან კვირაცხოველის საყდარი და სიღნაღის ტყიანი ფერდობია, წინ — მთელი სოფელი. აივნიდან ხელისგულივით მოჩანს ალაზნის ველი...

ქართული აგურის სვეტებიანი სახლი მაღალია, ხალვათი, მკვიდრად ნაგები. კრამტიც ქართული ახურავს. ყველა ოთახს მუხის მსხვილი კოჭები უწყვია. სახლი 1917 წელს აუშენებია პაპას, იოსებს.

იოსებ ხუციშვილი სიღნაღის მაწარში ცნობილი იყო, როგორც ჭაფისკაცი, ცოლ-შვილის მოყვარული და გაუტენავი. იგი კრიკაში ედგა მფის ჩაფარ-პრისტავსაც, სიღარიბესაც, გვაღვასაც, მენშევიკებსაც... ვაქირში კოლმეურნეობების ჩამოყალიბება რომ დაიწყეს, პირველი ჩაეწერა არტელში. ჭიუტი გლეხკაცი არც ცხოვრებას ეპუებოდა; ხელნოკლეობის მიუხედავად ექვსი შვილი — ოთხი გოგო და ორი ბიჭი — გაზარდა... წლები კი გარბოდა და ამასობაში ღრმა მოხუცებულობამაც უწია. ბოლოს იური გაგარინის კოსმოსში გაფრენასაც მოესწრო.

— მამ, გიდი, ბიჭო! — იძახოდა განცვიფრებული იოსები, — ღმერთსაც უწიეს!!!

ბერიკაცმა აჯალის მოახლოება რომ იგუშინა, ყველგან უმცროსი, რობიზონი თბილისიდან ახშობინა და სახთუმალთან დაიხვია.

— ეტყობა, უფალი შაბზე გაგზავნას მიპირებს... არ მედროვება თუ რა არის ჩემოდენა ქვა აღარ დაგორავს, ჭუსტლები დამიცვდა ამ დალოცვილ დედამიწაზე სიარულისაგან. — სიტყვების რჩევა-რჩევით წამოიწყო დაუძლურებულმა, — შოდა, იმითმ დაგვიბარე, რო ორიოდ სიტყვა გითხრა და გულში ღარღლი არ გავიყოლოქ. მართალია, ცხოვრებამ ქალაქში გაგისროლა, მაგრამ საწყალ დედაშენს უპატრონოდ ნუ დაგდებ — მოხედავდე ხოლმე!.. ჩვენს ნაწინაპრად მოვლილ ეწო-ყურებს ღოლო და ჭინჭარი არ შეაყენო...

ბერიკაცი გაჩუმდა და ჩაფიქრდა.

— იქ რა დიდი ადგილიც უნდა იშოვო, არ დაივიწყო, რო გლეხკაცი ხარ, სოფლელი, მიწის შვილი. ღიას ნუ გაიკეთებ და ნუ მიეჩვევი უქმად წოლას. გახსოვდეს; წოლით მარტო გოგრა იზრდება, აღამიანმა კი სუ უნდა იტოკოს, იშრომოს! ეგრე აუკინძვართ უფალსა და!.. დაოჯახებასაც ნუღა დააგვიანებ. შენხელას ორი შვილი მუავდა!.. ქალის მოყვანისას კი ფხა და აზრი გმართებს. თუმცა იღბალი ჩვენ ბევრს არაფერსა გვეითხავს. მაგრამ მაინც გულში ჩაიდევ, შვილო, ჩემი ნათქვამი: ცოლი შეიძლება ოჯახის თავისმომკრელიც გამოდგეს და თავისმომხმელიც. ბევრი წუნკალი და ცრუკაცი მინახავს, რო ღვთისნიერ ცოლს თავმომწონე ვაეკაცად უქცევია, ხოლო ბევრი რკინის-მკვებელი ღამაში და ჭკვიანი ვაჟკაცი უგვანო და ტარამანა ცოლს ლაფში ჩაუგდია და



დაუბრკავებია ქალის სიმდიდრესა და სილამაზეს ნუ გამოუდგები. პირველ რიგში ეს იკითხე — ვისი ჭიდავისაა, როგორი დედ-მამის შვილი, რა წინ-ბუნებისაა: მშრომელია, დაუღალავი, კეთილწინიანი, დამთმობი, აზრიანი და დღეობის მოყვარული თუ ხელგაუძრავი, ფეოსნუმი, ავ-მუცელია, უკნოა, ყბედი და წილათრეული, ღმერთმა დასწყველოს და შორით აწოროს ჩვენს საგვარეულოს ე მადგიეთ პატარაძალი — ზუთი-ოდრე წილწიადში დაგანეულებებს და მიწაში ჩაგდებს. ტყუილად კი არ იგედრებოდა ქართ-იყოი კაცი:

ღმერთო, ნუ შაჰყრი ვაჟკაცსა,
ცოლსა ყბედსა და მძინარსა,
ის დაბერებს, ის მაჰკლავს
ის შართავს წყალსა მდინარსა!

ბერკაცმა საზეზე ხელი ჩამოიხვია და შვილს აღმადკრად შეხედა.

— ეცადე, იგდრე სოფელი ქალი ითხოვო... ქალაქეთი ხელს არ მოგცემს!

— რატო, მამი?

— რატო, შვილო და, უისმართა იქნება აქეთ მოგაბროს და ბეტონზე გაზრდილია ქალმა რა უნდა გაგიკეთოს?! ევენახს ვერ გახსლავს, ვერ ააზევებს, ღორებს სალაფავს ვერ გაუკეთებს, ძროხას ვერ მოგიწელებს, გაბურებულ თონეში ვერ ჩაეყულებსა და რაშ უნდა გაცხოვროთ?!

მიმე დუმილი ჩაშოვარდა...

ამ საუბრიდან დიდხანს არ გაუვლია, ბერაკი ვარდიაევალი. იოსებს შეუძრატულებს ან-დერძი — სახლის გვერდით, თავისივე ზელოთ დარგული ნაძვის ქვეშ დასახლავებს.

ეპ, როგორ უყვარდა რობიზონს მამა. ბერაკი ისე ჩავიდა მიწაში, მისთვის ერთი უში ქართულიც არ უქადრებია, მაგრამ ვაგლახ, ან-დერძი ვერ შეუსრულა — ქალაქელი გოგონა, ზეინაბი ანდლულაძე შეიყვარა და ცოლადაც მოიყვანა!

ზეინაბი თბილისში დაიბადა და აღიზარდა. მისა წინაპრები გურიიდან, ჩოხატაურის რაიონის სოფელ წიფნარიდან ვადმოსულან დედაქალაქში. მამა მუსიკოსი მყავს, სწორედ მამამ ჩაუნერგა თავის ექვსივე შვილს სიმღერისა და მუსიკის სიყვარული. ოჯახში ყველანი კარგად უქრავენ და მღერიან...

რობიზონმა და ზეინაბმა ბეჭითად დაიწყეს ოჯახური უღლის წვევა. ერთმანეთის სიყვარულსა და პატივისცემაში ათენ-ალამებდნენ. თუმცა, ვაჭრში იტულად მყოფ დედა-დედამთილს, ანახაც არ იგოწყებდნენ: ყოველ შაბათ-კვირაობით მასთან მიემგზავრებოდნენ და ყველაფერში ხელს ახმარდნენ. მაგრამ ცოლდა გატებილი სკობია: ახე წარამარა, ზამთარ-ზაფხულს, ავ-

ტობუსით ჯაჟაყი ჭერ მოსაბერებელი, ბო-ლინის კი აუტანელი ვახდა. განსაკუთრებით ღმერთისთვის. არადა, მარტოხელა ჰქვრივი ველარეროდა ბად-ვენახს, ბოსტანს, ფრინველს, დარდს, რობიზონი მიმე ფიქრებში გაიხლართა — აღარ იცოდა, რა ეღონა.

— ზეინაბი, — გაუგულსპასუხდა ერთხელ, — ყოველ შაბათ-კვირა როდემდე ვიჯაჟაყოთ, ჯაჟაყიც თავისთვის იყოს, ათასი ხიჯათი და ფათერაკია... მოდი, დედაჩემიც ჩვენთან ვად-მოვიყვანოთ; სახლ-კარი კი გავყიდოთ და ყველაში მოვისვენოთ!

— რას ამბობ, რობიზონ, — გაცოდა ზეინაბი, — მაგაზე დიდი ბოროტება რადა უნდა იყოს, რომ დედაკაცს, რომელიც თბილისში სტუმრად ერთ კვირასაც ვერა სძლებს ბოლმე და გულს ეყრება, თავისი ბუდე მოვუშალოთ და იძულებით აქ ვადმოვასახლოთ?! ეცეც არ იყოს, ნუ გავიწყდება, რომ ეწოში მამა გიმარხნია, მამის საფლავის გაყიდვაც არ შეიძლება!!

რობიზონმა ენაზე იკინა. მიხვდა, მეუღლე ცამდე მართალი იყო და მდუმარედ ჩაჰკიდა თავი. რა ეღონა? ანდგარიყო და ისევე სოფლად გადასახლებულიყო? მაგრამ იქ რაზე ემუშავა?! მისი სტიკია, სიყვარული და გატაცება ელექტროენერჯია იყო — ხე-ტყის დამამზადებელ ხანინისტროში მთავარ ენერგეტიკოსად მუშაობდა. ისე აწყუო და შეისისხლბორცა თავისი საქმე, კოლექტივის ისეთი ქება და სიყვარული დაიშახურა, რომ ახლა სამუშაოს ვერახიდევით ვერ გასწირავდა და ვერ მოიგებდა დვთის ანახარს. მა, ჭანი გავარდეს, ვადაუდგებოდე თავის რაჟულს: უღალატებდა სამსახურსაც და კოლექტივსაც, მაგრამ ზეინაბი? ის წაჰყვებოდა სოფლად? აპ. ანდა, რატომ და რისთვის უნდა წაჰყვებს: სოფლიდან ჩამოსულ გოგონებს აღარ სწადიათ ხლმე უქანვე დაბრუნება და ინტელიგენტის ოჯახში აღზრდილი თბილისელი ქალი სწორედ მყუდრო ვაჭრში ვადახსლდებოდა და ძაძიან დედამთილს ცხვირწინ წამოუსკუბდებოდა!

და აქ ვახსენდა რობიზონს მამის რჩევა — ისევე სოფელი ქალი გერჩინოსო.

— ეხ, შენ მართალი იყავ, მამაჩემო! — ხინანულით ამოიგმინა თავისთვის.

— მაგას რაზე ამბობ? — ვერა გაიგო რა ზეინაბმა.

რობიზონმა მეუღლეს წვრილად უამბო გულის კავრი.

— რაკი ახეა, შენ ნუ უღალატებ შენს სამუშაოსა და კოლექტივს, — მშვიდად შენიშნა ზეინაბმა, — სოფელში კი მე წავალ და მე მივხედავ იქაურობას!

რობიზონმა ყურებს არ დაუჭერა, ხარხარი აღუვარდა.

ჟამბალ მისრეშვილი
დრი დი ზემინაბი

— შენა?!. შენ ამბობ მაგას?! შენ სოფელში როგორ უნდა იცხოვრო, არ იცი ბარვა, თონა, თესვა...

— მასწავლი!!!

— არა, ზეინაბ, შენ უთბილისოდ ვერ გაძლებ ბა ტუყულად პირს შევიტყვებნით!

— ასე ნუ მიყურებ. ვახსოვს, ამას წინათ რომანის ერთი ადგილი რომ წაგიკითხებ. როცა კალუგაში მყოფ ტყვე შამილს შეეკითხნენ: იქ, კავკასიაში ახლა ნაბი ვინ არისო, ბრძენმა მითხრობა უპასუხა: სადაც მე ვარ, კავკასია იქ არისო!

ზეინაბმა გულზელი დაიკრიფა და ღია სარკმლიდან ხმაურითაა ქუჩას გადახედა.

— როგორც მე ვუკვირდები, დღევანდელ ცხოვრებაშიც ასეა: სადაც მეტ სარგებლობას მოაქვს — ვახსა და საქართველოს, სადაც უფრო მეტად ვეყვარები ქმარ-შვილს, სწორედ იქ იქნება ჩემი თბილისიც, მოსკოვიცა და პარიზიც!

ზეინაბ — ამოიჩურჩულა რომიზონმა და მეუღლე ნაზად მიჩუტა. ის ახლავა მინვდა, ამ პატარა, მოხდენილი ქალბატონის სახით რა თვალი პატისხანი ერთქებინა მისთვის განგებახს.

თქმა და ქნა ერთი იყო რომიზონი თბილისში დარჩა. ზეინაბი კი ქმრის სოფელში, ვაჭარში გადაბარგდა მარტონელა დედამთილთან, მუშაობდა იმავე სოფელში, ილო მოსაშვილის სახელობის საშუალო სკოლაში დაიწყო — ქართული ენა-ლიტერატურისა და მუსიკის მასწავლებლად. რომიზონმა მუდამ შებათ-კვირაობით ჩამოდიოდა ცოლ-დედას ხანახავად.

იმჟამად ვაჭარში ერთი სხვა ხნიერი ზეინაბიც ცხოვრობდა და ხალხმა ქალაქიდან ჩამოსულ ახალგაზრდა პედაგოგს მეტსახელოვად პატარა ზეინაბი შეარქვა. თავიდან ბევრს ეგონა, კოპწია თბილისელი ვერ აიტანდა სოფლურ უოფას და მალე მოიწყენდა, ანდა, დედამთილთან ჩამოუვარდებოდა შუღლი და წყევლა-კრულვით მიატოვებდა ვაჭარს. მაგრამ მოტყუვდნენ რის მოწყენა და რა შუღლი?! ზეინაბმა გვერდში ამოიყენა გამოცდილი დედამთილი და კარ-მიდამო, ბალ-ვენახი და ბოსტანი ედემს დაამგვანა, ორიოდვე წელწიდაში სოფლის საყვარელი და თითოთ ხაჩვენებელი პედაგოგის სახელიც დაიმკვიდრა.

— ეს რა უოჩალი ქალი უოფილა, კაცო! — იძახდნენ განცვიფრებულ მეზობლებში.

მე, ჯერ სად იყვნენ!

ზეინაბმა სამშობლოს შვიდი შვილი აჩუქა: ნინო, იოსები, დავითი, ხათუნა, ვახტანგი, თამარი, ელენე. ყველაზე უფროსი, ნინო ცამეტისაა, 19დღაზე უმცროსი, ელენე, სამი წლისა.

— ერთიდან ეს ვინა უოფილა, კაცო! — კვლავ განცვიფრდნენ მეზობლები — ქალაქელმა არ გვიჭობა სოფლის ქალებს! ეს მალე ათამდეც ავი!!!

ზეინაბს მერვე შვილიც ჰყავდა უფროსი. მაგრამ 1979 წელს უბედურება დაატყდათ. მთელი გარდაეცვალა. მრავალშვილიან დედას სამუდამოდ გამოეცალა ხელიდან ბრძენი მრჩეველი, გამამხნეებელი, დაუღალავი მოსაქმე, შვილიშვილების მეთვალყურე და მკაცრი აღწერელი, სისხამე ცეცხლის გამღვიძებელი, აკნის გამწვევი, კარ-ფუძის თვლი და ყურის. ანა ბეზიაც, ანდერძისამებრ, ნაძვის, ქვეშ ქმრის გვერდით დამარხეს.

ზეინაბმა დედამთილ-მამამთილის საფლავებს ხის მესერა შემოაბრტყა, რომ ზედ უნებლიედ ფეხი არავის დაედგა, ანდა, საქონელს არ ებუღარავა, თან პატარა კარაც დაატანებინა, რათა საუფლო დღეებში გულშემატიკრებებს შესანდობარი ეთვით და საფლავებზე ღვინო დაეწვეთებინათ.

სოფლად აქამდე დედამთილის ხათრითა და იმედით ცხოვრობდა, აჩურჩულდნენ მეზობლები. — ზეინაბს ახლა აქ რაღა გააჩერებს, წლის-თავსაც რომ გადაუხდინა, ალბათ, ისევე ქალაქში წაბარგდებაო. ამ უარაუდს ისიც აძლიერებდა, რომ სწორედ იმხანად მთავრობამ მრავალშვილიან ოჯახს სისტემატიურ ფულად დახმარებასთან ერთად თბილისში ხუთოთახიანი ბინა და ავტომანქანა „ფიგულა“ მისცა.

მაგრამ მეზობლების ვარაუდს კვლავ გაწილდა ეწერა. ოცდაცამეტი წლის ძაძით მოსილმა მგლოვიარე ქალმა უსიტყვოდ დაიჭირა დედამთილის ადგილი და დედაბოძად შეუდგა ფუძე-შეტოკებულ ოჯახს.

სოფელმა მაშინ კი საბოლოოდ ირწმუნა ზეინაბ ანდელუჟაძის კაიქალობა და უტეხი ნება-ნდობისა და პატვიცემის ნიშნად მეტსახელი გამოუცვალეს: იმ პირველ ზეინაბს ძველმეურად ისევე ზეინაბი დაუძახეს, ზუციანთ ეკრის დიასახლს კი დიდი ზეინაბი შეარქვეს!

გამჭირაბმა და სარისტიანმა ზეინაბმა მარტო სკოლასა და ოჯახში როდეს გამოიჩინა თავი — სხვა საქმეებზე აულე ალლო, ვაჭარში იგი ერთ-ერთი პირველთაგანი მიხვდა, რომ სასურსათო პროგრამა ადრე თუ გვიან მთელი სიგრძე-სიგანით წამოიჭრებოდა და ძალზე დიდ მნიშვნელობას შეიძენდა დამხმარე, ეტქო შეუტრენობა. ამიტომ ქმარი დათანხმა და საქონელი გაიჩინეს. დღესდღეობით ზუციანელებს ორი ძროხა, ორი დეკეული, ექვსი ცხვარი და გოჭებანი ღორი დაუღიო. წვრილ ფრინველს ზომ სათვალავი არა აქვს. ერთი სიტყვით, მათთვის სასურსათო პროგრამა მეტ-ნაკლებად გადაჭრილია.

●

შვიდი შვილი — თავმოსაწონებლად და სატარაბზოდ ადგილი სათქმელია, გასაზრდელ-აღსაზრდელად კი ძნელი. რა მოსთვლის, ზეინაბს რამდენი ღამე გაუტეხია თერთად. ზოგჯერ უოფილია შემთხვევა, რომ შვიდზე და-მამა ერთად

წაუქცევია სხვადასხვა ავადმყოფობას და იშვამად წყლის მიმწველი და წამალზე წამსვლილიც არავინ ჰყოლია დედას. მაგრამ ზეინაბი არადარბს გატეხილა, ძაბუნსა და სინანულს არ დანებებია.

ახლა შვიდი ბავშვის ჩაცმა-დახურვა და ჰამასა ვთქვათ. ვისთვისაა საიდუმლო, ანდა, რა დასამალია, რომ ციდან მუქთად არაფერი ცვივა — ყოველი ლუკმა პური და ყოველი მტკაველი ჩით-ფართალი ხაკუთარი ოფლისა და ჭაფის ფხად უნდა მოვიპოვოთ. ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან სხვანაირად ცხოვრებას ჰეშმარითი აჭრი და გემო გამოეცლებოდა. ეს კარგად იცის ჰკვიანმა ზეინაბმა და ცდილობს შვილებსაც სწორად აადებინოს ცხოვრების გეში, მას, როგორც დედას და როგორც შვილების საქციელზე მორალურ პასუხისმგებელი, უჩრევნია — თუკი საეთისი ასე დადგება — მისმა შვილებმა ზოგიერთი რამეში ნაკლებობა განიცადონ, ვიდრე მაცდური მოყარება, რაც მოწარმეს საბედისწეროდ ანებებრებს და მათში მშობლებსა პატიოსანი შრომით შექმნილი მატერიალურა ფაქტობისაღმი ქარაფუტუღი და აგდებული დამოკიდებულების თესლა აღვივებს.

ზეინაბი ძალ-ღონეს, ცოდნასა და მოთმინებას არ იშურებს, რათა შვილები რიგინები დაეწარდნენ. სახენიეროდ, შრომა წყალში არ ეყარება; მისი შვილები სოფლის სამაყო-სამაგალი-თონი არიან.

მართალია, მამას ქალაქში უხდება ცხოვრება და მუშაობა, მაგრამ მისი წრუნვა, სიყვარული, იმედი, კიბაცობა, უადრი და ხათრი ოჯახში ძველი ღვინის სუნეით ტრიალებს და ყველაფერში იგრძნობა. ხორავთა და საჩუქრებით დატვირთული რობიზონი შებათ-კვირაობითა და საზემო დღეებში ვაქირისხევე, ცოლ-შვილში მონიჭარის და მიუხარის. ყოველ შვეულებებსა ხომ სოფელში ატარებს. აჰ, მამან კი აღდგომა დგება ხუციაანთ ოჯახში. გვიანობამდე პურობენ, მღერაინ, ზღაპრობენ, კიდაობენ, იცინიან. დილაადრიაან კი ფუტკრებით ვამოიშლებიან ხოლმე ეგუში. ზოგს ცული უქირავს, ზოგს — ბარი, ზოგს — თონი, ზოგს — დოქი, ზოგს — ფრვალი, ზოგს — ნამგალი.

— აბაბაბა, გამაიშალა ხუციაანთ ლაშქარი! — იტყვიან ხოლმე მეზობლები — და ხელმოჩრდილებით იყურებიან აივნებიდან და ღებებებიდან, — მაგათ რა საქმე გაუძღობთ! ყველანი იოსება პაას დაემგვანენ, კაცო — მშრომელები!

— მო, მაგრამ ი გურული რძალიც რა თავიანთებური ჭიშისა იპოვებ!

— ეგა თქვი და! ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო, სწორედ შავათზეა ნათქვამი!

მეზობლები ბეობენ, აქებენ, ხუციაანთ ჩამონავალთ კი პირისხეზე ხვითკი გადასდით: რობიზონი შეშას აპობს, ბარავს, თიბავს, ვენახს წამლავს, ნინო კერძებს ამზადებს, იოსები ღო-

ბიოს თონის, დავითი ფიჩხის კონას მოათრევს, ხათუნა ბობტანს მარგლავს. ვაბტანგ ხბო მუყავს და ზურგით ნეკერიც მოაქვს, თამრიკო ელტნეს უვლის და ათამაშებს — თან ვასაშრობად გაფენილ გათუთულ ქლიავზე თვალი უქირავს და ქათმებს უქშევს. ზეინაბი? ყველაზე მეტი ჭაფა ოჯახის დედობის ადგას; რეცხავს, აუთობებს, ხაკონტროლო რვეულებს ასწორებს, აქერებს, თეორიული კონფერენციისთვის მოხსენებას ამზადებს, ყველი ამოკყავს, მეზობლის დაფთობულ ახალბედა დედებს ამშვიდებს და რწევას აძლევს, ცხრა ხელ ლოგინს ამზიურებს, თონეს ახურებს, პურს აკრავს, ძროხას წველის, პროპაგანდისტთა სემინარისთვის კონსპექტს წერს, საეკრავ მანქანას აჩახახებს... ნოკილად, ყველამ — დიდმაცა და პატარამც — თავისი საქმე იცის და ხალისიანად ასრულებს. ასე არიან აღწრდილები. ასე არიან მიჩვეულები! ამიტომ მათი ოჯახისათვის უცხო ხილია ნერვებისმომშლელი კინკლაობა, ბოლომოდებელი შენიშენები, საყვედურები, წყევლა, აყალმაყალი, დედღუნე, ჩიჩინი, უვირილი.

— ღმერთო ჩემო, რა ბედნიერი ქალია ხარ! — ჩივილით შენატრა ერთხელ ზეინაბს. მეზობლის ქალმა, — შვიდი გყავს და რობიზონს ერთი საყვედური არ დასცდება, ჩემი ქმრის შენიშენებმა კი ლამის კიბო გამიჩინოს: ბავშვი არ წაიქცებს, არ გაიოფლოს. ფეხი არ მოიტეხოს, თვალიც ჩიჩინი არ წაიკრას, მძიმე არაფერი ასწიოს, ჭუჭყიანი ხელით არაფერი შეჭამოს!.. კაი, რა, კაცი არა ხარ?!

— ერთი რომ გყავთ, იმითმა დაფთობული, — უპასუხა ზეინაბმა, — აბა, ოთხი-ხუთი გყავდით — უსარგებლო შენიშენებისთვის სადღა გეცლებოდათ.

— რას ამბობ, ზეი, სულ ამას მსაყვედურობს — ერთი გყავს და მაგახაც ვერ უვლიო და ოთხი-ხუთი რომ მყავდეს, ალბათ, ცოცხლად გადამუალავდათ. ეგემ არ იყოს, ჩვენ მაგის პირობები სადა ვუკვძვ!

— ერთი უფურქ! მე მაქვს და თქვენ არა?! ენ იცი, ვის უთხარი, ვინც არ იცი! — შეუტია ზეინაბმა და თითებზე ჩამოუთვალა, — შენც მუშაობ, ქმარიც, დედამთილ-მამამთილიც, შენი მშობლებიც სულ თქვენთვის ნაკრულობენ და კიდევ მაგას გაიბახო? ოთხ-ხუთს კი არა, თქვენი ოჯახის ქონება იც ბავშვსაც გასწვდება!

— უმ, რა ვიცი! — შეიფერა ქება ფარხმალ-დაყრილმა ქალმა და ფარხმალურად შეპლიმა ზეინაბს.

●
ხუციშვილები თავიანთ კოჟანდარას, ელენეს, დახადების დღეს უხდიდნენ — სამი წლისა ჯამალ მისრიშვილი დიდი ზინაბი



გახდა. თბილისიდან, გურიიდან, სიღნაღიდან ზღობად მოგროვდნენ ნათესავები, მოყვრები, მეგობრები, მეზობლები. სტუმრებში ერთი ოცდაშვიდიოდე წლის გასათხოვარი გრძელწამწამა ლამაშანიც ერთი — ზეინაბის ნათესავის მეგობარს წამოყვანა ვაჭრში. ეტუბობდა, სოფლურ ოჯახში პირველად იყო. პურობის დაწყებამდე მდუმარედ დააბიჯებდა და სიბრაღულ-სევდიანი სახით ათვალდებდა გრძელ თოკზე გაფენილ შვიდი და-ძმის თეთრულსა და ფალასფულსს, წყლის აუშთან შეხიზხულულ ნიარ-ნიარ ტაშტებს, დერეფნის კუთხეთს ნიზით მიხვეტილი-ნი აზორცვილ ბავშვების მიღრეცილ-მოდრეცილ საშინაო ფიხსაცმელებს, ქუჭუქიანი ტანსაცმლით თავმობმულ სარცების ქვაბს. ბოლოს, უსაშველო სევდით დათრგუნვილმა თვალი მოარიდა მრავალშვილიანი ოჯახის პროზაულ საგნებს და მოუსვენარი განცდებით შეპყრობილმა სიგარეტი გააბოლა.

ანაწად ცხვირწინ ზეინაბმა ჩაუარა — უკვე დაწყეთ სუფრის გაწყობა და ღვინით სავსე სველი ხელაღები მიჰქონდა.

— ქალბატონო!
— დიახ! — მოუბრუნდა ხელაღებიანი ზეინაბი.

— ჭერ ერთი, ბოდის გიხდით, — თავაზიანად დაიწყო გრძელწამწამამ და ზეინაბს თამბაქოს კვამლი რომ არ ეყნოსა, კისერი ჭეირანივით მოიღერა და ზევით ააბოლა, — დიახ, პატიებას ვიხოვებ, დაუპატიებლად რომ... მაგრამ რამაზ-მა საშველო...

— როგორ გეკადრებათ, როგორ გეკადრებათ! ჩვენს ოჯახში...

— და მეორეც: იცით... არ ვიცი, როგორ... სხვანაირად კი არ გამოვიტო, მაგრ...

— არა, არა, რატომ უნდა გავიგო სხვანაირად, ბრძანეთ!

— რისთვის აჩნეთ ამდენ შვილებს? ითქვა თუ არა ეს სიტყვები, თვლის დახამხამებაში მათ შორის უხილავი, თვალჩაუწყვდიანი უფსკრული გაითხარა და ორი განცვიფრებული სამყარო სხვადასხვა ნაპირიდან ერთმანეთს ჭიქურ მიასტერდა. ზეინაბმა კინტი ვერ დაჭრა. იდგნენ უძრავად. დუმილი მძაღრი ვეშაპივით გაწვდა და გაირინდა. იდგნენ უძრავად. სიგარეტიანი სამყარო პასუხს ელოდა, ზელადებიანი სამყარო პასუხს უგვიანებდა.

ზეინაბისათვის ამაზე ადვილი შეეითხვა ჭერ არავის მიეცა. ზეინაბს ჭერ ასე არასდროს გასჭირვებია. პასუხი რა უნდა ეთქვა?! უცებ მიხვდა, რომ თუ ახსნას შეუდგებოდა, ასე მაიპარად ამომწურავს მაინც ვერას ეტყუოდა და პასუხი ახლავდა, ბანალური, საეჭვო და წმინდა წყლის პროპაგანდისტული გამოუვიდოდა. დიახ, მიხვდა, რომ იმ დაცოფუცში კარგად ვერ იტყუოდა, ზოლო თუნდა კარგადაც ეთქვა, მაშინ კარგ მიქმელს გამგონიც კარგი უნდოდა, გამ-

გონი კი... ისევ სიტყვის ბანზე აგდება ამტკიცება.

— რა ვიცი, ახა! — მხრები აიჩჩა მორცხვად და სიცილით წაუმატა, — ეშმაკმა რომ სილა მკრას! — ხელაღების ქნევით მაგიდებისკენ გაეჩქარა.

გრძელწამწამამ გამარჯვებულის სახე მიიღო, ზეინაბს თანატრნობა-პატიების მზერა გააყულო და სიგარეტი მდელიდურად მიიტანა მარწყვისფერ ტუჩებთან...

ქვიფის შემდეგ სტუმრები რომ მილაგ-მოლაგდნენ, უველამ დაიძინა და სახლკარი მიწუნარდა, ზეინაბი მაგიდებს მიუტრიალდა. თან გრძელწამწამაზე ფიქრობდა. მისი კითხვა — „რისთვის აჩნეთ ამდენ შვილებს?“ — გონებთან არ სკამდებოდა. მაინც რამ მოაფიქრა, ნუთუ ექლამ ეს არ უნდა იცოდეს?! რატომ აჩნეს და იმით, რომ ეს თვის დედა-ბუნების წმინდა კანონია, მრავალშვილიანობა ქალის სიხარული, სიამაყე და იმედია, ერის უკვდავებაა, დედის უპირველესი მოვალეობაა. და ეს მოვალეობა ერის წინაშე ისე ცხადად ჩანს, როგორც აგურ, ჩვენი კავასიონის მთები! მაგრამ ზოგჯერ ბურუსი ჩამოწვება ხოლმე და მთებიც აღარ მოჩანან. მსგავსი ბურუსი ცხოვრებაშიც იცის. სამწუხაროდ, ბევრი ქართველი ქალის მერყევა და მჭრნობიარე გონებასაც სქელი ბურუსი შემოხვევა ხოლმე და ისინიც ვეღარ ხედავენ მრავალშვილიანობის აუცილებლობას. სიკეთეს, სიხარულს, ერის მომავალს. ეს დამღუპველი ბურუსი მეტად გამძლეა, მაცდური და ათასნაირი თვისების სახით ვლინდება ქალში: წრეგადასული თავშეყვარება, გულუბრუნობა, საყუთარი თავით გადაპარბეზული გაცაცება, სიზარმაცე, წამხედურობა, ზელ-მოკლეობის გავიადება, პატარა, ოჯახური სიძინელებისადმი პანიკური შიში, ერის მომავლისადმი უფარდებლობა, ილუზიების აყულო... ვინ გონებაცა და კაიქალობაც ამ დაბრკოლებებს გადალახავს, ის უხვეშვილიანობის სიხარულის იდეალური თვით დეტკებმა ხოლმე. ეს კი მხოლოდ რჩეულთა ხედერია...

ფიქრწადებული ზეინაბი მამლების მესამე ყვილიმა გამოაფიხნა. მან კურტკელს თავი ანება და მძინარე ბავშვებს მიასურა — სახანი ხომ არ გადაიხადესო. მაგლის კუწიანი შუქჟარი აანთო და საწოლებს თვალი მოავლო. ყველაფერი რიგზე ჩანდა — ხშირძილი იყვნენ ხუციაათნ ჩამონავალინი. ერთმანეთში ირეოდა სუნთქვა, ხვრინვა, კვრინვა და ფშვინვა.

საწოლებთან დახრილი, ოცნებაში წასული ზეინაბი ტბილად იღიმება. ოლონდ ეგაა, არც ერთ შვილთაგანს არ უყურებს. მაშ, ვის უღიმის შვიდი შვილის დედა? იქნებ, თავის მერვე შვილს?!

ღმერთმა ხელი მოუმართოს!

კუკური თორდია

ლევ ტოლსტოი და სამსხე-ჯავახეთი

(მართვლი ახალგაზრდობის წარიღიდან ლ. ტოლსტოისამდე 1901 წელს)

ბაშპანიაში, კერძოდ საქართველოში ყოფ-
ნა გენიალურ რუს მწერალს ლევ ნიკოლოზის
ქე ტოლსტოის თავისი „ცხოვრების ერთ-ერთ
საუკეთესო პერიოდად“ მიაჩნდა. სწორედ სა-
ქართველომ შეასრულა დიდი როლი მწერლის
მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. ამ
კუთხემ მისცა ტოლსტოის მდიდარი და უშ-
რტი მასალა, რაც ოსტატურად გამოიყენა
თავის ქმნილებებში. ლ. ტოლსტოი კავკასიაში
1851-1856 წლებში ცხოვრობდა. საქართველოს
სამხედრო გზის სილამაზემ, კავკასიონის თოვ-
ლიანმა მწვერვალებმა დარიალის განუყო-
რებელმა ხეობამ, ქართველი კაცის ვუკაცობამ,
გამატანობამ და გულკეთილობამ, რომელიც შე-
მდეგ მისი შემოქმედების მუზა გახდა, მოხიბლა
დიდი მწერალი.

სამხედრო გზა ყოველთვის მნიშვნელოვან
როლს თამაშობდა საქართველოს პოლიტიკურ-
ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამ გზით დიწყო
საქართველოს და რუსეთის მეგობრული ურ-
თიერთობა.

ჩვენ ამჟერად გვიანტიკრებს დიდი რუსი
მწერლის პირად ცხოვრებაში, სულიერ მრწამ-
სში რა ადგილი ეკირა სამხრეთ საქართველოს,
კერძოდ სამცხე-ჯავახეთს.

განაწიებმა სამხრეთ საქართველომ 1828
წელს დიდი რუსი ხალხის დახმარებით ამოი-
სუნთქა, ოსმალთა ჰანი წლის ბატონობას ბო-
ლო მოეღო. გენერალ პასკევიჩის მეთაურობით
განთავისუფლებულ იქნა ახალქალაქი, ხერთ-
ვისი, ასპანა, ახალციხე, რომლებიც დაუბრუ-

ნდნენ დედა-სამშობლოს — საქართველოს.

რუსთა ხელისუფლებამ განთავისუფლებულ
ტერიტორიაზე შექმნა ახალციხის საფაშოს
დროებითი მმართველობა, რომელმაც 1840
წლამდე იარსება, 1840 წელს უკვეა შემოშ-
კიციებული ქართული თემი ახალციხის ერთ
მაზრაში გააერთიანეს და უშუალოდ თბილი-
სის გუბერნიას დაუქვემდებარეს.

1867 წელს ახალციხის მაზრა მეფისნაც-
ლის ბრძანებით ორ ნაწილად — ახალციხისა
და ახალქალაქის მაზრებად გაიყო.

ახალქალაქის მაზრაში ჯავახეთის ზეგანის
სოფლები მოიქცნენ, ახალციხისაში კი — მეს-
ხეთის ქვაბულის სოფლები.

რუსეთის დიდ ტერიტორიაზე ჩნდებოდა
სხვადასხვა სექტები, როგორც სოციალურ წი-
ნააღმდეგობათა პროდუქტი.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში წარმოი-
შვა დოხაბორების სექტები. ისინი უარყოფ-
დნენ საეკლესიო წეს-ჩვეულებებს, ზატებს, წმი-
ნდანებს. ემიჯნებოდნენ მართლმადიდებლებს,
უარს ამბობდნენ მეფის რუსეთის არშიაში
მსახურობაზე, მემამულის მიწის დამუშავება-
ზე, ამიტომ 1888 წელს დოხაბორები „შალოჩ-
ნი ვოდიდან“ გადმოსახლებული იქნენ საქარ-
თველოში, კერძოდ ჯავახეთში. აქ ჩამოსახლე-
ბული ათასობით დოხაბორის მდგომარეობა უმ-
წყო იყო.

ცარიში თესდა შურსა და შტრობას დოხა-

ბორცხა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის, მაგრამ იყვნენ პარაგრესულად მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც უუპურადღებოდ არ ტოვებდნენ უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნად დოხბორების და დახმარების ხელს უწყვიდდნენ მათ. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ დიდი რუსი მწერალი ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი, ცნობილი ქართველი მწერალი, კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე ილია ნაკაშიძე, გიორგი დადიანი, ს. ესაძე, ხალხოსანი მიხეილ უიფიანი. ამ ხუთი ადამიანის მეგობრობა მემართული იყო დოხბორების საკეთილდღეოდ. ლევ ტოლსტოი დაინტერესებული იყო დოხბორების მდგომარეობით და მას ხშირი მიწერ-მოწერა ჰქონდა ილია ნაკაშიძესთან. ნაკაშიძე და უიფიანი იასნაია პოლიანაში ტოლსტოისთან ხშირად ჩადიოდნენ და ჩაჰქონდათ ამავეი არა მარტო დოხბორების, არამედ ქართველთა დუხბირ ცხოვრებაზეც. ლევ ტოლსტოი ძალიან იყო დაინტერესებული მეცხეთე-ჭავჭავეთის, გურიის, აგრეთვე იმერეთის, სამეგრელოსა და კახეთის მდგომარეობით. საინტერესოა ერთი დეტალი, ქართველი სტუდენტები, მოსკოვის უნივერსიტეტში რომ სწავლობდნენ, პირადად იცნობდნენ ტოლსტოის. მათ შორის იყვნენ სტუდენტები სამცხე-ჭავჭავეთიდან ა. დიასამიძე და ბ. გვიძე. ისინი ა. დუნაევის ოჯახში ხვდებოდნენ მას და იასნაია პოლიანაშიც ჩადიოდნენ ხოლმე. მათთან საუბრისას ტოლსტოის არაერთხელ უთქვამს „საქართველო მიწიდან, გული იმითაჲნ მიმწივენი“. განსაკუთრებით საინტერესო უოფილა ზუჯდიდელი სტუდენტის პავლე აკობის მეგობრული კავშირი ლევ ტოლსტოისთან.

1901 წელს ტოლსტოიმ ერთხელ კიდევ გამოავლინა უურადღება საქართველოსადმი, როცა ქართველი ახალგაზრდობის ერთი ჯგუფისაგან წერალი მიიღო. წერილი ასე მთავრდებოდა. „ვიმოდვაწით ჩვენს უფროს ძმასთან მართად, ყველას სასიკეთოდ“. დიდი მწერალი თანაუგრძობდა მათ და ამხნევებდა უკეთესი მგრძობისათვის ბრძოლაში.

ლ. ტოლსტოის ძალიან უნდოდა ჩამოსვლა სამცხე-ჭავჭავეთში, ის ადგილები უნდა დაეთვალეებინა, სადაც დოხბორები დაახალკეს, მაგრამ ამის საშუალება არ მიეცა მწერალს. საბაგიროდ, თავის მეგობრებს ი. ნაკაშიძესა და მ. უიფიანს წერილობით სთხოვდა, ჩასულიყვნენ ჭავჭავეთში და დაეთვალეებინათ დოხბორების ცხოვრების პირობები. საქართველო-

ში ლ. ტოლსტოის თხოვნით ჩამოვიდა თბილისელი არტურ სინდუონი, რომელმაც დიდძალი ფული ჩამოიტანა დოხბორების წასაყვანად. ილია ნაკაშიძემ და არტურ სინდუონმა დეტალურად შეისწავლეს და მოიარეს სამცხე-ჭავჭავეთის ტერიტორია, ახლო გაიქვენენ დოხბორების ცხოვრებას, ამის შესახებ აცნობეს ტოლსტოის, ეს უუპურადღებოდ არ დარჩენია მეფის ოზრანკის პოლიციისტერს მასტიკის და საქართველოდან გააძევა ი. ნაკაშიძე, ლ. ტოლსტოიმ თავისი მეგობარი ილია ნაკაშიძე მოსკოვში მოაწყო, საიდანაც ის აგრძელებდა დოხბორების მდგომარეობის შესწავლას.

რამდენიმე წლის შემდეგ ტოლსტოის დავალებით ისევ ჩამოიღეს საქართველოში ი. ნაკაშიძე და აგრძელებს დოხბორების სოფლებში ხელახალ შემოვლას. სიკვდილის უკანასკნელ დღეებამდე არ გაუწყვეტიათ ურთიერთობა ლ. ტოლსტოის, ილია ნაკაშიძესა და მიხეილ უიფიანს.

დოხბორებისათვის ახალი ცხოვრება და-
იწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. გამართლდა დიდი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის სიტყვები, რომ მომავალში ეღივებოდა დაჩაგრულ დოხბორებს თავისუფლება და ბედნიერი ცხოვრება.

ჭავჭავეთში, დღევანდელი ბოგდანოვიცის რაიონის ზოგიერთ სოფლებში, სადაც ამჟამად დოხბორები ცხოვრობენ, დამკვიდრდა ახალი ცხოვრება, ახალი უოფა, ახალი კულტურა.

სოციალისტური ცხოვრების წესებმა სხვადასხვა ეროვნებები ერთ მთლიან ოჯახად შეაღებდა. დღევანდელმა დღემ ძირფესვიანად შეცვალა წინათ უუფლებო, უმწეო დოხბორების მდგომარეობა, საბჭოთა კავშირის კონსტიტუციამ ქვეყნის მოქალაქედ, ქვეყნის პატრონად აქცია ისინი.

დღეს, როდესაც მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი ზეიმობს სსრ კავშირის შექმნის მე-40 წლისთავს, დოხბორებიც აღფრთოვანებულია შრომითი პათოსით ხვდებიან ამ ღირსშესანიშნავ დღესასწაულს.

ცხადია, ეს კიდევ ერთი დიდი ფაქტია იმ ლენინური ეროვნული პოლიტიკისა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა. უველაზე დიდი მონაპოვარი სამოცი წლის მანძილზე არის მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდი მეგობრობა.



კრიტიკის დიდი პასუხისმგებლობა

დღეს არავის არ ჰირდება იმის ახსნა-განმარტება, თუ რაოდენ დიდია კრიტიკული აზროვნების როლი კულტურისა და ხელოვნების ნებისმიერი სფეროს განვითარებაში. ქართული ლიტერატურული კრიტიკა ყოველთვის გრძნობდა დიდ პასუხისმგებლობას ეროვნული მწერლობის წინაშე. კრიტიკოსის გზა იკვარდით არასდროს უოფილა მოფენილი, მას უხდებოდა მთელი ძალების მოკრება, რათა არ დაგვეკარგოდა ლიტერატურული სიმათლე, არ გაბატონებულიყო განუკითხაობის, განურჩევლობის დამღუპველი სენი. ამ პასუხისმგებლობის გრძნობამ თავისი გაიტანა და თუ სერიოზულად შევისწავლით თანამედროვე ქართული კრიტიკული აზროვნების გზას, დავინახავთ, რანდენი შრომა გაწეული ჰქმნარიტი კრიტიკოსების მხრივ, რამდენი საყურადღებო კრიტიკული ნაშრომი გამოქვეყნებულა, რაოდენ ამაღლებულა კრიტიკული პათოსი. გაკეთებულს უნდა გულდასმითი შესწავლა, წესრიგში მოყვანა, ცალკეულ კრებულებად გამოცემა, რადგან ნაგულისხმევ ნაშრომებს კვლავაც დიდი ხნის განმავლობაში შეუძლიათ ლიტერატურულ ცხოვრებაზე ცხოველმყოფელი გავლენის მოხდენა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამას წინათ მიიღო დადგენილება „რესპუბლიკაში ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

აღნიშნულ დადგენილებაში ხაზგასმულია ქართველ კრიტიკოსთა დამსახურება: „ქართველ კრიტიკოსთა მთელმა რიგმა გამოსვლებმა გამოხატა შემოქმედების პოზიტიური პროცესი, რომელიც დღეს დამახასიათებელია მთელი ქართული ლიტერატურისათვის. ამ გამოსვლებმა საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო მაღალი იდეურობით, ღრმა შინაარსით, შემოქმედებითი მუშაკებისადმი კეთილმოსურნე დამოკიდებულებით. გამოჩნდნენ ახალი ავტორები, რომელთა შემოქმედება მახვილი აზროვნებით, პროფესიული ოსტატობით, თანამედროვე ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების აქტუალური პრობლემებისადმი დიდი ყურადღებით გამოირჩევა“.

როდესაც ქართული ლიტერატურული პროცესის შესწავლაზე ვმსჯელობთ, არ უნდა დავგავიწყდეს, რომ ამ შესწავლაში კრიტიკული აზროვნების შესწავლაც იგულისხმება. ჩვენში კი ქართველ კრიტიკოსთა შემოქმედების საფუძვლიანი შესწავლის პრაქტიკა თითქმის არ არსებობს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ არსებობს კრიტიკული აზროვნებისადმი არამოყვრული დამოკიდებულება, რაც არაერთი მწერლის გამოსვლაში და თანაც არაერთხელ გამოიხატა. სამწუხაროდ, ამგვარი დამოკიდებულების გამართლება

ვცდილობთ ზოგჯერ და ამით უნებლიეთ ვსპობთ კრიტიკული აზროვნების გან-
ვითარებისათვის აუცილებელ ნორმალურ ლიტერატურულ ატმოსფეროს.

„მაგრამ, — აღნიშნულია დადგენილებაში, — ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკა რესპუბლიკაში ჯერ კიდევ სრულად არ შეესაბამება დიდ მოთხოვნებს, რომლებიც მას წაყენებული აქვს თანამედროვე ეტაპზე. იგი ჯეროვანი სიღრმით ვერ აანალიზებს ლიტერატურისა და ხელოვნების მთავარ ტენდენციებს თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებთან, მთელი საბჭოთა კულტურის განვითარების პროცესებთან ორგანული კავშირით:“.

კრიტიკა მართლაც ვერ ასრულებს თავის საპატიო ამოცანას მთელი სრულყოფილებით. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მას გარკვევით არ აქვს მონიშნული ის პრობლემები და საკითხები, რაც თანამედროვე ქართულმა მწერლობამ წამოჭრა, ის მოვლენება, რაც ლიტერატურული პროცესის მიმართულების განმსაზღვრელია. ცხადია, ეს ურთულესი ამოცანაა. მაგრამ საკითხთა ამგვარი კომპლექსური შესწავლის გარეშე კრიტიკული აზროვნება შორს ვერ წავა. რაც მთავარია, იგი გამოხატის, შემთხვევითობების ამარა რჩება. იკარგება კანონზომიერი, განუწყვეტელი პროცესი კრიტიკული აზროვნებისა.

სწორედ შემთხვევითი წარმატებების წრიდან გამოსვლა ხდება აუცილებელი, სწორედ გამოხატისების წრიდან თავის დაღწევა ჩვენი მიზანი.

ეს კრიტიკული აზროვნების უმთავრესი ნიშანია და იგი ფაქტიურად დაკარგულია. ამ ნიშნის აღორძინების გარეშე ძნელია სეროოზულ მიღწევებზე ვილაპარაკოთ.

კრიტიკულმა აზროვნებამ ჩვენში დაკარგა მეორე მთავარი ნიშანიც — სისტემატურობა. ჭეშმარიტ კრიტიკულ ნაშრომებს შორის დიდი დრო და სივრცე რჩება შეუვსებელი. ლიტერატურული პროცესი განუწყვეტლივ მოძრაობს. გამოდის ახალი რომანები, მოთხრობები, ნოველები, ლექსებისა და პოემების კრებულები. ჩნდება ახალი სახელები. წელიწადში ოცი, ოცდახუთი მარტო მწერლის პირველი წიგნი გამოდის. აქედან მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ფასდება კრიტიკის მიერ. დანარჩენი შეუსწავლელია. გამოდის ცუდი წიგნები, ისეთი წიგნები, რომელთა მოხმენა წარმოუდგენელია, მაგრამ კრიტიკა დუმს.

დავკარგეთ სხვა მთავარი ნიშანიც — ოპერატიულობა. წიგნის დროული შეფასება ცხოველმყოფელ გავლენას ახდენს ავტორის შემოქმედებაზე, გვიხატავს ნათელ სურათს, გვირკვევს მის ადგილს ქართულ მწერლობაში განსაზღვრავს მნიშვნელობას და დროულად აყალიბებს საგანთან ჩვენს დამოკიდებულებას.

„კრიტიკას ჯერ კიდევ აკლია ოპერატიულობა, — აღნიშნულია დადგენილებაში— აქტიური დანტერესება მიმდინარე შემოქმედებითი პროცესებით, რის შედეგადაც ლიტერატურისა და ხელოვნების ბევრ ახალ ნაწარმოებს, მათ შორის შემოქმედებითი კავშირებისა და ცალკეული ორგანიზაციების მიერ რესპუბლიკური და დარგობრივი პრემიების მოსაპოვებლად წარდგენილ ნაწარმოებებს არ ეძლევა დროული და კვალიფიციური შეფასება“.

ამ ჭეშმარიტებათა დავიწყებამ თუ უნებლიე უგულებელყოფამ ბევრი რამ დააკლო ჩვენი მწერლობის განვითარების საქმეს. ბევრი რამ დააკლო თავისთავად კრიტიკული აზროვნების ამალღების საქმესაც.

და ეს ნაკლი, ჭეშმარიტად სეროოზული ნაკლი, რაც კრიტიკას ახასიათებს, ბევრი მიზეზით არის გამოწვეული. როგორც ზემოთ ითქვა, კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის საჭიროა ჩანსალი ლიტერატურული ატმოსფეროს დამკვიდრება. ჩვენი დამოკიდებულება კრიტიკოსთა ნაშრომების მიმართ

ხშირად არაჯანსაღ ხასიათს ატარებს. ჩვენ ყოველგვარი სურვილი დაუჟარგეთ ერთმანეთს კრიტიკის სფეროში მოღვაწეობისა, იქამდე მივიყვანეთ საქმე, რომ კრიტიკის სფეროში მოღვაწეობა ყოველგვარ აზრს მოკლებულად გვეჩვენება, განხირდა კრიტიკოსთა გადაბარგება სხვა ჟანრში, სხვა სფეროში, მომრავლდნენ მშვიდი ნავთსაყუდელის მადიებელნი, იშვიათობად იქცა მოწოდებით კრიტიკოსთა დებიუტები. ყოველივე ამან გამოიწვია კრიტიკის მთავარი ნიშნების დაკარგვა და იგი კანონზომიერი გზის ნაცვლად შემთხვევითობისა და გამოწაკლისების გზით წავიდა, დაკარგა ორგანიზებული ხასიათი, დაკარგა სისტემატურობა, გამოირიცხა ოპერატიულობა, დარჩა ნაფიცო კრიტიკოსების პასუხისმგებლობის გრძნობის ამარა. ეს გრძნობა აწერიებთ მათ კანტიკუნტად ღრმა, პრინციპულ წერილებს. ერთიდა პასუხისმგებლობის გრძნობით კრიტიკის მძიმე ტვირთის აწევა არ შეიძლება, პასუხისმგებლობის გრძნობის ამარა კრიტიკოსთა მიტოვება გაუშართლებელია. საჭიროა ჭეშმარიტი ლიტერატურული ამინდი, საჭიროა ჭეშმარიტი ლიტერატურული დამოკიდებულება, რათა კრიტიკოსთა შრომის ნამდვილი რიტმი აღდგეს და სასურველი შედეგი მოიტანოს.

თავის მხრივ კრიტიკოსებსაც მართებთ ერთგულება საკუთარი მოწოდებისადმი, მართებთ ბრძოლა კრიტიკის პრესტიჟის აღსადგენად, ლიტერატურის ინტერესებისათვის თავის გამოდგება და შეუპოვრობა მართებთ!

დადგენილებაში მრავალ საყურადღებო საკითხზეა მითითებული. მათ შორას, შემოქმედებითი ახალგაზრდობის შესახებ ნათქვამია: „ჩერ კიდევ ბევრი საკითხია გადასაწყვეტი ახალგაზრდა ავტორებისა და კრიტიკის ურთიერთდამოკიდებულებაში, „შემოქმედ ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“ სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელებაში, ახალგაზრდობისათვის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის აქტიურ ჩამოყალიბებაში, პროფესიული ოსტატობის ზედმიწევნით დაუფლებაში. ხშირად პროფესიული შეფასების გარეშე რჩება, ან პირიქით, დაუმსახურებელი ქება-დიდებას საგანი ხდება ახალგაზრდა ხელოვანთა დებიუტები. გაცილებით უკეთ უნდა წარმოებდეს შემოქმედებით კავშირებში გაერთიანებულ ახალგაზრდობასთან მუშაობა“.

ჟურნალ „ცისკრისთვის“ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვებს. კრიტიკისა და ახალგაზრდა ავტორების ურთიერთდამოკიდებულება ურთულესი საკითხია, მაგრამ მისი ნორმალური კალაპოტით წარმართვის გარეშე ძნელია ლიტერატურის ხვალინდელ დღეზე დაპარაკი.

ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რა ავადმყოფურად განცდება არათუ განმაქიქებელი წერილები (რომლებიც საერთოდ არ უნდა ისტამბებოდეს), ავტორთა მიერ, არამედ თვით გულისხმიერებით გამორჩეული შენიშვნაც კი; ვიცით, რა ვნებათაღელვა მოსდევს კრიტიკულ გამოსვლებს. ისიც ვიცით, როგორ ჩამოყალიბდა „გაუკრიტიკებელ მწერალთა“ ფენა, როგორ დარჩა კრიტიკას სასპარეზოდ ე. წ. დაბალი ღობეები, როგორ დაკარგა თავისი საგანი და დარჩა გამოწაკლისების ამარა.

ჟურნალ „ცისკრის“ ამოცანაა ახალგაზრდობაშივე, პირველი ნაბიჯებიდანვე, შეაჩვიოს ავტორები მოყვრული პოზიციებიდან თქმულ კრიტიკას, ამ გზით გადააჩვიოს დითირამებებს და საერთოდ დითირამების მოთხოვნილებას. ნაწარმოების ჭეშმარიტი ლიტერატურული ანალიზი, რომელიც უყურადღებოდ არ ტოვებს არც ერთ არსებით ღირსებას და არც ერთ არსებით ნაკლს, მწერალს ეხმარება თავისი შემოქმედებითი გზის დანახვასა და განვითარებაში, ეხმარება ღრწე უკუაგდოს დასათმობი, ღრწე მიხედოს თავისი ნიჭის უმთავრეს ნიშნებს. ნიჭის მიმართულების განსაზღვრა მხოლოდ ამგვარი ანალიზის წყალობით



თუ მოხერხდება. ამგვარი ანალიზის წყალობით კრიტიკასთან ნამდვილი მწერ-
 ლური ჩანხალი, პროფესიული დამოკიდებულებაც შემუშავდება და უკვე
 შემდგომ, აღიარებულსა და ავტორიტეტულს, ცის დაქცევად არ მოეჩვენება
 ხამართლიანი კრიტიკა. ობიექტური კრიტიკა ძირშივე სპობს ლიტერატურულ
 ამბიციებს და ავადმყოფურ ილუზიებს, დითირამებისა და პანეგირიკების „წყა-
 ლობით“ რომ ღვივდება მწერლობაში. ამგვარი ამბიციები და ილუზიები ამუ-
 ხრუქებს შემოქმედებით ფანტაზიას, აბაქონებს თვითკმაყოფილების გრძნობას
 და მწერალი ფაქტურად წყვეტს ღირებულის შექმნას. ყველაფერი ეს საბო-
 ლოოდ ლიტერატურის საერთო სურათს აღარბებს. აქ თქმული მარტივ ჭეშმა-
 რიტებათა რიგს ეკუთვნის, მაგრამ ყველა ეს ჭეშმარიტება დავიწყებული ან
 მიფურჩეხებულია ჩვენს სინამდვილეში და ამიტომ გვმართებს პირველშობილი
 სიცინცხალე დავუბრუნოთ ლიტერატურულ სიბრძნეს.

ზემოთ შემთხვევით არ გვიხსენებია „მოყვრული პოეზიები“. ჩვენი
 აზრით, განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს პოლემიკის კულტურა. თუ წერი-
 ლი რაიმე ანგარებით იწერება, თუ წერილი ანგარიშსწორების ვნებათაღელვით
 არის ნასულდგმული, მისგან ჭეშმარიტების დადგენას არ უნდა მოველოდეთ.
 პოლემიკის კულტურას ამგვარი წერილები საერთოდ გამოიცხადვენ.

პოლემიკის კულტურის ამაღლება ჩვენი კრიტიკული აზროვნების ერთი არ-
 სებითი საზრუნავია. შეიძლება დაბეჭდებით ითქვას, რომ რამდენიმე გამოცე-
 ლისის გარდა, კრიტიკულ წერილებში პოლემიკის კულტურა საცხებით გაქრა.
 ეს კი თავისთავად ნიშნავს კრიტიკული აზროვნების დონის დაცემას. თუ მო-
 პაექრენი ერთმანეთის პატივისცემით არ იქნებიან გამსჭვალულნი, ძალას კარ-
 გავს ყოველი არგუმენტი, დამაჭერებლობას კარგავს ყოველგვარი ლოგიკა. ამგ-
 ვარი კამათი სერიის მაყურებელთა აუდიტორიას წარმოშობს, არასწორი გზით
 წარმართავს მკითხველის გემოვნებასა და ინტერესს, იკლებს ჭეშმარიტ ლი-
 ტერატურულ ღირებულებათა შეგრძნებისა და შეცნობის ხარისხი, ამდენად,
 იმის ნაცვლად, რომ მწერლობის უმნიშვნელოვანესი პრობლემები შევისწავ-
 ლოთ, უსარგებლო კინკლაობის შემყურენი ან მონაწილენი ვხდებით.

ყველა საკითხი, რაზეც აღნიშნულ დადგენილებაშია ლაპარაკი, ორგანუ-
 ლად არის დაკავშირებული ქართულ მწერლობასთან. ამდენად დაკავშირებუ-
 ლია იგი ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებით შრომასთან.

ნიჭიერი ახალგაზრდები მოვიდნენ ქართულ მწერლობაში. დღეს მათ ნა-
 წარმოებებს დიდი ადგილი უჭირავს ლიტერატურულ პრესაში. გამოსცეს პირვე-
 ლი წიგნები. ზოგი მათგანი საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი გახდა.

ქართული კრიტიკა მოვალეა გზის დასაწყისშივე შეისწავლოს მათი შე-
 მოქმედება, ის სიახლეები, რაც მოაქვთ ახალგაზრდებს, ინტერესები, რაც მათ
 ნაწარმოებებში გამოხატვის, პრობლემები, რაც მათ აღელვებს.

ცხადია, მოვიდა ბევრი, მაგრამ ყველა მათგანი არ შეიძლება ნამდ-
 ვილი მწერალი იყოს. განუკითხაობა და განურჩევლობა პირველი დიდი მტერია
 ლიტერატურის. კრიტიკა მოვალეა განსაზღვროს ახალგაზრდების შესაძლებ-
 ლობანი, დაგვანახოს, როგორ გამოიყურებიან ისინი თანამედროვე ქართული
 ლიტერატურის ფონზე, ვის მოაქვს ახალი. განსაკუთრებული გულისყურით წა-
 კითხვას ითხოვს სწორედ ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებითი თა-
 ვისებულება, დროზე უნდა ამოვიცნოთ ნიჭის მიმართულება და დავებმაროთ ავ-
 ტორს თავისი უნარის სრულ გამომწეურებაში.

გამომდინარე დადგენილების საპროგრამო მითითებებიდან, გამომდინარე
 ქართული ლიტერატურის დღევანდელი და ხვალინდელი დღის ინტერესებიდან,

უზრუნავს „ცისკარმა“ გადაწყვიტა ფართო დისკუსია მიუძღვნას ახალგაზრდა
ქართველი მწერლების შემოქმედებას.

ამჯერად პოეზია ექნება განხილვის საგანი. დისკუსიის მეთაური წერი-
ლი „შეგვესოთ — რაც ხარვეზია“, რომლის ავტორია ცნობილი ახალგაზრდა
კრიტიკოსი თეიმურაზ დოიაშვილი, ამავე ნომერში ქვეყნდება. ავტორი პრინცი-
პულად და უშედავათოდ აანალიზებს ახალგაზრდების შემოქმედებას, გამოკ-
ყოფს რამდენიმე საგულისხმო ტენდენციას, რაც მათ ნაწარმოებებში შეი-
ნაშნება, მიუთითებს ღირსებებზე, მიუთითებს ნაკლზე, ეხება მრავალ ავტორს...

ჩვენი რწმენით, წერილი აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევს, იმედი გვაქვს,
ახალგაზრდა პოეტების ბედით ყველა თაობის მწერალი დაინტერესდება და თა-
ვის მოსაზრებას გაგვაცნობს. დისკუსიაში ჩაებმებიან თავად ახალგაზრდა პოე-
ტებიც.

თეიმურაზ დოიაშვილის წერილი ვრცელია და ბევრის მომცველი, მაგრამ
მიუხედავად ავტორის დიდი მეცადინეობისა, ახალგაზრდული პოეზიის პანო-
რამა არ შეიძლება სრულყოფილი იყოს. ამ სურათს ალბათ მოპაექრენი შეავ-
სებენ.

პაექრობის მიმართულება სწორი რომ იყოს, აუცილებელია დისკუსიის მიზ-
ნის გათვალისწინება: ცხადად გამოვკვეთთ ახალი ძალების შესაძლებლობა და
პირველი ნაბიჯები. მივიღოთ და დავამკვიდროთ მეთაური წერილის ანგარიშგა-
საწევი მოსაზრებანი. არგუმენტებით დავასაბუთოთ ზოგიერთი ჩვენი საპირის-
პირო დებულება ან შეხედულება.

იმედის მომცემია ახალგაზრდა პროზაიკოსების დებიუტი. დისკუსია პრო-
ზაზე, რომელიც მიმდინარე წელს მოეწყობა ვფიქრობთ, არანაკლებ ინტერესს
გამოიწვევს. განზრახული გვაქვს ამის შემდეგ საუბარი გავმართოთ დრამატურ-
გიასა და კრიტიკაზე.

დისკუსიის მასალების შეჯამებისას, ჩვენი ღრმა რწმენით, ბევრ საკითხს
მოეფინება ნათელი, რაც მთავარია, თვითონ ავტორები უკეთ დაინახვენ თავი-
ანთ შესაძლებლობებს, უკეთ გვეცოდინება ვინ მოვიდა, რა მოიტანა და რას
შეიძლება მოველოდეთ მათგან სამომავლოდ.



თეიმურაზ დოიაშვილი

„აპეკსოტი — რას ხარვეზია“

Не позволяй душе лениться

ნ. ზაბოლოცი

ჭმრას არ მინებულა კამათა სამოცდაათი-
ან წლებში მოსულ თაობაზე, ლიტერატურული
ცხოვრება კი ახალი პირობების წინაშე გვაუე-
ნებს: ყურადღებას, შეფასებას ითხოვენ მერვე
ათწლეულის ზღურბლთან მდგარი „ახალწვეუ-
ლი“. მწარე გამოცდილება სულ ახლო წარსუ-
ლისა გვაუადრებულებს, სათავეშივე დავძლიოთ
ინერტულიობა და გულგრილობა, რათა გვიან
გამოფხიზლებულებმა გაცეხით არ ვიკითხო-
ვინ არიან, საიდან მოვიდნენ ეს ახალგაზრდე-
ბი, ასე დაყინებით რომ მოითხოვენ კუთვნილ
სახიფათლო სივრცეს?!

დღეს ალბათ გულწრფელი სინანულით ვი-
გონებთ იმას, თუ როგორ დააზარალა ლიტერა-
ტურული კრიტიკის უყურადღებობამ „სამოც-
დაათიანელები“, რაოდენ არაბუნებრივ ატმო-
სფეროში უხდებოდათ მათ შემოქმედებითი ძი-
ება, ლიტერატურულ ცხოვრებაში დამკვიდრე-
ბა. კრიტიკული აზრის პასიურობის შედეგია,
რომ ჭრაც სისხვით არაა გაანალიზებული ის
საინტერესო, სერიოზული ლიტერატურული
პროდუქცია, რომელიც განვილი ათწლეულში
მოსულმა თაობამ შექმნა. არადა, ეს პირველი
რიგის საქმეა თუნდაც იმიტომ, რომ არ დავკა-
რგოთ განვითარების უწყვეტობის გრძნობა, არ
გავადარებოთ ლიტერატურული პროცესის ში-
ნაარსი.

ვინ შემოდის დღეს პოეზიაში? როგორ უა-
ლიბდება ახალი პოეტური თაობა? რა ინდივი-
დუალური ნიშნები აქვთ დებიუტანტებს?
ავტოკრიტიკება იქნებ კადნიერებად ჩამოთვ-
ალოს, მაგრამ სანამ ამ კითხვებს ჩავუღრმავდ-
ებოდეთ, მოვითან ერთ ადგილს ჩემი ძველი
წერილიდან შესახებ იმისა, თუ რა კრიტიკი-
უმით უნდა მივუდგეთ ახალგაზრდა დამწყებ
ავტორთა შემოქმედებას:

„არსებობს მტკიცედ ფეხმოკიდებული ტრა-
ფარეტი პირველი წიგნის რეცენზირებისა. ამ
ერთ თარგზე გამოქრილ წერილებსა თუ რეცე-
ნზიგებში ჩვენი ახალგაზრდული ლიტერატურა,
უპირატესად, ვარდისფერ ტონშია აღქმული.
თურმე ათი დამწყები პოეტიდან ცხრა მაინც
საკუთარი ხმის მქონეა, სასიამოვნო სიახლის
შემომტანი პოეზიაში. მაგრამ გადის წლები და
პოლიფონიური შემხატობილების ნაცვალად, რა-
საც ორიგინალურ ხმათა ასეთი „სიუხვე“ გვი-
ქადის, უკეთეს შემთხვევაში, დუბტი თუ ახმი-
ანდება. ნიჟის შემჩნევა და მხარდაჭერა კეთი-
ლშობილური აქტია, მაგრამ როცა ავსა და
კარგს ერთნაირად განვიკითხავთ, როცა ვივიწ-
ყებთ „ავს თუ ავი არ უწოდეს“ ბრძნულ პრი-
ნციპს, ეს უკვე განუკითხობაა და ნებაყოფ-
ლობითი ხელაღება შეფასების კრიტერიუმზე.
ის ყოველის მიმტვევლური ტონი, რომელიც
ძალზე ხშირად გამოკრთის პირველ წიგნზე
დაწერილ მიმოხილვებში, არაფრით არ არის
გამართლებული. იგი ლიტერატურის რეალურ
სურათსაც აბუნდოვანებს და არც ახალგაზრდა
შემოქმედს ეხმარება ზრდაში. ავტორისადმი
პატივისცემას მისი ნაღვაწისადმი უკმაპრომისო
დამოკიდებულებით უფრო გამოვხატავთ. ვიდ-
რე არაფრისმთქმელი ზოგადი ფრაზებით და
ირონიული ქვეტექსტის შემცველი პანეგირი-
კით“.

დღესაც ამ აზრისა ვარ: კეთილგანწყობილე-
ბის ნაწინა, უმცირესი ღირსებების გამოძენა
და მათს გარშემო სიტუვიერი არაბეცების მო-
ქარგვა სიკეთეს არ მოგვითანს. კრიტიკოსის
გულის სითბო და მხარდაჭერა რას უშველის
ახალგაზრდა ავტორს, თუ აქტუალური თემა
ტრაფარეტულად არის დამუშავებული, ხოლო
გარეგნულად ორიგინალური მეთაფორა ბანალ-



ურ აზრს ფარავს... კი, სიფრთხილედ საჭიროა, რათა ნიჭიერი კაცი არ დავკარგოთ, მაგრამ შემწყნარებლობის ვითარებაში სწორედ ნიჭი იჩრდილება და იჩაგრება. გავბედავ და ვიტყვი: ჩვენში აგრეთვეა გავრცელებულ გზის დალოცვაში ხშირად „დერჟავინის კომპლექსს“ ვხედავ: დერჟავინობის მსურველი ბევრია, პუშკინი კი არ ჩანს.

პოეტური ახალთაობა საქმიოდ რთულ სიტუაციაში შემოდის მწერლობაში. რეცენზიების თუ დაუჭურვებთ, ქართულ პოეზიაში არანახული უკუაგების ხანაა — მრავლად არიან კარგი, შესანიშნავი, ბრწყინვალე, უბრწყინვალესი, ღრმა, მასშტაბური და ა. შ. პოეტები, მაგრამ ვინც შეფასებისას მხოლოდ ადამიანური ურთიერთობებით არ ხელმძღვანელობს, ვისაც ლიტერატურის რეალური ვითარება აინტერესებს, მას შეუძნელებელი არ დარჩება ჩვენი პოეზიის სიძნელებები.

„სამოციანეთა“ ცნობილი პოეტური რეფორმა, რომელმაც დიდად კეთილისმყოფელი, განმსახდრელი როლი შეასრულა, დღეისთვის პოეტურ კანონად გაფორმდა, ანუ ქართული პოეზიის საერთო მონაპოვარი გახდა. უკანასკნელი წლები ინერციის, კრიზისის წლებია იმ პოეზიისათვის, რომელიც ამ კანონის ფარგლებში იქნება. ამაზე მტყუვლებს თუნდაც უამრავი ფსევდონიტიზმური თუ ფსევდომოდერნიზაციური ლექსი, მხატვრული ტექსტის ქცევა „პოეტური“ კლიშეების კონგლომერატად. კრიზისის ნიშნები კრიტიკაზე ადრე რამდენიმე პოეტმა შეამჩნია. მათ თავისებურად სცადეს იმ კანონის შეგნვიდან ადუთება, რომლის შემუშავებაში თავადიც ეღობო წილი, გზა მისცეს მქსერიმენტს, განახლებისათვის საჭირო პირველემენტების მოსიწვავს. ინერციასთან დაპირისპირება გამჟღავნდა „ვერლიბრისტების“ შემოქმედებაშიც, რაც იმდენად კონვენციური ლექსის უარყოფაში არ გამოიხატა, რამდენადც სინამდვილისადმი, მასალისადმი დამოკიდებულებაში, ახალი პოეტური პრინციპების შემუშავების ცდაში...

იმ დროს, როდესაც ქართულ პოეზიაში ახე არაორაზროვნად დგას განახლების აუცილებლობა, ახალი სახელის გამოჩენას უნდა შევხედოთ არა როგორც ორდინარულ მოვლენას, არამედ როგორც კიდევ ერთი რაინდის გამოხვლას ახლის ძიების ასპარეზზე. დღევანდელი ლიტერატურული სიტუაცია ახალგაზრდა შემოქმედს ალტერნატივის წინაშე აყენებს: იგი ან ინერციას უნდა გაჰყვეს, რაც თვით ნიჭიერთაც კი, ფკეთეს შემთხვევაში, დახვეწილ ხელოსნებად აქცევს, ან იბრძოლოს სახლებისათვის.

ახალგაზრდული პოეზიის პრობლემების ხილვა მიიდა მხატვრული აზროვნების ერთ მტიკვეულ ტენდენციაზე საუბრით დავიწყო. თანამედროვეობა ხომ მართო თემებში, თემის ესთეტიკურ ინტერპრეტაციაში არ უნდა იგრძნობოდეს, არამედ მხატვრული აზროვნების ფორმებშიც. ჩვენს თვალწინ ლექსი ფაქტების შესახებ ინფორმაციიდან თვითშემცნების საშუალებად იქცა. აზროვნების დედუქციური წყობიდან სონტანური ლირიკის რელსებზე გადასვლამ უჩვეულოდ გაართულა თანამედროვე პოეზიის გამოხმახველობითი პალიტრა. მოულოდნელად აღარ გვეჩვენება ლექსში ემპირული კონკრეტულობისა და ინტელექტუალური აბსტრაქციების, საგანთა რეალისტური დეტალებისა და წარმოსახვის შეუზღუდავი თავისუფლების თანაარსებობა. სირთულია ზღვარს მიადგენა მხატვრული სახის მრავალპლანაობაში, მეტაფორიზმში. იშვიათი არაა შინაგანი მტყუვლების რამდენიმე ნაკადის შერწყმა, მწყობრი კომპოზიციის „აფთქება“ იმპროვიზაციული ელემენტების მოულოდნელი ჩართვით... რაოდენ დასანია, რომ თანამედროვე ლირიკის ამ გლობალურ სიახლეთა ფონზე ახალგაზრდა ქართველ პოეტთა ლექსებში, იშვიათი გამოჩაქისების გარდა, შაბლონის განუკითხავი ბატონობა იგრძნობა.

უძელავე უფრო მკვეთრად იგი მეტაფორულ მტყუვლებში იჩენს თავს, განურჩევლად იმიოხი, საგანთა გასულიერების ნაცად ხერხს მიმართავს პოეტი თუ აბსტრაქტულ სიტუაცია-ცნებათა „გასაგნებას“. შინაგანი მოტივირების გარეშე საგნებს, პოეტის სუბიექტური სურვილისამებრ, მიეწერება ენა თუ ის თვისება, რომ შედეგადაც იქმნება ანეთი სიტუაციური „ორნამენტები“:

„მოგონებების მწვანე ბალახს ძოვენ დარდები“, „ფიქრის ბარდზე მოდებული სიყვარული“, „სინდისი გიხვევს იარებს, რწმენის მოძახილს ისმენ“, „სულში ავებენ სათუთ ხელადებს“, „რომ აღსრულოს სულში ცხენების შმაგ ჭენება“, „ჩამოყარე გულგრილობის ეპოლეტები“, „მზეზე ანთია ჩემი სულის დამშრალი რთე“, „სოვინის ქვევრიდან ვეღარასოდეს ვერ ამოხაპავ ვნებათა ღვივს“...

ამ სტრიქონების ავტორებს მე არ ვსახებლებ, რადგან ნებისმიერ ახალგაზრდა პოეტს დაუძენით ამ რეცეპტით შექმნილ არაერთ სახეს: კონკრეტული ხილვა იგნორირებულია, ზოგადად აღებული აზრი გადმოიცემა ზოგადი სახებით. სონტანური ლირიკის გვერდით, რომელიც ინდივიდუალური განცდის გამოხატვის არაერთ საშუალებას ფლობს, შემოქმედ-

თიმიშრახე დოიხაშვილი
„აბეცსოთ — რაც ხარვენია“

ბითი პროცესის გათანაბრება ინფორმაციის „პოეტის“ ენაზე გადატანასთან თვალში-საცემ ანაქრონიზმად ჩანს. განცდის კონკრეტული ჩვენება შეცდომილია მის შესახებ ზოგადი თხრობით — ისეთი მოუქმელი, უბეწო მხალთი, როგორც „პოეტის“ გრძობის მრავალფეროვან ნიუანსებს ვერ გადმოსცემს.

...შენი კმაყოფილების ეკლიანი სამკუთხედებით ჩამოაყარულ ღამეებში ჩემი დების და ჩემი დედების ცრემლი

მოკონავს.

შენ ჩამისაფრდი მარტოობის და უმწიბრობის ბნელ ქუჩაში

და შემოაველე შიშის ალყა და სიძულვილის გრძელ ფსევდებზე ამოიზარდა სიყვარული.

(დ. ბელიანიძე).

სავარაუდებელია, რომ ეს სტრიქონები პოეტის რთულ დამოკიდებულებას გამოხატავს მიმართვის ობიექტისადმი, მაგრამ ამ დამოკიდებულების შინაარსი ლექსში იმდენად ზოგადად არის მონიშნული, რომ იგი მიხალღებით წარმოდგენათა სფეროში გვტოვებს. ჩამოთვლილია აბსტრაქტული ცნებები — კმაყოფილება, მარტოობა, უმწიბრობა, შიში, სიძულვილი — მათი შინაარსი კი უცნობია. მეტაფორული სიტყვათშეთანხმებანი („კმაყოფილების სამკუთხედი“, „მარტოობის და უმწიბრობის ქუჩა“, „შიშის ალყა“ „სიძულვილის ფსევდები“) მხოლოდ მოჩვენებით მხატვრულობას ქმნის, რომლის მიღმა გამჭვირვადი ბუნდოვანება და მარტივი სირთულეა შეფარული.

ახალგაზრდა პოეტთა კრებულები გადატირთულია ზოგადი, პიროვნული განცდისგან თავისუფალი, ეფემერული ლექსებით. „პოეტის“ მოჩვენებით მნიშვნელობას ქმნის, მაგრამ აზრისა და გრძობის ნულოვანი ძაბვა მათს რეალურ ანტიპოეტურობას ავლენს.

მხატვრული აზროვნების ფორმების სტანდარტიზაცია პოეზიის აზრობრივ-ემოციური შინაარსის სტანდარტულობის სიგნალია. მართლაც, ახალგაზრდულ პოეზიაში არაერთი და ორი მაგალითი გვხვდება იმისა, როდესაც თუმა გავრცელებული სტერეოტიპის მიხედვით მუშავდება. რეალური, საკრიტიკო პრობლემების წვდომას, სინამდვილის რთული, წინამდებელობრივი შინაარსის ათვისებას ლიტერატურული შაბლონების გადმოღება ცვლის.

ლიტერატურაში „ლიტერატურული გზით“ შემოსვლის ტიპური ნიმუშია იმედი ჯახუას პირველი წიგნი „გულის გაღვანი“ („მერანი“, 1982). ჩვენს წინაშეა პოეტი, რომელიც თვით-ანალიზის გზით ცდილობს ადამიანური არსებობის მოაზრებას, რომელიც არცთუ ურიგოდ ფლობს სათქმელის გამოთქმის ხელოვნებას. ასეთია პირველი შთაბეჭდილება. მაგრამ კრე-

ბულთან მეორედ მიბრუნება ააშკარავებს, რომ ილუზორული სიღრმისა და ფილოსოფიულობის მიღმა „წიგნური“ თემატიკა და განცდებია შეფარული. თანამედროვე პოეზიაში უკვე მობეჭრებამდე ნაცნობია ლირიკული გმირი, რომელიც დაეჭვებულია საკუთარ ფასიულობაში, მერყეობს, გვეხაზურება გაუცხოების მტანჯველ გრძობაზე, დამსხვრეულ იმედებზე და იდეალებზე, რასაც გარეგნულად რეფლექსიის სახით გვიჩვენებს. ი. ჯახუას პოეზიის სუბიექტი დახასიათებულია სტერეოტიპის ერთი ნაირსახეობითა. ადამიანებს ნიღბები აქვთ აფარებული. ცხოვრება სცენაა, სადაც ყოველი პიროვნება განსაზღვრულ როლს თამაშობს. კეთილშობილი კაცის ნიღბის მეორე მხარეს გაუსაძლისი ტკივილია, უღირსთა კი გულები გაუქვავებით, გულის გაღვანი აუცილებელია და მის მიღმა ნეტარებენ ცოლდა-მადლისაგან ათვისებული. თავისუფალ ნებას მოკლებული ადამიანი იტანება მარტოობისა და უძლეობის გამო... — აი, კრებულის ძირითადი თემატიკა. ი. ჯახუას პირველი კრებულის აზრობრივი შინაარსის „წიგნური“ წარმოშობაზე ჩამოთვლილი თემებიც მეთვალყურეობს. იქნებ ეს მისათმენიც იყოს, პოეტს ამ ნაცნობ, ზოგად სათქმელში რაიმე საკუთარი რომ შეპკონდებს. კითხულობს ლექსებს, იღებ ინფორმაციას, რომ პოეტი იტანება, მარტოა, უმძიმს, მაგრამ ვერ გრძობს განცდის სინაღდებს. ეს იმიტომ, რომ გაუხსნენ არჩება განცდის კონკრეტული შინაარსი, იყარგება მისი გამომწვევი იმპულსები.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ჩამოთვლილ თემებს პოეტი ამუშავებს პირობითი ენით, „პოეტის“ მოჩვენებით, რომელიც არსებითად გამოირიყვას პოეტური ინდივიდუალობის გამოვლენას. ი. ჯახუა სისტემატურად მიმოიბრუნებს სიტყვა-ცნებებს მეტაფორიზაციის მარტივ ხერხს, რის შედეგადაც უმთავრესი — ცნების კონკრეტული შინაარსი — უცნობი რჩება, მკითხველს კი ეძლევა ინფორმაცია პოეტის შემფასებლურ დამოკიდებულებაზე. ასე იქმნება ვთქვათ, „ხსოვნის საფლავი“, „ხსოვნის სარდაფი“, „ხსოვნის სანახა“, „ხსოვნის ფსკერი“, „ხსოვნის ღღარი“ და ა. შ. ცნებას „ხსოვნა“ მეტაფორულად რაღაც ნიშნები მიეწერება, ხოლო რა ახსოვს პოეტს, ეს საიდუმლოებად რჩება.

ი. ჯახუას ლექსების პირველი კრებულის სათქმელიც და აზროვნების წყობაც აბსოლუტურად წიგნისმიერია. მისი ლექსები იმდენად მოწყვეტილია კონკრეტულ განცდას, რომ პიროვნება, ფაქტობრივად, გამჭარალია. წიგნში მეორე ადგილი მოკვნიწენ, რომლის დამუშავება-გააზრება პოეტს ზოგადობის ტყვეობიდან გაიყვანდა, მის ლექსებს ნიუანსობრივ სი-ახლეს მაინც მისცემდა:



და უფრო ეჭვით —
ვიღრე იმედით,
პირთამილე სავსე ჩემი სამყარო
დანაღმუღია მთლიანდით და საოცრებით.

და კიდევ:
და დღემდის ვერ გამირკვევია,
ბრალდებას ვისმინ თუ განაწინს.

პირველი განწყობილების დამუშავება („ეჭვი“ — „იმედი“), პიროვნების შინაგანობის წარმოჩენის თავისებურ შანსს იძლევა, ხოლო მეორე — ბიძგს ეთიკური ძიებისათვის. ეს შეხამდებლობანი, სამწუხაროდ, განუზრკვიდბელი დარჩა. ი. ჭახუამ საკუთარი სიტყვის თქმას, რისკს ჭერჭერობით „წინგინ“ ლიტერატორთა რიგში დგომა არჩია. სწორედ ეს არ მიეტყვება პირველი წიგნის ავტორს.

ამა თუ იმ თაობის სახეს ის ამოცანები გამოჰკვეთს, რასაც იგი საკუთარ თავს უსახავს. ახალგაზრდობის ხანა უველაზე დაძაბული ეტაპია წინგობრივი და ინტელექტუალური საყრდენების ძიებისა და მან შესაფერისი გამოხატულება უნდა იპოვოს პოეზიაში. შვითხველი მოეღის პოეტს, რომელიც ახალ სიტყვას იტყვის დღევანდლობაზე. იგი ელოდება არამარტო „იტკბილ ხმებს“, წყობილისტყვას, არამედ სინამდვილის, თანამედროვე ადამიანის სულიერი ცხოვრების, ცხოვრებისეული ინტერესების განსხვავებულ გამოხახვას. როგორ უახუხებენ ახალგაზრდა ქართველი პოეტები ამ მოთხოვნას, როგორ აიხახება დრო მათს შემოქმედებაში?

სამწუხაროდ, მომიწევს გავიმეორო არაერთგზის გამოთქმული საყვედური იმის გამო, რომ ახალგაზრდული პოეზია ივიწებს თავის სოციალურ ფუნქციას, მტკივნეული პრობლემების დამუშავების ნაცვლად გვთავაზობს უღიშლამო სუროგატებს, რომლებშიც შეიშველი ალტაცების გარდა არაფერია ჩადებული. სიტყვა სიტყვას მისდევს, სტრიქონი სტრიქონს ცვლის, იქმნება „ნაწარმოები“, რომელსაც ჩვენი საუკუნის დახასიათების პრეტენზია აქვს:

ამ საუკუნის ძლიერი ფრთებით
ზნაზარებს მთები,
ცად ატყორცნილა ჰეიზერები
და ვარსკვლავები ოქროსფერ
თმებით
თავს აწონებენ მზეკაბუკ სტუმრებს,
თვალეზმზინანებს,
და საუკუნე უპირავთ ხელში
მზეს,
მთვარეს,
ცას და
ადამიანებს.

ზოგა ვეშაქიძის ამ „ლაშა“, „პოეტურ“ სტრიქონებში არაფერი მიგანაშნებს ჩვენს დროულ თვინიერ იმისა, რომ „ოქროსმინი ვარსკვლავები“ თავს აწონებენ „მზეკაბუკ სტუმრებს“, ეტყობა, კოსმონავტებს. განა ასეთი სტრიქონებით რამეს ვმატებთ არამცთუ პოეზიას, არამედ თუნდაც იმ თემას, რომელსაც ხელი მოკვიდეთ?

სამწუხაროდ, თემისადმი ზერიღე დამოკიდებულება და ყალიბი პათეტკა განსაკუთრებით იმ ნაწარმოებებში იგრძნობა, რომლებშიც ახალგაზრდა ავტორები თავის მოქალაქობრივი პოპიციის გამოხატვას ცდილობენ. მი, მაგალითად, გამოცემა იმ მტკამორფოზამ, რაც თემამ განიცადა გიორგი შინდიკაურის ლექსში „ლოლი“. ნაწარმოები, რომლის პირველი ნახევარი დოლისთვის სამზადის გადმოცემეს, უტყბ ასეთი სტრიქონით „ნათდება“:

ქვაზე ნაღების ელვა ინთება
და ბასრ კლდეებზე გადაღის ჰუნე,
კუნებაშია სწორედ დიდება!
აი, ასეთი მწამს საუკუნე!

ცხენზე ამხედრებულმა პოეტმა, ეტყობა, ვერ გაუძლო ცდუნებას, „ჰუნეს“ „საუკუნე“ გაურითმა, გზად თანამედროვეობას „გამოხემაურა“, ლექსის ფინალი კი ასეთი მეთორული სიტუციებით „დაამშვენა“:

ბრძეკაცთა მიერ გზებს გამოზომილს
ბრძოლით გავივლით, არა ვედრებით.
ჩვენ გვესურს პლანეტას ასცილდეს ომი,
ჩვენ კომუნისმის გეგვია მხედრები!

კი მაგრამ — იკითხავს მკითხველი — საიდან საღაო? განა ცხენზე გადაჯღომა საქმარისია იმისთვის, რომ ლოზუნგები ისროლო და თავს კომუნისმის მხედარი უწოლო? გ. შინდიკაურის პირველ წიგნში „სულთაქრეფა“ (მერანი, 1980) ჩანს სურვილი თანამედროვეობასთან შეხმიანებისა, მაგრამ მხოლოდ სურვილი საქმარისი არაა. თემის ისეთი უპასუხისმგებლო, უდარდელი დამუშავება, რაც ამ ავტორის ქვემოთ დამოწმებულ სტრიქონებში ჩანს, უბრალოდ, უბრალოდ:

თვლი ვერ წვდება ზრდას ყოველწლიურს,
ლიღინებს მტკვარი,
ლეღავს ტბა ლისის.
და ახალგაზრდა ყრმას ინდუსტრიულს
ცეკვაში იწვევს ბერი თბილისი.

პოეტისა და პოეზიის სოციალური ფუნქციის უღეპირული გაგება ჩანს ფრიდონ ფხაკაძის სტრიქონებშიც:
გამარჯვების
მტკიცე ნებით
დააბიჯებს ხუთწლიელები,

თამიშურაზ დონიაშვილი
„აბეშტო — რაც ხარვეზია“

უამრწმენოდ,
უამრწმენოდ,
დღეო, ნუ გამითენდები.

განა სადაოა, რომ პოეტს სათქმელი გაშინაგ-
ნებული არა აქვს, რომ ალტაცების ინტონაცი-
აში მოქცეული სიტყვები ყალბ ხმებს გამო-
სემენ. რამდენიც არ უნდა ვამტიკოთ, „ამ
დღეების გამარჯვების სიყვარულში ვიფერფ-
ლებიო“, დამოწმებული სტრქონების სიმშრ-
ლედ და სიცივე საპირისპირო განწყობილებას
გვიქმნის.

მოტანილი მაგალითები, შეიძლება უბრა-
ლოდ, პოეტური უმწიკობის ნიშნულად მიგვეჩინო,
ვთქვათ, იმავე ფ. ფხაკაძის რომ არ ჰქონდეს
უნარი სულ უბრალო მოვლენის პოეტური აღქ-
მის და გადმოცემისა:

პატარა ტბაში,
სწორედ გზის პირად,
გრძნეული მთვარე
ნაზად კამკამებს,
ქვა დაუმიზნა
უცებ ბიჭუნამ
და ერთიანად
ააქანკალა.

რა არის მიზეზი იმ ყალბი ინტონაციისა,
რაც თან დაჰყვება საზოგადოებრივი თემები-
ხაღში მიძღვნილ ლექსებს? მუ ყუფლება არა
მაქვს, ექვი შევიტარო იმ ახალგაზრდების
გულწრფელობაში, რომლებიც ამ თემებზე წე-
რენ, ხოლო თუ ისინი გზის დასაწყისიდანვე
განზრახ უშვებენ კომპრომისს სიყალბისადმი,
ეს უკვე ზნეობრივი თვალსაზრისით საშიში
სიმპტომაა. მე მგონია, რომ ამ ლექსების უდი-
მლაშობა იმდენად უნიკობის ბრალი არ არის,
რამდენადაც ნაკლები მომთხოვნელობისა საკუ-
თარი თავისადმი. ახალგაზრდა ავტორებს არ
ბუღონთ სიმამაცე თემასთან უშუალო მიხვ-
ლისა და მისი ინდივიდუალური გააზრების გა-
რეშე, შემუშავებული სტერეოტიპების გამოე-
რების გზით ცდილობდნენ ფონს გასვლას. ეს
სტერეოტიპები, როგორც ავადმოსაგონარი
ბუტაფორულ-პანეგირიკული პოეზიის ნაშთი,
მხოლოდ მშრალ ინფორმაციას და პათეტკას
ეუბრნება. თემასთან უკონტაქტობის გამო
არაბუნებრივად ისმის თვით ისეთი გულწრფელი
ინტონაციის მქონე პოეტის სტრქონები, რო-
გორც ულამი ჭაფარაშვილია:

მე მჭერა შენი,
ხვალის დღეო,
რადგან ჩემს რწმენას
ლაბაში ფრთა აქვს
და უნათებს
სულ სხვა კანდელი.

ამ სტრქონების ავტორს ალბათ, მართლაც,
სჭარბა ხვალისდელი დღისა, მაგრამ მე არ
მჭერა მისი, რადგან მისი „არგუმენტი“ უა-

რა, რადგან გაუგებარია, რა არის ეს რწმენა?
მანუერთიანი რწმენა“, რომელსაც „სულ სხვა
კანდელი“ უნათებს. ნუთუ ეს ის რწმენაა, რო-
მლის შესახებ პოეტი სხვაგან ამბობს: „ჩველი
საკუთარი სისხლით გამოვზარდეო“, ხად გაქ-
რა ტყვილი, რომელიც პოეტის ალტაცებას
სიცოცხლეს ჩაებრავდა და დამაჭერებელს
გახდიდა? დღეისდღის სიდიადეს კონკრეტუ-
ლი გამოქმნა სჭირდება, თორემ წოგადად თქმა
ძნელი არ არის:

ამოშრიალდა დღეისდღეთა

ფერი ციმციმა,

იმედის კედლებს

კიდევ ერთი მოაკლდა ბზარი.

მწყალობელ ნათლის ფრთებზე კიდევ

ერთხელ იწვიმა.

მწყალობელ ნათლის ფრთებზე კიდევ

ლიღინებს მგზავრი...

ირაკლი ციგროშვილი ამ ლექსით, როგორც
იტყვიან, თანამედროვეობას ენაიანება, მე კი
ტიქსტი არაფერს მეუბნება გარდა იმისა, რომ
ავტორი კმაყოფილია.

სტერეოტიპების ექსპლოატაციას შემოქმე-
დებითი ინდიფერენტულობისა და ზედაპი-
რულობისაკენ მივყავართ. ახალგაზრდა პოეტი
არ უნდა მიეჩვიოს სინამდვილის რთულ მო-
ვლენებზე თვალის არიდებას, კომპრომისს, შემ-
გუბუბუბობას. ამას წინათ საკუთარ პრესაში
გაზიანდა ახალგაზრდა პოეტ პეტრე კოშელის
სიტყვები:

Болюю за нашу державу.

За срывы ее и за славу.

ამ სიტყვებისადმი მიუყრადება ალბათ ახალ-
გაზრდა კატრევილი პოეტებისთვისაც არ იქნე-
ბოდა ურიგო.

იხე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს
ჩვენს ახალგაზრდულ პოეზიას საერთოდ არ შე-
სწევს უნარი, ალღო აუღოს დღევანდელიობის
ძირითად პათოსს, გამოყვეთოს საკუთარი პო-
ეზია მის მიმართ. მე მინდა დავიმოწმო ფრა-
გმენტო დ. ბედლიანის პუბლიცისტური სიმბა-
ვილის ლექსიდან „დაიმახსოვრე“:

დაიმახსოვრე, რომ დღე არის შრომის ზეიმი
და ამ ზეიმზე ჩვენ არ გვიჭირდება

სამკაულები —

შრომზე უფრო ვერაფერი გავგალამაზებს.
დაიმახსოვრე, ვინც ქალაქში ქალაქს აწენებს
და სოფელს ვაზის ფესვით ინახავს,
შენი სიტყვა მისთვის ვაზი უნდა გახდეს,
გახდეს ხარაჩო, იქცეს ხორბლად,
რომ გამოადგეს ადამიანებს და ხნულში
უქმად არ დაიკარგოს...

შეიძლება, მე არ მომწონდეს ძველი ინერციით
გაღმოსული „შრომის ზეიმი“, ან გაცვეთილი
აზრი, რომ საქსოვი დაზვისა და ჩაქურის ხმა
„უფრო რე დიდი“ მუსიკაა, ვიდრე ხმა ვიოლი-
ნოსი და ქნარისა. იქნებ აგრერივად არც ამ



ლექსის ატიკაციურ-დამრიგებლური ინტონაცია იზიდავებს ჩემს გულს, მაგრამ ერთი რამ ზუსტად არის მინიშნებული: ადამიანები არ თამაშობენ, ისინი შრომობენ და პოეზიაში ამ შრომის შესაფერისი სიტყვის თქმა უნდა შეეძლოს.

ერთი ყველაზე პოპულარული სიტყვა ახალგაზრდა პოეტთა ლექსიკონში არის „ტივილი“. „ყველას თავისი სათქმელი სტივია“, — წერს ლ. ჭავჭავაძე, მაგრამ აქვს კი უკლებლად საკუთარი სათქმელი თუ ტივილი? „ახალწვეულთა“ ლექსებში ანდენი ლაპარაკია სულიერ ტივილებზე, რეალურად კი სულის დათმობის ჩვენების ნაცვლად სულის ინტერიერი თუა მონიშნული. მხოლოდ ზოგადი განცხადება ტივილზე, არაფერი — ტივილის კონკრეტულ, საზოგადოებრივ თუ პირადულ, მიზეზებზე. „ტივილიანია“ ავტორის ტიპიური პოზიცია ასეთია: ის რადიც დიდ, განუხანაღვრებელ საღმრთოს განიცდის; ტანჯული და მიუხედავად, თავისი სულის ელემენტს ლექსებს ანდობს. ეს ის ლიტერატურული შტამია, რომელსაც სხვადასხვა ვარიაციით იმეორებენ ახალგაზრდა ავტორები. პოეზია ივსება უშიშრობა, ზოგადი ტივილით, რადგან ლიტერატურული შტამი კონკრეტულად თქმას არ ითვალისწინებს.

ახალგაზრდა პოეტები ხშირად საუბრობენ ნიღაზე — ზოგი ნიღბოსნობას ჩივის, ზოგი ნიღბის დაკარგვას. „ნიღბობანას“ ლიტერატურული თამაში მცირე სიტყვებს აჩვევთ მათ, მცირე სიტყვები კი თანდათანობით ნაღვ, რეალურ ნიღბად იქცევა, რომელიც პოეტს სიმატრული გაუორგულებს და ანემიურ, უსიცოცხლო პანეგირიკებს აწერინებს. ამოუთქმელი სიმართლე კი იცდის და მკითხველიც ამაოდ მოეღოს მას. არადა, თითქმის ყველაფერი არც ისე ძნელია:

იღე თავი, ამო — ამოდ თქვი,
მწერე სათქმელი — მწერედ ამოთქვი.
სანამდე გინდა სევდა იფერო,
ამირანივით გულში იმღერო.
ერთი შეხედვით კა გავხარ ჰვარცმულს,
არ იტყვი მინაც, სოფლისგან რა გსურს?
(წ. გოგუაძე)

ახალგაზრდა პოეტთა შეგნებაში, როგორც ჩანს, ჭირაც ცოცხლობს ძველი წარმოდგენა პოეტზე, როგორც რეალობისაგან გამდგარ, ზეშთაფანებულ პირსოვნებაზე, რომელმაც მხოლოდ ზეცისკენ უნდა იქციროს, თვლი აარიდოს მიწიერ ვნებებს. ამ ნიადაგზე ჩნდება ინდიფერენტულობა საზოგადოებრივი თემებისადმი, როდესაც პოეზიის ბეშმარტ საგნად მხოლოდ ე. წ. მარადიული საკითხები ცხადდება. ასე იქმნება არაერთი ფსევდოფილო-

სოფიური ლექსი. ამ ლიტერატურულ-ფილოსოფიური გართობის დროს კი თვალსა და ხელსა შუა ეკარგება რეალობა თავისი წყვედაკრულიანი პროზაობებით. ფუჭმოცნებთა გამოსაფრინებელი ზარვივით გაისმის ლ. ჭავჭავაძის სტრიქონები:

— შენს გზაზე ეკალი ამოსულა,
მიწაზეც დაიხედე, კაცო!
— მისგულზე გველი გამოსულა,
მიწაზეც დაიხედე.. კაცო!
— ტივილი გულამდე ამოსულა,
შენს ტივილს მიხედე, კაცო!

რატომაც სწორედ ამ გულამდე ამოსულ ტივილს გაურბიან ახალგაზრდა შემოქმედნი, როცა ნეიტრალური თემატიკის წიაღს ფარებენ თავს. იცხოვრო შენთვის, როცა ირგვლივ ანდენი საქმეა, თავის გადარჩენის იოლი გზაა. მარტლაც, „რა ადვილია ფარხმალის დაყრა, განმარტოვებ და იცხოვრო შენთვის“ (წ. მონლაშვილი). უფრო ძნელია იბრძოლო, წერს აშენო, „არ გადმოვიწინო სიმშვიდის დროსა“ (ე. ნიჭარაძე).

პირადი პასუხისმგებლობა დროის წინაშე, წარსულისა და აწმყოს წინაშე, კეთილშობილური გრძნობა, მაგრამ როდესაც ახალგაზრდული პოეზიის რეალურ შინაარსს სიტყვიერ დეკლარაციითა ფონზე აფასებ, უნებლიედ გახსენდება ლილი ილიას სიტყვები: „ამას სულ სიტყვაზე ვლაპარაკობთ, საქმე კი საქმეშია“. ახალგაზრდულ პოეზიაში იშვიათია ნაწარმოები, სადაც პირსოვნულისა და საზოგადოებრივის განუყოფლობა მაღალმატრულად არის ნაჩვენები. მაგალითად, მშვიდობის თემაზე ლექსის დაწერა, სადაც მხოლოდ იმის მტიკებაა, რომ მშვიდობა გვსურს და ომი არ გვიინდა, მკითხველს, ცხადია; ვერ მიიზიდავს. საჭიროა თემის ახლებური კუთხით წარმოსახვა, სიტყვიერი ახსტრუქციის ადამიანური შინაარსით გაცხება. თემისადმი ამგვარი მიდგომის საინტერესო ცდაა დ. ბედიანიძის ლექსი „სიყვარული ქალაქის ფონზე“, სადაც საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხები უარღვხად ინტიმური გრძნობის პრეშენა გარდატეხილია. აი, ფრაგმენტი ამ ლექსიდან:

რომ ჩემს გარშემო არ არის ომი,
ეს მშვიდობას სულაც არ ნიშნავს.
ჩემი მშვიდობა მშვიდი ვერასოდეს
ვერ იქნება,
რადგან იქ, სადაც ერთ კაცს კლავენ,
მეც კლავენ, შენც კლავენ
და ადამიანთა დაპირილი სიყვარული
ნელ-ნელა სისხლისგან იცლება, ნელ-ნელა
კვდება.

თეიმურაზ დონიაშვილი
„ბავსოთ — რაც ხარბიზია“



როცა ხმა ვაძლევ შვიდობას,
შენს სიტყვებს ვაძლევ ხმას.

ეს ლექსი, ცხადია, შორსაა მხატვრული სრულ-
ყოფის იდეალისაგან, მაგრამ როგორც ცდა
პიროვნულისა და საზოგადოებრივის დიალექ-
ტიკის ჩვენებისა, უთუოდ საყურადღებოა და
გასათვალისწინებელი.

პრობლემისადმი ზოგადი მიდგომა აისახება
თვით ისეთი მტკივნეული საკითხის მხატვრ-
ულ დამუშავებაში, როგორცია ქართული
სოფლის ბედი, მიგრაციის საკითხი. ახალგაზ-
რდულ პოეზიაში არაერთი ლექსი იწერება
ამ თემაზე, ისმის განგაში მიტოვებული, გა-
ვერანებული სოფლების გამო, მაგრამ ამ გან-
გაზსაც სიმძაფრე და პირადი პასუხისმგებლო-
ბის გრძობა აკლია. არ შეიძლება კაცმა შეე-
ფოთება არ იგრძნოს მ. ხეთაგურის სტრიქო-
ნების წაყოფისას:

უკაცოდ სოფელი ომის დროს რჩება,
ომმა კი რა ხანია ჩაიარა.

არც ის გაგვიჭირდება, ი. ციგროვილს რომ
დავეთანხმოთ:

ვის უმსუბუქებს ტვირთს ესე ყოფნა,
ან მიგრაციის თემებზე წერა?

აქ დგომა მმართვეს, როგორც მეზრეს
და გუთნისდელას.

ზოგადად, წყლულის განკურნების წამალიც
მოძებნილია: ფუძეს განახლება სჭირდება,
ერას — გაღვივება. აი, როგორი სიმსუბუ-
ქით წერს ამის თაობაზე ლ. ჭავჭავაძე:

დაკარგულ სიხარულს,
სად გეძებო ან ვისასა...

მივხვდი ყველას, შემოვბრუნდი,
მივკითხე მამის სახლსა,
ახლა ფუძეს ვეფერები:
ალისასა, მალისასა.

ის, რაც ლექსში ასე ამღერებიათაა ამოქმუ-
ლი, რეალურად ძალზე სერიოზული და ძნე-
ლად გადასწყვეტი პრობლემაა, რომელიც ახა-
ლგაზრდა შემოქმედთაგან მეტ დღეფიცებას
და სერიოზულ მიდგომას მოითხოვს. სწორედ
ამის გამო მინდა თანაგრძობით დავიმოწმო
მ. ჩიტოშვილის სტრიქონები: „ვიდრე ლექსს
დაწერდე, პაპის საფლავს შამში და შალაფა
მოაყალიბე“. მეტიც: „მყურებელივით ნუკი
დარდობ, მონაწილეხვით განიცადე“, ამის
გარეშე „შორიდან მოთქმა, რომ შიატოვცს,
რა ექნა, თუ სიყალბედ მიჩვენება“. თემის
დამუშავებისას უნდა გადავლახოთ მარტივი
აზრის ვარიანტი, რომ სოფლის მიტოვება
არ შეიძლება, საკითხს ალბათ უფრო ფართო,
თანამედროვე და ეროვნული თვალთახედვით
დანახვა სჭირდება. ამის გარეშე აღნიშნულ

თემაზე წერა უაზრობაა, დღი პოეტის
იყოს: „სწერთ? ქალღღობა — სხვა არაფერი“.

ქალაქისა და სოფლის დაპირისპირებაც,
როგორც კონკრეტული გამოვლენა ბუნებისა
და ცივილიზაციის რთული პრობლემისა, ახალ-
გაზრდა პოეტთა შემოქმედებაში მარტივად,
სწორხაზოვნად მუშავდება. მოქმედებს მორაუ-
ლი აზრი: ცოფილი ქალაქიდან სოფლის სი-
წმინდისაკენ! აი, რას წერს ბალათერ არაბუ-
ლი:

გენშიდობებით, ქალაქის ბუნო,
თქვენც, სირენებით დახუნძლულო
ქუჩაბანდებო,—

ნაკადულების ჩემი გალობა
მირჩენია მაგ აზვრითებას...

როგორც იტყვიან, კაცია და გუნება, მაგრამ
როცა მსჭედილობს დაპირისპირების ხასიათი
ემდობა და ამავე პოეტის ლირიკული გმირის
ქალაქურ „ღამის მოსახსამს“ ნათურებიდან
დაღვრილი სინათლის ლაქები ამჩნევია, ხოლო
სოფელური მოსახლამი ვარსკვლავებით არის მო-
ჩითული, ეს უპირ მთვლენათა შეფასების პრე-
ტენზიას შეიცავს. აღნიშნული დაპირისპირება,
წინააღმდეგობის ნამდვილი შეინარსის გააზრ-
ების გარეშე, მოვლენებს პოზიტიურ და ნეგა-
ტიურ იარაღებს აწებებს და პრობლემის ზე-
დაპირზე გვტოვებს. განა ვარსკვლავთა მშვენი-
ერება უარყოფს ნათურის სარკებლიანობას? მ.
ჩიტოშვილის ლექსშიც „დაბრუნება“ სტერე-
ოტიპული სქემა მუშაობს: ერთი მხრივ, ქალა-
ქი, როგორც არაბუნებრივობის, ხელოვნურო-
ბის, სიყალბის სიმბოლო, მეორე მხრივ —
სოფელი, ბუნებრიობისა და ადამიანის საწყისის
მატარებელი. ნიჭიერი პოეტი ქალი მორჩილად
მისდევს ინერციას და ეგზოტიკური აქსენტუა-
რითა და გასტრონომიული არგუმენტებით
ცდილობს თავისი იდეის დამტკიცებას. მხედვე-
ლობის მიღმა რჩება ის, რომ გამოსახო სამშო-
ბლო, როგორც მხოლოდ სოფელი, არასწორია.

საერთოდ, ახალგაზრდა ქართველ პოეტთა
ლექსებში უზრანისტული სინამდვილე შიპერ-
ტრიფიერებულია. ეს „პროექტორები და ში-
ლიარდი მავთულხლართები“, „კათამბჭენების
მალხი ჩრდილი“ უფრო თანამედროვე ქალაქ-
ზე ზოგადი წარმოდგენით საზრდოობს, ვიდრე
კონკრეტული ქართული სინამდვილით. ანდა
რა უნდა მოგვცეს ამ სინამდვილესთან კორჩი-
ოტების, მთვარის შრალისა თუ ჩიტის გალო-
ბის დაპირისპირებაში? ნუთუ შეიძლება სოფ-
ელური იდეის გახსენების შემდეგ ისეთი ნა-
უცბათევი დასკვნის გაკეთება. როგორც ეს ბ.
არაბულის ლექსშია:

დიდ ქალაქებში არაფერი ყოფილა

თურმე...

ქვეშარტი პოეზია ასე არ მოგზაურობს სერი-
ოზული თემის ზედაპირზე. მან, ვისაც ამ პრო-



ბლემის დამუშავება სურს, დილიტკატორად ტუნდა აღიქვას წინააღმდეგობა ბუნებასა და ტექნიკურ პროგრესს შორის და ამ უკანასკნელის, როგორც აუცილებლობის, ღრმა გაგებამდე მივიდეთ. იქნება გზა ვარსკვლავთთისაკენ სოფლად გავლენილი სწულის გაგრძელებაა?!

სტერეოტიპის გარშემო ფუსფუსისას ახალგაზრდა პოეტებს მხედველობიდან გამორჩათ პირადი ცხოვრებისეული ფაქტი — სოფლად თავსებადარზე მყოფი ბუნების მშვენივრად გრძნობენ თავს ქალაქში. მხოლოდ დ. მჭედლურს ეყო ძალა, მდინარების საპირისპიროდ, გულწრფედ ეთქვა, „პასტორალებმა დამყარეს“, ხოლო ლექსების მორე წიგნში „დამშვიდობება საგვარეულო სახლთან“ მწარე სიმართლით ეჩვენებინა სოფლურ ყოფასთან დაკლებების გარდუვალობა.

სტერეოტიპის გამოორებას, ალბათ, იმ კაცის გაორებული მდგომარეობის ჩვენება სჭობია, რომლის ოცნება სოფელს დახტრიალებს, მაგრამ ქალაქსაც ვერ შეღვავია. ეს ხომ რეალური განცდა ახალგაზრდა პოეტებისათვის, რომელთა უძრავი სოფლადანაა გაშლისეული. განა ეს შინაგანი კონფლიქტი უფრო საინტერესო მასალას არ იძლევა პოეტური გაზრებისათვის, ვიდრე მობერებული „მიყვარხარ, ჩემო სოფელი“. ეს თემა ბათუ დანელიამ მოხინჯა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ახალგაზრდა პოეტი ცდილობს ასევე გატყუანდეს გზას, რეალური სულიერი განცდა აქციოს განსჯის საგნად. ნამდვილი პოეზიაც აქედან იწყება.

ახალგაზრდა პოეტები, ეტყობა, დაქვევებული არიან საკუთარი განცდის ღირებულებაში, თორემ განა მართლა ასე ძნელია დამკვიდრებულ სქემასთან შებერაობა, როდესაც კონკრეტული გრძნობის წინაშეაოწევა უკვე რაღაც სიახლეს შეიცავს. ამ გზით ცდილობს, მაგალითად, ბავშვობის თემასთან მიახლოებას ბათუ დანელია და მისი დამოკიდებულება სცილდება ტრადიციულ ტრაფარეტს თუნდაც იმით, რომ სევდიან-მელანქოლიურ განწყობილების საპირისპიროდ, დრამატულ დამაბულობას აღწევს. პოეტი წერს: „სადა მავს გული, ის პაწაწინა ბალიშია, ნემსებისათვის დაკიდული მკერდის კედელზე“ და კოხულობს: „რა, რა გჩხვლეს გულს?“ აი, აქ ამოიხილება ბავშვობის თემა, მასთან დამშვიდობების ტიპილი. უკვალოდ დაიკარვა მიაშიტი, ოცნებით განათებული მსოფლადქმეა, როდესაც ოდის აივანზე გამოსული პატარა ბიჭი აღვის კენწეროდან სამყაროს დანახვას ფიქრობდა. დრომ ილუზიები გააქრო, დაუნდობლად ჩადგა ბავშვობასა და აწმყოს შორის, „დაიწინდა ხსოვნის მდინარე“ და პოეტი ტივილით დასკვირის მის „გაქევივებულ დინებას, ვით ძველ აქვარიუმს, სადაც თევზები დახოცილან უპატრონობით“.

სტერეოტიპულ სქემასთან შეგახებისას ასე-

თი ფიქრიც გინდება: ნუთუ ყველა იმ პოეტს, რომელთა ერთი ნაწილი მინც პირველ ომისშემდგომ წლებში დაიბადა, სამოთხისებური ბავშვობა ჰქონდა? ვის სკირდება ილუზიები? ეს თითქოსდა მცირე, უმტყვივეულო სიკრუე საკუთარი თავის მიმართ ის თესლია, რომელიც შემდგომში დიდ სიყალბედ შეიძლება გადავიდეს. „ლამაზი“ ბავშვობებით ამდენი „ტბობის“ შემდეგ მე ერთგვარი შვება მომგვარა დ. მჭედლურის არცთუ უნაკლო, მაგრამ პატროსანმა სტერიონებმა:

ისე შევნატრი ჩემი სიყრმის მოგონებებს,
ერთომ იქ იდგეს მამაჩემი,

ან ჩემი ძმა,
ან დამ ჩემი,

და დედაჩემის კუბო არ იდგეს.
— იქ რა დაგრა, შე უბედურო,
სიბეჩავის და სიმშინის მეტი?

ბავშვობის სამყაროს ხიბლი ამ მწარე სტრიქონებით სულაც არ იჩრდილება, პირიქით, იგი ცოცხალი დეტალებით, სიმართლით არის სავსე და თანამოხაზსა და ნათელ სევდს იწვევს. თუ დ. მჭედლურის ლექსი არღვევს წარმოდგენას ბავშვობის სამყაროს აუმღვრეტელობაზე, გიგი სულაყური აწმყოდან ბავშვობაში გაქცევის მოდელს აფეთქებს. მისი პოემა „სიმწიფის ატესტატი“ ასე იწყება:

აი, სამყარო,
რომელიც უნდა გამოიჩვენას.

სათურში გატანილი „სიმწიფე“ და დამოშეშებული სტერიონების „გამორწყვა“ ბავშვობასთან მიმართების განსხვავებულ ასპექტს განახავს. იკვეთება პოზიცია იმ პიროვნებისა, რომელიც უკან სამწერად, გასაქცევად კი არ არის მოწოდებული. არამედ ცხოვრების მდინარეებსათან შესახვედრად. მართალია, არც გასულაყურისთვის არის უცხო ამ თემისათვის ნიშანდობლივი განცდა — ტივილი ცხოვრებასთან პირველი შეხების გამო მაგრამ მის მიერ პრინციპულად უარყოფილი ბავშვობის დაბრუნების გავრცელებული მოტივი. ლექსში „გრძელი და მოსაწყენი“ პოეტი ამბობს:

ალარ მოგცემ იმის უფლებას,
რომ ჩემი თვალით დაინახო ქვეყნიერება,
პატარა მეგობარო.

ეს გაცნობიერებული დაპირისპირებაა სტერეოტიპთან, გარკვეული პოზიციაა, რომელიც პიროვნებას, მის ხასიათს, ინდივიდუალობას წარმოგვიჩენს.

პატრიოტული თემის დამუშავებამ ქართულ ლირიკაში თვისებრივი ცვლილება განიცადა.

თეიმურაზ დონაშვილი
„აბნისლო — რაც სარვეზია“

საგრძობლად იკლო იმ ლექსების რაოდენობაში, სადაც მხოლოდ აღტაცებაა გამოთქმული, ანდა ისტორიული ძეგლების ჩამოთვლითა თუ ისტორიულ მოვლენებზე მინიშნებით მზა ემოციის ექსპლაცია ხდება. სამშობლოზე დაწერილი უკეთესი ლექსები მეტი ინტიმურობით, მის ბედზე დაფიქრებით გამოირჩევა. მაგრამ, საუბედუროდ, ქართულ პოეზიას დღემდე შემორჩა რამდენიმე სტერეოტიპი, რომელთაც ახალგაზრდა პოეტები დაუინებით იმეორებენ.

როდესაც ახალგაზრდა პოეტის წიგნი კითხულმა თითქმის სავალდებულოდ ქვეყნულ ლექსს სათაურით „საქართველო“, ჩნდება ინტერესი, როგორ გაიზარებს თემის ახალგაზრდა შემოქმედელი. რაოდენ გულდასაწყვეტია, როდესაც, თითქმის გამოჩაქვლინის გარეშე, ერთიად იგავი მივრდება, იქნება ეს აღტაცება გმირული წარსულით, თავგანწირვისათვის მზადყოფნის მოტივი თუ „შენს მიწას მიმაბაროს“ ვედრება. კვლავაც იხადება უსიამო აზრი, რომ თვით ამ განსაკუთრებულად საპასუხისმგებლო თემის დამუშავების დროსაც კი ინერტულობამ გადასძლია ძიების სურვილს. პოეტი თავგამოდებით გვესაუბრება თავის პატრიოტულ გრძობაზე, მაგრამ მისი უშეშარიტო სიყვარული მამულისადმი იქიდან იწყება, როდესაც შემოქმედი ამ ტრადიციულ დამოკიდებულებაში რაღაც ახალს, რაღაც მხოლოდ და მხოლოდ მისეულს წარმოაჩინს. აი, რატომაა განუმეორებელი და მარადიული:

ცვირან ბალახზე თუ ფეხშიშველა
არ გავიარე — რაა მამული!

ჩემი დავიკრებით, საინტერესო პოეტი ვა-
თა ხორანული, რომლის ნიჭი იმდენად ახალი
მხალის შემოტანასა თუ ახალი თემების ძი-
ებაში არ გამოიხატება, რამდენადაც მოვლენე-
ბის თავისებურ აღქმაში. ამაზე შეტყვევებს
პოეტის თუნდაც ასეთი მხატვრული სახეები:
„მთიბედი არ ჩანს და ველზე ცელი გაჭვა-
ვებული გველივით გადა“; „ცილები, ტარით
მოთიბულში ჩარბობილები, მოჩანს სივრცის
ნაპრალებივით“...

ვ. ხორანაულისთვის არც ასეთი თამამი და უც-
ნაური წარმოსახვა უცხო:

ფოთლოვან კაბით ფეხშიშველი რომ
გამოსულხარ
და მერცხლებიან პაერით რომ გელიმება,
სასწაული დაგემართება:
ან ეგ ბილიკი შენს წვივებზე გაინასკება,
რომ ამ მინდვრიდან ველარ წახვიდე,
ან ყვავილები ფერდობებიდან
მოგესვვიან,
და ფერად ზვინს დაემგავსები...

ვნახოთ ახლა ამავე პოეტის მამულისადმი
მიძღვნილი ლექსი:

მე ვარ მაღალი იმედის ექო
ყველა აკვანთან და გზასთან მდგარი

და მე თუ არა,
ვინ უნდა რეოს
უფრო მაღალი იმედის ზარი.

მე ვარ სიმართლის და ლოცვის შვილი,
და მე თუ არა,
ვის უნდა სურდეს
მამული — მელამ წმინდა და თბილი,
ვით სამარეკლოზე მფეთქავი ბუდე.

გარეგნულად თითქოს უვითაფერო რიგზეა,
თითქოს არაფერია საგანგაშო, მაგრამ როდესაც
ლექსის სახეობრიობა ისეთ გაცვეთილ
„პოეტიზმებს“ ემყარება, როგორცაა „მაღა-
ლი იმედის ექო“, „იმედის ზარი“, „სინათ-
ლის და ლოცვის შვილი“, იქ განცდის კონკ-
რეტულბაზე, ინდივიდუალური მიმართების
არსებობაზე ლაპარაკი ძნელია. პოეტი, რომე-
ლსაც სხვა შემთხვევაში არ უჭირს თავის სა-
თქმელს არაორდინარული ფორმა მისცეს, ამ
ლექსში რატომღაც ორიენტაციას „პოეტიზ-
მებზე“ იღებს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება,
თითქოს ლექსი მხოლოდ მოვლენების გამო-
დაწერილი, ვალის მოხდას კი გაიოლებული
გზისკენ — სტერეოტიპის გამეორებისაკენ
მიყვავართ. საქმარისი არ არის, პათეტიკურად
განაცხადო: „მე იქ ვიწყები, საქართველო იწყ-
ება სადაც და იქ ვმთავრდები, საქართველო
სადაც მთავრდება“. აღამაინმა თავისი დამო-
კიდებულება საქმით უნდა გამოხატოს, პოეტის
საქმე კი მაშინ იწყება, როდესაც ის სათქმელ-
ზე კონკრეტულად გვესაუბრება.

მე აღაფერს ვამბობ ისეთ შემთხვევებზე
როდესაც მამულისადმი ტრფიალის ორიგინა-
ლურად გამოხატვის სურვილი კომიკურბაში
გაღაიარდება. ლექსის „საქართველოს მზეშა“
ზოია ვაშაქიძე წერს:

არა,
ქოლგას არ დავიკერ ხელში, —
მსურს ლავჯარდი
წამწამებზე მეფინოს
და ვიწვოდ საქართველოს მზეში.

გასგებია, რომ ახალგაზრდა ქალისთვის
დღით თავგანწირვაა მზეში უქოლგოდ დგომა,
მაგრამ ალბათ აქობდება სიყვარულის სხვაგ-
ვარი გამოხატვა, რათა ამ „უქოლგო თავგან-
წირვამ“ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაგვა-
გდოს.

პოეზიაში პოვა ძალზე არასახარბილო რამ
არის, მით უფრო სახამუშოა იგი, როდესაც
სამშობლოს სიყვარულის გრძობას უყავფირ-
დება. ახალგაზრდა პოეტებს, რომელთაც ჭერ
მკითხველისათვის დასამახსოვრებელი ორიოდ
ლექსიც არ შეუქმნიათ, მოკრძალება და ზო-
მიერების გრძობა არ უნდა ამღვედეთ ასეთი
ხტრიქონების დაწერის ნებას: „სამშობლოს
ბედზე ფიქრით ნაწამებხ, ეს წინაპ-
რთა ცრემლი მგონია“ (ვ. წერეთელი)... აი, უფ-



რო ზევიდი განცხადებაც, რომლის ავტორია ბ. არაბული:

მე ჩვენი დროის
სიმღერებს ვწერდი
და შენს ზღუდვებზე
ისე მოვედი
და ჩემი სისხლის ყოველი წვეთი
იყო მხედრის და იყო პოეტის.

„წვეთი სისხლი არ არის ჩემში არაპოეტის“, — ამის თქმა საუყუნის პირველმა პოეტმა გაბედა და თუ ასეთი განცხადებების სურვილი გვაქვს, საამისოდ საკუთარი აზრი და სიტყვები მაინც უნდა ვიპოვოთ.

შეზღბია და არაბუნებრივი ამავცე პოეტის სტრიქონები, მიძღვნილი სერაფიტასადმი:

ვერ მოგისწარი, ო, სერაფიტა,
შენ ჩემი ქნარი შეგივყარებდა.

ჩემი, რომ შემეძლოს შენთან შემოსვლა,
ყველა სატიკვარს გაეიჭარებდო.

პოეტმა ჭირ კარგად უნდა მოისინჯოს ქნარი, შეამოწმოს, მართლაც აქვს თუ არა მას ასეთი ღვთაებრივი ძალა, თორემ მკითხველი ამ სტრიქონების ავტორს არ დაუჭერებს თუნდაც იმიტომ, რომ გაურკვეველია, სად აპირებს შეისვლას ის („ო, რომ შემეძლოს შენთან შემოსვლა“).

მამულისადმი მოწონება, მისი ისტორიისადმი პატივისცემა იმასაც გვავალდებს, რომ, საქირთა თუ არა, სხვათაშორის არ შევაწუხოთ ჩვენი წმინდა სავანეები — იყალთო, გრემო, თმოგვი, ვარძია, გელათი და ა. შ.

მომამებინა ისეთი ვინმე,
ვისაც სიცილი სჭირდება ჩემი,
მაწამებინა, რამეთუ სულში
ამაოებად არ რეკდეს გრემი.

შემიძლება ვერ ვხვდები მ. ჩიტიშვილის ჩანაფიქრს, მაგრამ ამ სტროფშიც და მთელი ლექსის კონტექსტშიც მე შემთხვევითად მიმაჩნია „გრემის“ ხსენება, თვინიერ იმისა, რომ იგი წამოატიკვია სარიტომო სიტყვამ „ჩემი“. პოეტმა მაინც არ თქვა უარი ისტორიულ ტოპონიმზე მისი თანდაყოლილი შარავანდელის გამო.

ქვეყნის ისტორიას მოწყვეტილი პოეზია ეროვნულ მისიას ვერ შეასრულებს, მაგრამ ისტორიასთან თამაშით მისული პოეტი, წარსულის რეალიზებში მხოლოდ ლექსის შესამკობ ბრჭყვიალა ქვებს რომ ხედავს, პოეზიასაც აზრალეებს და, უნებლიედ, ეროვნულ გრძნობასაც შეურაცხყოფს. წარსული ცოცხალია, თუ იწი თანამედროვე ადამიანის ცხოვრების ნაწილია, თუ იგი მარტო ადტაციების სახაბი კი არ არის, არამედ აწმყოშიც სახალხო, ეროვნული საქმის შთამაგონებელი. აი, რატომ მიმაჩნია მე ისტორიასთან თანამედ-

როვე ადამიანის მიახლების საინტერესო ნიმუში. შად დ. მჭედლურის ლექსი „გელათი“:

დღეს რას გიშველს წარსულის ნდობა,
ან ღარბანდში შესწნილი კარი,
არ ვარგა ასე მღვმარედ კვლომა,
გამომაფხოზღე, გამაქარი მხარი.

როდესაც არსებობს წარსულისადმი ასეთი დამოკიდებულება, მე ვერ გავმართლებ ა. გუგუციძის არაფრისმიჭქმელ, გაუმართავ სტრიქონებს:

ისევე შეუდგა მამულზე და დედულზე ფიქრი
ვარდისფერ აღმართს,
ისევე ვხვდები და ვესალმები
საყვარელ წყარულს:

ქრისტიანს, წარბანთს.

საბედნიეროდ, ამავცე ავტორს აქვს ნამდვილი ტკივილით გამსჭვალული სტრიქონები, მრავალთა წუხილს და სინანულს რომ აირტყდავს: მე თვითონ ვნახე: ქართულ ყვევილებს ჭეგაც ფეხი არ მოუცვლიათ იმ გასხვისებულ ადგილებიდან.

...ნეტა რას ფიქრობთ, როცა ასეთ ყვევილებს სტოვებთ?

ასეთი სტრიქონები გვაჩწუნებს, რომ აღტაცების ყუთინას ყოველივე არ წაუღეგავს, რომ ახალგაზრდულ პოეზიაში შენახულია წმინდა ტკივილი, რომლის გარეშე ლირიკას საზეიმო დაუდაფების ხმა გააყრუებდა.

ახალგაზრდა პოეტებმა ირწუნეს, რომ სიყვარულის გამოსახატავად მაინცდამაინც უვირილი არ არის საჭირო, რომ ჭეგარტი სიყვარული ჩურჩულით ნათქვამ სიტყვებშიც შეიძლება გახშიანდეს.

დღეს ისე ჩუმია საქართველო —
თვით სიჩუმეა საქართველო,
უნაპირო და მძაფრი სიჩუმე.

— წერს ნინო ქუთათელაძე. ეპითეტი „მძაფრი“ აქ შემთხვევით არ არის ნახმარი, რადგან სიჩუმე უმოქმედობას, უძრავობას კი არ გულისხმობს, არამედ არსში ჩაღრმავებას, დიდ ვნებათაღელვას, ქვეყნის სატიკვარზე ფიქრს. ამგვარი „ჩუმე“ დამოკიდებულება პატრიოტული თემისადმი მას მეტ სითბოს, მეტ უშუალობას ღმენს.

თქვენთან მოვდივარ, ქართლის ველებო,
უფრო და უფრო თქვენთან მოვდივარ.

ნ. ქუთათელაძის ლექსში გახშიანებული ეს ინტიმური ინტონაცია ისეთ განმახლებელ უნარს იჩენს, რომ პათეტიკური ლირიკისათვის ჩვეული ჩამოთვლა ციხე-კოშტებისა თუ ტაძრებისა არამცთუ გვადინიანებს, არამედ რაღაცნაირად გვახლოებს წარსულს, ისტორიასა და თანამედროვე ადამიანს შორის დისტანცია თითქმის უქმდება.

ახალგაზრდული პოეზია იმის სასიკეთო ნიმუ-

თინიშურაჲ ფორიაზმილი
„ნამეცსოთ — რაც ხარვენიან“



ნებასც შეიცავს, რომ აღტაცებისა და სიტყვიერი დაპირებების დრო თანდათან მიდის. აი, რატომ მჩვენება იმედისმომცემად დ. ბედიანის სტრაქონები:

მე თუ დაგვირდი...

მაგრამ ჯობია, ამაზე კოტა ვილაპარაკო...

ამ სტრაქონებში მე სტრერეოტიპთან შეგნებულ დაპირისპირებას ვხედავ და თუმც იგი ბოლომდე დაძლეული არ არის (ლექსი ასე გრძელდება: „ღღიები მიდის და ეშვადება მარტოლენ შენთვის ჩენი ზვარაკი“), აქ მაინც გავრცელებულ აზრობრივ კლიშესთან შეწინააღმდეგების სურვილი გამოხატვის.

უკანასკნელი ორი-სამი წლის მანძილზე არაერთი და ორი პოეტური დებიუტის მომწერენი ვართ. ჩნდება ახალი სახელები, რომელთაგან ბევრი მაღივან გვაიწყობდა, მაგრამ, საბედნიეროდ, მოდიან ისინიც, რომლებიც იმდენ გვისახავენ, „დიდი მოლოდინით“ გვაგვებენ. ქვემოთ, ძირითადად, სწორედ ამ უკანასკნელთა წარმატებულ თუ წარუმატებულ ცდებზე შექნება საუბარი. ვფიქრობ, შექმნილ ზოგად ფონზე უფრო მკვეთრად წარმოჩნდება მათი ნაკლი თუ ღირსება. ახალგაზრდა ავტორთა გამაერთიანებელ ნიშნებზე, თაობის ზოგად პროფილზე მსჯელობა ნაადრევც მგონია და გაუმართლებელიც, რადგან საერთო ნიშნების ძიებისას შეამჩნება ხელიდან გაგვისხლტეს უმთავრესი რამ — თითოეულის ინდივიდუალობის, შემოქმედებითი პოტენციის გარკვევა.

მსხბუნებ ხარჩილპაპს პოეზიის ღირიკული გმირი ყოფიერების უზოგადეს საკითხებს დასტრაილებს. ადამიანი ყოველთვის ცდილობდა გარკვეულიყო დაპირისპირებათა ურთულეს ხლართში, რასაც ქმნის ყოფნისა და არყოფნის, მარადისობისა და წარმავლობის, სიკეთისა და ბოროტების გვერდიგვერდ არსებობა. იმათგან განსხვავებით, ვინც მარადიულ კითხვებზე მზა პასუხებით კმაყოფილდება, ვხარჩილავა თავად ცდილობს ეძიოს სიცოცხლის საზრისი, საკუთარი დამოკიდებულება გამოიშვავოს ყველაფრის მიმართ. სამყაროს ქაოსში გარკვევის სურვილი, სამყაროსა და საკუთარი თავის შეცნობისაკენ ღტოლვა პოეტისათვის არსებობის სინონიმური ცნებებია. ამიტომაც მის ლექსებში უამრავი კითხვა: „კითხვები ყველგან: კითხვა პასუხში, კითხვა ფიქრში და კითხვა კითხვაში“. ვერ ვიტყვი, რომ ვ. ხარჩილავას დასმულ კითხვებზე ორიგინალური პასუხი ჰქონდეს. ეს საუბრედაც იყო მოსალოდნელი. ყოფიერების უარსებითისი საკითხების გააზრებისას იგი ეროვნული კლასიკური პოეზიის ტრადიციებს ეყრდნობა. კითხვანე: „რა სჯობს, აქ დავჩრეთ, თუ წინ ვიარათ, რომ მერე სხვისთვის ვიქცეთ ბი-

ლიკად“, სადაც თითქოს კლასიკური პასუხის გადასინჯვის შეფარული ცდაა, პოეტის მოსაზრებას იძლევა:

მე, ადამიანს, მერგო ხედრად ვიდეგ მათ შორის,

ვიარო მულამ მათ შორის და ციციცხო მულამ,

რომ არ გაოხრდეს ეს ბილიკი, არ გავერანდეს...

ის ლექსები, სადაც პოეტის მსოფლმხედველობრივი ძიებანი ჩანს და სადაც იგი ცნობილ ჭეშმარიტებებს ხელმეორედ აღმოაჩენს, უფრო პირადი მნიშვნელობის ფაქტებად რჩება, ვიდრე პოეზიისა და მკითხველის კუთვნილებად. მაგალითად, ვ. ხარჩილავას ლექსებში ხშირია საუბარი ისეთ კატეგორიებზე, როგორცაა „მარადისობა“ და „არყოფნა“. პოეზიაში მრავალი ვარაუდა არსებობს ამ თემებზე. დროს მხოლოდ ნიუანსობრივი ცვლილებები შეეჯება მათს გააზრებაში. ამიტომაც, ვ. ხარჩილავა ვერაფერს ამბობს ორიგინალურს, როცა ამ საკითხებისადმი თავის დამოკიდებულებას გვიმხელს:

ალბათ, მარტოლენ სიზმარი ვარ, მარადისობას სულ ერთი წამით დასიზმრებელი.

.....
დასაწყისია ეს დასასრული ახლის და ნორჩის, განუწყვეტელის.

უამრავი პარალელის მოტანისაგან თავს შევიკავებ. ვ. ხარჩილავას ლექსებთან ჩანს, რომ ის პოეზიის ერთ-ერთ ფუნქციად ჭეშმარიტების შემეცნებას მიიჩნევს. მაგრამ შემოქმედებითი სიხარული ახალი ჭეშმარიტების აღმოჩენას მოაქვს და არა ცნობილ ჭეშმარიტებათა გამეორებას, თუნდაც იგი არცთუ ურიგო პოეტურ ფორმაში იყოს მოქცეული.

ვ. ხარჩილავას პოეტური ნიჭი უფრო იმ ლექსებში ჩანს, სადაც იგი სცილდება ფილოსოფიურ საკითხებს, როცა ნაცნობსა და მრავალგზის ხილულს ახლებურად წარმოგვიდგენს, უბრალო, ყოველ სურათებში დრამატიზმს აღმოაჩენს, ვაგვარძნობინებს რეალობასთან შეჯახების ტივილს და დაკარგული ოცნებების სევდას. ასეთი ლექსებია: „შენ ყველაფერი უწყი და იცი“, „შენ შეცდენილი ხარ ანგელოზი“, „ცაში ვიყავით“, „ყველამ არ იცის, რომ ღამეც დღეა“, „მონოლოგი წარსულიდან“, „გალავანს იქით“... პოეტის ძიებანი, ვფიქრობ, ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს.

მაშასადამე ლექსების პირველ წიგნში „მესამე წარი“ („მერანი“, 1982) არის ასეთი სტრაქონები:

გაიხსენე, რომ უფრო მკაცრად დასაჯო თავი მოგონებისთვის, უმტკივნეულო წუთებისათვის, რომ შენი სული



არ მიუგდე ყორნებს საიჯვანდალ,
 რათა გეგზონო ტკივილის ფასი.
 ამ სიტყვების დამწერს მოხვედრული სულიერ-
 რი ცხოვრება რომ არ შეიძლება ჰქონდეს,
 ალბათ, ცხადია. თ. ბაძაღუს ლექსები არ არის
 პარმონიული, შინაგანად გაუბნარავი კაცის
 მონოლოგები. ეს არის ფიქრით, ტკივილით,
 მარტოობით, შიშით, უსასოებით, იმედით სავ-
 სე სამყარო.

„მესამე წარს“ თავიდან ბოლომდე ერთი თე-
 მა გასდევს — თემა სიყვარულისა, რომელსაც
 ახალგაზრდა პოეტი თავისებურად, თანამედ-
 რადე პოეზიის გამოცდილების გათვალისწინე-
 ბით ამოუშავებს. აქ არ არის არც „ტატანი ტა-
 ნის“ ქება, არც სიყვარულის ისტორია. იგი
 თითქოს ფრჩხილებს გარეთ არის გატანილი,
 ავტორის ძაღლისხმევა კი მიმართულია იქით,
 რომ აღბეჭდოს შეგრძობებათა, განცდათა, ფიქ-
 რთა მრავალფეროვანი გეგმა, რასაც ეს მა-
 რადიული გრძნობა აღძრავს ადამიანის სულში.

მე უკვე ვეღარ მიხსნის ვერავინ,
 მე უკვე თოვლში ვეწეარ ყელამდე.
 — გაწვეტილი თუ დამთავრებული სიყვარუ-
 ლი მარტოობის, ეუღლეობის, უმინჯობის განცუ-
 დას ტოვებს. ჩნდება კითხვა: „სანამდე... რა-
 ტომ?...“ და სიყვარულთან დაკავშირებული ფა-
 ქტები მსოფლმხედველობრივ ძიებებად განი-
 ტოვდება.

პოეტი საკუთარი სულიდან უშიშრეს სურა-
 თებს ამოწიდავს:

თითქოს სხვის ოთახში ვეწეარ
 და გვეშინია, სადაცა კარს შემოაღებს
 ვინმე უცნობი და მკაცრი ხმით
 შეგვეკითხება:
 „თქვენ აქ რა გინდათ, ვინ ხართ,
 რატომ შემოიხეტით?“

.....
 როგორც ფოთოლზე წყლის წვეთი,
 ჩვენი ცხოვრება მიცურავს სიზმარში.

.....
 გინახავს წყალში დამხრჩვალნი გვამი,
 ბნელი ტალღა რომ ააბრუნებს
 უკანასკნელად,
 უკანასკნელად დაუვლის სხივი...
 მე იმ ტალღაზე გატრუნული ვდგავარ
 და ვუცდი...

ტრაგიკული სიტუაციიდან გამოსავალს იგი
 მიქცევაში ხედავს: „იქ სუფივს ჩვენი სამოთხე-
 ლე, როგორც საყვარელი შეილის საფლავი —
 დაწვედილი და უწმინდისი“. მაგრამ ვანა შე-
 იძლება ამით თავის დამშვიდება, როდესაც
 სწინაშეს მარადიული კითხვა: „იქ რა იქნება?“
 პიროვნება ჟამებს რეალურ, ამქვეყნიურ საყ-
 რდენს. აღდრე მას ჰქონდა სიყვარული, მაგრამ
 რომანტიკული ილუზიები მალე გაქრა: „მო-
 ვიტყუე მრავალქერ თავი: სიყვარულით, რო-
 მანტიზმით, წრფელი ცრემლებით“. მას არანაყ-

ღბე სტანჯავს სიყვარულის თანამედროვე მე-
 ტამორფოზა: „და როგორც მხეცი ზორცისა
 კენ, გაემართე სიყვარულიკენ“. უცხო, მიუ-
 საფარი, ტანჯული სული მაინც ჭეშმარიტ,
 ადამიანურ გრძნობას არის მონატრებული და
 მის გაცოცხლებას ოცნებაში, სიზმარში ცდი-
 ლობს:

სიზმარში მაინც ვხედებით ერთმანეთს,
 სიზმარში მაინც სხარტულით გვიტორის
 თითები,
 სიზმარში მაინც შემოდისა გითხრა
 „სიყვარულსა“

თ. ბაძაღუა ერთგან წერს:
 ჩემი თვალების და ცრემლების
 დიად სიღრმეში
 ჩამარბულია ნაცნობი და უტყვი
 სამყარო
 და ბუნდოვანი სახეები, როგორც
 ზმანება
 მოღიან ჩემთან, ხელს მართმევენ,
 მეფერებიან.

ახალგაზრდა პოეტი თავის შინაგან მწერას ამ
 „ბუნდოვან სახეებს“ მიიპყრობს. ეს აღარ არის
 სიტყვებით თანაში, ეს რაღაც ახალი შეგრძ-
 ნებების სახელდებაა. სწორედ ეს არის მიუწეი,
 რომ თ. ბაძაღუს მხატვრული სახეები, უპი-
 რატესად, ახალია, მოულოდნელი, აზრობრი-
 ვად და ემოციურად მდიდარი.

თ. ბაძაღუს სტიქია შედარებაა, რომლის
 მრავალფეროვან შესაძლებლობებს ის ოსტა-
 ტურად იყენებს. პოეტის შედარებები არ არის
 აგებული რაიმე გარეგნულ მსგავსებაზე, რო-
 დესაც შედარების ობიექტებს შორის კონტაქ-
 ტი არ მყარდება. თ. ბაძაღუს მოულოდნელ
 შედარებებში უსუსტად არის დახასიათებული
 საგანი, მოვლენა, ფსიქოლოგიური სიტუაცია.
 პოეტი წერს:

მე ვიგრძენ, ალბათ აღარასოდეს
 შეეძლებდი მეტყვა: „გვისმის, მიყვარხარ“.
 პირდაპირ ინფორმაციას შინაარსობრივად უჩ-
 ვეულოდ ამდიდრებს, ავსებს, აზუსტებს შე-
 დარებას:

სიტყვები, როგორც ბალახში გველი,
 იწვენ სხეულში და ჩუმად თრთოლდენ.
 ამ მხატვრული სახისათვის მთავარი მსგავსების
 ნიშანი კი არ არის („იწვენ და თრთოლდენ“),
 არამედ ანალოგია „სიტყვები“ — „გველი“,
 რის შედეგადაც სახის („გველი“) სემანტიკური
 და ემოციური არეალი აფართოვებს „საგნის“
 („სიტყვების“) შინაარსს და პიროვნების ფსი-
 ქიკური მდგომარეობის მდიდარ დახასიათებას
 გვაძლევს. ამ ღივსებით არის აღბეჭდილი თ.
 ბაძაღუს არაერთი შედარება: „მოცურავს
 მწუხრის და მერყევენა: თითქოს ძარღვენი იზ-

თამიშურაზ ფოთაშვილი
 „აბიშვილი — რაც ხარვეზია“



რდება გველი, მწარე სისხლით იზრდება გველი და ხადაცა გამოაგრევს სხეულის ქვესკნელს; „დამეში, სიკვდილის შუქზე გაფთრებული სიმარტოვე ცახცახებს. ჩაპიდე ხელი, მიფერე და გაიტრუნე. იქნებ სცივა, იქნებ ძარღვებში ზამთარი ჩაუღვა, როგორც თეთრი სისხლი“; „დაშორდა ღიმილს შენი ტურები და გაბნევა გაოცებულ დუმილის ტბაში, როგორც ფსკერისკენ წასული ნავი“... ეს არ არის თვითმისწურად შექმნილი სახეები, როცა მოულოდნელობის ემუქტო ორიგინალობის ილუზიას ქმნის. ისინი პოეტის გაბედული ძიებისას იქმნება, რათა სულში განფენილი „ზუნდოვანი სახეები“ ახალ პოეტურ სინამდვილედ გახსენდეს.

თ. ბაძალა თავის ლექსებში სულიერი ცხოვრების ისეთ სფეროებზე გვესაუბრება, რომლის გამოსახვის ერთადერთი პირობა მხოლოდ უკიდურესი გულწრფელობა და სულის გამოშვლების სინამაძვია. თუ ეს პირობა დაირღვა:

მაყურებელი მკაცრია და არ გააპტიებს,
თუ საღმე ყალბი ნოტა აიღე.

გუბრამ ოდიშარბა უკვე ორი წიგნის ავტორია, რომლის დებიუტი კრიტიკას შეუმჩნეველი არ ღარჩა. იგი ყურადღებას იპყრობს იმით, რომ არ მიდის იოლი გზით, ეძიებს საკუთარ საიქმელს და ხმას.

გ. ოდიშარიას ლირიკა მედიტაციური ელემენტების სიჭარბით ხასიათდება, რაც გარეგნულად რთულ, მეტაფორულ მეტყველებაში ჰპოვებს გამოვლენას. იგი ეძებს ისეთ ხედვის წერტილს, საიდანაც თვით ნაცნობი და ჩვეულებრივი საგნები და მოვლენები ახლებურად და უჩვეულოდ აღიქმება. გ. ოდიშარიას ლექსებში მე განსაკუთრებით ის ფრაგმენტები მომწონს, რომლებიც ავტორს გაერთიანებული აქვს სათაურით „სურათები“ და „აკორდები“. ლაკონურ, აზრობრივად დატვირთულ სტრიქონებში ჩანს ორიგინალური აღქმა, საგნებს შორის მანამდე უჩინარი კავშირების აღმოჩენის უნარი:

მედუზა სიზმრის ნაფლეთია,
უხილავის ხილული სუნთქვა.

იწვის მერქანი,
მიფრინავენ კვამლის ფიჭვები.

მტრედი პატარა დილაა.

მინდვრების შავი თვლებიდან
მოქონავს ცხენი.

გ. ოდიშარიას ლექსებს საინტერესოს ხდის ახეთი მოულოდნელი ხილვები: „დამდნარი ჩიტი იყო ჰაერი — გამჭვირვალე და მოვალე-

ბე“, „გველის სიკვდილს ჭავდა ის დამეშაველი საზარელი და საცოდავი“...

პოეტის „გრძელი“ ლექსებიც, რომლებშიც ავტორი უპირატესად ფილოსოფიური განსჯისაკენ არის მიდრეკილი, ტვეად, საინტერესო მეტაფორებსა და არაორდინარულ შედარებებს შეიცავს. აი, როგორ თავისებურად არის გამოხატული პოეტის დაშოკებულიება უბრალო სიტუაციებში „აჰ“, რომელსაც დრმა აზრობრივი დატვირთვა ემღევა:

თითქოს ვილაკამ გველივით გასრისა
სულ სხვა, უცხოდ მფეთქავი სიტყვა
და დაქუდო მერე

გულს ამოხვრად ნაწყვეტი მისი — „აჰ“.
გ. ოდიშარიას უკეთეს ლექსებში მეტაფორიკში ე. წ. „განპოეტურების“ ხერხი ცოც არის, არამედ მოვლენათა გადაჯერების მძლავრე საშუალება, რომელიც თავისებური წარმოსახვის მეშვეობით სულ სხვაგვარად აღგავსებინებს ნაცნობ ობიექტს თუ პროცესს:

თქვენ იცით, ალბათ, რომ
ეს ასოები და სიტყვები ახლა
მზერითუხილაგი მცენარის ფესვებია და
იკვირტებიან ისინი მაშინ, როცა
დახედავთ.

მათი ყვავილები თვალგბია თქვენნი...
და თქვენც დასცქერით გაფაციცებით
განა სისხლგამომშრალ ასოებსა და
სიტყვებს? —

არამედ საკუთარი მზერის ფესვებს.

მიუხედავად საინტერესო მიგნებებისა, გ. ოდიშარიას პოეზიაში იგრძნობა მეტაფორულობით ჰარის გატაცება, რის შედეგადაც ხშირად ტექსტი ისეა „გართულებული“ და „გასაიდუმლოებული“, რომ მისი წყდომა ჰარის ცნობილია, არაერთმა რთულმა პოეტმა დაასრულა მოგზაურობა სისადავის ნაპირებთან. ეს გამოცდილება ახალგაზრდა პოეტისათვის უკვალოდ არ უნდა დაიკარგოს.

გ. ოდიშარიას აქვს ერთი ოთხსტრიქონიანი ლექსი:

გადადეთ ეს წიგნი...
და დიდხანს იფიქრეთ საყვარელ
ბილიჭზე,
რომელსაც ნელ-ნელა ისრუტავს
ბალახი...

ჩვენ მხოლოდ ასე თუ ვირწმუნებთ
ერთმანეთს.

პოეტის ორივე წიგნი, მართლაც გვიჩენს საფიქრალს. იგი სამომავლოდაც ალბათ ბევრ რამეს გვეტყვის საინტერესოს, ოღონდ, სასურველია მეტი სისადავე და სიცხადე. „ჩვენ მხოლოდ ასე ვირწმუნებთ ერთმანეთს“.

შუამო ჯიმიბს სადებიუტო წიგნი „ბედი“ („მერანი“, 1980) ჩემთვის ბევრი რამ გაუმგებარი ღარჩა. ეს ენება მის „მხედრულ“ ლექ-



სებს და „პოემას სულაც უხსოვარ დროზე“. მიუხედავად დიდი სურვილისა, მე ამ ენობრივად, რბილად რომ ვთქვათ, თავისებურ და ბუნდოვან ნაწარმოებებს ვერ ჩავწვდი. ისეთი შთაბეჭდილება მჩრებდა, თითქოს პოეტი საგანგებოდ ქმნის უცნაურ სიტყვიერ ქსოვილს, რომელიც „გასაგები გაუგებრობის“ წრეში გვატრიალებს. ჩემთვის მიუღებელია პოეტისეული ენობრივი პოლიცია — არაბუნებრივი სიტყვიერი ფორმები, ხელოვნური სინტაქსური წყობა. მე არ გამოვრიცხავ, რომ ჩემი შთაბეჭდილება სუბიექტურია. ვიტყვებ რა იმედს იმისას, რომ მის უფრო დაკვირვებული და მახვილგონიერი ინტერპრეტატორი გამოუჩნდება, გადავივარც იმ ლექსებზე, რომლებიც, ჩემი აზრით, წარმოასრენენ შ. ჭიჭიას შესაძლებლობებს.

ლექსში „სალამოვდება, დასალიერზე...“ პოეტი ოსტატურად ახერხებს სამყაროს უსასრულობის განცდის შექმნას. სანამ დასალიერზე წითელ-წითელი კაცუნები შიშისმგვრელად გაფითრდებოდნენ, დროის ამ უმცირეს მონაკვეთში, წამიერად ნაგრძნობია სივრცეში განფენილი ქვეყნიერების უსაზღვროება. საინტერესოა ლექსი „ანაწდეულად მიიცივალა...“ რომელშიც პოეტი სიტუაციის გაუცნაურებით გვაშინებს მოულოდნელი ფინალისათვის: უცხად გარდაცვლილ ადამიანთა რიგში „თითქოს სიკვდილმა გვა გაიკაფა და გაიქცა“.

შ. ჭიჭიას აქვს უნარი მოვლენის უმცირესი ნიუანსების ზუსტად გადმოცემისა. „ლოგინზე კი არ კვდება იგი შთლიანად, არამედ ცოტა იქით, კარისკენ, ეს ისე, როგორც კამკამა წყალზე კაცთა ანარეკლს გასწელავს ტალღა და თავს წააწყვეტს“. აქ მხოლოდ უცნაური სიტუაცია კი არ არის ზუსტად ასახული (მომავლადვე გამწვანდების სული ქობიდან გაპარულ ასულს მიმყვება), არამედ მოქმენილია მისი აზნუნელი საინტერესო მხატვრული ხატიც. დასამახსოვრებელი და მოულოდნელია მტრისგან ალყადატყმული მეომრების მრავლისდამტევი შექაბილი: „აწვი კი ვტოვებთ სხეულებს და ვინებთ ცისკენ“...

შ. ჭიჭია ძიების პროცესშია. ამ გზაზე თავად ავტორისთვისაც ბევრი რამ ბურუსით არის მოცული. ჩემი აზრით, პოეტის ლექსები ზეკრს მოიგებდა, ასე ძალიან რომ არ იყოს დაშორებული კონკრეტულობას, სათქმელი მტრის სინათლით რომ იყოს გადმოცემული.

ციხინან მელაშ თითქოს საგანგებოდ ერიდება ლექსში სათქმელის პირდაპირ გადმოცემას. პოეტი ქალი შედარებებით აზროვნებს და უპირატესად ამ ხერხის დახმარებით ცდილობს ჩანაფიქრის მხატვრულ რეალიზაციას. იგი იშვიათად მიმართავს რეალურ მსგავსებაზე დაფუძნებული შედარების ტიპურ მოდელს. ც. მელაშა ერთმანეთთან შეუთავსებელ საგნებს

ადარებს. პოეტის მიერ მიგნებული კავშირები საგანთა შორის მისი ხედვის ინდივიდუალულობა ავლენს: „ქუჩა, როდესაც უკანასკნელი ნაბიჯები მიწვდება, საათითაა, რომელიც არ მობართვს“, „სალამო ხანი მაუკვლით სავებ სინკით ებირა მალალ სიმინდებს“, „მიწის ხელტემით მოვტანათ წუხელ ქალაქში მწვანე ხალახი და კაცები ერთიმეორის გვერდით ალაგებდნენ, როგორც გალიაში დამწყვდეულ ჩიტებს“...

ც. მელაშა წიგნში „ღამის თიბავენ ციციანთელში“ („მერანი“, 1981) შედარებებს სწორედ თავისი მოულოდნელობით იქცევს უზრადდება, რაც, ცხადია, ღირსებაა ახალგაზრდა პოეტისა, რამდენადაც იგი ავტორის შაძიებელ ბუნებაზე მეტყველებს. მაგრამ მოულოდნელობის ეფექტის გამოდევნებას აქვს ნეგატიური მხარეც, თუ იგი თვითმიწინადა იქცევა. ც. მელაშა მოეპოვება ბევრი ისეთი შედარება, რომელიც თავისი მოულოდნელობით მკითხველის მწერას აჩრებს, მაგრამ მხატვრული ხერხის გააზრებისას აღმოვაჩნეთ, რომ პოეტი ხშირად მხოლოდ შედარების სტრუქტურის იმიტაციას ახდენს, იმდენად ეფემერულია მისი შენაარსი:

ქალი
მკვდარ შვილს მიაცილებდა
და ისე თვლიდა მოთრეულ ნაბიჯებს,
როგორც თეთრ ფულს უფულობის დროს.

ლექსში ისეთი განსხვავებული ობიექტებია შედარებული, რომ მან შეუძლებელია უპირადლება არ მიიყვას. მაგრამ როგორც კი მოულოდნელობის ეფექტი გაქრება, აშკარადდება სახის არსებითი ნაკლი: ჭრტ ერთი, იგი ფსიქოლოგიურად უაღბ მტლას წამოსწებს — შეილის სასახლეს ადევნებული გაოგნებული დედა, ალბათ, არაფერის ითვისის, მაგრამ რომც ითვლიდეს ნაბიჯებს, რითი ჰგავს იგი უფულობის დროს თეთრი ფულის თვლას? ორი. გინალობისაკენ სწრაფვას პოეტი ხშირად ისეთი სახეებისაკენ მიმყავს, რომელთა გააზრება მე, მაგალითად, მიჭირს: „იღგა ფერები ამორძალივით“, „ნებთი ჰგვანან რიხვებს, რომ არ იყოფა“, „ღამეს უკან დაბრუნებული ბარათებივით ხევედა მატარებლის ვაგონი“... ძიების გზაზე პოეტმა არ უნდა დაეკარგოს თვითკონტროლის გრძნობა, რათა შემოქმედებითი ენერჯია უაღბი ფანტელობის დაგროვებას არ შენწიროს. საერთოდ, ახალგაზრდა პოეტთა შემოქმედებაში მხატვრული სახის, თუნდაც იმავე შედარების, საკითხს განსაკუთრებული უპირადლება უნდა მიეძღვინ. პოეტური ხატის შექმნა თვითმიწინადა არ უნდა გადაიქცეს. როდესაც კონსტრუქცია სახეზეა, მაგრამ იგი არ ფუნქ-

თინიშრობს დღიანშვილი
„აბგვსოთ — რაც ხარმეზინა“



ციონარებს (მე აქ არ ვგულისხმობ კურიოზულ შემთხვევებს, როდესაც, მაგალითად თმოგვის ციხე შედარებულია მოგთან მხოლოდ იმიტომ, რომ გაირითმოს: „მოგვად-თმოგვად“: ან როდესაც შედარება ემყარება არასწორ წარმოდგენას, თითქოს აბრეშუმისგან იქსპორტა პარკი და არა პარკით: „ეს თითები — თეთრი აბრეშუმები — ლექსის პარკებს ქსოვენ შენთვის, მამულო“; დაბოლოს, სრულიად აბსურდული: „კვლავ მიმპაპნებს დროის ალმირი (?) მთელი სისწრაფით და სიძლიერით“).

უვლალე უფრო გავრცელებულია შედარების ისეთი ტიპი, როდესაც შედარების საფუძველი ძალიან გარეგნულია, როდესაც ერთი მოვლენა მეორეს ვერ განმარტავს. მაგალითად: და ქვირიითივით აყრია მინდორს ენებლები. და ლურჯი იები.

შედარების საფუძველია სიმარჯვე, რის ხაზგამსვლაც ცდლობს პოეტი, მაგრამ მას უსრულდებიდან რჩება, რომ „უვავილები“ და „ქვირიითი“ სხვადასხვა რიგის საგნებია და მათ შორის ქუთმარატი ემოციური კონტაქტი არ მუარდება. შედარებაში მხოლოდ გარეგნული ნიშნის აქცენტირება საკმარისი არ არის. მთავარია, თუ შედარებულ ობიექტებს შორის რეალური თუ წარმოსახული მსგავსების ისეთი ხარისხი, რომელიც სახის მეშვეობით სავანე წარმოდგენას გაგვიმდიდრებს.

რევაზ დანიელი ერთ თავის ლექსში წერს:

ეკლესიის ტანი ისე დამსკდარა,
როგორც გაზაფხულზე კვირტი..
ამ არცთუ ურიგო სტრიქონს
შეხედავენ ძალზე გულგრილად.

ერთი შეხედვით ეს სახე შედარების, მართლაც, არცთუ ურიგო ნიმუშია. ის უსრულდება იქცევს მოულოდნელობით — შედარებულია ძალზე დაშორებული ობიექტები, მსგავსებია ნიშანიც მოძებნილია. მიუხედავად ამისა, ის, ვინც ამ შედარებას გულგრილად შეხედება, გასამტყუნია არ არის: ეკლესიის დამსკდარი ტანი და გაზაფხულზე გამსკდარი კვირტი ისეთ სამირისპირა ემოციებს იწვევს, რომ მათი მოქცევა ერთ სახეობრივ კონსტრუქციას აქარა დასაფხისა. შედარების თითოეული კომპონენტის დამოუკიდებელი ემოციური არეალი ხშირად გათვალისწინებული არ არის, რის გამოც, ისინი, ფორმალურად შედარების სტრუქტურაში მოქცეულნი, აზრობრივად ამ სტრუქტურას აუქმებენ.

ახეთი იფერული სახეების სამირისპირად, ახალგაზრდულ პოეზიაში უნდა გამარჯვდეს ისეთი სახეები, როგორც: „გზა მთებსშუა გაქიმული ვეება თოკი, ზედ რომ ჰკიდებენ შუადღისას ხეები ჩრდილებს“ (მ. ჩიტიშვილი), „მე ვუყვებოდი, რომ გაზაფხული — სადაც უმისოდ გატარებულია — მეჩვენებოდა, ვით

ნაქარგის მეორე მხარე“ (ვ. ხორნალუძე).
მეში მოჩანს წიწკანს ბუდე, როგორც წიწკანს
ლისი დახსილი თვალი“ (დ. მქედლორი), „მზე ჩადიდა, ვით ჭის მობრელი მიწში, ისე“ (ბ. დანიელი), „მე ახლა ისე მარტო ვარ, ღმერთო, რომ გაორება აღარ მაშინებს“ (ნ. ქუთათელია). „და თუადებს, როგორც გაზაფხულ ფინჯანს, გამომპარვოდა ბრქუვაილა წვეთი“ (ვ. ხარჩილაძე)...

მოტიანილ სახეებში ქანსხვაებულა პოეტური თვალთახედვა, სიზუსტის სხვადასხვა კრიტიკოუმი მოქმედებს. როგორც ბ. პასტერნაკი ამბობს:

Бывает глаз по-разному остер.
По-разному бывает образ точен.
დავებრუნდეთ ისევ პოეტებს.

ნუშზარ კომბერძინს პირველი წიგნი „არიალოსანი“ 1980 წელს გამოცა „მერანში“. ხოლო მეორე კრებული „სულ ერთი წამი შენთან უოფნისა“ შარშან დასტამბა „ნაკადულმა“. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წიგნში „გრძელი“ ლექსებიცაა შეტანილი, ნ. კობერიძე უფრო მცირე ფორმის მოტრფიალდა. ამ ფორმამ, განსაუთრებით მას შემდეგ, რაც ქართველი პოეტები იაპონური პოეზიის ნიმუშებს უნარნენ, ბევრი მიმდევარი გაიჩინა. ნ. კობერიძე თუმცა აღნიშნავს ეროვნული ტრადიციის არსებობასაც, მაგრამ, ჩემი აზრით, მის ლექსებში უფრო ტანისა და ხოკუს აზრობრივი წყობა და პოეტის ნიშნები არიკლებია.

ნ. კობერიძის მცირე ლექსებს მრავალფეროვანი შინაარსი აქვთ და საკითხთა ფართო წრეს მოიცავენ. პოეტი საინტერესოდ გვესაუბრება სიმართლევზე, თავისუფლებებზე, სიყვარულზე, სიკვდილზე... მისი ლექსები გულდასმით არის მოუჭრები, რადგან მათი იმეტი იმდენად ფორმალურ არ არის დამოკიდებული, რამდენადაც სათქმელზე. მუხტი სწორედ სათქმელშია ჩამკლული, რომელიც აუზი-წლებს მკითხველის აზროვნებას და ამით აღწევს მხატვრულ მიზანს. ლექსებში თითქმის ყოველთვის არის დაპირისპირება, ორი განსხვავებული საწყისის ურთიერთქმედება, შინაგანი ინტრიგა, რაც ხშირად ურთიერთგამომრიცხვე ცნებათა თანადგომით იქმნება:

სხვა არაფერია
მიზანია მუხლმოყრის ღირსად —
მხოლოდ და მხოლოდ
თავისუფლება.

ანტონიმების აზრობრივი დაკავშირების შედარებით მარტივი შემთხვევადან პოეტი დაპირისპირებულია შინაგანი კავშირის აღმოჩენამდე მიდის და ამ გზით წარმოაჩენს სულის დიალექტიკას:

როცა ბნელიდან
სინბულში
გადადის სული,

სიმწროთ ენთება
და გზას მინათებს.

6. კობერიძის პოეზიის წინაარსსა და ფორ-
მაზე საკირო წარმოდგენას გვიქმნის, ვთქვათ,
ასეთი „მინიატურები“: „შენ, კაცო, ტუვიას გა-
დარჩენილყო, ისე მოითხოვ ბრძოლის საფასურს,
სულ არ გტკიოდა აღმათ სამშობლო, ან სხვის
ოშში იხარებოდი“; „როდესაც მესვრი, სულ
ერთია, ტუვიას თუ უვავილს — დვთის გული-
სათვის, გულით მაინც გემეტებოდეს“; „თქვენ
ლანარაკობთ, არ ჩუნდებთ; არავის უსმენთ,
რადგან გაზინებთ ფიჭვი სიკვდილზე, სიმართლე-
ზე და სიყვარულზე“...

5. კობერიძეს აქვს ნიჭი ნაცნობი თემის
ახლებურად გააზრებისა. თემას „სიკვდილი
გააფხულზე“ იგი მისთვის ჩვეული დაპირის-
პირების ხერხით ამუშავებს:

როცა თვალები ჰერს მისცდა და
სული განეყო,
შე აღარ მეყო ვეჟაცობა კარი გამელო
და გააფხულე
ჰირსისუფლად შემომეყვანა.

5. კობერიძეს ზოგჯერ ლალატობს მისი სტი-
ლისათვის დამახასიათებელი ნიშნები — ლაკო-
ნურობა და ბუნებრივობა და ამავე თემას ასეთი
ხელოვნური რაკურხით და პოეტური სამკაუ-
ლებით გვთავაზობს:

უმშვენიერეს ბანოვანთა
მზენამქარალო სამარებო,
რად მესიზმრებთ გაზაფხულობით,
რად მიყვავილებთ სოველ ტყვიელებს
სულის შემძვრელი სასწაულებით?!

უფრო ნაკლებად ეპატიება პოეტს ასეთი
სტრიქონები:

ათასნაირი „კენტისა“ თუ
„ფილიპ მორისის“

მერე,

ჩვენ „კოლხეთს“ ჰქონდა რაღაც
ზღაპრული გემო.

ჭერ ერთი, ამას ვინ დაიჭერებს. მეორეც
— ვის სტირდება დღეს ამ დონეზე მოწოდე-
ბული „გაბოლების პატრიოტიზმი“?!

5. კობერიძის წიგნიდან ნიჭიერი, მაძიებელი.
თამაში კაცი გვცხაუბრება, რომელსაც არ ეშ-
ინია დამარცხებისა. ამ თვისებით ბევრი ახა-
ლგაზრდა პოეტი ვერ დაიქანდის.

ბურამ ბიორგოზიანის პირველი წიგნი
„ენგიდუნია“ („მერანი“, 1982) სათაურიდან-
ვე იქცევა ყურადღებას, როგორც ანოტაცია
გვამცნობს, ეს სიტყვა ხალხურ მეტყველებაში
სამყაროს ჰყვენიერების სინონიმად იხმარება.
„პოეტობს ხომ მთელ ჰყვეანას, მთელ სამყაროს
დასტრიალებს თავისი ფიქრით, ოცნებით,
ტყვილითა და სიზარულით“, — კვითხულობთ
იქვე. ამ კრებულში, მართლაც, არის ლექსე-
ბი, რომლებშიც ავტორი მიმართავს დედამი-
წას, ოკეანებს, კოსმოსს. მაგალითად: „ო,
დედამიწავ, მორცხვად ვარ შენთან“, „დაივანე

ჩემში, ო, დედამიწავ“, „ო, წყალო დიადო
ზღვებო, ოკეანებო, მოგესალმებით“. იმ დროს
როდესაც ჩვენს პოეზიას ხშირად უხაყვედუ-
რებენ თვალთახედვის შემოსაზღვრულობას,
სამყაროსთან ზიარების ამგვარი ცდა უთუოდ
საყურადღებოა. დამოწმებული სტრიქონები
კიდევ ერთ დამახასიათებელ ნიშანს გამოჰკვე-
თენ — ეს არის ზეაწეული, ალავ პათეტკუ-
რი ინტონაცია, რომელიც, თანამედროვე ლი-
რიკის ჩუმი ინტონირების ფონზე, გ. გიორ-
გობიანის ლექსებს აშკარად გამოარჩევს. ზა-
რემ აქვე აღვნიშნავ პოეტის სტილის რიტო-
რულობასაც: ავტორის მსოფლმხედველობისა
თუ ეთიკურ-ესთეტიკური პოზიციის ჩვენება
ლირიკული საშუალებებით კი არ ხდება, არა-
მედ პირდაპირ, შიშველი დასკვნის სახით ფიქ-
სირდება ლექსში.

გ. გიორგობიანის განცხადებით, მისი პოეზი-
ის მთავარი გმირი არის ფიქრი: „დავფიქრდრ
ვფიქრობ და გადავწყვიტე კვლავაც ვიფიქრო,
ფიქრია თავი, თავი და თავი“. იგი დარწმუ-
ნებულია საკუთარი ფიქრის ორიგინალურობაში
და არც თავის წინასამყაროს ღირსებასა და
პოეტურ ძალმოსილებაში ეპარება ეჭვი: „მაქვს
საკუთარი აზრი და ვნება“, „ინტუიციით, შეგ-
რძნებით, განცდით, არა მგონია, მჯობნიდეს
ვინმე“, „ჩვეყნად ბევრია სერიოზული, ისიც
ჩემშია, რადგან ცხოვრებამ მარტოსულის
ხვედრი მარგუნა და წარმოსახვა შემომაჩჩია —
პოეზიას მიუსადაგა ჩემი ფიქრები“.

გ. გიორგობიანს აქვს ორი სტრიქონი, რო-
მელიც მისი გამაღიზიანებელი განცხადებების
საპირისპიროდ, გიბიძგებს, ყურადღებით მო-
ეპაურო მის ცდებს:

მთელი ცხოვრება სიღრმეს ვზომავდი
და არა მწვერვალს.

პოეტის ლექსები არ არის იოლად ასათვი-
სებელი. იგი პოეზიასთან გაზინურებულ კაც-
საც კი სიძნელეებს უქმნის. ვინც პოეზიაში
მუსიკას, სიმსუბუქეს, სილადეს ეძიებს, მალე
აიკრუებს გულს ამ რთულად აღსაქმელ ლექ-
სებზე, თავად პოეტი ერთგვარი თავმომწონე-
ობითაც კი ამბობს:

სირთულე რა მარტობას ჩემში,
მე ეხვდები ყოველს.

სტილური სირთულე, თუ ის აზროვნების სირ-
თულეს აირეკლავს, პოეზიაში მისაღებია, ოდ-
ნოდ იმ პირობით, თუ პროცესს ან შედეგს
აზროვნებისას მხატვრულ-ესთეტიკური ღირე-
ბულება აქვს. გ. გიორგობიანის ლექსები
ფორმით თუმც რთულია, აქ თითქოს აზროვ-
ნების ცოცხალი პროცესიც არის ფიქსირებული,
მაგრამ განსჯა ახალი ჰეშმარიტების აღმოჩე-
ნით არ გვირგვინდება. ამ „რთულ“ ლექსებს
თითქმის ყოველთვის რიტორულ შეგონებე-

თიმიურაზ დონაშვილი

„აბიშკონი — რაც ხარმეზია“



ბამდე მივყავართ, რომ საჭიროა სიყვარული, სიყვითე და ა. შ.

„ჩემს ნაფიქრს, ვის ჭურჭელსაც წარმოვადგენდი, როგორც ჭიქი ბროწეულს, შემოვქმენდი“; — წერს ერთგან პოეტი. აქ სახეობრივად კიდევ ერთხელ არის გამოთქმული ე. წ. „შეშველი“ პოეტის არსება. მინარვეებისაგან გაწმენდილი ფიქრის ისეთი მოწოდება, რომ მან შეინარჩუნოს პოეტური ღირსება, ურთულესი რამაა. გ. გიორგობიანი უბრალო, რიტორიკულ-დეკლარაციულ სტრიქონებს გვთავაზობს „წმინდა“ ფიქრის პრეტენზიით:

განასხვისე ღირსებანი, მხოლოდ ღირსებანი,
შენი არსის ერთი ფურცელი სხვაში
სრულად განმეორდეს,
უჭრადიც ხომ თავის სახეს ზუსტად
წარმოშობს,
ხოლო ნატები. უფრო სწორად მთლიანობას
მოკლებული რამ
თუეი გაეცე, აღარ გეაროვნობს,
ამიტომ ისწრაფე ყველა თვისების
შემეცნებისკენ
და სრულქმნილობა წითელი გრძნობით
განასხვისე.

ზემოთქმული რაინდო მხარეში
ივლისებება,
ასე თუ ისე განასხვისე ღირსებანი, რათა
განასხვიდე!

არაფერს ვამბობ რა ამ ლექსის ხანაღურ აზრობრივ შინაარსზე, მხოლოდ ერთ რამეს აღვნიშნავ: ეს არ არის პოეზიის ენა, ხელოვნურად დადგენილი, ეს არც დინამიკური არის ენა საერთოდ. აი, კიდევ რამდენიმე ნიმუში: „განასწავლი და შეწირული აღვესრულედი“, „სურვილი მახლავს შემეცნებით წარმოდგენილი“, „თავად ხე შვსს სხვის რამდენსაც იწოვს, წვისას იმდენსავე გვაწვდის“... საერთოდ, პოეტის ენობრივი პოზიცია ეკლექტურია: გვერდიგვერდ თანაარსებობს ულტრათანამედროვე ლექსიკა და ძველი ქართულის ლექსიკური თუ გრამატიკული ფორმები; „ტაიჭზე მჭდომი ზემისფეროში გადავინაცვლენს, აზვანთებული რომ წაგვტრდელდე და მშვაობარი სული ჩემი დუხკუმ დამეს გადაიჩინდეს“. ჰემისფერო, ციკლოდი, სტერეო და მისთანანი თანამედროვეობის შედარებულ შთაბეჭდილებას ქმნის. უფუნქციოდ გამოყენებულ არქაულ ფორმებს კი გაუმართლებელი ზეაწეულად მიაქვთ.

გ. გიორგობიანის ლექსებში არის კარგი, ტიპადი სტრიქონები, ორიგინალური სახეები. აზრობრივად ზუსტია და ემოციური ასეთი სტრიქონი: „მოწყენილობა ნეტარ დღეთა მოგონება“, ანდა ჰიპერბოლა, რომელიც ზღაპრის სამყაროში ჩანთმულ შავვებს გვიხასიათებს: „და მათ თვალები ჰქონდათ ისე ამობურცული, თითქოს თვალებზე თავი მოებოთ“.

გ. გიორგობიანის წიგნი მე ერთი ლექსი მომწონა:

ოი, ნათელო, ოი, ნათელო
ნეტარს მინდობილს
მძინავს მშვენიერად, —
ბავშვობაში გაშვებული საპნის ბუშტები
დაბრუნდნენ ჩემში,
ნუ ვამალვითებ.

ამ პატარა ლექსსაც არაერთი ნაკლი აქვს. ერთი, რომ აშკარაა მიქელანჯელოს ცნობილი ლექსის რემინისცენცია. უხერხულია გამოთქმა „ნეტარს მინდობილს“. შეუთავსებელი ჩანს ამაღლებულ „ოი, ნათელო“ და ყოფითი „საპნის ბუშტები“. მიუხედავად ამისა, ჩემთვის იმდენად ემოციურია სახე „ბავშვობაში გაშვებული საპნის ბუშტები დაბრუნდნენ ჩემში“, რომ ლექსის ყველა ნაკლს ფარავს.

ერთ ლექსში გ. გიორგობიანი ჩიტს შენატარის: „და მწუღება გული — რაც ვერ შევქელი, ის შემლო ჩიტმა — ყურადღება მიიპყრო სხვისი“. ბევრი რამ პოეტის პირველ წიგნში ყურადღების მიპყრობის სურვილთ არის განპირობებული. სამოსოდ მან გარეგნული გზა აირჩია — გზა მოჩვენებითი სიბრუნისა. პოეტის ფიქრი ჯერ ვერ მორევია ქაოსს, რაც მისი ლექსის ფორმაცია ჩანს. მეტი სიღრმე და სინათლე — აი, პირობა იმისა, რომ „ყურადღება მიიპყრო სხვისი“.

პირველი კრებულის ავტორები სწორად უბიოგრაფიო ხალხი მგონია, იმდენად სუსტია მათ ლექსებში საკუთარი ცხოვრების მხატვრული გამოხატვის სურვილი. ცხადია, მე მინცდამინც პირადი ყოფითი კონფლიქტების გამოსახვის არ ვგულისხმობ, მაგრამ ახალგაზრდა შემოქმედელ თუ მისეული არაფერი აქვს სათქმელი, რა აწერინებს ლექსს?

მინი სულაპაურის სადებიუტო წიგნი „სახეები თოვლში“ (1988) წმინდა ბიოგრაფიული დეტალები აქა-იქ გაკრთება, მაგრამ სულიერი ბიოგრაფიის ფიქსირება ცდა აშკარაა. ახალგაზრდა შემოქმედელი მხოლოდ საკუთარ სათქმელს და ხმას იძიებს, სწორედ ამიტომაც ახალი, თავისებური და სინტერესო სამყარო, რომელსაც იგი ქმნის.

გ. სულაპაური სადად, უშუალო ინტონაციით ესაუბრება მკითხველს თავის ფიქრსა თუ განცდაზე, საყვარელ ქალაქზე, დაკარგულ მეგობარზე, ბავშვობაზე, მარტობაზე, იმედზე, ინარჩუნებს რა ყველგან თავისთავადობას, ბუნებრიობას, სიახლისთვის დამახასიათებელ სინდელს. საზგანასმელაა ისიც, რომ პოეტი გაცნობიერებულად უპირისპირდება გავრცელებულ სტერეოტიპებს და ზოგჯერ ჭაბუკური პირდაპირობით, სწორბავს თავისებოთ უარყოფს მათ. მე უკვე მქონდა საუბარი ბავშვობის თემის გადააზრებაზე გ. სულაპაურის ლექსებში. მოვიტან ტრადიციულ განწყობილებასთან დაპირისპირების კიდევ ერთ მაგალითს:

მე არა ვწვები,
დავეცემი ხოლმე საწოლზე
და სისმრებს ვაფრთხობ.

ეს სიტყვები თითქოს სისმრებსგადაყოლილი
თანატოლებს ჯიბრზეა ნათქვამი, დაუსრულებ-
ლივ რომ იმერებენ: „და მომეწმანა...“, „და
მომიწვევან...“

გ. სულაიაურს აქვს ისეთი დასაფასებელი
თვისება, როგორცაა დეტალის გრძნობა. პო-
ეტს შეუძლია შეამჩნიოს, როგორ აძლიერებს
სიცხეს ზღვისპირას ამოზრდილი პალმების
არსებობა, ანდა თოვლიან თილისში „თითქოს
ერთი სახლისკენ“ როგორ მიიჩქარაან გამყვლ-
ლები სხვადასხვა გზით. დეტალებს იგი მარ-
ტო გარემოში კი არ აჩნევს, არამედ ადამიანის
სულიერ ცხოვრებაშიც:

მოულოდნელად თუ შეგინიშნავთ
საკუთარი თავი სარკეში,
როცა სახეზე

ნეტარება გაქვთ აღბეჭდილი?!

შინაგანი მოვლენა თითქოს განივთებულია.
ხორცშესხმულ დეტალს გროტესკული ქვეთქი-
სტის გამოხატვის ფუნქცია ეძლევა.

გ. სულაიაურს შეუძლია მარტივი აღწერით
თუ განსჯით გადატვირთული ლექსი მოულო-
დნელად შემოტანილი მხატვრული სახით გა-
ანათოს, მიანიჭოს მას ბუნებრიობა და მომ-
ხიბველდობა. ლექსში „თუშვა მთაში ვარ“
მშრალ რეფლექსიას იგი ასეთი მოულოდნელი
ხილვით ამთავრებს:

მთაში საოცრად მალე ღამდება
და ვარსკვლავების გაუჩნულ შუქზე
გაფიქრებული მთავარ ფეხით

გაისერიწებს.

აი, კიდევ ერთი ნიმუში იმისა, თუ როგორ
იღებს მარტივი პეიზაჟი აზრობრივ დატვირთ-
ვას ორიგინალური დახასრულით. ლექსის სა-
თაურია „სულხან-საბაბს ბაღი“.

ცივა დილიდან.

მიტოვებული ბაღი ივსება
ცარიელი სკამების სევდით.
ჩაივლის ქარი,
სხვათაშორის იციბავს ამბავს:
— რას ფიქრობს ნეტავ საბა-სულხანი?

გ. სულაიაურის ფრაზა დახვეწილია, ლაკო-
ნური და ტყვადი. „უველა მდინარეს თავის მთვა-
რე აქვს“, „ბრუნდება დილა მთვრალი შვი-
ლივით“, „ოთახი, ჩემი სულით გაზარული“,
„უველა ის ფიქრი, რაც ხაფერფლემი ჩაისრი-
სა...“ — წერს პოეტი და ორ-სამ სიტყვაში
კრისტალებდებია ინფორმაციით მოდარბი. სათქ-
მელი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს პოეტი-
კური პრინციპი ზოგჯერ დარღვეულია. ერთი

მხრივ, იგი წერს: „სამი ბებერი პალმა ამოფრ-
ქვეულა“, მაგრამ გვთავაზობს ასეთ სახესაც:
„გახელილია გუბები — ბაღის თვალები“. პი-
რველ ნიმუშში იგი ლაკონიზმის ერთგულია.
სახე განმარტებული არ არის. პოეტი ენდობა
მიკთვულს და პოეზიაც მოკებული რჩება.
მეორე მაგალითში მეთვალყურეა: „გახელილი
გუბები“ იმდენად გამჭვირვადია, რომ „ბაღის
თვალები“ აშკარად ზედმეტია. ლაკონიზმის
პრინციპი ირღვევა.

მე მინდა ერთი ღირსებაც აღვნიშნო ახალ-
გაზრდა პოეტისა, რაზეც უსუსტად მიუთითა
მისი წიგნის მშვენიერი წინასიტყვაობის ავ-
ტორმა ემზარ კვიციანიშვილმა. ეს არის კომპო-
ზიციის გამაზვიებელი გრძნობა, რაც განსაკ-
უთრებით მნიშვნელოვანია ვერლიბრისათვა.
როცა ახალგაზრდების, და არამარტო ახალგა-
ზრდების, თავისუფალ ლექსს კითხულობ, ვერ
გრძნობ, სად გათავდება ლოგიკურ თუ ალ-
ოგიკურ ასოციაციათა ჭაბუკი. ლექსი შეიძლე-
ბა შექვეცო, ამით არაფერი შეიცვლება. გ.
სულაიაურის ლექსში, მიუხედავად ფაქტების,
ყოფითი დეტალების, რეფლექსიის ელემენტ-
ების მოჩვენებითი უწესრიგობისა და ასოცი-
აციური ნახტომებისა, ყველაფერი ერთ ფო-
კუსში ტყდება და დასრულებულობისაკენ
მიისწრაფვის.

გ. სულაიაურის პირველ წიგნში არის ინერ-
ციით გადმოსული ელემენტები (განსაკუთრე-
ბით მხატვრული აზროვნების სფეროში), მაგ-
რამ უფრო მეტია ახალი და ორიგინალური.
ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნო ისაა, რომ
ეს ხიბლემები კავშირშია ეროვნულ ტრადიცი-
ასთან. რაც მთავარია, თვითონ პოეტს აქვს
გაცნობიერებული!

მე ვარ ახალი,
თორემ სისწლი
ძველისძველი მაქვს.

ახალგაზრდული პოეზიის ტემპერატურა მშ,მ
უჩვენებს. ეს ნორმალური ტემპერატურაა, რო-
მელიც არ იძლევა საბაბს ადუღებისათვის. მა-
გრამ ნამდვილად ნორმალურია იგი ახალგაზრ-
დობისათვის, რომელიც საკუთარი არასრულ-
ყოფილების აღიარებით კი არ უნდა იცავდეს
თავს, არამედ ქმნიდეს და ამკვიდრებდეს სი-
ახლეს, საკუთარ ფასეულობებს? «He стpa-
шно нон я» — ამბობდა ჩვენი ეპოქის უდი-
დესი ნოვატორი ვლადიმერ მაიაკოვსკი. „ყო-
ველი დღე უნდა იკოს სიახლე“ — ამბობ-
და გალაკოტონი. ახალგაზრდული პოეზია ამ
უტუჟარ გზას უნდა გააყვეს.



პირთი ნერილის გამო

შურნალ „ცისკრის“ 1981 წლის მეექვსე ნომერში გამოქვეყნებულია აკაკი გაწერელის კრიტიკული წერილი ჩვენი წიგნის — „ბერძნულ-რომანული და ძართული მებრძოლის სპირიტუალის“ (თბილისი, 1980) გამო. ამ წიგნის მიზანია, დაეხმაროს ფილოლოგ-სტუდენტსა და სხვა დაინტერესებულ პირს ანტიკური კვანტიტატიური მებრძოლის შესწავლაში. მთელი მასალა დაყოფილია მებრძოლები მოცულობის პარაგრაფებად, რომლებშიც გადმოცემულია ვერსიოციციის ძირითადი ცნებები — ტერმინები, ანტიკური მებრძოლის მიღებული ფორმულები სათანადო განმარტებით. ამას გარდა, წარმოადგენილია ავტორისეული დაკვირვებები ბერძნული მებრძოლის თვალსაზრისით ძნელად ასახსნელი ზოგიერთი სალექსო სტრიქონისა და ანტიკური კვანტიტატიური საზომების ქართულად გადმოცემის თაობაზე. ასეთი ხასიათის წიგნი ქართულ ენაზე პირველად დაიწერა და, როგორც პირველ ცდას, ალბათ, ნაყოფი ახლავს. კრიტიკა, თუნდაც უღმობელი და მეტად შკაპრი, ერთ მიზანს უნდა ისახავდეს: აღნიშნოს ნამდვილი შეცდომები, გვიჩვენოს მათი გამოსწორების გზები, რათა ხელი შეუწყოს საქმის გაუმჯობესებას, ჩვენი მეცნიერების წინსვლას. ასეთი მიზანი რომ ჰქონდეს დასახული გაწერელის, ჩვენი პასუხით იქნებ არც შეგვეწუხებუნა რედაქცია და საზოგადოება, მაგრამ წერილმა შესაძლოა აცდუნოს მკითხველი და უბოძო შთაბეჭდილება შეუქმნას, თუ იგი საქმის არსი რაზნდული არ არის და ჩვენს წიგნს უშუალოდ არ იცნობს. ამიტომ იძულებული ვართ, ავხსნათ გაწერელის ჩვენთან კამათის ორი მიზეზი.

პირველი და პრინციპული ხასიათის მიზეზი ის გახლავთ, რომ ვერ ვიზიარებთ ა. გაწერელის თეორიას ქართული ლექსთწყობის სილაბურ-ტონური ბუნების თაობაზე. თავისი წერილის შესავალ ნაწილში ა. გაწერელია ჩვენს წიგნზე ამბობს, რომ იგი თავის ძირითად დანიშნულებას ამართლებს, ხოლო „რაც შეეხება ქართული მებრძოლის საკითხებს, რომლებსაც გზავდა ან თავისებურად აღუქვამს ავტორი, ისინი არა თუ სადავო, არამედ აშკარა შეცდომებს შეიცავენ“. ამთავითვე უნდა განვაცხადო: ქართული ლექსთწყობის სპეციალური კვლევა-ძიება ჩვენი წიგნის მიზანი არ არის. ქართული ვერსიოციციის საკითხებს ვებრძობ ანტიკურ მებრძოლთან მიმართებაში და, წიგნის ხასიათის

შესაბამისად, მოკლედ აღვნიშნავთ ქართული ლექსის ბუნებაზე დღეს არსებულ თეორიებს. პირველ რიგში დასახელებულია ა. გაწერელის თეორია სათანადო ლიტერატურის დამოწმებით. კარგადაა ცნობილი ა. გაწერელის დამსახურება ქართული კლასიკური ლექსთწყობის შესწავლის საქმეში, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ უწყყმანოდ მივიღოთ და ვალიაროთ „ქართულ კლასიკურ ლექსში“ თუ სხვა შრომებში წამოყენებული ყველა მისი დებულება. მაინც რა ხასიათისაა ქართული მებრძოლის საკითხებთან დაკავშირებით თითქოს ჩვენს მიერ დაშვებული „შეკარა შეცდომები“? არის თუ არა ნამდვილი და მადლიერების გრძობით ასალიარებული ეს „შეცდომები“? ჩვენი პოზიციის თვალსაზრისით არც ერთი არაა ასეთი! ა. გაწერელის მიერ აღნიშნული ყველა „შეცდომა“ თავს იყრის ერთ ფოკუსში — ჩვენი მხრით ქართული ლექსთწყობის უპირატესად სილაბური თეორიის მხარდაჭერაში (იხ. აგრეთვე ჩვენი „ძველი ბერძნული ენა“, თბ., 1989, გვ. 818). ძართული ლექსისა და ანტიკური კვანტიტატიური ლექსთწყობის სისტემათა შედარებითი შესწავლა არ იმდენად საჭიროა, ძართული ლექსის სილაბურ-ტონური თეორია რომ სილაბურ-ტონური ბუნებისა იყოს და მხვლითა სპეციფიკურ განლაგებას მასში გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს, მას უნდა ძალუძეს, ვთქვათ, რუსული სილაბურ-აკენტირებული, ანუ სილაბურ-ტონური ლექსთწყობის მსგავსად, ძველი ბერძნული და რომაული (კლასიკური ლათინური) მებრძოლი სქემების ძალდაუტანებელი, ბუნებრივი გადმოტანა. ანტიკური ეპოსისა თუ ლირიკის ნიმუშებიდან ცალკეული ნაქმის სტრიქონების თარგმნა ორიენალის პირობითი შესატყვისი საზომებით, მარ. თალია, ზოგჯერ სერბდება, მაგრამ მთლიან ტექსტის გადმოცემა ასეთი გზით ქართული ლექსისათვის სრულიად შეუფერებელი და არახუნებრივი იქნებოდა. ეს ნაჩვენებია ჩვენს წიგნში!

მოსაზრება ქართული ლექსთწყობის უპირატესად სილაბური ბუნების თაობაზე განამტკიცა აკადემიკოს გიორგი წერეთლის მიერ წაკითხულმა არაორდინალურმა მოხსენებებმა (1972) და მებრძოლის დარგში გამოქვეყნებულმა მისმა შრომებმა (1972-1978). გ. წერეთელმა



სრულიად ახალი პერსპექტივები გადაშალა ქართული ვარსიფიკაციის თეორიაში. მისი აზრით, ქართული ლექსი რამზღირებულში სრულად აღმოაჩინა.

რეცენზიაში ა. გაწერელია მკითხველს არ ეუბნება, რომ დებულება ქართული კლასიკური ლექსის რეგულირებულ სილაბიზმის თაობაზე გ. წერეთელს ეკუთვნის, ხოლო ჩვენ მიერ ამ დებულების აღიარებას უწოდებს „სიმსუბუქეს“ და „ახლად მოვლინელი პოსტულატის მემანქარა განმეორებას“. წერილი უბერხულად გამოყურებულ ა. გაწერელიას განცხადება: „ქართული ლექსთწყობის რკვევა ავტორის ხაზზე არაა, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი ვერსიფიკაციის ბუნება დიდი ხანია გამორკვეულია“. რატომ არის ასე ღრმად დაარწმუნებული ა. გაწერელია, რომ ქართული ვერსიფიკაციის კვლევა-ძიება ახალგაზრდა განხორციელებული მის შრომაში? ა. გაწერელიას აშკარა თუ ფარული პოლემიკა მიმართულია არა მარტო აკადემიკოს გ. წერეთლის წინააღმდეგ, არამედ ყველა იმ პირის წინააღმდეგ, ვინც „აზებად“ და დღემდე „ზედავს“ ქართული მეტრიკის თაობაზე თავისი აზრის გამოქვეყნებას, გ. წერეთლის დებულებათა დაცვასა და აღიარებას. ქართული ლექსის ფენომენის კვლევა-ძიება არ დამთავრებულია, იგი უთუოდ გაგრძელდება...

„შეცდომა“ და „ეკლექტიზმი“ გვითვლის რეცენზენტი ნახსებ დებულებათა დამოწმებას იმიტომ, რომ ის დებულებები ეკუთვნიან მისთვის „არასახელმწიფო პირებს“. ქართული ქართული მკვლევარებს (გ. წერეთელს, პ. ინგოროვას, ა. ხინთიბიძეს, ტ. გუღავას..).

ჩვენს მიერ დაშვებულ „აშკარა შეცდომათა“ რიცხვშია სალექსო სტრუქტურის აღსანიშნავად გ. წერეთლისგან დამკვიდრებული „ტარბელ-ტერმინის ხმარება და ქართული სალექსო კარგების უმთავრეს სტრუქტურულ ერთეულად მუხის მიჩნევა. ასევე „აშკარა შეცდომა“ და „უბერხულ გარემოება“ მიჩნეული ჩვენს წიგნში გამოყენებული ტერმინი — ბამბოლი ტარბელი. რეცენზენტი ამ ტერმინს „სასაცილო ცნებას“ უწოდებს. არაფერი სასაცილო ამ საკმაოდ მარჯვე ტერმინს არ სჭირს იგი კარგად გამოხატავს იმ შინაარსს, რის აღსანიშნავადაცაა განკუთვნილი. ამ ტერმინით აღნიშნება სალექსო სტრუქტურის, ანუ კარდის ერთგვაროვანი ტერფიანობა.

ჩვენი წიგნის 118-ე გვერდზე (წ 92) მოკლედ გამოცემულია ბერძნულ-ბიზანტიური ლექსის წყობაში ახალ კრიტერიუმთა დამკვიდრებისა და, შუასაუკუნეების ლათინური ლექსთწყობის სილაბურ-ტონურ სისტემაზე ჩამოყალიბების ფაქტები. ამასთან დაკავშირებით „შენიშვნებში“ (გვ. 187, 40) ვწერთ: „ყველი ქართული მინოგრაფიული პოეზიის სალექსო ფორმის ტიპოლოგიურ კავშირებში ბერძნული ლირიკის სალექსო

ფორმასთან სპეციალური გამოკვლევა მოუძღვნა პ. ინგოროვამ. მისი აზრით: „ქორულ ლირიკის ში გვაქვს იხეთი მონაცვლეობა სტროფებისა და ანტისტროფებისა, როგორც ქართული მინოგრაფიის ლექსში“ (იხ. პ. ინგოროვა, გორაკი მერჩულე, გვ. 598-599. იხ., აგრეთვე, ძმისპირნი, გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ელენე მეტრეველმა). ა. გაწერელია აღნიშნავს: წიგნში გვხვდება ერთი შეცდომა, რომელიც კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტსა და ბიზანტიანისტს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოსვლოდა. არაბიზმური შემდგომი ჩვენს ბამბოლიზმში ჩვენს შენიშვნას ა. გაწერელია ასეთი სახით იმეორებს: „შენიშვნებში (გვ. 187) ავტორი ყოველგვარი განმარტების გარეშე აღნიშნავს „ყველი ქართული მინოგრაფიის პოეზიის სალექსო ფორმის ტიპოლოგიურ კავშირს ბერძნული ლირიკის სალექსო ფორმასთან“, „ამრძელ ძორიკულ ლირიკასთან“. მაგრამ არც ტიპოლოგიურად და არც სტრუქტურულად ბიზანტიურ და ქართულ ნათარბამთუ ორიგინალურ მონებებს ბერძნულ ძორიკასთან სამართო სარწმინდობის (ხაზგასმა ა. გაწერელიასია). პ. ინგოროვას აზრს, რომელიც წიგნში დავიმოწმეთ, ა. გაწერელია ჩვენ მოგვაწერს და გვივთვლის შეცდომად, რაც „არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოგვეცლოდა“.

კომენტარები ზედმეტია იხე კი, ტიპოლოგიურ მსგავსებაზე ლაპარაკი სრულიად დასაშვებია ა. გაწერელია შეგნიშნავს: „წიგნის ავტორს არ უნდა დასახებდებოდა არც ერთი ქართული შრომა (მაგ. გ. იმედაშვილის და ვ. გვანარაის სალექსო დისერტაციები) აღნიშნულ პირობებში და, რა თქმა უნდა, არც ჩვენი ნარკვევა...“ როგორ თუ არა გვაქვს დასახებდებული არც ერთი ქართული შრომა? პ. ინგოროვასა და ვ. მეტრეველის შრომები არ არის ქართული შრომები? რაც შეეხება ჩვენს ცნობილ მკვლევართ, გ. იმედაშვილსა და ვ. გვანარაისს, მათ დიდ პატივს ვცემთ (ვ. გვანარაის დისერტაციის ოპონენტიც გახლდით და მის შრომაზე ვრცელი რეცენზიაც გვაქვს დაწერილი); უგადაღებულყოფის გამო კი არ გამოგვრჩენია მათი გამოკვლევები, არამედ იმის გამო, რომ მკაცრად განსაზღვრული მოცულობის ჩვენს წიგნში დიტრატურის ამომწურავად და მაქსიმალურად დამოწმება არც დაგვისახავს მიზნად.

ჩვენს წიგნში შედარებით ფართო ადგილი დავუთმეთ ქართულ მწერლობაში ბერძნული ეპოსიდან თუ ლირიკიდან მომდინარე ციტატების გადმოცემას, რაც წიგნის მნიშვნელოვან ნაწილად მიგვაჩნია. ყველი ქართული მწერლობის ძველებში პ. ინგოროვასა და ს. ყაუხჩიშვილის მიერ მიგნეხული სუთ ბექსამეტრულ კავშირები

ბაკაი ურუშაძე
ერთი წიგნის ბამბო

რედის თარგმანს დაემატა ჩვენგან შენიშვნული კიდევ ხუთი ანალოგიური კარედის თარგმანი. აქვეა გადმოცემული საკუთარი დაკვირვებები „ახალი აღთქმის“ ბერძნულ რედაქციებში არსებული რვა სალექსო კარედისა და ქართულად მათი გადმოცემის თაობაზე, ა. გაწერელია ცდა-ლობს, დამციროს წიგნის ამ ნაწილის ღირსება. იგი წერს: „არავითარ კრიტიკას არ უძლებს საზომებად ან მეტრებად იმ ტაქების უმრავლესობის მიჩნევა, რომლებიც სასომათა თარგმანების ნიმუშებად მოაქვს ურუშაძეს“. დაინტერესებულ მკითხველს დაბეჭდილებით ვთხოვთ, გულდასმით წაიკითხოს ჩვენს წიგნში სათანადო ადგილები, ვინაიდან უველაფრის დამოწმებას ამ წერილში ვერ შევძლებთ! პირუთვნელმა მკითხველმა განსაჯოს, არის თუ არა ოცნარცვლიანი ფსიქიკური გამართული ბერძნულიდან მომდინარე ეს სალექსო სტრიქონები (ორიგინალები იხ. წიგნში):

1. მჩჩობლ ხარით/სელლო/მსახურ ტაძრისა/ უხანელ ვერკით/და მწოლ სიხმელით/
2. არკადიელნო/ბადელღოვანო/.
- წუ ბადებითა/იპყართ რაა (-ა)?
8. რანი ვიპყრენით,/იგი განუევ (ლთნ) ეს.../, ხოლო ვთლოღვილინ/ეგრა გუჟუვანან.

და სხვა.
შეიძლება სადავო იყოს „ახალი აღთქმიდან“ დამოწმებული ადგილი:
და ალაგნი/მართალ ყვენით/ფერქთა/თქუ-ენტთან;
ამის თაობაზე ჩვენ ფრთხილად შევნიშნავთ: „ქართული თარგმანი შეიძლება ცამეტმარცვლიან საზომად მივიჩნიოთ“.

ა. გაწერელია აღნიშნავს, რომ ჩვენ 1880 წელს სხვა სიტყვებით ვიმეორებთ კ. დოდაშვილის მიერ 1890 წელს გამოთქმულ ფორმულას კლასიკური ენების ხმოვანთა კვანტიტატიური ბუნების შესახებ. ამით იმის თქმა ზომ არ სურს ა. გაწერელიას, რომ საყოველთაოდ ცნობილი ტექსტებიდან ჩვენ კ. დოდაშვილის წერილიდან გადმოვიღეთ? მან ხომ ძალიან კარგად იცის, ამ ფორმულის გადმოსაცემად ჩვენ კ. დოდაშვილის დახმარება არ დაგვჭირდებოდა, მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, მკითხველზე ეფექტის მოსახდენად მიმართა ამ ბერძნულს!

მეორე და ახლამე პრინციპული ხსენებები მიწაში ჩვენთან კამათისა ის არის, რომ ჩვენი წიგნის 182-188-ე გვერდებზე გვაქვს რამდენიმე შენიშვნა რეცენზენტის ერთ-ერთ გამოკვლევასთან დაკავშირებით (ა. გაწერელია, რითმისა და მეტაფორის სწორი გაგებისათვის. — აღმანახი „განთიადი“. 1975, № 6, პოსტ სკრიპტუმი). შენიშვნები გამოიწვია ავტორის მსჯელობამ ანტიპარნი მებრნიის ზოგიერთ საკითხზე. ამ შენიშვნებს ა. გაწერელია რატომღაც „ბრალდებას“ უწოდებს. იგი ცალკე გამოკვლევს ორ

შენიშვნას და მათ „მთავარ ბრალდებებს“ იხსენებს. არავითარ „ბრალდებებს“ ანალოგიურ რელიას ჩვენ არ ვუყუებთ. უბრალოდ, სამეცნიერო კამათში მიღებული წესების დაცვით აღნიშნავთ იმას, რაც უსათუოდ გასასწორებელია.

პირველი შენიშვნა (იხ. ჩვენი წიგნის 182-184-ე გვერდები) ძველ-ბერძნულ ლირიკაში ერთგვაროვანი, ანუ გამჟღავნებელი არსებობას ეხება და დავას არ ექვემდებარება. ერთგვაროვანი სალექსო კარედების არსებობა ანტიკურ მეტრიკაში ცნობილი ფაქტია. იგი აღნიშნულია ა. გაწერელიას მიერ დამოწმებულ ლ. მელერის წიგნშიც.

მეორე შენიშვნა (ხეხ. წიგნის 184-185 გვ.) გამოიწვია ანტიკური სალექსო საზომის — ელემენტური დისტიქის მცდარმა განმარტებამ. ამ განმარტებით: გამოდის, თითქოს ორი კარედის შემცველი ელემენტური საზომის პირველი სტრიქონი დაქტილური ჰექსამეტრი იყოს, მეორე კი — „საკუთრივ დისტიქი“. დისტიქი ორკარედის სტროფს აღნიშნავს ა. გაწერელია რეცენზიაში ცდილობს ამ შენიშვნის უზუღვეგელ-სწოებას, იგი წერს: „ამავე ხასიათისა ა. ურუშაძის რედაქცია ჩვენ გამოთქმის „საკუთრივ დისტიქი“-ს გამო“. ამ საკითხზედაც შეგველო ვრცელად გვესაუბრა“. ვითომ დაგვჯობა ა. გაწერელიამ ამ შემთხვევაში? არა! ხსენებულ შეცდომას წიგნში უზუსტობა ვუწოდეთ, თუ ახლა ნამდვილ სახელს დავარქმევთ — იგი მძიმე ხასიათისა!

მესამე შენიშვნა ეხება ა. გაწერელიას მცდარ დასვენას, თითქოს იამბური ტრიმეტრი „იპოსის ჰექსამეტრის მოდულიზირებული სახეობა იყოს“. ვიმეორებთ, ეს არის შეცდომა და უნდა გასწორდეს!

წიგნის 185-188 გვერდებზე აღნიშნული გვაქვს, რომ ბერძნული ეპოსის სალექსო საზომის — დაქტილური ჰექსამეტრის წარმომავლობა და შენიშვნელობის თაობაზე მსჯელობის დროს ა. გაწერელიას გამოკვლევაში არ არის დასახელებული პ. ბერაძე. რა საჭიროა აქ თავის ამდენი გამართლება, სხვა შრომების დამოწმება, ინსულტები და მისთანანი? არის დასახელებული ხსენებულ გამოკვლევაში პროფ. ბერაძე? არა, არ არის!

და კიდევ ერთი შენიშვნის გამო; ა. გაწერელია ამბობს, რომ იგი ჩვენს წიგნში „უცელა ბრალდებათა გვირგვინს (!) წარმოადგენს“. თითქოს ამ შენიშვნით მას „ლიტერატურულ ფალსიფიკაცია“ ვწამებდეთ, „მკითხველთან ვაბეზრებდეთ“ და „მკითხველისათვის თვალის ახვევას ვაბრალბდეთ“. მეტი ეფექტურობისათვის თვისი წერილის ბოლოს ა. გაწერელია ათავსებს მის მიერ დამოწმებული წიგნის უკანა და 21-ე გვერდის ფოტოკლიშეებს. ნუთუ სერიოზულადაა დარწმუნებული კრიტიკული წერი-



ლის ავტორი, რომ უფროაში გამოგვიტყობს? ამ შემთხვევაშიც ამაოდ ვაინარჯა იგი; ამაოდ შეაწუხა ეურნალის რედაქცია ფოტოკლიშების დამზადებით; ამაოდ ცდილობს იგი მთელი თავისი კონტრარგუმენტით ჩვენს შენიშვნად თავის დადევნებას წერილში „როთისა და მეტა-ფორის სწორი გაგებისათვის“ ა. გაწერელია წერს: „ჰორაციუსის ე. წ. versus senarius მთლიანად ნარევი“. ექვე ფრჩხილებში ქართულად დამოწმებულია დ. მილერის, ანუ ლ. მიულერის წიგნი ასეთი სახით: ბერძენ. და რომაული მეტრიკა, 1880, გვ. 21 (გამოცემის ადგილი მითითებული არ არის).

ა. გაწერელია გვედავება: ა. ურუშაძეს არ სივლინა მილერის, ანუ მიულერის წიგნის რუსული ვარიანტის არსებობა! ჩვენს წიგნში დამოწმებული გვაქვს ლ. მიულერის სახელმძღვანელო გერმანული ვარიანტი, სწორედ 1880 წელს გამოცემული და სწორედ 21-ე გვერდი! ჯერ ვითხოვთ, რატომ აქვს პროფესორ ა. გაწერელიას დარღვეული გამოუყენებელი ლიტერატურის დამოწმების წესი? რატომ არ დამოწმა მიულერის სხენებული სახელმძღვანელო განოყენებული ვარიანტის ენაზე, ე. ი. რუსულად? მეტადრე, როცა მის გვერდით თითქმის იდენტური გერმანული ვარიანტი არსებობს? რატომ არ მიუთითა გამოცემის ადგილი? პირუთენელმა მკითხველმა განსჯავს, შეიძლება თუ არა ამ შემთხვევაში თავის მართლებას ჩვენს წიგნში რომ მიულერის სახელმძღვანელოს რუსული ვარიანტი დავემოწმებინა, ა. გაწერელიას „სხეთივე წარმატებით“ შეეძლო გერმანული ვარიანტის ფოტოკლიშების გამოქვეყნება! ა. გაწერელია თავის შრომებში სწორედ მიმართავს ხოლმე უცხოურ წყაროებს და ჩვენც ჩვენს შენიშვნაში მის მიერ ნათქვამი ჰორაციუსის სენარიუსებზე მიულერის წიგნის გერმანული ვარიანტით შევამოწმეთ. მისამართი კი ის ბასლაპთ, პატივცემულ მომთხველო, რომ ბრც რუსულად და ბრც ბერძნულად ვაპირებამდე მიულერის მწველოგრიდან არ ვამომდინარეობს ა. ვაწარმელის მიერ „მოკლედ გადმოცემული“ დასაქვანა, რომ „ჰორაციუსის ე. წ. versus senarius მთლიანად ნარევი“. მიულერი იმას აღნიშნავს, რომ ჰორაციუსის ტრიმეტრებში იამებებს ჰექსამეტრებიც ენაცვლება (შდრ. 21-ე გვერდის ფოტოკლიშე). ამასთან ერთად ჰორაციუსის ეპოსში მთელი კარედებია ერთგვაროვანი ტერფებით გამართული! სრულიად უსაფუძვლოა ა. გაწერელიას მიერ მკითხველზე ძლიერი შთაბეჭდილების მოხაზვანად გაკეთებული განცხადება:

„ამგვარი ბრალდებით ა. ურუშაძემ მძიმე ვითარება შეუქმნა თავისთვის. მსგავსი სკანდალური რამ ჩვენ რომ შეგვმთხვევოდა, იგი

უშეველად მეცნიერების გარეშე დაგვანებდა“. თუ მინცაღამინც — მძიმე ვითარებას და სკანდალს იგი უქმნის თავისთვის ფოტოკლიშებით და სხვა ტიპოგრაფიული ხერხების ამაო იერიშებით!

ა. გაწერელია კრიტიკული წერილის დასაწყისში მიგვითითებს ჩვენს წიგნში არსებულ კორექტორულ შეცდომებზე. ერთ-ერთი ასეთი შეცდომა დამოწმებულია კიდევ. ეს შენიშვნა მართებულია და, რა თქმა უნდა, მასილება, სამწუხაროდ, ვერ ხერხდება ხოლმე ასეთ შეცდომათგან თავის დაღწევა.

პროფესორი ა. გაწერელია მეტად ფართო დიპაზონის ლიტერატორი და მწერალია. იგი მრავალი შრომის ავტორი ვასლავთ. შეცდომები, სხვადასხვა ხასიათისა, მასაც მოსდის (უშეცდომო ისა, ვინც არაფერს აკეთებს!). თავისთავად თითქოს წყრილმანი შეცდომებია, მაგრამ ფილოლოგიური აკრიზისის თვალსაზრისით უხერხულია. მაგალითად: „სხენითი ფილოლოგიის“ აღმნიშვნელი გერმანული ტერმინის ქართულად გადმოცემა ფორმით — „მომინში-ლილინი“ (კელ), ხოლო ტერმინი კატალექსისი ბ-ს შეცვლა ი) თანხმონით. კათალექტიკური წერს ხოლმე ა. გაწერელია „კატალექტიკურის“ ნაცვლად. ბერძნულ ენაში, საიდანაც ბ ტერმინი მომდინარეობს, ორი წევრი გვაქვს: „პირველია ცნობილი პრეფიქსი „კატა“, ხადაც სწორედ იტ“ გვაქვს და არა „კა“. ამ პრეფიქსითაა ნაწარმოები სიტყვები — კათალიზატორი, კატალოგი, კატასტროფა, კატეგორია და მისთანანი. ა. გაწერელიას რომ მივუყვით, უნდა ვთქვათ და ვწერთ: კათალიზატორი, კათალოგი, კათასტროფა, კათეგორია და ა. შ., რაც, რაღა თქმა უნდა, უნართებულო იქნებოდა!

თავის კრიტიკულ წერილში ა. გაწერელია ერთმანეთში ურევს „ტრიმეტრისა“ და „ტეტრამეტრის“ ცნებებს — იამბური ტეტრამეტრიო, — ამბობს (იხ. „ციკლის“ დამოწ. № გვ: 127). ეს ტერმინი ერთხელ რომ იყოს ახე ნახმარი, ლაფსუსად ჩავთვლიდით. ა. გაწერელია რომ ჩვენს წიგნზე კრიტიკული წერილის შეთხზვის პროცესში კლასიკური ფილოლოგიის რომელიმე სპეციალისტს მოთათბირებოდა, სხენებული შეცდომები არ მოუვიდოდა.

თავის წერილში ა. გაწერელია სარეცენზიო წიგნზე ამბობს: „სტუდენტობისათვის ასეთი წიგნი საჭიროა. პირადად ჩვენთვის კი მასში ახალი ახსოლუტურად არაფერია“. მთლად ავტროდია საქმე სხვა მასაღაზე რომ არაფერი ვთქვათ, ამ წიგნში არა მარტო ანტიკური, არამედ როგორც ვერსიფიკაციის თვალსაზრისით უაღრესად საჭირო“ ცნებები და ტერმინებია თავმოყრილი და განმარტებული. მათი უშეცდომო გამოყენება აუცილებელია სასწავლო თუ საეცნიერო ლიტერატურაში.

მაკა ჯოხაძე

„შენთან ყოფნიდან უშენოებად“

(შტრიხები ლიტერატურული პორტრეტისათვის)

მინილ ქვლივიძე ერთი იმ პოეტთაგანია, ვის პოეზიაზე საუბრის დროსაც აუცილებლად მოგვაკითხავს ფიქრი მის პიროვნულ ბედზე.

კოდალა კვდება ტვინის შერყევით, ტორლოს ცაში უსკდება გული მე კი — ყინვისგან დამზრალ ფეხებით — საქართველოს მთებს გარშემო ვუვლი —“

და რა დელიკატურადაც უნდა ვუსაქვედუროთ მისი ცხოვრების ნიჩი და წესი, რა ჯულ-შემატვიფრული თანაგრძობითაც უნდა ვუთხრათ მას, რომ ეყოფა, საკმარისია ეს გამუდმებული ხეტიალი, უამინდობის გამო ვერა და ვერაღმჯდარი თვითმფრინავით სათაუვანებელი ქალაქის გარშემო ბრუნვა-ტრიალი — არაფერი არ შეიცვლება. არ შეიცვლება, რადგან რუსეთის უიდეგანო ტრამალები და ნოსკოვის ყინვაში დამზრალი კიდურები არასოდეს ყოფილა მისთვის არც იძულებითი და, მით უფრო, არც ნებაყოფლობითი ტვირთი. და მაინც, ამ გამუდმებულ ხეტიალში, ამ მარადიულ დაბრუნება-განშორებაში არის ისეთი დამთრგუნველი, მოუხელთებელი რამ, რომელსაც ვერ ამოსწის ვერც ერთი გულდამჯდარი მებოგრაფი და რომელიც, ვინ იცის, იქნებ არც მიხეილ ქვლივიძის აქვს ბოლომდე გაცნობიერებული. იქნებ ეს გამუდმებული ხეტიალი მარტოობის გადალახვის განუწყვეტელი მცდელობაა? რადის განდა ობლობის ეს დამთრგუნველი გრქნება? მაშინ, როცა გარდაიცვალა დედა და „ბოლო ცრემლივით ქუჩის ღოუსაზე დამტოვე მარად შეუშრობელი“, თუ მაშინ, როდესაც პირველად მოველინა ქვეყანას და ეს მარტოობაც ოანდა-ყოლილ სენივით დაახვედრა სამყარომ.

და რაც უნდა დავარქვათ ამ ფაქტს, ცხოვრების წესი თუ დრამა, მიხეილ ქვლივიძის ცხოვრებისეული ბედისწერა თანამედროვე ქართული პოეზიისათვის სასიკეთო გამოდგა.

მიხეილ ქვლივიძის შემოქმედება ეს არის პოეტის სულიერი მდგომარეობის განუწყვეტელი შემოწმება და სიფხიზლე. მისი პოეზიის გაცნობის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ სწორედ ეს გაორებული ყოფა უნერგავდა, ძალას მატებდა მას, ყოფილიყო გამუდმებით ერთიანი, მონოლითური, შეშარბული, ერთგული და ჩასაფრებული. ეს მდგომარეობა ზოგჯერ იქამდეც კი მიდიოდა, რომ იგი დაეკვირვებულ, ცოტათი მოულოდნელ, ინტერპრეტაციას გვთავაზობდა ჩვენი პოეზიის ისეთი კლასიკური სტრუქტურებისას, როგორცაა აკ. წერეთლის „გარემოების საყვირი“ და ანა კალანდაძის „...მე ხომ სტვირი ვარ“.

არავის მიეცემ უფლებას, უფალი იყოს თუნდაც! — ხელში ამილოს, ჩამბეროს, მამლეროს როგორც უნდა.

თავისთავად ის ფაქტი, რომ მიხეილ ქვლივიძე ოცდაათ წელზე მეტია ცხოვრობს მოსკოვში, ოცდაათი წლის განმავლობაში თავის ადამიანურ ტიპილებს, განცდებს, ფაქრებს, ოცნებებს, სასოწარკვეთას, სიხარულს ბუნებრივი კონტაქტების გამო გამოხატავს რუსულ ენაზე და მაინც ქართულ პოეტად რჩება, მრავლისმეტყველია.

ნუ ვიქნებით ეგოისტები, ნუ შევეუზინდებით სიტყვებს, თვალეში შევხედოთ სიმართლეს და ბათუმის პორტში აბლავლებულ იმ გემსაც შევავლოთ თვალი, რომლის გემბანზეც შეყრილი ბიკები საცაა სამშობლოს მოსცილდებიან. მათ შორის პატარა დათიკოცაა, დიახ, ის დავით კლდიაშვილი, რომელიც მერე, სიბერეში დაწერილ მემუარებში გაიხსენებს, უკანდაბრუნებულმა და „განსწავლულმა“ იმის გამო, რომ ქართული აღარ იცოდა, ხელი ჩაავლო დედას და ახე მუნჯურად, მინიშნებებით ცდილობდა გუ-



ლში ჩახვეული უწარმაშარი გრძნობები როგორმე გამოხატა (დიდი მხატვრული სიმაართე, დრამატიზმი და ქვეტექსტო შესანიშნავი ქართული ყოფის ამ კიდევ ერთ მტკივნეულ მხარეს ოთარ ქილაძემ თავის ბოლო რომანში) და თუ ქართული ენის თვალსაზრისით კლდეშვილის ბრწყინვალე პროზასაც აქა-იქ მაინც გააჩნია უცნაური ხინჯი, ეს მაშინდელია, იმდროინდელია, იმ ბავშვობიდან გამოყოფილი. თქვესმეტი წლის ასაკში თავიდან ნახწავლი ქართული და მერე „სამანიშვილის დედინაცვლის“ დაწერა გმირობაა. თითქმის მთელი სიცოცხლის მირგაორდში გატარება და „საცვია მწყემსის“ აღმოჩენა, გმირობაა...

და აი ასეთი თვალხილული გმირობაა დღეს, ამ გაიოლებული სატრანსპორტო კომფორტის მიუხედავად, მშ წელი იტხოვრო რუსეთში და ქართულად წერო ლექსები. მიხეილ ქვიცივიძე ან თვალსაზრისით გადარჩენილი პოეტი. გვქერა, რომ რუსმა მკითხველმა სწორად ამ კოლორიტის, ეროვნული მადლისა და ხრზლის გამო შეიყვარა მიხეილ ქვიცივიძის პოეზია. და ჩვენ დღეს, ახლა, ნახევარ საუკუნეს გადაცილებულ პოეტს მაინც უნდა ვუთხრათ ამის შესახებ, უნდა ვუთხრათ, რადგან მან ერთხელ უკვე დაგვასწავრო, ჩვენში არსებული, მაგრამ რატომღაც აქამდე ვერა და ვერ გამხეილი სათქმელი:

მე შენს ქუჩებში ისე გავქრები, როგორც ზღვის წყალში ქრება მარილი.
მოკა ვიღაც და ჩემს სახელს გეტყვის დაგვიანებულ სამიწიაროვით.

აქვს მიხეილ ქვიცივიძის ლექსები (განსაკუთრებით სიუჟეტიაწი დუქსებში), რომელთა სიტუაციური ქსოვილის მიღმა მთელი შემოქმედებითი პროცესი, შემოქმედებითი აქტია გამქედანებული. სავცა ენის სტიქიასთან ბრძოლა განსაკუთრებული სიცხადითა და სიმძლავრით იგრძნობა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქმის მხატვრული სახეების გასახადებლად უამრავ ქართულ სიტუას ერთად გამოედევნა პოეტი. ვერც ერთს ვერ ეღვევა, არც ერთი არ ემეტება გასაშვებად, იქნებ ეს სწორად ის სიტუაცია, რომელმაც უნდა გადაარჩინოს...

ვინ იცის, იქნებ ყოველდღიურ სასაუბრო ტრევის გლარჩეულს მოეჩვენა კიდევ, რომ გეში დაპარვა, ალღომ უმტყუნა, თავბრუდახვეულს ხერა, რომ შთაგონებამ დაჯანა. აკობა, რადგან ვერა და ვერ გადააცვა ამ შთაგონებას ძველი ქართული ჩაჭვის პერანგი, ვერ დააამა ვერ დამალა ეს გაშიფვლებული ტკივილი. ანიტომ შთაგონებაც შემოქმედებით ტკბობად კი არა, ჯოჯოხეთად ექცა. ამ პროცესმა ვერ მოიყოლია არისტოტელესეული კათარზისი, მითუმეტეს, ვერ იქცა ქიმერად, მირიფად, რადგან აქ, ამ უცხო მხარეში თავდაცუ უტყობს და მიუსაჯარს ჯერ დიდთვალემა შიშმა მოკითხა: „მე ვაშინ სიხვა-

რიც არუსულად ვნახე...“, მერე ეროვნულმა შთაგონებამ მიწისძვრასავით შეანჯღრია, აფორიაქა დაახინა, გააღიწინა და მხატვრული სახეები ააუხივით მოსიხოვა.

რამდენიც ვინდა სტილივე ქართულ სტრიქონებს, იქვე და მარცვლე მოგონების კრიალოსანა. გინდ გაისხენე, ვინდა შეთხზე. გამოიგონე. მიზღუე რამე, რამაც შენში მოკლა მკოსანი.

და რა დამორგუნველიც არ უნდა იყოს ეს მიწისძვრა, როგორი სტიქიური, დაუნდობელიც არ უნდა იყოს ენის მორევში ტრიალი, წყალში ჩაგდებული ჩვილის ინსტიქტით მიხეილ ქვიცივიძე ყოველთვის ახერხებს გადაარჩენას. ამაში მას თანდაყოლილი პოეტური ინტუიცია შეველის. ხშირად უთქვამს ნახევრად ხუმრობით — მოსკოვი და თბილისი რა შუაშია, მე მუდამ ქართული ენის სახელმწიფოში ცვხოვრობდიო. ეს სახელმწიფო მისი პოეტად ყოფნა, მისი პოეზიაა, ნისი სიძლიერის, შისი სიეთვის, სინაოლისა და სადა სიღამაზის ყველაზე უტყუარი დასტური.

მიხეილ ქვიცივიძემაც თავის დროზე იმ სილადითა და სიმაართით შემოაღო ქართული პოეზიის კარი, როგორც არა ერთმა და ორმა ნიქიერმა ახალგაზრდა პოეტმა. მაგრამ მიხეილ ქვიცივიძის ყველაზე ხალისიან, თითქმის ბავშვობის-დროინდელ სტრიქონებსაც კი, რაღაც თანდაყოლილი, მოუცილებელი სევდა სდევდა თან. იგოვით ისეთი იდილაური, ამაღლებული სიღამაზის აღქმის დროსაც კი, როგორცაა, ვთქვათ, ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ დგომა. რაღაც უცნაურ თაღარაგზ იჭერს — ისე ფაქიზად იწოგავს ამ სიღამაზეს, როგორც ღარიბი ოჯახი ძვილებისათვის პურს:

აღე ბიჭო, ზეცას პირი მოუყარი,
ვარსკვლავები ხვალაათვის დაგვიკირდება.
ახე მშვიდად, ღრმად შემოდის ომის თემატიკა მიხეილ ქვიცივიძის პოეზიაში. არსად ბატალური სცენები გაართობა, არსად ზარბაზნის განაყურებელი ზათქი და პედანტური. ე. წ. ანატომიური პოეტრიზირება ყუმბარით დაღვქელი უმანკო სხეულის აღწერისას. საერთოდ, მიხეილ ქვიცივიძისათვის, როგორც პოეტისათვის, ნიშანდობლივად თვისებაა ის, რომ ნებისმიერ საგანსა თუ მოვლენაზე იგი ყოველთვის განწყობილებით გვიქმნის წარმოდგენას. უადრესად არსებითს, დაფარულს სწვდება:

— მოწყალე დების გამოჩნდა წყება...
და გულსაც, როგორც დათოვილ მიწას
თოვლის ქვეშ უნდა თავდაგვიწყება.

ამ სტრიქონებს მიღმა ომისდროინდელი ცხოვრება იღანდება. ესაა ომგამოვლილ ადამიანთა

მასა ჯონხაძე
„შინთან ყოფნიდან უშინობამდე“



ფსიქოლოგიის ზუსტი, მხატვრული რეალიზება. წუთშეხვედრებაზე მოსპიტალში მოხვედრილი ნაომარი კაცის ზუსტი განწყობილება, მდგომარეობა. აქ არ შეიძლება იყო აღტყინებული ანდა დაფიქრებული. აქ ზუსტად ასეთი ხარ — სიმ- შეიდეხ, სინათლეს, სიფაქიწეს, სითოტრეს და- ხარბებული, მონატრებული. არც ღრიალებს და არც იღიმები. უხარლოდ კენესი, როგორც კენე- სიან დაპირილები, მაგრამ თუ ეს დაპირილი პოე- ტიცია, მაშინ კენესაც სხვაგვარია, ზედმეტად მგრანობიარე ავადმყოფივით მორიდებული, და- თარგუნული. რომელსაც ეწინაა, ვინმე არ შეა- წუბოს, რომელსაც ბატონი ტკივილის დრო- ხაც შესწევს უნარი სხვას გაუფრთხილდეს.

აღრუული, ყრმობისდროინდელი ლექსებიდან მოკიდებული დღემდე მიხილ ქვლივიძის პოე- ზიანი ყოველთვის იგრანობა ის ფაქიზი ინტი- მი, რომლის უნარსაც თანდათან, შეუმიხვევლად გვართმევს ცხოვრება. სულერთია, რაზედაც უნ- და წერდეს მიხილ ქვლივიძე: ოქახურ ყოფაზე, კამათლებივით გასროლილ სახლებზე, პოეტის კალიის მხგავს პაწაწინა სათვალზე, მეტროდან კერა და ვერ ამოსულ თხუნელა-მგზავრსა თუ კაუნიხაგან ტენიშერულ კოდალაზე, ყარყუ- მით მოსხმულ მოსკოვურ ყინვასა თუ ივრის- პირა გამიქნურებულ ხეებზე, დათხოვილ ანგე- ლოსებზე, აეროპორტის განათებულ დეკორაციებ- სა თუ მინანქარ ცაზე. მარაოსავით გადაშლილ ხსულლებსა თუ სუფრასთან სტუმრებივით გულ- გახსნილ ბართებზე... ყველაზე, ყველაფერზე პოეტი იხე თბილად, იხე ღმობიარედ გვესაუბ- რება, თითქოს დიდხნის უნახავ მეგობარს გა- დააწყდა ქუჩაში. ამ მოულოდნელობით მიღე- ბული სიხარულის ტალღა ზშირად მონაცვლეობს- მიხილ ქვლივიძის ინტონაციურად მოლივივიე ლერიულ სიმშვიდეში:

გახეილ თვალებს ვუმღერო მინდა — იმ თვალებს ნდობით ფართოდ გახელილს, რომ გიკქერიან წყნარად და მშვილად, თუმც არ იციან შენი სახელი.
 „ოცნება მსურდა შენთვის მომეცა, ლურჯის, მსუბუქის, როგორც მანდილი“.
 და იყო ჩემთვის იგი ოცნება სინამდვილეზე უფრო ნამდილი.

ახეთივე მოულოდნელი, მაგრამ ღირსებული სიმ- შვილით ჩნდებიან მიხილ ქვლივიძის ლექსებში უჩვეული, მხატვრული შედარებები, სახეობი, ხატები:

„სულს ავსებს მსუბუქი, მსუბუქი შიარით, გოგონას ლამაზი ფეხები“
 „და ყოველ გუბეში შვის გადამეტება აპრი- ლის ხალისით მოვიდა“.
 „ჩვენ თუ არა სხვას ზომ მაინც გაახარებს გადარჩენილ ვარსკვლავების კრიმინალური“.
 „ვალდებულნი ვკავებარ განაჩენს“.
 „ხისქევე ვეგმდე და თვალების ფსკერზე იკაწ- რებოდა ცრემლის სურვილი“

„და იღვა ზღვისპირას ისეთი სიმშვიდე, რომელიც შიშით წიოდენ პატარა ჩიტები“
 „მეყვარს თბილისი — ჩასმული მთებში, ჩემი ხანმოკლე ყრმობის დღეებში“.
 გარდა იმისა, რომ ეს მეტაფორები, სახეობი თავისთავად მხატვრულ ღირებულებას წარმოად- გენენ, მათი თარგმანების ნებისმიერ ენაზე სასურ- ველ მხატვრულ ეფექტს მოგვეცემს, აღექვავტურ განწყობილებებს გამოიწვევენ, მიხილ ქვლივი- ძის პოეზიაში გვხვდება ისეთი სახეობი, ისეთი შეგრძნებები, რომელთა სრულყოფილი გააზრე- ბისათვის ერთან გენტიკური სიხილოვცა საჭე- რი. ამის საუკეთესო ნიმუშად გამოდგება პოე- ტის შემდეგი სტრიქონები:

„რა სიყვითლავ! (ეგებ ტყავი დასტოვა ვეფხვმა)“

აი ეს ხატი (ეს პოეტური აღტაცება) არაქარ- თველი მეთხველისთვისაც აღიქმება როგორც ღამაში, საინტერესო, ორიგინალური სახე. მაგ- რამ ქართული მეთხველისათვის ეს სიყვითლე მინდელ სიმბოლიკაა. მარადიული ზეიმის, სიმწი- ფის, სინათლის, სიხავის; მზისხული სიყვით- ლის, სიქანსადისა და გმირობის უპირველესი ფერი ეს გაოცება ექოა საქართველოს უპარ- ველესი პოეტის შედეგისა თანამედროვე პოეტის მიერ თავისებურად, ორიგინალურად დანახული და აღმოჩენილი.

მიხილ ქვლივიძის ერთსა და იმავე მოვლენა- ზე, საგანზე შეუძლია განუწკვეტილ სხვადასხვა- ნაირად, საინტერესოდ წეროს. ქართული ჩუქურ- თმის პრინციპის არ იყოს, არსად განწერდეს არც ერთი ხატი, ტროპი, შედარება ერთმანეთს არ დაამთხვოს. თვით კაბუკობისდროინდელ ლექსებშიც კი, საცა ინტონაციური ნათესაობა ქერ კიდევ არსებობს ქართულ კლასიკურ პოე- ზისათან, მიხილ ქვლივიძის არც ერთი სახე არა- ვისას არ ჰგავს. მისია, საკუთარია, მართალია; ისეთი შთაბეჭდილებაა კი იქმნება, რომ ყოფი- დიყო მხოლოდ აეროპორტები, ზღვა ან ფიჭვე- ბი და მეტი არაფერი, იგი გამოდგმობთ მათზე დაწერდა და არასოდეს გახებოდა მოსაწყენი, რადგან გამოდგმობთ აღმოაჩენდა მათში ახალსა და საინტერესოს, სხვა თვალისათვის შეუმჩნე- ველს, დაფარულს, ამიტომ, რომ ამ შეუნელე- ბელი ინტერესითა და თარგმანობით იკითხება მიხილ ქვლივიძის ერთ-ერთი ბოლო წიგნი.

გაჩინახებულნი აეროპორტების, აქოქოქოე- ბული სადგურების, რკინიგზიდან წამოსული მი- წისა და ღიანდაგების გრილი, ნაცნობი სურნე- ლი, წარმავლობის სეფიანი განცდა გუფულე- ბათ, როცა მიხილ ქვლივიძის პოეზიაში მოგ- ზაურობთ. ამიტომ რაც შეიძლება მეტი, მეტია მოსახწრები. მაგრამ მოსახწრებელსაც გააჩნია. ამ მოსწრებაშიც პოეტად რჩება მიხილ ქვლი- ვიძე, რადგან ყველას თავისი ფასეულობებით განსაზღვრული ცხოვრება უდევს წინ.
 მიხილ ქვლივიძე ყველაზე დიდი ექსტაზითა



და სიმართლით განწორებებს და შეხვედრებს აგრძელებს და ითვლის. მისთვის რაც უფრო ხშირია ამ მდგომარეობების მონაცვლეობა, მით უფრო გარკვევით, ცხადად გრძნობს სიყვარულითა და სიცოცხლის ფასს. მას არ შეუძლია განწყვეტილი არ ენატრებოდეს, მისთვის ეს გრძნობა ჰეროიკული და წყალობითი საჭიროა (ამ მონატრების გრძნობითაა შერჩეული ახალი წიგნის სათაურიც „შენთან ყოფნიდან უშენობამდე“). ყოველივე ამით მიხილ ქველივით მარადიული მოძრაობისა და საქმიანობის ილუზიას კი არ იქმნის, არამედ მთელი გულისყურით, პოეტი-მეცნიერის თვალთ იკვლევს თითქოს ადამიანურ გრძნობებს და ასეთი დასკვნები გამოაქვს: განწორება სამშობლოა, შეხვედრაც სამშობლოა, განწორება ქალიცაა, შეხვედრა კიდევ უფრო მეტად ქალი, ზღვის უკუქცევა უარია, მოქცევა — თანხობა... მიხილ ქველივისათვის მოკლებული არ არსებობენ თავისთავად, წოგადად ანსტრაქტულად. იდეაზე უფრო საყვარელი, ახლობელი და მისაღებია ბავშვი, ცრემლი, ფართოდ გახილილი თვალები, ადამიანი. ამიტომ მას არ შეუძლია მისოცება, უარის თქმა, გულისკანა მოწყვეტა. მას შეუძლია განწორება, განწყობა, გულისტკენა, მის პოეზიაში ყველაზე დიდი ფასიერებები სწორედ ეს განცდებია, ეს პროცესებია. მისი მხატვრული წარმოსახვის უმთავრეს იმპულსებს სწორედ ადამიანური ფიქიკიდან მომდინარე სხვადასხვა ემოციური ტალღები წარმოადგენს. არც ერთი პოეტური ხატრადაც განყენებული იდეიდან, მყარი, გათვლილი მიზნიდან, საქმიდან არ ჩნდება, არამედ მგრძობილობითი წიაღიდან და ამ მგრძობილობის შედეგიდან, სიხარულიდან, აღტაცებიდან, სიკვილიდან, ტკივილიდან, განცვიფრებიდან... მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მიხილ ქველივისის, როგორც პოეტის მსოფლმხედველობა სტიქიურია. ეს მისი სახეობა მსოფლოდნეული თორემ მსოფლაქმა, სულისკვეთება ისეთივე ძველისძველი, ძლიერი და მარადიული დასაყრდენია, როგორც სამშობლო, ისეთივე ძველი და პირველყოფილი, როგორც ძვირფასის დაკარგვით გამოწვეული სევდა:

ათასი რამ შეიძლება შეიყვარო, განა ყველას დაერქმევა მშობლიური?
ათას რამეს შეიძლება დაემდურო, განა ყველას გამოპყვება სინანული?"

მიხილ ქველივი იცის, რომ „მშობლიურის“ და „სინანულის“ სწორფერი და ღირსი ცოტარამ თუა ქვეყნად.

ყოველდღიური კონტაქტები, აქედან გამომდინარე კონფლიქტები, დაუქვებაც, სასოწარკვეთაც, ყოფითობის სამსხვერპლოზე ხშირად ნებით თუ უნებლიედ მიტანილი საკუთარი თავი, საუკეთესო ადამიანური თვისებები, ერთი სიტყვით, მთელი ცხოვრება, ცხოვრებისეული გამოცდილება, მიხილ ქველივისათვის კიდევ

უფრო მეტი სიმძაფრითა და სისახლით წარმოაჩენს კემარტი თავისუფლებისა და სიწმინდის ფასს:

ზოგჯერ მგონია ტყის კაცი ვარ და, ვარ გულმართალი როგორც თოლია, და ასწლოვანი მუხების გარდა, ქვეყნად ნაცნობი არა მყოლია.

ეს არ არის რომანტიკოსი, ბუნებაში იდეალის მძებნელი კაცის ნათქვამი სიტყვები. ანდა ტყის კაცით საკუთარ თავში ჩაქცევის სტილიზებული ეკზისტენცია. ეს არის რეალურად, მთელი სიმკაცრით დანახული და შეფასებული სინამდვილე. ცხოვრება, რომელიც ჩვენვე გადავტვირთეთ, გავაუფასურეთ, და სინამდვილე, ის უცნაური სინამდვილე, რომელმაც ვაუფშავდალას ათქმევინა: „რამ შექმნა ადამიანად, რატომ არ მოველ წვიამადა“.

მიხილ ქველივისის შემოქმედებითი პრინციპია სიტყვის მომჭირნობა, სისადავე. იგი გამოდგენილი კუმშავს სათქმელს — გავწვდის მინიმუმს. რაც უფრო ღრმა და საინტერესო სათქმელი აქვს პოეტს, მით უფრო უბრალო, შედმიწვენილი ზუსტად შერჩეული სიტყვებით გამოხატავს იგი ამ სათქმელს, ტროპული აზროვნებისათვის დამახასიათებელი შემოვლითი გზები მის პოეზიაში არ არსებობს. იგი უშუალოდ, ყოველგვარი დისტანციის გარეშე უახლოვდება მთავარს:

წაივია მამა, მოკლე და მძიმე გამოთხოვება
ქონდა შეიღებთან,
წაივია დედა და გაწყდა ძაფი, მშობელ სახელთან რომ მაკავშირებდა.

მაგრამ ამ უშუალობისა და პირდაპირობის მიუხედავად მიხილ ქველივი შენანიშნავად იცის, რომ არ შეიძლება ყველას, ყველაფერს ხელით შეხოს.

ნიჭი, ზომიერების გრძნობა და, რაც მთავარია, დიდი შინაგანი კულტურა — დღატობის სოფელ შახმატოვოში, ბლოკის საიუბილეო საღამოზე გამოსულ მომხსენებელს, რომელიც გულდაკერებით საუბრობს დიდ პოეტზე. მიხილ ქველივი ამეთი ირონიული დელიკატურობით დასცილის კოლეგას:

ბლოკს კი არ ესმის მისი, რადგან ბლოკია ახლა,
როგორც მთის წვერზე ნისლი — ყველა სულდგმულზე ზღლია.

მოჩვენებით უბრალოება ზოგჯერ იმის ილუზიასაც კი ქმნის, რომ პოეტი რადაცის ვთქვათ, ანტურაჟის უსაგნო აღწერითაა გაართული, მაგრამ როგორც ნებისმიერ ანტურაჟში განლაგებულ ნივთებს და საგნებს გააჩნიათ ფუნქცია და შესწევთ უნარი თავიანთი წესრიგით და უწესრიგობით, ქალტურობით შევქმნან წარმოდგე-

მაპა ჯოხბამ
„შენთან ყოფნიდან უშენობამდე“



ნა ამავე ანტურაჟის უჩინარ ბინადართა ხასიათებზე, ცხოვრების წესზე, ასევე მიხილ ქველივიძის მიერ, ერთი შეხედვით, სასხვათაშორისოდ ნათქვამ სტრიქონებსაც თავიანთი ღრმა განწყობილებები და მასშტაბები გააჩნიათ.

მის პოეზიაში არ არსებობს ე. წ. ტაბუირებული სიტყვები. მისთვის ყველა სიტყვა ერთნაირად ღირებული, საჭიროა და შესწევს გასაოცარი უნარი ზოგჯერ არასასარბილო ფონეტიკური აღნაგობის მქონე სრულიად უღიმღამო, ფერმერთალ სიტყვას ისეთი კონტექსტი დაუძენოს, რომ პოეტურ სახედ აქციოს. ქვეტექსტთან ერთად მელოდიურობაც კი შესძინოს. ამ ქვეტექსტს მიხილ ქველივიძის პოეზიაში სწორედ კონტექსტში ზუსტად ჩანს მისი სრულიად „პროსაული“ სიტყვები იქნენ და არა თავისთავად (აღმოსავლური პოეზიისათვის დამახასიათებელი) პოეტური ეპითეტები და შედარებები. მსგავს შემთხვევებში სწორედ ამ ზუსტად შერჩეულ ერთ სიტყვავ გადანიაცვლებს ხოლმე სიმძიმის ცენტრი როგორც აწარმოებდა. ისე ინტონაციურად:

უფროსები საღლაც წასულან, სახლში
პატარებლად დავჩრით
და ჩვენი ხმები ახლა მკაფიოდ ისმის
დაცარიელებულ ოთახებში.

ამ ლექსში სიტყვა „მკაფიო“ ორმაგ დატვირთვის იქნის. ჭერ ერთი—ცარიელ სახლში მართლად დარჩენილ პატარებს რომ მივახლება, იმ შიშის ტოლფასია და, ამავე დროს, საკუთარი ხმის გაგონებით (ხმის უფლების მოპოვებით) მიღებული სიხარულის გამუდავებნასაც გულისხმობს. ამ სიხარულს ხშირად დაუდევრად იქცევიან ყოფით საზრუნავს გადაგებული უფროსები. ისინი თავიანთი გაუთავებელი ფუსფუსითა და საქმიანობით ვერც კი ამჩნევენ, ისე ჩრდილავენ, ისე ახშობენ ამ ხმებს და ეს ბუნებრივი, დამოუკიდებლობის უფლებას მონატარებული სიცოცხლე შეუშინებდალ იქცევა ფუნქციად, რომელსაც ვასუფიერებული სამკაულები — გლიის ჩიტები, აქვარიუმის ოქროს თევზები, ქოთნის ყვავილები ასრულებენ ოჯახში.

მიხილ ქველივიძის პოეტური ფიქრი მომზიბვლელი თანაგრძობობით ეკიდება, ერთი შეხედვით, სრულიად უმნიშვნელო, ყოფით წვრილმანებს. ამ თანაგრძობობის უნარით იგი ახერხებს ზოგჯერ უაზროდ, გაუცნობიერებლად აკვირებულ სიტყვებს მისცეს პოეტური დატვირთვა, შინაარსი, ფასი, ღირებულება. ასე განსაჩეთ პროსაული, ყოფითი მუსიკალურობაც კი. და ეს ხდება არა „რითმებზე ნადირობით“, არა ოსტატურად დაძინილი პარალელური თუ ჭვარედინა რითმების წყალობით, არც მსუბუქი, მაღალი ან დაბალი შაირით, არამედ ემპირიული საწყაროს ერთგვარი მშრალი სემანტიკური აღწერითაც კი. სათქმელისათვის ფორმა ყოველთვის ზუსტად და გემოვნებითაა დაძინილი. თითქოს ამაზე არც

უზრუნვია პოეტს, თითქოს სათქმელმა თავისთავად, ბუნებრივად მოიყოლია ფორმა:
აგვიკვიტება უჩვეულო სახელი ემი ვატანაბე

(ცეგურებზე მოსრიცლე 14 წლის იაპონელი ქალიშვილი, ტელევიზორში რომ ენახე) და დადიხარ მთელი ღღე, და იმეორებ ამ სახელს და თვითონაც არ იცი რა გიხარია.

მართალი, გადამღები განწყობილებაა. ვინ იცის, რამდენაა მშვენიერმა, სფეროვანა, უსხეულო განცდამ თუ წამმა ჩაიჭროდა ჩვენი ცხოვრებაში. ამ გოგონასავით. მოტივივით, ღიღინივით, წვეთივით ახლოხებლმა და შორეულმა. ჩვენ არ ვიცით, რა ჰქვია ამ წამს, ამ განცდას, ამ მელოდიას, მაგრამ გვენდა რომ ვიცოდეთ, ამითომ ვებუივებთ სიტყვებს — ემი ვატანაბე — თითქოს ამ სიტყვებით გვიანა შევარჩოთ, გადავილოთ, გავხანგრძლივოთ ეს წამი. ეს განცდა და როცა აკვირებული სიტყვები ზედიზედ იმდენჯერ განმეორდება, რომ მომზიბვლელი ილუზიების დაკარგვას დაიწყებს, ახეთ წამებში გაჩნდება მარტივით საჭირო მისტიური ილუზია თუ რწმენა: ვიღაცა ჩუმად, ფარულად ზრუნავს ჩვენზე. ვიღაცას დასაკარგად არ ვემეტებით, წვრილმანებით ამღვრულ ყოფაში ვიღაცის მოწყალებ თვალი გადმოგვხედავს და ათასწი ერთხელ მაინც გვაწიარებს ხოლმე პირველყოფილ უბიწობას.

მიხილ ქველივიძის ლექსებში უმეტესად ზომიერი წონასწორობაა დაცული: მგრძობიარე პოეტი — მოაზროვნე პოეტი. გრძობას, ემოციას მუდამ ფიქრი ახლავს. მგრძობიარე გვერდით მუდამ ცხოვრობს და ფეთქავს აზრი, ფიქრი ისეთ მეთაფიურ პარალელმებზე, ისეთ მარადიულ კატეგორიებზე, როგორიცაა, სიცოცხლე, სიკვდილი, დაბადება, სიყვარული. პოეტის სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ თუნდაც მაშინ, როცა გრძობებს განსჯა სჭარბობს, მიხილ ქველივიძის ლექსი მაინც არასოდეს არ სტოვებს წიგნიერის, გამოგონილის, ნიღბონის შთაბეჭდილებას. წარმავლობაზე ფიქრის დროსაც მიხილ ქველივიძე ჩვეულ უშუალობას, შემოქმედებით გულწრფელობას ინარჩუნებს:

შენი ასაკით ვზომავ საწუთროს და
არსებობა მიხანგძლივდება.

პატარა ანისადმი მიძვნილი ლექსი არ აღიქმება სანტიმენტალური ბაზუის ეპიტაფიად. არამედ ესაა დროის შეგრძენება და ამ დროის აღმორჩილების მშვენიერი ადამიანური სურვილი.

იქნება ჯობია სიკვდილმა აღრე მოგვეკითხოს, სანამ ახალგაზრდები და ცნობისმოყვარენი ვართ?

ამ ვარაუდში ადამიანური არსებობის, ცხოვრების პოეტისეული კრედაა გამუდავებული. ცნობისმოყვარეობა და გაოცების უნარი — აი ჩვენი არსებობის, ჩვენი სასიცოცხლო ენერჯის ორი უმთავრესი ბიძგი და სტიმული.

მიხეილ ქვლივიძემ ხშირად მედიტაციური, განწყობით ღირსიანათვის დამახასიათებელი ხან-განმული სიმშვიდით წერს სიცოცხლეზე, სიყვ-დილეზე, სიყვარულზე, მშვენიერებაზე, თითქოს შემოქმედებით პროცესში მხოლოდ აზრი მო-ნაწილოვს. მაშინ მიხეილ ქვლივიძემ პოეტურ დიანგოვებს ამგვარი ფორმით გვთავაზობს: სიყვდილი თანდაყოლილი სნეულებაა მეშვეიერობით რომ გადმოგვეცემა.

ანდა: ხან ძველი ხარ, ხან კი ისევ ახალი ხარ თან ნაცნობი, როგორც ძველი ჩვეულება.

მაგრამ ხშირად ანალოზით გაქრებული წონას-წორობა ირღვევა და მაშინ პოეტი მიხეილ ქვლი-ვიძე ქართული კლასიკური ლექსისათვის დამა-ხასიათებელი ექსტაზით, განცხრობით ქმნის ისეთ ბრწყინვალე სტრიქონებს, როგორცაა: ის მაინც ბრუნავს, მაინც ბრუნავს, ბრუნავს ტიალი!

არ მოგვეშალოს ჩვენც ეს ბრუნვა და ხეტიალი, მუდმივი ქროლევა, არა მალევა, თავის დანდობა, არა დარდისგან მოდუნება, დარდი, მანდობა, და მუდამ, მუდამ სიახლისკენ სწრაფვა

ველური, და პირსა შიგან გამაგრება რუსთაველური...

ამგვარი დინამიკით, ინერჯიით დაწერილ მის. ქვლივიძის შესანიშნავ ლექსებში — „იუდას მორლოგი“, „უშა“, „უჩემოდ ქვეყნად რაღაცა ხდება“, „იქნება-მითქი, გაგრძელება იქნება მა-ლე“, „აეროპორტი“, „არცა სდევნიდენ, არცა მტრობენ სინდ...“ მთელი სისხვით ჩანს ის ამოუ-წრობი სიმდიდრე, რომელიც მრავალსაუკუ-ნოვან ქართული პოეზიის წიაღში იპოვება და რომელიც თავისი სისხვის გამო შთაგონება-სათვის დღესაც იძლევა ბიძგსა და სტიმულს. ამიტომაც, რომ ტრადიციების განუწყვიტბილი იქნება, ცოდნა და გათავისებება თანამედროვე პოეტის შემოქმედებაში, კერძოდ, მიხეილ ქვლი-ვიძის შემოქმედებაში, ამგვარ სასურველ მხატ-ვრულ შედეგებს ვაწვდის.

ახეთივე ენერჯიითა და ტემპერამენტითაა დაწერილი ლექსი „ავტოპორტრეტი“, რომელ-შიც მიხეილ ქვლივიძე ინარჩუნებს შესაშურ უნარს, ამაღლდეს და ზემოდან დახედოს სა-კუთარ თავს. სტრიქონსა და სტრიქონს შუა მსუბუქი ცინიზმი, ოდნავი ირონია ჩასაფრებუ-ლი.

„ავტოპორტრეტში“ დონ კიხოტის მონათესავე მეოცნებე პოეტის სილუეტი ილანდება. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ქრელ, საკარ-ნავალო სამოსსა და ნიღაბში გადაცმული პოე-ტი — არლეკინო საგანგებოდ აიოლებს, საგან-გებოდ აფერმკრთალებს და ზედაპირულს ხდის საკუთარ პიროვნულ შესაძლებლობებს, ღირსე-ბებს, განცდებს... ზგი ელვანტური გონებაბან-ვილობით „ეითილი განზრახვის ავანტიურისტად“ გვეცნობა. და მაინც პოეტური გარდასახვის ამ

მსუბუქ სკერცოშიც ძვირფასი თვალვით გამო-ანათებს ასეთი უცნაური მოლოდინი:

ორსული ცხოვრების ბუბია ქალი ვერ და-მინდა ლამაზი შვილი შევიძინოს...

აი, მიხეილ ქვლივიძის იქნებ ცოტათი თეატ-რალიზებული, ესთეტიზირებული, მაგრამ მაინც უცერად გამჟღავნებული საიდუმლო. ესა მიხეილ ქვლივიძის, როგორც პოეტის, ყოველ-დღიური რეპეცია — ცხოვრებაში ჩარვის არა მხოლოდ აქტუური უნარი, არამედ მარადიული და ძლიერი მონაწილე იმ რთული, დაძაბული, ბუ-ნებრივი პროცესებისა, იმ დიალექტიკური კა-ნონზომილებებისა, რომელიც თავის მხრივ ახალ სიცოცხლეს („ლამაზ შვილს“) წარმოშობს. *

და რაც უფრო დაძაბული, გადატვირდილი, მძიმე და პგრძნობიარეა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება, მით უფრო მძაფრია უზრუნველ ბავ-შვობასთან დაბრუნების სურვილი. რაც უფრო დიდხანს გაჰყვება აღამიანს ეს სურვილი, მცდე-ლობა და უნარი, მით უფრო დიდხანს და ძლი-ერად კვებავს მის არსებობას სიეთე.

დასწყველოს ღმერთმა! როგორ მინდა იქ ვიყო ახალა რომ ცხელი შუბლი გავგერილო ივრის სიითი, მიწის სისველე ვაგრძობობნი კიდურებს გამ-ხვარს

და ტუჩზე წენ გო გადავივა, როგორც იოლი...

კიდევ ერთი მოულოდენელი აღმოჩენა. ამ სტრი-ქონებში ბავშვობასთან დაბრუნების წყურვილს კიდევ უფრო ამძაფრებს სურვილი: „და ტუჩ-ზე წენ გო გადავისვა, როგორც იოლი“ დაუ-ჭირებელია. აქამდე წენგო თითქოს მხოლოდ გო-გონათა საკუთრება იყო. გოგონები მდღერის თანდაყოლილი ადლოთი იმ უმწიფარ, მწვანე ნაყოფსაც სილამაზისათვის იყენებენ. მაგრამ ბიჭებში იგივე საგანს თავისი შვგრძნებები გა-ჩანია. ბიჭების ჭერ ისევ ნორჩ სხეულებშიც შემაბოსე მამრის სულია ჩასაფრებული. სწორედ ამიტომ მიხეილ ქვლივიძის ლექსში წენგო კრი-ლობაზე გადასმული იოდის სიმძაფრესთანაა შედარებული, გათანასწორებული.

და როგორც მწყურვალს უდაბნოს ველზე მოხეტიალეს და ჩრდილის მიძენელს,

მას გაბეჭდილი ჰქონდა ტუჩები...

„უეტრად“, „ფრთხალად“ შემოდის ქალი მიხეილ ქვლივიძის პოეზიაში. სხვადასხვანაირი ქალი, სხვადასხვა რკულის, სხვადასხვა ფერის, სხვადასხვა ასაკის და თითოეული მათგანის სხეულსა და სულს მარადიული ტვირთით მო-აქვს თავის გრაცია და სიმართლე.

მე არ დავებებ ვინ ხარ, ეისი ხარ, სადაურაა შენი მშვენება,

თოვლის ფიფქივით ნებზე მიზიხარ, და რომ გამიქრე რა მეშველება.

მაბაბ ჯონხაძე
„შენთან ყოფნიდან უშენობამდე“



მიხეილ ქვლივიძისათვის ქალი ბუნება. ბუნება თავისი მთლიანობით, თავისი სიმკაცრით, სიფაქიით, უშუალოებით, სიმუხთლით, სტიქიით, კანონზომიერებით, ბორკილით, თავისუფლებით, სხეულით, სულით. ერთი სიტყვით, ბუნება, როგორც ცხოვრება. და ამ ცხოვრებასთან ყოველი მიახლოების შემდეგ, როგორც პოეტს და როგორც კაცს, მიხეილ ქვლივიძის არა აქვს იმის პრეტენზია, რომ რაღაც ამოიცნოს, რაღაც გაიგოს, რაღაცას მიუახლოვდეს. მას მხოლოდ განცვიფრება შეუძლია:

და იღვა ქალი როგორც ქვეყანა.
კოლუმბის მიერ აღმოჩენილი.

და რამდენჯერაც უნდა გაკრთეს ქვლივიძის ცხოვრებაში ეს ქალი, რამდენჯერაც უნდა შევარჩინოთ, დავინახოთ მის სტრიქონებში გიშრისფერი ან ზღვისფერი თვალები, წაბლისფერი ან ქერა „ჩაფხუტვიით თმა“, იმდენად მძლავრია ქალის, როგორც მთლიანობის, როგორც „აღმოჩენილი ქვეყნის“ განცდა, რომ კონკრეტული მისამართებისა და უშუალო პარალელუბის ძებნა არაფერს შემატებს მისი სატრფიალო ლირიკის მომავალ მკვლევარს...

ოქროს ემბაზი, მარტოოდენ ფორმა და ხაზი...
და ამის მაღლით ეძლეოდა ცხოვრებას აზრი...
ტერმინი „სატრფიალო ლირიკა“ თითქოს არც ყოფნის, თითქოს ვიწროა იმ ერთიან და ზღვარდაუღებ სტიქიასთან მიმართებაში, რომელსაც ქალი ჰქვია მიხეილ ქვლივიძის პოეზიაში. მის ლექსებში არ გვხვდება კლასიკური მიჯნა, ე. წ. ტრადიციული დაყოფა სიძვის დიაცსა და უმანკობის დედოფალს შორის. ქალი მიხეილ ქვლივიძის პოეზიაში პირდაპირ და უშუალოდ უკავშირდება სიყვარულს — და უცნაურია, ეს ხდება

ისეთი რაინდული უშუალობითა და სიმარტონობით, რომ არ გაღიზიანებს და იჭერებ პოეტის განუწყვეტლივ შეყვარებულ ბუნებას, მის მარადიულ მიჯნურობას:

ის იყო როცა მე არ ვიყავი, ის არი ახლა,
როცა მე ვცხოვრობ,
იქნება როცა მე არ ვიქნები... მე გაგიყებით
მიყვარს ეს ქალი.

და აი, მიხეილ ქვლივიძის პოეტურ შთაგონებას ბოლო წლებშიც ძველებური სიხარულითა და სიძლიერით მოაკითხავს „დიდი თოვლის ეფემერა“:

და მეჩვენება: დაფეთებული, ფაფარგამოლილი
და თვალეღამი,
ჩემს წასაღეკად — ქალთა კრებული მოპქრის
ყველაფრის გადამთელავი!
და მეც, ქურქებში ჩაბუნებულებს და
სიცოცხლეზე უფრო სასურველს.
პირველყოფილი შიშით შეეყურებ ამ საარაკო
თოვლის ასულებს,
რომ დამაბნეის და გამაბრუეს და ამიტენეს
სულში განგაში...
ფიქრით კი ისევ უკან მამბრუნებს ჩემს
საოცნებო თბილის ქალაქში!..

თითქოს გაოგნებულ, ექსტაზში შესულ, სიხარულისაგან თავბრუდახვეულ პოეტს წამიერ გასხვივოსნებასავით მოაკითხავს კიდევ უფრო დიდი სიყვარული, ქალზე უფრო დიდი სევდა — თბილისი. და ამ ლექსში დასმული სამი წერტილის მიღმაც მკითხველი თითქოს ფიზიკურად იმ სევდიან პროფილსაც ხედავს, რომლითაც ყველაზე დიდ და შეჩვეულ სასწაულს — სამშობლოს უმზერს პოეტი მიხეილ ქვლივიძე.



ზაზა გოგია

ლირიკული პროზის გმირი

ლირიკული პროზის განსაკუთრებული აქტი-
ვობა ჩვენი საუკუნის 50-იანი წლების მიწურულ-
იდან იწყება. ამ პერიოდში იგი გაბედულად შე-
მოიჭრა როგორც ქართულ, ასევე მთელ საბჭო-
თა ხალხთა ლიტერატურულ ცხოვრებაში და
ზოგიერთი კრიტიკოსის გულმისწურობაც დაიმ-
სახურა (ლირიკული პროზის მხილების ტენდე-
ნციამ განსაკუთრებული ხასიათი რუსულ ლი-
ტერატურულ კრიტიკაში მიიღო).

ეს არ ყოფილა მშვიდი და უმტკივნეულო
პროცესი. ლირიკული პროზა წინამორბედი
სტილური კონსტრუქციებისადმი ოპოზიციური
თვისებებით ხასიათდებოდა, და ბუნებრივია,
წინააღმდეგობათა ძლიერ იკაფავდა გზას.

ლირიკულმა პროზამ მხატვრული ევოლუცი-
ის საკმაოდ ვრცელი გზა განვლო. ლირიკული
საწყისის მოძალბება 50-60-იანი წლების მწერ-
ლობაში არც ახალია და არც ორიგინალური.
ახალი და ორიგინალურია ის როლი, რაც მას
დაეკისრა ჩვენი მწერლობის მოცემულ ისტო-
რიულ მონაკვეთში.

ტრმინი „ლირიკული“ „ეპიკურისაგან“ გამი-
ჯნება, და გარკვეული აზრით, მისდამი დაპა-
რისპირებასაც გულისხმობს. მაინც რა ნიშნის
მიხედვით შეიძლება განვასხვავოთ ლირიკული
პროზა ეპიკურისაგან?

უპირველესად ყოვლისა, სააზროვნო ფორმე-
ბითა და მხატვრული მასალის ორგანიზაციის
პრინციპით.

ეპიკურ პროზაში აშკარად იკვეთება ორი პო-
ლუსი — გმირისეული და ავტორისეული. მიუ-
ხედავად ამ პოლუსთა პოზიციური დაპირისპი-
რების რეალური შესაძლებლობისა, მწერლის
პიროვნება არა ჩანს კადრში (თუკი ჩანს, ძა-
ლიან მკრთალად) და მკითხველიც ნაკლებად
დაინტერესებული მისი ბედით. ამგვარად, იგი
გმირთა მოქმედების ინტერპრეტატორია და
არა ამბის უშუალო მონაწილე. ეპიკურ პროზა-
ში, რაც არ უნდა ახლო მეზობლობაში იმყოფე-
ბოდნენ გმირისეულ-ავტორისეული ხმები, თხრო-

ბაში აშკარად დომინირებს მწერლის მწიგნობ-
რულ-ლიტერატურული ენა.

აღნიშნულ მხატვრულ ორგანიზაციაში „აქ-
ტიური ლირებულებრივი საყრდენი“ ლიტერა-
ტურული გმირის მიღმა, ავტორისეულ პოზი-
ციაშია საძებელი.

ლირიკულ პროზაში მხატვრული სინამდვილი-
სადმი ავტორის დამოკიდებულების ხასიათი შე-
ცვლილია. „ადამიანის ფსიქოლოგიის მექანიზ-
მი და საზოგადოებრივი ურთიერთობანი ფოკუს-
სირდება მცირე წერტილში, პიროვნულ „მე“-
ში. უხეშად რომ ვთქვათ, პიროვნული და სა-
ზოგადოებრივი თანაარსებობენ ერთი ატომის
გარსში“ (ლიტველი ლირიკოს-პროზაიკოსის
სლუტკისის სიტყვებია).

ლირიკული პროზა განწყობილების პროზაა,
ეპიკურისაგან განსხვავებით მის კომპოზიციაში
შემავალ ელემენტებს შორის შესუსტებულია
ლოგიკური კავშირები და მოვლენათა მსვლე-
ლობაც განცდისმიერ მთლიანობაშია წარმოდგე-
ნილი.

ლირიკულ პროზაში, რომელშიც ორგანულა-
დაა შერწყმული გმირისეულ-ავტორისეული ხმე-
ბი, მკაფიოდ მოჩანს მწერლის სილუეტი. ეს თა-
ვისებურება ავტორისა და გმირის თანაგანცდის,
მათი სულიერი გამოცდილების ერთიანობიდან
გამომდის.

ის, რასაც პირობითად, ლირიკულ პროზას ვუ-
წოდებთ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თვისობ-
რივად ახალ მოვლენას არ წარმოადგენს. ანა-
ლოგიური მხატვრული კონსტრუქციები უხვად
დაიძებნება ქართულ, და არა მხოლოდ ქარ-
თულ მწერლობაში. აღმსარებლობითი, რომან-
ტიკული, სიმბოლისტური, იმპრესიონისტული,
ფსიქოლოგიური... პროზა არსებითად ლირიკულ-
ი აზროვნების კანონებით ბელმძღვანელობს.
ამიტომაც ჩვენს ყურადღებას იპყრობს არა იმ-
დენად უანრის სპეციფიკა, რამდენადაც მისი
კულტურულ-ისტორიული მისია მთლიან ლიტე-
რატურულ პროცესში.



ლირიკული ნაკადის გაძლიერება 50-80-იანი წლების მწერლობაში ლიტერატურული გმირის ახლებურ გაგებას უკავშირდება. 20-იანი წლებიდან საბჭოთა ხელოვნებაში გმირის სახე საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტულმა ამოცანებმა განსაზღვრა. ხელოვნება და ლიტერატურა არსებულ სოციალური ინსტიტუტის იდეურ მოყვებულად, საბჭოთა ხალხის ისტორიული მონაპოვრის რუპორად ჩამოყალიბდა. გმირის მოქმედების არტული წინადაწინ დადგენილი საზოგადოებრივი უკუთი შემოიფარგლა და სუბიექტმა თავისი განცდებით, შინაგანი წინააღმდეგობებითა და სულის მოძრაობით უკანა პლანზე გადაინაცვლა. მხატვრულ პროზაში ამავმა, ნაწარმოების ფაბულამ თავისთავად აღიარებულბა შეიძინა. ამგვარად, ლიტერატურული გმირის ღირებულებრივი დანიშნულებაც მისი კლასობრივ-სოციალური ფუნქციებით განისაზღვრა, საბჭოთა მწერლობის ეს ტენდენცია გარკვეულ საფეხურამდე ნაყოფიერი და სასარგებლო აღმოჩნდა. მაგრამ 40-იანი წლებისათვის მან დაასრულა თავისი მისია და „უკონფლიქტობის თეორიამ“ თავი კრახის აშკარა პერსპექტივამდე მიიყვანა.

ჩვენს ქვეყანაში არსებითი სოციალური წინააღმდეგობანი 80-იან წლებში საბოლოოდ დაძლიერდა იქნა. ხელოვნებაში დადგა ე. წ. „პრობლემათა კრიზისის“ პერიოდი. პრობლემატობა კი შემოქმედების უცილობელი პირობაა, რომლის გადაწყვეტაც წინააღმდეგობათა ძღვევის ხარჯზე უნდა მოხდეს. მაგრამ აუცილებელი როლია, კონფლიქტი და წინააღმდეგობა მხოლოდ კლასთა ბრძოლით, სოციალური რევოლუციებით, და საერთო, საზოგადოებრივი ანტაგონიზმით იყოს შეპირობებული. პიროვნებაში არსებობს შინაგანი ანტაგონიზმი, სულიერი დაპირისპირებლობა, რომელმაც საზოგადოებრივ რიტმთან კავშირში უნდა გადაწყვიტოს ლიტერატურისა და ხელოვნების მაქისცემია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩრდილიში რჩება სუბიექტი თავისი შინაგანი სამყაროთა და მისწრაფებაში-დრეკილებებით.

„ხელოვნებას არასოდეს მიუტოვებია აღმანაინი“ (დოსტოევსკი).

50-80-იანი წლების ქართული ლირიკული პროზის ხანათის გმირის „რეალიტაციის“ გარდუვალი აუცილებლობა განსაზღვრავს. ჩვენი საუკუნის 40-იანი წლების ლიტერატურისათვის ნიშანდობლივი ორიენტაცია, რომელიც მწერლობის საგანს განყენებულ ღირებულებათა მოძალებულ ტენდენციებში ხედავდა, ლირიკულმა პროზამ აღმანიის, მისი ინტიმისა და შინაგანი სამყაროს მოქცეით შეცვალა.

ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში ლირიკული პროზის, როგორც უანრული ფორმაციის შესახებ, საინტერესო დაკვირვებები უკვე გამოთქმული გურამ კანკავას, გ. კანკავა, პარალელს ავლებს რა ლირიკულ პროზასა და თანამედროვე დასავლურ მოდერნიზმს შორის, აღნიშნავს,

რომ მოდერნიზტულ მწერლობაში „ადამიანთა გაუცხოვებისა და გაუსახურების თემა“ (ნაჭიკაძე, 1972, კალური ტრაგოზმის კონცეფცია, ანდა ყოველის-მომცველი ირონიზმის პრინციპი შემამსუბუქებელი ლირიკული ჩანართებით წონასწორდება“. (გ. კანკავა, ლიტერატურული შენიშვნები, 1972, გვ. 38).

ავტორი დაახლოებით ანალოგიურ თვალსაზრისს ავრცელებს ქართულ მწერლობაზე და მიიჩნევს, რომ ნიკო ლორთქიფანიძისა და შიო არაგვისპირელის მოთხრობებში „უსინარულო თემატური მასალა და დრამატული სიუჟეტურა ქარგა გაწონასწორებულა მხატვრული ლირიზმით“, ე. ი. ლირიზმს მათ პროზაში დემოკრატიული სამყაროლის ფუნქცია აკისრია.

ლირიკულ დომინანტთა პროზის სტრუქტურა. ში ორი ნიშანდობლივი ელემენტის შეტანით განისაზღვრება: პარველი და ლირიკული პროზისათვის არსებითი — ლირიკული მსოფლგანცდა, როგორც ლიტერატურული კონცეფციისა და აზროვნების ფორმის გამომხატულებად და მეროვ — ლირიკული ინტონაცია, როგორც პროზის პოეტურობის, მხატვრულობის განმსაზღვრელი ფაქტორი.

პროზაში ლირიკული ტონალობის შეტანა შინადა სხაზავს მგარსნობლობის გამაფრებას, პოეტურობისა და მალღმხატვრულობის მიღწევას. ამ ნიშნის მიხედვით, ლირიკული ტონალობის მოძალება უცხო არ არის არც ერთ ერისა და პერიოდის, მათ შორის 20-30-იანი წლების ქართული ეპიკური პროზისათვის.

ამისათვის, საკმარისია, გავიხსენოთ კონსტანტინე ჩარსახურდიას ან ვასილ ბარნოვის რომენებში ჩართული ვრცელი ლირიკული რეჟულექციები. ლირიკული ტონალობის მიუხედავად, ამ რომანთა მხატვრული წყობა წმინდა ეპიკურია.

რაც შეეხება ნიკო ლორთქიფანიძისა და შიო არაგვისპირელს, მათ პროზაში ლირიზმი მხოლოდ მხატვრული ორნამენტა არ არის. ამ მწერლებმა ლირიკული მსოფლგანცდა ლიტერატურული კონცეფციის სიმადლემდე აიყვანეს და მას ტანრის განმსაზღვრელი ფუნქცია დააქსირეს.

უდავოა, ლირიკული პროზა ვერ ისარგებლებს ლირიკის ტექნიკური არსენალით. თუ სადისკუსიოდ არ გავხდით დებულებას, რომ პროზის ლირიკულობის შინაარსში მსოფლგანცდის გარკვეული ნორმებია ნაგულისხმევი, მივალთ ერთსულოვან დასკვნამდე — „ლირიკული“ შეიძლება გააზრებული იქნას, როგორც სუბიექტუალის, ინტიმულის, პიროვნულის ნაცვალისტუვა (ზოგაქერ „ლირიკულის“ შინაარსს არასწორად განმარტავენ, თვლიან რა „მხატვრულის“ „პოეტურის“ სინონიმად).

მინც რა იგულისხმება ლირიკული მსოფლგანცდის ნიშნის ქვეშ, როგორ ვლინდება იგი მწერლობაში და ხერხდება თუ არა ყოველთვის

შეუვალი მიწების დადგმა ლირიკულ და ეპიკურ პროზას შორის?

ლირიკული მსოფლგანცდის ფორმები შესაძლოა ეპიკური პროზის ნიმუშებშიაც მოვიძიოთ. საბუთად ნაწყვეტს მოვიტანოთ ო. ჭილაძის რომანიდან „ყოველმან ჩემმან მოცენელმან...“

— დუქანი სკასავით ზღუოდა, მის ნამტვრევებზე ბუზები დაცოცავდნენ, დღმგარმონის ხმა ჭურჭელს აზრიალებდა, დევნო უცებ თებოდა და მღორედ, უსიამოდ ჩადიოდა ყელში. ალექსანდრეს ერთადერთი მკლავი უროსავით ედო მაგიდაზე, გრძნობდა, როგორ ეზრდებოდა თავი, თავი კი არა უზარმავსო სათავსო, უხილავი და მგრძნობიარე კედლებით შევრული; ამ სათავსოში უთავბოლოდ ჩაყრილიყვნენ ხმები და საგნები, ერთმანეთში არეულიყო ორი ცარიელი ფეატონი — თავიანთი მეფეატონებთანად, დუქნის იატაკი — მზის ნამტვრევებთანად, მტკრიანად, ბუზებთანად, დახლი — დახლიდარჩიანად, დამკრეფლები — საკრავებთანად, ზორცის გაძიძენილა ნაჭერი — პირმოწკლაპუნე მარჩიანად და შვიდი ნიკო, შვიდად გაყოფილი, შვიდნიარად გადასხვაფერებელი ნიკო. — არ. ში... არ შიან... ქარშია“ — გუგუნებდა თავი ხლადგომი, სიხით განავათებულმა ცხენმა ფლოკვი მშიმედ ჩაჭრა მტვერში და ალექსანდრეს ეკვა ეტჩინა“.

იქმნება სრული ილუზია იმისა, რომ ალექსანდრეს გარემომცველი სამყარო მისხვე თავის ქალაშია მოქცეული. საგნები და მოვლენები გვირის გონებაში ფიქსირდება.

მიუხედავად ო. ჭილაძის რომანის ეპიკურობისა (ხოლო ჩვენს მიერ მოტანილი ეპიზოდი ამვე რომანის კომპოზიციის შემადგენელ ნაწილად შედის), გვირის მიერ სამყაროს შემეცნების აღნიშნული ფორმა ლირიკული ხასიათისა.

თუკი ამ ეპიზოდს დამოუკიდებელი ლიტერატურული ორგანიზმის — ესკიზის ან პორტრეტის სახით წარმოვიდგენთ, იგი შეიძლება ლირიკული პროზის ნიმუშად ჩავთვალოთ, თუმცა თავად რომანის მრავალგანსომილებიანობა, კომპოზიციური ქარგა და თხრობის ეპიკური ფორმა იმაზე მიგვითითებს, რომ ლირიკული თვალთახედვა მწერალს ძირითად მხატვრულ პრინციპად არ უქცევია.

ლირიკულობა, ფართო გაგებით, მეტად ზოგად, არაფორმალურებულ მთლიანობას გულსახეობს. მის ნაირსახეობებს არჩევენ ხელოვნების თითქმის ყველა დარგში.

ო. ჭილაძის რომანიდან მოტანილმა ნაწყვეტმა შავალის ერთი სურათი გავვახსენა — „ჩემი სოფელი და მე“.

სასურათო სიბრტყეზე ავტოპორტრეტია დახატული. თავის მონაწილეობის მკრთალ კონტურებში მოქცეულია რუსული სოფლის პეიზაჟი. ნახატი ავტორის სულის სარკეა. მასში სრული სახითაა წარმოდგენილი საკუთარ თავთან მ-

რთოდ დარჩენილი ადამიანის ნოსტალგიური ტკივილი.

წარმოშობით რუსი-ებრაელი და წლებს განმავლობაში უცხოეთში მცხოვრები მხატვარ-ცნობიერებაში ამოტივტივებულ წარსულს თავის კონსტრუქციულ მოქცეული ასოციაციების სახით გავაწვდის.

შავალისა და ჭილაძის მხატვრული წარმოსახვის ფორმათა ერთიანობა ალბათ, ექვს არ იწვევს. ორივე შემთხვევაში ხატვის მანერა სამყაროს ლირიკული მედიტაციებით გააზრების გზას უკავშირდება.

ლირიკული საწყისისაღმე მწერლობის მიმართება სხვადასხვაგვარად გამოვლინდა XX საუკუნის საბჭოთა და დასავლურ ხელოვნებაში. ისინი გაიზარება, როგორც ერთი მოვლენის ორი საწინააღმდეგო პოლუსი.

გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად, თანამედროვე დასავლეთში ადამიანმა დეკარტა შემოქმედებით იმპულსები გარემოსთან. თვით-ანალიზისაღმე ფანატურმა ლტოლვამ შთანთქა ობიექტურად არსებული რეალობა. სოციალურ და საზოგადოებრივ ნიშნითავე განძარცვულად ადამიანისათვის გარემომცველი სამყარო უცხო მტრულ სინამდვილედ იქცა. პიროვნების „სულიერ ტოტალობაში“ თავი იჩინა სუბიექტურ და ობიექტურ სინამდვილეს შორის სახედისწერო წინააღმდეგობამ, თავბრუდამხვევ ინფორმაციითა გარემოცვაში ყოფნის მიუხედავად, ადამიანი მიტოვებული აღმოჩნდა, რასაც მისი გაუცხოება მოჰყვა.

უცხოურ მწერლობაში აშკარად გამოიხატა სინამდვილის ფარული შინაარსის გამხელის ტენდენცია. შემოიჭრა სიზმრის ლოგიკის, შეპირვებისა და კრიზისის, მირაჟების, ფანტაზმაგორებისა და ჰალუცინაციების, სოციალური ინდიფერენტულობისა და აბსურდის თემატკა.

ცნობილი ესთეტიკოსი და ფსიქოლოგი პერბერტ რიდი ასკვნის, რომ შექმნილი მდგომარეობიდან ერთი გამოსავალი იხილებს — ცივილიზაციისა და მთელი კაცობრიობის გადარჩენის უცილობელი პირობაა „პიროვნების ფსიქოლოგიური ბალანსის აღდგენა“, ადამიანსა და გარემოს შორის დარღვეული კომუნიკაციის მოწესრიგება.

სოციალურ ფსიქოლოგიაში მიღებულ დასკვნებსა და ხელოვნების სტელისტიკას შორის არსებობს გარკვეული სინქრონულობა. დასავლეთში „პიროვნების ფსიქოლოგიური ბალანსის“ აღდგენისა და ცივილიზაციის რევონსტრუქციის პროგრამის თეორიულ კლანში განხორციელება მწერლობამ იტივრია.

სუბიექტივიზმის მკაცრად გამოკვეთილ ექსპერიმენტულ ტენდენციებში შეიჭრა ზომიერი ლირიზმი. რომელმაც განსაკუთრებული წვლი-

ზაზა გომიძა

ლირიკული პროზის გმირი



ლი შეიტანა გაუსახურებელი გმირის ხასიათის რეროგანიზაციის საქმეში. „რადიკალური ტრაგიკის კონცეფცია, ანდა უოვლისმომცველი ირონიზმის პრინციპი“ ზომიერი ლირიზმით გაწონასწორდა.

როგორც ცნობილია, 50-იანი წლების წინაპერიოდის საბჭოთა ლიტერატურა ძირეულად განსხვავდება დასავლური მოდერნიზმისაგან. მაშინ რისთვის დასჭირდა მას ანალოგიური მხატვრული ოპერაციის გამოყენება?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა საჭიროებს აღნიშნული ლიტერატურული პროცესის გულდასმით ანალიზსა და ადამიანის კონცეფციის წარმოჩენას საბჭოთა მწერლობის ტენდენციებში.

50-იანი წლების მიწურულიდან მოყოლებული საბჭოთა მწერლობის ტიპოლოგიური შესწავლა წინაპერიოდის ლიტერატურული პრინციპების რღვევის სურათს გავჩვენებს. ახლო წარსულისათვის თვალის გადავლება მცადლო, რომ საჭირო და აუცილებელია შეიქმნას ახალი ხასიათის მწერლობა.

თუკი დასავლურ ავანგარდიზმში ადამიანსა და გარემოს შორის კონტაქტის დარღვევამ გამოიწვია პიროვნების სულიერი იზოლაცია, 40-იანი წლების საბჭოთა მწერლობამ კონტაქტი ადამიანთა შორის, ადამიანსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის უკვე მოწესრიგებულ ფორმად აღიარა.

კლასობრივი და სოციალური შინაარსით გატაცებამ ჩვენი მწერლობა მეორე უკიდურესობამდე — გმირის სულიერი სამყაროს გაღარიბებამდე მიიყვანა.

წარსულის კრიტიკულ გააზრებას მისი დამღვეის ცდები მოჰყვა. გაჩნდა ახალ ლიტერატურულ ატმოსფეროში გაღწევის სასიცოცხლო ამოცანა.

50-იანი წლებიდან მწერლობამ ადამიანის მიღმა არსებული ფსიქოლოგიიდან თვით ადამიანში გაღმონაცვლა.

ამრიგად, უკიდურესობანი თანხვედრანი აღმოჩნდნენ. ლირიკულმა საწყისმა ორივე შემთხვევაში ერთი მისი შეასრულა.

60-იანი წლების დასაწყისიდან ლირიკულმა პროზამ ფართო ლიტერატურული წრეები მოიცვა. მის ორ ტიპურ წარმომადგენელზე, გლეხონიქესა და გ. რჩელიშვილზე გავამახვილებთ ყურადღებას. მათ შემოქმედებაში თვალნათლივ იკვეთება ქართული ლირიკული პროზის არსებითი ნიშნები.

გურამ რჩელიშვილის ხანმოკლე მოღვაწეობა წინამორბედი ლიტერატურული ეპოქის შემოქმედებითი იმპულსებისაგან დაცილი ტენდენციითა უარყოფის გზას უკავშირდება.

მის მოთხრობებში სამშობლოს გრძნობა მხატვრული მსოფლგანცდის განმსაზღვრელ ძალადაა ქცეული.

მწერალი მტკიცე ეროვნულ ნიადაგსა და იდეალს თავისი ხალხის ისტორიულ წიაღში ხედ-

ავს, როცა ქმნის პატურ მითს უსახელო უფლისციხე გმირის შესახებ.

მოთხრობაში „უსახელო უფლისციხეში“ ერის მსტორიასთან ერთად დამარბული სულიერი საგანძურისათვის თვალის გადავლებიხსა და წარსულის სურათების გაცნობიერებულ ქმედებაში გადასვლას პროცესსა დასავლური, მწერალმა მოქმედებს ადგენილ შეგნებულად აიჩიო უფლისციხე — საქართველოს ძლიერებისა და თავისუფლების სიმბოლო.

ავტორი დიდი სიუვარულით გვიხატავს ფანტასტიკურ ხილვებში მოვლენაში უსახელო გმირის სახეს. მისი ბიოგრაფიის ფრაგმენტ ჩვენი ერის ისტორიის სიმბოლური დრამაა. მისი ბედა მთელი ერის ბედია.

„ის მტრის მწარეული იყო. როდის გახდა მწარეული, აღარ ახსოვს. მისი გონება ბუნდოვანია, მხოლოდ ის იცის, რომ მისი სამშობლო ეს არის — უფლისციხე, ხოლო ის, ვისაც ემსახურებოდა — მტერია. მტერს მისი არ ეშინია. მტერი მისი თანდასწრებით ღაპარაკობს, ადგენს გეგმებს, ის დიდხანია მთავარსარდლის მწარეულია და ენა არა აქვს, იმიტომ, რომ მოჰყვეთეს. მთავარსარდალს არ სჭირდება მტერს მსახური. ამიტომ მოჰყვეთეს ენა და ჰყავს უენო მსახური. უენომ იცის, რომ იხინი, მისი ბატონები და მისი ხალხის მტრები, საიდუმლო გზით აპირებენ ასვლას ამაღამ, იცის უენომ და თქმა არ შეუძლია. ახლა ის უფსკრულის თავზე ჰკიდია. აქ შუაგზაა. ზევით ციხეა. აქ არის მისი ხალხი, ქვევით კი უფსკრულია და დგანან მტრები და მისი ბატონები“.

„რა ენა წახდეს, ერი დაეცეს“... — ამიტომ ძალმოშეგრიობის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ენის მოჭრას მკლავის მოჭრავეს გაცლებით მიძიე შედეგები მოჰყოლია. საბედნიეროდ, უენობა უფლისციხელის მხოლოდ ფიზიკური ნაკლია. მტრის უტყვე მსახურს სძულს ის, ვისაც ემსახურება. სძულს, ვინაიდან მონისა და ერის მოღალატის სული მის სხეულში ვერ დაბუღებულა. მტრის სძულელი და ერის წინააღმდეგობის მგებლობის გრძნობა მიიყვანს მას თავისი ნებაამდე და მტერზე გამარჯვებას მოაპოვებინებს.

ერის საქმისადმი ერთგულება ადამიანის უმაღლესი დანიშნულებაა. ეროვნული თვითშეგნება კი მარად მოქმედი კატეგორიაა. მათი დაკარგვა ერის სახის სიძულვილის იარაღიკი მანიშნებელია.

მადლიერ ხალხს უცხო გმირს ვინაობის გარკვევა სურს, სურვილი სურვილად რჩება. გმირს ხელშეს, ვინაიდან ენა არა აქვს, მან არც წერა იცის.

ამ ადამიანის სახელი მატანეში არ შესულა, მაგრამ ვიცი, რომ ეს მსწერობრივი გმირია, რომელმაც ერის ტვირთი, შეძლებისდაგვარად, დღევანდლამდე ზიდა და თავის ხალხს ენა და არსებობა შეუნარჩუნა.

მოთხრობაში იტანება წარმოსახვისა და რე-

აღობის ერთ მთლიან მონოლოგად ქცევის წადილი, რომელიც თვალის გახედისთანავე საბედნიერად აღქმად და ერას გმირული წარბეჭდის ნაცვლად, ისევე უფლავს დღევანდელი ნანგრევები მოჩანს.

გურამ რჩეულიშვილას მწერლური მისიის განსაკუთრებული ამოცანა უვლავდებოდა „ალავერდობაში“ გამოხატა. მოთხრობის ლირიკულ გმირს ტეშმარტივების უზენაეს ინსტანციაში შედევნა — სამყაროში საკუთარი დანაშაულების გარკვევა სურს. იგი შინაგანად გახსნა, თავსუფალი პიროვნებაა. გურამი არ ესწრაფვის სამყაროს მისივე შინაგანი კანონზომიერებით ახსნას. მას ინტუიციური თვითშემეცობის გზით სურს ჩაწვდეს საკუთარი არსებობის სასრულობას.

„ალავერდობაში“ ინტუიციის უკვლევად კანონზომიერებად არის ქცეული. გმირი ალაშინის ველსაც კი ინტუიციით აღიქვამს „იღვაწის მთლიანი სიბნელი და ამ წყვილიაში მოჩანდა უსასრულო მინდორი, კი არ მოჩანდა, ინტუიციით ხედავდა კაცის თვალი“.

„მთელ ღამეს ზეიმობდა თავის დღეობას ჭაღლიდან თეთრი გედვიით გამოვარდნილი ალავერდი“ და ამ ზეიმში საოცარ პოეტურ ფერებში შემოაქრება ცხენზე ამხედრებული მწერლის ორეული — გურამის სახე. მას „არტახტულ არენად“ სურს აქციოს მის გარშემო ყველაფერი და მაყურებელი დაინტერესოს „ერთი მიწით, ამ წუთში ერთის ბედით. სწორედ ეს შინაგანი ინსტინქტი არტისტისა — მისცეს გარშემო ყველას ერთი ინტერესი, მიწანი — მთლიანად იპყრობს მას“.

ექსტაზში შესული გმირი ცხენს ვერ უჭერს ხელს, „იზრდება მის ჩასაყლაპად ალავერდი და მოულოდნელად, ექსტაზის გახედებისას, მას წინ ხრამად იხლიჩება მინდორი და მინდორის კიდევ ერთ მთლიან მასად აღიქვამს იგი ხალხის გაოცებულ სახეებს“.

„მასას, ძლიერ დიდს ჩვენი შემეცნებისათვის, ანდა დაუძლეველს ჩვენი ფიციკური შესაძლებლობებისათვის, ჩვენი აღიქვამთ როგორც ქაოსს, რამდენადაც ჩვენითვის ქაოსი იქცევა უსასრულობის სიმბოლოდ“.

(შელინგ, *Философия искусства*, 1966, стр. 167).

„უსასრულობის სიმბოლოდ“ წარმოუდგება „ალავერდობის“ ლირიკულ გმირს უკან დაღვენებული უსახო მასა.

რამდენიმე წამიც და გურამი ალავერდის გუმბათიდან ჭვარცმული ქრისტეს პოზაში გამოცხადება ხალხს. გმირის ეს ლეთიერი გამოცხადება აშკარად გამოხატული მესიანისტური შესატყვისა.

„ალავერდობაში“ გმირისა და ხალხის ურთიერთმიმართების მთელი სოციოლინამიკა, ემბლემატური ფორმებისაკენ სწრაფვა საგანგებო ყურადღებას იმსახურებს.

გმირის აინტერესებს, როგორ მიიღებს ხალხი მის თავბეღურ გამოწვევას. გურამი თავდაპირველად თითქოს აღწევს დასახულ მიზანს — საყოველთაო ყურადღების ცენტრში იქცევა „ალავერდობაში“ ეფექტი მთლიანი იყო. მას მოეჩვენა, რომ მიიღწია იმ საწაღელს, რომლის სახელიც, სიტყვები ალარც კი ახსოვდა. და იმავე წუთში სადღაც გაქრა მთელი მისი უსაზღვრო ვნებადქცეული სურვილი, შედგმტი გრძობისაგან დაკლებულ აზროვნებას დაუბრუნდება მოულოდნელი სიციხადე და რალაც განუზომლად ახლოებული ჩაიღვარა მის გულში“.

გმირში ქრება ამაღლებულის განცდა და „მისი ეგზოტრიკისათვის უცხო ძალა იპყრობს გუმბათის თავზე მდგომის სხეულს: ახალი, შეუცნობლად კანონზომიერი“. იგი გრძობს, რომ მიწა ეწიდება და თვითონვე უკვირს, „საიდან მოდის ეს სიცოცხლისუნარიანობა“. საბოლოოდ გურამი შიამუნებს უზენაეს ტეშმარტივებას (თუმცა, უკვე სხვის მიერ მიგნებულს), რომ აღამიანისათვის დეათებრივი ნათლისმომყვნი მისივე შემოქმედებაა.

უძველეს ესთეტიკურ წარმოდგენებსა და ბიზნესურ მითოლოგიაში თვით სამყაროს შექმნაც ხომ შემოქმედების პროცესადაა გააზრებული. აღამიანისა და ღმერთის სუბსტანციური ერთიანობა, მათი მსგავსება-თანაზიარობა შემოქმედების პროცესშია საძიებელი: „ბიზნესური კრეაციის შემდეგ ე. ი. მას შემდეგ, რაც ღმერთმა დაასრულა თავისი შესაქმნე, შემოქმედებას აგრძელებს აღამიანი, ამიტომ სამყაროს მიწანი — საბოლოო მიწანი — აღამიანი“ (რ. სირამე, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, 1978, გვ. 188).

მასხვი კითხვავ, თუ რაში მდგომარეობს აღამიანის დანიშნულება, გმირს ნაპოვნი აქვს — „ვინმის სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებული ტაბობაში“, ხოლო „მის ფეხებზე მდგას ალავერდი, სხვისი გრანდიოზული ვნებისაგან შექმნილი, თვითონ კი გუმბათის თავზე შერჩენილს ეღიშება, ისე უაზროდ ეჩვენება აქ ყოფნა“.

1967-68 წლების „ლიტერატურისა და ხელოვნების ფურცლებზე“ მიმდინარეობდა ვრცელი დისკუსია ლირიკული პროზის რაობის საკითხებთან დაკავშირებით. დისკუსიის მიზანს, ძირითადად, 80-იანი წლების რუსული და საბჭოთა ლირიკული პროზის იდეურ-მხატვრული მიმოხილვა შეადგენდა და ნაკლებად იყო გათვალისწინებული მისი ლიტერატურული თეორიული ასპექტები.

ლირიკული პროზის განვითარებას 80-იანი წლების რუსულ მწერლობაში სოფლის თემატიკის დამკვიდრებას უკავშირებენ. ლიტერატურულ კრიტიკაში მიღებული თვალსაზრისის თანახმად, რუსული ლირიკული პროზა პატრიარქალური სოფლის წიაღიდანაა ამოწმული, ხალაყ

ზაბას გომიბა

ლირიკული პროზის გმირი

სრულად არ შექრილა თანამედროვე ცივილიზაციის ფორმებში.

ამგვარ მწერლობაში ლიტერატურული გმირისა და სოციალურ სისტემაში მოქმედი ფაქტორების ურთიერთშეხების შესაძლებლობანი თითქმის უგულვებელყოფილია. გმირისათვის სოციალური და ზნეობრივი ტოლფარდ, იგივეობრივ კატეგორიებს წარმოადგენს. რუსულ ლირიკულ პროზაში ჩნდება თვითნაბი, ე. წ. „ავტოგენური“ გმირები, რომლებიც სახელმწიფოებრივ, სოციალურს ემსახურებიან იმდენად, რამდენადაც ზნეობა სოციალური ძალაა. მსგავსი პერსონაჟები, ჩვეულებრივ, მორალის, კანონებით ცხოვრობენ, ავტორისეული ძიებაში კი გმირის თვითძიების პროცესშია ფოკუსირებული.

ამგვარად, იკვრება მოქალაქეობითი წრე, სადაც მიამბობ სოფლელი გლეხის იზოლირება მის ზნეობრივ ასპექტში აღქმის ამოცანას ემსახურება.

ქართული ლირიკული პროზის საკითხებზე საუბრისას, თემატური დიფერენციაციის პრინციპით არ გვიხელმძღვანელობს. თემატიკა მცდარ ორიენტორად მიგვაჩინა, რადგან თემატური და შინაარსობრივი საკითხებისაკენ სწრაფვის გზა ერთგვარად ჩრდილავს აღნიშნულ პერსონაჟის ლიტერატურული ევოლუციის ზოგად სურათს. თუმცა, ქართულ ლირიკულ პროზაში გვხვდება მეტ-ნაკლებად პოპულარული თემები. საქართველოში, ისტორიული ყოფიდან გამომდინარე, შეიმჩნევა მწერლობის მიერ სოფლის თემატიკაზე ორიენტირების საკმაოდ ღრმა ტენდენცია. სოფლის წიაღიდანაა ამოწმადილი გ. ლეონიძის „ნატურის ხე“.

ქართული ლირიკული პროზის ამ შედეგში რამდენი გმირიცაა, იმდენი ეროვნული სატიკიცაა.

„ეს პატარა წიგნი ჩემი ყრმობის მოგონებანია, მაშინდელი დანახული, განცდილი ქართულ სოფელში.“

მინდა მკითხველს გავუწილაო, როგორც სახილდ ტაბაკი თუ ხახალი და მით ჩემი ბავშვობის მოგონების ხილი მივუწილაო.

კი არ უნდა ვწერდე, ყვაილებით უნდა ვწნავდე, ჩემი ქვეყნის ყვაილებით უნდა ვესვოდდე ამ წიგნის კაბადონებს. შიგ ჩემი ცისა და მიწის ღიმილია ჩართული, შიგ ჩემი ყრმობის სუნთქვა“.

ამ სულისშემძვრელი პოეტური ავტოგრაფით იწყებს მწერალი თხრობას. წიგნი თავიდან ბოლომდე მწერლის მეხსიერებაში არეკლილი ბავშვობის, მისი სისხლმორცეული ტკივილისა თუ სიხარულის გამოძახილია. ავტორი ეკრანული სივრცით გვიჩვენებს „ყაჟაოგარეული ყვაივლებით“, „მზით ამოხვებული თავთავებით“ და „ჩქაგალადებული ვაშებით“, „ივრის ბროდანამსვრევი, დაიხფრებული ზვირთებით“ და „მოქოთქათე, ღიმილიანი მთვარით“ სხივმოსილი ქართული სოფლის კოლორიტულ სურათებს.

„ნატურის ხის“ გმირთა სამყარო საუბრის ბოლოპირი ცხოვრების საერთო მდინარეებზედ ამოვარდნილი იზოლირებული პატარა სოფლებში მასში გარკვეული ეთიკურ-მორალური, საზოგადოებრივი და იურიდიული კანონები მოქმედებს. ლეონიძისეული მიეროსამყარო, საერთო მნიშვნის მიხედვით, იმ ერთიანი პროცესის კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენს, რომელიც ილია ჭავჭავაძე წერდა:

„უველს, ვისაც კი უცხოვრია მდამიო ხალხში, ეცოდინება, რომ ხალხს თავისი საკუთარი ეკონომიური წესწყობილება და იურიდიული ჩვეულებანი აქვს, რომლითაც ხელმძღვანელობს, როცა საჭიროება ამას მოითხოვს. მამულის გაყიდვა და დაგირავება, ერთ-ერთს შორის აღებ-მიცემა, სხვადასხვა მცირე დანაშაულის გასამართლება და ათასი ამგვარი მოვლენა სულ ხალხის ადათგა დაფუძნებული“ (ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 4. 11. 1941 წ. გვ. 502).

„ნატურის ხე“-ში საინტერესოდ არის დახატული საკუთარი მიზანდასახულობის სისწორეში დარქმუნებული ელიოზის სახე. „ნაწი სულის აღამიანი იყო ელიოზი და თან ცხარე შეოცნებე, ცხოვრების სისასტიკეს მის სულში ვერ ჩაქრო ოცნების ნაპერწყალი და თავისივე შეთხზული უცნაური ოცნებებით იფარავდა თავს მხეცივით შემოტეული სინამდვილისაგან“.

ელიოზი ვადარჩენის გზას თავის მიერ გამოგონილ ფანტასტიურ მიზნებში ხედვას. იგი ჭერ ოქროსვერცხისდებულ ქათამს დაეძებს, შედუმს ნათელთევას დაქვერის სურვილი აკვირება და ბოლოს სანუჯარი ოცნების ხის ძიებას შეეწირება.

ტრაგიკულია ელიოზის აღსასრული, ტრაგიკულია მისი წვერილშვილიანი ოჯახის ბედიც, რომელმაც ერთადერთი მარჩინალი დამპყარა. მიუხედავად ამისა, სიკვდილი ელიოზისათვის ერთადერთი ლოგიკური გამოსავალია, ვინაიდან გმირის შემდგომი არსებობა რწმენის გარდუვალი დაკარგვისა და სულიერი სიკვდილის გამოსახტულებად იქცევა. მისი სამოქმედო ასპარეზი ვიწროა. სიდატაკედ და შიმშილია ელიოზის მუდმივი თანამგზავრი, ამდენად — დამღვეის მოიქტიცი. ამისდა მიუხედავად, „ნატურის ხის“ გმირი იმ აღამინათა რიცხვს არ განეკუთვნება, უბრალო ცხოვრებისეული მოთხოვნებით რომ ემკაცოფილდებინა. ელიოზი, შეცნობრილ აქვს რამქვეყნიური ცხოვრების ამოება, ილუზორში ეძიებს თავშესაფარს. მისი მიზანი „ტურფად ავვავებული“ ჭადონური ხის — მარადიული ბედნიერების პოვნაა. მიზანი პრაქტიკულად განუზოორცილებელია. ერთ ქარქაში ორი ხმალი არ ჩაეგება. რომელიმე უნდა დაილუმს — იდეა ან მისი მატარებელი. ილუბება უკანასკნელი.

ელიოზს გარკვეული ტიპოლოგიური ნათესაობა აკავშირებს „ნატურის ხის“ არანაკლებ საინტერესო გმირ — ფუფალასთან. თუ ელიოზი

იმედის თვლით მომავალ შედეგებს, ფუფა-
ლა გამოგონილი წარსულით სულდგმულობს.

ნოველაში („ფუფალა“) ავტორი განწყობასა
და მხატვრულ ფონს თხრობის დაწყებისთანავე
ქმნის:

„შეათათვე... მზის პირას მდუმარედ იღვწენ
ამრეშებელი უანები, თავდაწნიქილი თავთავები
ფხიან ნაშვალს უციდენენ. ნიავი საღდაც ვახიზ-
ნულიყო. გზა დახეთქილი, მტკრიანი... ირგვლივ
მხოლოდ სევდა და თვლენია...“

ბუნების სევდიანი, მდუმარე სურათი გმირ-
თან შესახვედრად გვაშვადებს, რომელმაც წა-
მ წაშვე უნდა შემოაბიჯოს კადრში. და აი, ის-
იცა — „შარაზე გამორჩნდა მარტოღობა ბერი-
ქლა, არსაფერისად ეცვა, სხვადასხვა მხიარული,
ქუეტილა ნაჭრებისაგან შეკერილი კაბა. ცალი
ხელით მოძველო ქოლგა ეჭირა, მეორეთი კრე-
ლი ბოხნა. ძველებური შავი თათმანი ეცვა ხელთ
და აღამის ხნის დაგლეჯილი, მაღალქუსლი-
ანი, ჩაღლილი, ყელიანი ფეხსაცმელი და მო-
მეტვრელი, შუაზე გადაჩხილი ქუსლი ძალზე
აწვალბდა. მოქანცული, შეოფლიანებული გმი-
ნავდა, შეწუხებული ცალკე სიცხით, ცალკე უხ-
ერხული ფეხსაცმლით, ცალკე თავისი მწარე ბე-
ლით!“

ფუფალა გავრცელებული სახეა.

ჩხოვის ერთი მოთხრობის („მრუდე სარკე“)
გმირი — უწნო გარეგნობის ქალი წინაპართა მი-
ერ მიტოვებულ ძველ სახლში სარკეს ნახავს.
სარკე დეფექტურია, იგი ამახინჯებს აღამიანს
(ნივთი ჭერ კიდევ ქალის მეუღლის ბებია შე-
უძენია და სიკვდილამდე გულედინა არ მოუცი-
ლებია. მას სარკის საფლავეში ჩაბანებაც კი მო-
უთხოვია, მაგრამ თხოვნა ვერ შეუსრულებიათ,
ვინაიდან იგი კუბოში არ ჩატეულა). მოთხრობ-
ის გმირი სარკეში ჩახედვისთანავე გონებას კარ-
გავს. ამ დღიდან მას მძიმე დეპრესია იპყრო-
ბს და თვალწინ მხოლოდ ის სარკე უდგას. სარ-
კის მოტანა და მისი გაწყურება ერთია.

თურმე სარკის ჯადოსნური მიწოდულობის ძა-
ლს მისხავე დეფექტშია, რომელმაც ქალის გა-
რეგნული დეფექტები გააწონასწორა და არაჩვე-
ულებრივად ლამაზი გამოაჩინა.

აქედან მოყოლებული ქალის ხარვეზება ძი-
რულად იცვლება. სარკეში დანახული ილუზია
იქცევა მისთვის ტეშმარით რეალობად, ხოლო
ის, რასაც სხვები ხედავენ, გამრუდებულ სარკედ.
„უველა ცრუობს ამ სარკის გარდა“ — ამბობს
გმირი.

ფუფალას სახეში ანალოგიური ქცევის ტიპს
ვხვართ. აღამიანი აღვივალ იჭრებს მას, რაც
არა აქვს და უნდა რომ ჰქონდეს. ამიტომაც
ფუფალა თვითდამშვიდებას სხვა სამყაროში ეძ-
ებს, რომელიც გარემომცველთათვის უცხო და
მიუღებელია. ფუფალას სიგიჟეში ეჭვი გვგპარ-
ება, ე. ი. მის გულწრფელობაშიც, მარტოა გიჟია
იგი თუ სიგიჟე მისივე გამოგონილია და შე-

გუებისა და გადარჩენის ინსტიქტებს უაჭე-
რდება?

სიგიჟეში დაქვევების მთავარი მიზეზია ფუფა-
ლას არტიტულობა. იგი კომედიანტია. ფუფა-
ლა იმ მსახიობსა ჰგავს, რომელსაც სცენის გარ-
ეშე არსებობა არ შეუძლია. ასეთი აღამიანები,
ჩვეულებრივ, ცხოვრებაშიც თეატრალური არი-
ან. ფუფალა ტრაგიკულ გმირს განასახიერებს,
რომლის სიყალბეს (თუკი მსახიობის თამაშს შე-
იძლება სიყალბე ეწოდოს), თანასოფელიები
ეციდებიან არა როგორც სიყალბეს, არამედ
მასში გარკვეულ სინამდვილეს ჰვრტენ.

ერთ-ერთი სოფელი დედაკაცის მიერ მისი
საიდუმლოების გაშვლას, რომ შიოლა არასოდეს
არსებულა და არც ფუფალას წამლები უნახავს
არავის, ხალხის საოცარი რეაქცია მოსდევს. ეს
არის წლებს განმავლობაში განმტკიცებული
მითის ნგრევით გამოწვეული განცვიფრებისა
და აღშოკების რეაქცია.

ამ დროს კი „ფუფალა მიმწარდა იქვე ორღო-
ბის მოსახვევში თავის ქოლგით, ბოხითა და
თქვესხენატპირანი კაბით. მიდიოდა პურტუშმელი,
დახევილი, მოთუქული, დაქოლვილი, ნაწამე-
ბი და არ იცოდა, რომ უკვე გაცემული იყო
ყველა მისი დიდი საიდუმლოება, რომ ხვალედ-
ან უკვე შვადლებოდა მისთვის ახალი გოლგო-
თა ახალი ჯვარცმით...“

„ნატვის ხე“ — ში გმირთა მიერ სამყაროში
ორიენტირების პრინციპი მორალური არჩევანის
გადაპარბეზულ, უპიღურეობამდე მისულ თა-
ვის ბუნებაში გამოიხატა.

ნაწარმოებში საინტერესოაა გაშუქებული
ციციკორებსა და იორამის ურთიერთდაპირისპი-
რებული ხასიათები.

იორამი ანარქიის სახე-სიმბოლოა.

იგი ქვეყნის ხსნას ომსა და ნგრევაში ხედავს
და შვად არის პირველმა მიიღოს ბრძოლა „კა-
ციკორიობის განთავისუფლებებისათვის“. იორამ-
ის ბუნება აქტიური საწყისებს ეყრდნობა. მას
უნაწვდრო სიხარულსა გვრის „ივრის დვარცო-
ფი, მდინარის დაუტევრობა, მისი განიერი ფრთე-
ბი, დელგმა და ზათქი“. „ივრის აურილი ფა-
ფარი“ იორამს მოძრობის, ბრძოლისა და ქაო-
სის სიმბოლოდ ენახება. მისი ურბანისტული მა-
ქსიმილიზმი ყოველივე ძველის, პატრიარქალუ-
რის მოსპობისა და ხელყოფის სურვილში მო-
ულობს გამოიხატის.

იორამის მაქსიმილისტურ ლოგოკას ერთგვა-
რად უპირისპირდება ციციკორეს ფსევდოწენ-
ობრივი კონსერვატიზმი.

ციციკორეს „სოფლის მერჭულის“, მისი „გა-
ნმგებლისა და მეუფროსის“ სახელი აქვს გავარ-
დნილი. მას სოფლის წნეობის მოვლა-პატრონო-
ბა დვითი ბოძებულ მოვალეობად მიაჩნია.

ზანა ზონიძე

ლირიკული პროზის გმირი

„უშისორ ციციკორეს მხოლოდ ერთის შიში მქონდა, — შიში უწესობისა, ამიტომაც იყო, რომ ყველას მწყემსავდა, მშობღვრიდა. გარჯულა უყვარდა, უფრო დედაკაცებისა. — დედაკაცს და ცენეს ნება რომ მისცე, სტამბოლს გადაცივდიანო! — თავჩაღუნულ, უშთაგონებო აღამიანს რომ დაინახავდა, დაუტატანებდა: — რას ჩასტყერი მიწას, შე დალოცვილო? მიწაში ჩადებხასაც მოესწრები! ცას შეშხედე, მწეს შეშხედე, ღვთის მოცემულს, გაიხარე, ღვთისნიერო!“

სინამდვილეში, „შიში უწესობისა“ მეორე, უფრო დიდი შიშიდან გამომდინარეობს. ეს არის შიში უოველგვარი სიახლისა. ციციკორე ძველის, პატრიარქალურის საფუძველს სოფლის წნეობაში ხედავს. მისთვის წნეობას უტილიტარული დანიშნულება აქვს. ციციკორესათვის იგი ფასეულია იმდენად, რამდენადაც წნეობრიობის ნიღაბი მისთვის ძალაუფლების შენარჩუნების საშუალებაა.

გმიირის სახე გორებულა. ერთია სოფლის „მერჯულე“ და მოკირანახული, მეორე — დესპოტი, მშვენიერებისა და ამაღლებულის მესაფლავე. მართლაც, ციციკორე იმ არაღამიანურ სასხვავროში მთავარი მოქმედი პირი, რომელიც მართებს. სიღამაზისა და სიყვარულის ამ ღვთაებრივ სიმბოლოს, სახედისწერო განაჩენს გამოუტანს:

„პერაჯე ქალი უკულმა შეესვათ ვირზე...
ახლაც მაგონდება იმ ქალის კუნთების თრთოლვა. ეტუბოზადა სცოლდა და სტკიოდა, სტხელოდა და იგმირებოდა. ალბათ, ენატრებოდა სიყვდილი, მაგჭამ სიკვდილი არხად ჩანდა და მისი ტანჯვა ძნელი იყო, ვითარცა სიკვდილი!
იმჟამს იგი ათქერ მოკვდა და ათქერ ძალით აცოცხლებდნენ...“

...მომყავდათ ხოფლის წამებული, თითქოს დედაფალი მომყავდათო, და მთელი სოფელი მისი ამაღა გამბდარყო.

თრთოლდენ ქალის ანგელოზური მხტები და ბროო კი ტალახსა და საქონლის ფუნას ესროდა თითო პერანაზე, რომელსაც თანდათან თავისი ფერი ექარგებოდა.“

ამ საშიშელი დღის შემდეგ მართა „სულ მალე უთქმელი სევდიო გადავიდა ეთერის ქვეყანაში“.

მოდლა სოფელმა იგრძნო თავისი „ნაპირუტყვალი“, მხოლოდ ციციკორე იღვა „ამაყი და დამარული“ და თვითონვე უქვირდა საკუთარი გავლენა და ძლიერება.

ციციკორე ტირანია და როგორც უოველი ტირანის, მისი შიშანიც ძალაუფლების საკუთარ კუთხეში მოქცევია. მიწის განხორციელების საშუალებას იგი თანახოფელდლა მორალური თავისუფლების

შეზღუდვაში ხედავს. ამგვარი შეზღუდვა კი მისივე დამთრგუნავი საწყისების აღმოცენების წყაროა.

ციციკორეს მარცხი საკუთარი უძლეულების შეგნებაში განაპირობა. ქალაქიდან ჩამოსულმა ახალი დროის კაცმა ერთის დაკვრით მოსპო მისი „მეკრებელმა“, ციციკორემ იგრძნო, რომ მძველი ცხოვრება წახულა და ახალი ცხოვრების ხოლ დაეტაა შედ შეკრულე“. იგი პირველად აღმოჩნდა საშიშელი სინამდვილის პირისპირ, რომელიც მის ძლიერებას წარღვნით ემუქრებოდა.

გაორგვი ლენინების ლირიკულ მოთხრობათა ამ პატარა კრებულში გადმოცემულია ჩვენი ხალხის მარცხი ისტორიულად შემუშავებული კულტურული ცხოვრებას, ფსიქოლოგიური წყობისა და მისი წინაჩვეულებების ამსახველი სურათები. მწერალმა თავის მშობლიური სოფლის — პატარაქულას და მის მკვდრთა ცხოვრების იხითი კუთხით გაშუთების გზა აირჩია, საიდანაც უკეთ დაგვანახება საკუთარი ბიოგრაფიული და სულიერი ევოლუციის ყველაზე ნათელ და საინტერესო ეტაპს — ბავშვობას, იმ წრესა და აღამიანებს, რომელთა გარემოცვაშიც მოხდა მისი პოეტური ნათლობა.

ჩვენ მხოლოდ ორი მწერლის შემოქმედების არასრული მიმოხილვით შემოვიფარგლეთ. მათ ფონზე ვეცადეთ, შეძლებისდაგვარად, წარმოგვეჩინა ლირიკული პროზის, როგორც 50-60-იანი წლების ქართული მწერლობის მნიშვნელოვანი რგოლის, აზრობრივ-მსოფლმხედველობრივი კონტურები.

ლირიკული და ეპიკური პროზის დაპირისპირებისას, მათ შორის ჩინური კედლის აღმართვა ჩვენს ამოცანას არ შეადგენდა (ამგვარი ნორმირება პრაქტიკულადაც შეუძლებელია).

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ანალიზის ლირიკული კონსტატაციით შეცვლამ ქართული ლირიკული პროზა 60-70-იანი წლების მიჯნაზე თვითამოწურვის საშიშროებაში მიიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ ხანის, მოვლენისა, და მათ შორის, აღამიანის ლირიკული თვალთახედვა ყოველთვის საკმარისი არ აღმოჩნდა დრამატული კონფლიქტების გასაშფოთლად, ჩვენ მინც ვერ გავიზარებთ უარყოფით თვალსაზრისს ამგვარი ლირიკული პროზის შესახებ, „სადაც ლირიკული მსოფლგანცდა არსებითი სააზროვნო ფორმა გამხდარა“. ვერ გავიზარებთ იმდენად, რამდენადაც მასში ნაკლებადაა ჩანს იმ ფონისა და კონტექსტის გავთვლისწინება, რომელშიც იგი წარმოიშვა, როგორც ანტითეა, რეაქცია, უარყოფა წინამორბედი ეპოქის მბატრული სტილისა და კონცეფციისა.



რევაზ თვარაძე

სოფელი და ზესთასოფელი

იმ უპაძტს, რომ საქართველო მეოთხე საუკუნის დასაწყისიდანვე ქრისტიანული კულტურის ორბიტაში მოექცა, განუწოზომლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერის სულიერი ფორმირებისთვის. საიმდროოდაც, ადრეულ შუა საუკუნეებშიც, და შემდგომშიც, მრავალი საუკუნის მანძილზე, არც ევროპასა და არც აზიაში არ არსებულა სხვა მოძღვრება, რომელიც შეძლებდა კულტურული განვითარების მხრივ ქრისტიანობის ბადალი სტამბული მიცეა ხალხებისთვის.

ეს თითქოსდა მარტივი ჭეშმარიტება დღემდე არ არის ბოლომდე რიგიანად გააზრებული. არცთუ იშვიათად გამოითქმის რეალურ საფუძველს მოკლებული მოსაზრება, რომლის თანახმადაც ქართველი კაცი თავისი ბუნებით წარმართულ მსოფლგაგებას უფრო ეგუებოდა, ქრისტიანული მსოფლგაგება მისთვის უცხო იყო და ამიტომ დასანანიც კი არის, რომ საქართველოში წარმართული კულტურა ქრისტიანულით შეიცვალაო. ამგვარი აზრის გამოთქვა — ქართული რენესანსი ქართული წარმართობის აღორძინება იყო.

ქართული წარმართული კულტურის შესწავლა გვიან დაიწყო და ამიტომ დღესდღეობით მის შესახებ ერთბაშად ზოგადი წარმოდგენა შეგვიძლია გვექონდეს. მიუხედავად ამისა, რაც ვიცით, ისიც სავსებით საკმარისია საიმისოდ, რათა გულდაჩერებულად ითქვას: ეს იყო საკმაოდ განვითარებული კულტურა, რომლის მატარებელი ერი იმდროინდელი მსოფლიოს სხვა დაწინაურებულ ერთა შორის მოიხსენიებოდა და დღესაც თამამად მოიხსენიება. მაგრამ თავისთავად ეს ამბავი სრულებითაც არ ნიშნავს, თითქოს ქართული კულტურა ქრისტიანობის მიუღებლადაც შეძლებდა ქვეყნული იმ მასშტაბის, დიპლომატიისა და იმგვარი პერსპექტივის მქონედ, როგორაც

იქცა იგი ქრისტიანულ ორბიტაში მოხვედრის შემდეგ. აღარაფერს ვამბობ იმის თაობაზე, რომ ქართული წარმართული სულიკვეთების აღორძინება ევრასტოზე შექმნიდა იმგვარ სულიერ ატმოსფეროს, რომელშიც შესაძლებელი გახდებოდა „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსი ქმნილების აღმოცენება. ამ შემთხვევაში ევროპული რენესანსის ანალოგია საკმარის საბუთად არ გამოადგება: ჭერ ერთი, ევროპულ ჭვეუნებს ნიშნულად, ასაღორძინებლად მოეპოვებოდათ ქართულ წარმართულ კულტურაზე განუწოზომლად აღმატებული მოვლენა — ანტიკური საბერძნეთისა და რომის იგავიუწვდენელი კულტურა; ესეც არ იყოს, თავად ევროპული რენესანსი ვერც განხორციელდებოდა, წინარე საუკუნეთა დიდად განვითარებული ქრისტიანული კულტურა რომ არ არსებულყო და, საერთოდ, რენესანსის ეპოქასაც ისევე რომ შეექცია ზურგი ქრისტიანობისთვის, როგორც უფრო მოგვიანებით მოხდა ეს ამბავი.

ამ საკითხებზე ცოტათი უფრო დავწრილებით იმიტომაც არის აუცილებელი საუბარი, რომ ერთხელ კიდევ გაეხვას ხაზი შემდეგ გარემოებას: ვერც ერთი ხალხი, ვერც ერთი ეპოქა ვერ შექმნის ჭეშმარიტად ღირებულ კულტურულ ფასეულობებს, თუკი შესატყვისი მსოფლმხედველობრივი საფუძველი არ გააჩნია. ადრეულ ეპოქებში ამგვარი მსოფლმხედველობრივი საფუძველი, როგორც წინს, რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძღვრებათა წიაღში იქმნებოდა (უძველესი ინდური კულტურის მსოფლმხედველობრივი საფუძველი ვედურ-ბრაჰმანულ რელიგიაში მიიკვლევება, ანტიკური ბერძნული კულტურისა — ძველბერძნულ მითოსსა და ფილოსოფიაში, შუა საუკუნეთა არაბულ-სპარსული კულტურებისა — ილაშხსა და სუფიზმში და ასე შემდეგ).



ამ ასპექტით თუ განვიხილავთ მოვლენებს, მკაცრი და თანმიმდევრული მსჯელობისას უტყველად უნდა დავაცნათ, რომ არც ქართულ მითოსს, არც ეკრპათუყანისმცემლობას, არც ქართველთა წინაპრების საცხოვრისიდან წამოყოლილ მნათობთა თყუანისცემას და არც მეზობელი სპარსეთიდან თავსმომხვეულ მაზდეანობას, ესე იგი ქართული წარმართული კულტურის მსოფლმხედველობრივი საფუძვლის პრეტენზიის მქონე არც ერთ ამ მოძღვრებას არ ძალედა ეტვირთა ის როლი, ქრისტიანობამ რომ შეასრულა კულტურული აღმავლობის ასპარეზზე.

მართალია, ქართული მითოსის ჩვენამდე მოღწეული ნაშუსრევებიც კი გვიდასტურებენ, რომ მისი სახით ბერძნულ მითებზე არანაკლებ საფულისხმო მოვლენასთან უნდა გვეწონოდა საქმე; მართალია, ამ მითოსისებულ მსოფლმხედველასა და სამყაროს მოდელს ოფიციალური ქრისტიანობის წინაშე ჰქონდა ერთი დიდი უპირატესობა — ადამიანის დასახვა მთელი ხილული და ხულიერი სინამდვილის, ქვესკელ-ზესკელის მარმონულ მთლიანობად მოაზრებულ სამყაროს მოუკვეთელ, განუშორებელ ნაწილად და, ამდენად, სამყაროულ მარმონაზი მისთვის ადგილის მიჩნევა; მაგრამ, შედარებას რომ მივმართო, ეს ისეთივე უპირატესობა იყო, როგორც ბუნებას შერწყმულ ცხოველს აქვს თუნდაც ბუნებისგან გამომიჯნული და მისდამი დაპირისპირებული ადამიანის წინაშე: ამგვარი მთლიანობა, ამგვარი მარმონა უნდა დაირღვეს, რათა შემდგომში გამოვლინდეს ახალ, განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე. პლატონის ნააზრევებიც ზომ შემოსრა და განირღვა მითოსის მიერ მთლიანობად, მარმონად დასახული სამყარო, რათა ამ მთლიანობისა და მარმონის ფილოსოფიურად დასახუთებული გზა დასახულიყო (სხვა საკითხია, ვის როგორად მიაჩნდა პლატონის ეს ცდა — წარმატებულად თუ წარუმატებლად).

ქრისტიანული კულტურის ორბიტაში მოქცევა ნიშნავდა იმ მსოფლმხედველობრივ საწყისთა გაზიარებას, რომლებსაც ემყარებოდა ეს კულტურა. გარნა ეს მსოფლმხედველობრივი საწყისები სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად იყო გაგებული საკუთრივ ქრისტიანობის წილშივე. ძველი და ახალი აღთქმის შემქმნელთა თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც სამყარო საიმიოლად არის გაჩენილი, რათა ყოველ არსს, და მათ შორის ადამიანს, თავისი ქმედების მეშვეობით შინაგან იმპულსთა მაქსიმალურად გამოვლინებისა და განვითარების შესაძლებლობა მიეცეს, ადრეულ საუკუნეებშივე მიერთო, ფაქტურად დაუპირისპირდა შეხედულება, რომლის მიხედვითაც სამყარო აჩრდილად, ოდენ ფუჭი

მწრაფლწარმავლობის ასპარეზად, ბოლოს მკობროტების სადგურადაც იქნა დასახული. დედალი უფსკრულით გაითიშა, ერთი მხრივ, დვთაბრივი, ტრანსცენდენტური, ხილული რეალობის მიღმა მყოფი და, მეორე მხრივ, მატერიალური, ხილული, ემპირიული, ანუ, როგორც მარჯვედ უწოდებდნენ ძველ საქართველოში, ერთი მხრივ ზესთასოფელი და მეორე მხრივ — სოფელი.

ეს შეხედულება ქრისტიანობის წიაღში დამკვიდრდა საკუთრივ ქრისტიანობის საფუძველთა მცდარად გაგების ნიადაგზე. მაგრამ მის დამკვიდრებას სხვა მსოფლმხედველობრივი ფაქტორებმაც დიდად შეუწყის ხელი. ამ ფაქტორთაგან უწინარეს ყოვლისა მოსახსენიებელია პლატონის მოძღვრების ცალმხრივი გააზრება (რასაც ამ მოძღვრების არისტოტელესებულმა კრიტიკამ მისცა დასახვა და შემდგომი ერთობ დიდი ხნის ნაწილზე ხაზნულ საქმედ აქცია „წმინდა“ პლატონამდე აღსვლა), აგრეთვე მანიქეველთა დუალიზმისა და ნეოპლატონელთა ემოციური პესიმიზმის გავლენა.

სოფლისა და ზესთასოფლის გადაულახავი უფსკრულით გაითიშა, მათი შეურიგებელი დაპირისპირება ყოველ ქრისტიანულ ქვეყანაში იყო ძირითადი მიზანი იმ სააზროვნო და კულტურული კრიზისისა, რომლის შედეგებიც გაცილებით უფრო გვიანდელ ხანაშიც იჩინდა თავს და თვით ჩვენს ეპოქაშიც არ არის ყველგან ძლიელი. ამ კრიზისის გამოვლინება იყო ეკლესიის მიერ კულტურული საქმიანობის მკაცრი რეგლამენტაცია, რაც, კულტურის სხვა დარგებთან ერთად, მწერლობასაც თავის დაღს აჩნევდა, რადგან მთლიანი სამყაროსა და მთლიანი ადამიანის იდეალის გარეშე ძნელი წარმოსადგენია როგორც საერთოდ კულტურული აღმავლობა, ისე, ეკრძოდ, ლიტერატურის სრულყოფილი განვითარება. უწინარეს ყოვლისა სწორედ მთლიანობისადმი ამგვარი სწრაფვა განსაზღვრავდა, მაგალითად, რენესანსის ეპოქას, როდესაც მთლიანი სამყაროსა და მთლიანი ადამიანის ანტიკური იდეალი, საუკუნეთა განმავლობაში დაკარგული და თითქმის მივიწყებულიც, ახალ საფეხურზე წარმოისახა.

ყოველივე შემოთქმულიდან ის დასკვნა უნდა გამოვტანოთ, რომ სოფლისა და ზესთასოფლის მიმართება იყო შუა საუკუნეთა კულტურას (ეკრძოდ, მწერლობის) უმთავრესი მსოფლმხედველობრივი საკითხი, ხოლო ეს, თავის მხრივ, ნიშნავს შემდეგს: ამ საკითხის საკულდაგულოდ გამოუძიებლად ერთობ ქირს აღნიშნულ საუკუნეთა ქართული კულტურის (ეკრძოდ, მწერლობის) არსების ბოლომდე წვდომა.

მაშასადამე ისდა დაგვრჩენია, ჩავუღრმავდეთ საკითხს, თუ რა არის სოფელი და ზესთასოფელი და რაგვარად ისახება მათი მიმართება გარდასულ საუკუნეთა ნააზრევში.

გილგამეშიდან პითაგორამდე

1

ვილაცამ იანგარია: დედამიწის არსებობის მიზიარდობით წლები ერთ დღე-ღამედ რომ წარმოვიდგინოთ, მაშინ კაცობრიობის კულტურული ცხოვრების ხანა რამდენსამე წამს შეადგენსო მხოლოდ.

მარადისობის თვალთა წინაშე მოაზროვნე კაცის ჩამოყალიბებიდან გასული დრო მართლაც წამიერი გაელვებაა. და ერთ-ერთი პირველი, რაც ამ წამთა მანძილზე კაცმა გაიარა, ის იყო, რომ მისი სიცოცხლეც, მისი გარემომცველი სინამდვილეც, უოველივე ხილულიც მსწრაფლ-წარმავალი და სინამარვით განქარვებადი უოფილა — წუთისმოფილი, სწუთისმო.

არავინ იცის და ვერც ვერასოდეს შეიტყობს ვინმე, თუ სად, ქვეყნიერების რომელ მხარეში აღსრულდა პირველად ეს ამბავი. ვის დაებადა პირველად ამგვარი აზრი. ერთადერთი ის არის ცნობილი, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულში, უფრო ადრინდელი წყაროებისა და ლეგენდების საფუძველზე, შეიქმნა არსებობის რაობის, სიცოცხლის წარმავლობის, სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული პრობლემა-სადმი მიძღვნილი ძეგლი — გილგამეშის ეპოსი. ეს მოხდა შუამდინარეთში, იმ ქვეყანაში, რომლის კულტურა, ეგვიპტურ და ინდურ კულტურებთან ერთად, ძველთუძველესობის სახელს იჩემებს დღესდღეობით ცნობილთაგან (მოკლედ ზომ გამოიცა ამგვარი სათაურით — ისტორია შუმერში იწყება).

ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულში შეიქმნა გილგამეშის ეპოსი. მაგრამ რაკი უფრო ადრინდელ, უძველეს წყაროებს ემყარებოდა, ცხადი უნდა იყოს, რომ მასში აღძრული პრობლემები ამ ძეგლის შექმნამდე დიდი ხნით არარტე აწვადებდა აღამიანს.

პრობლემის არსება ამგვარად ჩამოყალიბდა: „აუცდენელია მრისხანე სიკვდილი. განა სამუდამოდ ვაშენებთ სახლებს? განა სამუდამოდ ირტყმის ბეჭედი? განა სამუდამოდ იყრებიან ძმები? განა სამუდამოდ მძულვარებენ მტრები? განა სამუდამოდ დიდდება წყალი ნიაღვრის მომტანი? განა სამუდამოდ პარკშია ჭია? სახე მჭვრეტელი წინაშე მზისა სამარადისოდ არ არსებულა“¹.

მაშასადამე სამარადისო არაფერია მზისქვეშეთში, უოველივე ცვალებადია, წარმავალი, მსწრაფლწარმავალი. თვად გილგამეში ამ საკითხს განსაკუთრებით მაშინ ჩაუღრმავდა, როდესაც მისი ძმობილი ენიქლუ „ბედს კაცთა

არწუნა გილგამეში:

მეც ხომ მოკვდები, ვით მოკვდა ენიქლუ! მეგანში სევედა შემეპარა.

სიკვდილს შევეშინდი, ველად ვეხეტები... ვით მოვისვენო, ანუ ვით დავდუმდე!

ძმობილი, ვინც მიყვარდა, მიწად გარდიქცა.

ნუთუ მის მსგავსად მეც დავიძინებ და ვერასოდეს ვეღარ აღვდგები?

ამ წარდამცემი საკითხის წინაშე რომ წარდგება კაცი, ორგვარი დასკვნის გამოტანა შეუძლია (ასეა დღეს და ასე იყო ამ რამდენიმე ათასი წლის წინათაც, „გილგამეშის“ შექმნის ეპოქაში).

ერთთა გილგამეშისნაირი სწრაფვა მარადიული სიცოცხლისკენ, უკვდავებისკენ, ნათულისკენ: „ნუთუ მიწის გულში თავი მოვასვენო? ნუთუ ვიძინო უთვალავი წლები? დე, თვალნი ჩემნი მზეს მარად ხედვიდენ, დე, გაძმდე ნათულის მზერიო! გვზორდება წყვდაიდი, როს შეუტი ვრცელთა, დე, ჭვრეტდეს მზის სხივებს საუკუნოდ მკვდარიც!“

მეორე თვალსაზრისი უფრო პოპულარულია და ოოდად აღსასრულბეზიცი: „გილგამეშ, საით მისწრაფო? უკვდავებას, შენ რომ ძიებ, ვერასოდეს მიაგნებ... აწ სახსე გქონდეს სტომაქი, გილგამეშ, მოილზენდე დღითთა და ღამით, დღენიდაგ მართვდე ნადიბს, დღითთა და ღამით როკვიდე, მღერდე, სუფთა იყოს სამოსი შენი, თავი განიბანე, ტანი განიბანე, იზრუნე ჩვილზე, ხელთ რომ გეჭირება, შენს მკერდზე ხარობდეს მეუღლე შენი, — რამეთუ ესაა ხეიდრი მოკვდავისა“.

ამგვარ ხეიდრს გილგამეში არ დამორჩილდა (სხვა საკითხია, უკვდავებას ეწია თუ ვერა). ამ შემთხვევაში უმთავრესი ის არის ჩვენთვის, რომ მწერლობის უძველესმა ძეგლმა იმთავითვე ამცნო კაცთა მოდგმას საზარელი რამ, სოფლას რაობის ცხადად წარმომჩენი.

ოლონდ აქ ჩვენს ყურადღებას ის გარემოება მიიპრობს, რომ, შუამდინარული მითოსის თანახმად, წარმავლობა ოდენ მზისქვეშეთის ხეიდრი არ უოფილა: ზესკენელის მკვიდრნი, დვთაებანი, პერიოდულად ქვესკენელს შთახდებიან ხოლმე, რათა კვლავ აღდგენ სიკვდილის დამორგუნველი (ამას რომ თავი დავანებოთ, ამ დვთაებანთა მოკვდინებაც პრიწყობულად შეუძლებელ რამედ არ არის მიჩნეული). აზრი ჭერ არ ამალბებულა მარადიული უკვდავების იღებამდე, მისი აღგილი სიკვდილ-სიცოცხლის ცვალებური მონაცვლეობის თავისთავად რთულსა და ძნელად საწვლად, მაგრამ მაყენ სოფლიური ყოფის მოდელისდა ვალობაზე აღძრულ იდებს უჭირავს. მითოსი ჭერ არ ჩამოყალიბებულა მა-

რამაზ თმბარამი სოფელი და ზმთასოფელი

¹ „გილგამეშის“ ციტატები მომამქს ზურაბ კიქნაძისული თარგმანიდან.



დალაგანითარებულ რელიგიად (მით უფრო — რელიგიურ ფილოსოფიად), სოფელი და ზეს-თახოველი ჭერ არ განყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ საგულდაგულოდ არის საუბარი ცისა და მიწის განწვავების თაობაზე (ამის შედეგად წარმოქმნილა ქაობიდან კოსმოსი). მაგრამ თვით ამ აქტის აღმსრულებელიც შობილი დვთაბაა და არა დაუნაბეღელი. გარდა ამისა, მიწაზე მოსახლე თუ ზეცაში დაშვილებული დვთაბანია არსებობის სხვა რაიმე მოდუსს, გარდა ფიზიკური პლანისა, თითქოს არც უნდა იცნობდნენ. ამიტომ სამყაროს განმგებელი უძლიერესი დვთაბანიც კი არ არიან უკვლის-შემქმენი, უძლებლიც ყველა მათგანს ძრწოლას ჰგვირს ქვესკნელის მიუფე, სიკვდილის დვთაბა, მასთან შეყრას ყველა თავს არიდებს და მის კომპეტენციაში შეტრახს დვთაბათა წინამდგომე ვერ ხელიწიფებს. ამიტომ მოძღვრება სულის შესახებ ოდენ ჩანასახოვანი ფორმით არის წარმოდგენილი და კაცის სიკვდილის შემდეგ მისი სული — უსხეულო აჩრდილის — შავეთს უკვლავ უკვდავებასთან რაიმე სახით ზიარებად კი არ არის მიჩნეული, არამედ გარდუვალ უბედურებად. „უკეთუ გაუფუ ზენი ქვესკნელისა, — რაც ვნახე, — დაქდები ტირილად“¹, — ეუბნება გულგამეზს ქვესკნელიდან ამოსული ენქილუს სული.

თვით დვთაბათა პანთეონიც მატერიალური არსებებით არის დასახლებული. ეს ანთროპომორფული არსებანი (ყოველ შემთხვევაში — მათი უმრავლესობა მაინც) კაცთა მოდგმისაგან იმით თუ განსხვავდებიან, რომ, უწინარეს უკვლისა, უკვდავი არიან, შემდეგ — ადამიანებზე მეტად ბრძენნი და შეუღარებლად ძლიერნი ფიზიკურად, თუმცა იმდენად არა, რომ მაღალი გონებისა და დევგმირული ძალის მქონე კაცთა მხრივ კონკურენციას არ უფრთხობდნენ. კაცობრიობის ცალკეული წარმომადგენელი ზოგჯერ დასტარავენ კიდევ ამა თუ იმ დვთაბას. ასე რომ აღარც ძალიან გასაკვირველია დვთაბის ადაიქნათა შეუღლებლის შემთხვევები. ამასაც რომ თავი დავანებოთ, დვთაბანი ერთიმეორის ხომ ეუღლებიან და ეუღლებიან, შთამომავლობას შთამომავლობაზე აჩენენ და ამ შთამომავლობათათვის საზრდელის (ელემენტარული საქმელ-სასმელის) მოსაპოვებლადაც ზრუნავენ ზოგჯერ.

უზენაესი დვთაბის, სამყაროს განმგებელი შვიდი დვთაბისა და ორმოცდაათი უმთავრესი დვთაბის გარდა დანარჩენთა არსებობა ნეტარი განცხრომას მხოლოდ: ბური და ხორცი, ერბო და თაფლი, რძე, ღვინო, ღაღი — ეს პროდუქტები განუზომელ სიამოვნებას ანიჭებენ უკვდავ დვთაბებს და ეს ყველაფერი თუ არ

მოაკლდებათ თავმისადრეკ სადგომთან ერთად ისე თავს მაინცდამაინც არაფრის გამო შეეღებენ. უმთავრეს დვთაბებს რაც შეეხება, ისინი ერთგულად (თუმცა ზოგჯერ არცთუ დიდი ხალისით) აღასრულებენ თავიანთ ფუნქციებს, — უამისოდ სამყაროში ყოველგვარი წესრიგი მოიხლებოდა და უკიდურესი ძალისხმევით ერთგულ უკვე ძლიერი ქაობი გამეფდებოდა კვლავ. ამასთან, „სმა-ჰამა დიდად შესარგი“ თუ სასიყვარულო ექსცესები მათს დვთაბრივ გულსაც დიდად ახარებს ხოლმე. ხოლო რაკ მათთვის საზრდელის მოშპოვებელი თოვლ საქარეო კაცთა მოდგმის მტეი სხვა არავინაა, ამ მოდგმისთვის ზრუნვაც, ასე რომ ვთქვათ, სდმრთო გარიგების საფუძველზე, მთისავე მოვალეობას შეადგენს.

ოლოდ უამიდან უამზე კაცთა მოდგმა ერთობ მომძლავრდება, წელსაც მოოდგამს, გონებასაც ძალუმადა აამუშავებს და დვთაბებს ლამის გაუურჩედს კიდევ. ამგვარი ვითარება უკვდავთა გულისწერომას იწვევს და სასტიკი არ დაყოფენებს: ველურ მხეტთა შემოსევა, სნეულებანი, ომები, გვალვა, თვით წარდგნაც კი, კაცთა მოდგმის ხელიერთპირად მომსერელი, უკვლად წინდაუნდელი და დვთაბათათვისვე შესანახებლად მოვლენილი საქვეყნო წარდგნა...

გარნა ამგვარი კატაკლიზმები არც ისე ხშირია, რომ სიცოცხლე მოაბეროს და თავი მოაძლეების მოუამდნარელ მიწის მუშას, მწყემსს, ხელისანს თუ მოქალაქეს, ან ქვეყნად მოსახლე თუ ცად მყოფ დვთაბებს. სამყარო ისეა მოწყობილი (მონუმტობილი და არა ბანკნილი), უკვდავი და მოკვდავი შემბატობილებულად უნდა ცხოვრობდნენ და ამ პარმონიულ ყოფას შემდგრვეა არ უნდა ემუქრებოდეს. მიწა და ზეცა დიდად არის ერთიმეორეს დაშორიშორებული, მაგრამ ხე ხელს არ უშლის მათს ურდევ კავშირს, სამყაროს ორგანულ მთლიანობას. საქმეა მიხეტირება, შესაძლოა უზენაესმა დვთაბამ უბრალო მოკვდავი თავის სამყოფელშიც კი აწვიოს და იქ გაუჩინოს მართალი სამართალი. უამისოდაც ხომ დვთაბანი დაუცადებლად ადრ-ჩამოდთან ქვეყნიდან ზეცად და ზეციდან ქვეყნად. მყარად დგას ის ჯადოსნური ხე, ხე სიცოცხლის, ცხოვრებისა, ფესვები ქვესკნელში რომ აქვს გადგმული, ხოლო წვერი მისი ზესკნელს ეხჭინება. მართალია, ქვესკნელს მოხვედრილი მოკვდავი უკან ვეღარ ბრუნდება (მკვდართა სამეფო მისთვის მოუსავლითაა), მაგრამ შავეთს დანთქმული სიყვარულიან და ნაყოფიერების პორმშენიერი ქალმეერთი გაწავსხულის ბუნიობის ეამს კვლავ ამობრწყინდება ხოლმე ქვესკნელიდან. მისი ძმაც, სხივისანი დვთაბა მწიხა, ყოველ ღამეს ინთქება ზღვაში, რათა დილით ხეღახლა იშვას და ნათელი მომზინოს სამყაროს... ხოლო და ბოლოს ის ქვესკნელიც, წყვდავლის სამეფოც, ზღვაც იმ პირველად დაუსაზღვრავი ოკეანის განსახიბრება, რომლის წიაღ-

1 თამუზის სიზმარი, 1969, გვ. 20. თარგმანი ზურაბ კიკნაძის მიერ.



შიც იყოფებოდა თვით დიდი დედა, ღვთაებათა მშობელი, რომლისგანაც მიეცა დასაბამი არსებობასაც, ნათელსაც, სიცოცხლესაც. მის ზღვაში ჩაშვება, ღვთაების ქვესკნელად დანთქმა, კაცის შავეთს ჩახვლა საწყისში მიბრუნების მიზნებზე უფროა. ოღონდ აქ საგულისხმო ის არის, რომ შუამდინარულ მოკვდავებსაც და მათ უკვდავ ღვთაებებსაც, როგორც ეტყობა, საწყისში მოვანებას ის ერჩიათ, ნათელგადაფრქვეულ მისქვეშეთში დასცლოდათ მეტ ხანს უფნა და ნეტარება. უეთ რომ ვთქვათ, ეს არჩევანი მაშინ გამოიკვეთა, რა რომ გილგამეშის რომელიღაც სულიერმა წინაპარმა აზრა — სიკვდილი მეობის, ინდივიდუალობის გაქარვება უფილაო, ხოლო სიცოცხლე — უხანა და მსწრაფლწარმავალი. ამითვე მიეცა ალბათ დასაბამი უკვდავებისთვის ოცნებას, კაცის გაღვთიერების კადნიერ აზრსაც, უკვდავთა ნების უარყოფასაც. „მაგრამ ამა იყო ყოველი“: შემოქმედი ღმერთისა და უკვდავი სულის იდეის გარეშე ამ ოცნებას აღსრულება არ ეწერა, ხოლო შუამდინარულმა კულტურამ ისე ამოსწორა თავისთავი, ამ იდეებამდე ფაქტიურად ვერ ამაღლდა (ყოველ შემთხვევაში — ეგზოტერული გამოვლინებით).

ოღონდ ერთი რამ უნდა შევხედოთ. შუამდინარული მითოსის თუ მისდამი მიძღვნილი სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლისას აღიძვრის ეჭვი, რომ ამ მითოსის შემქმნელნი გონებით, რასაკვირველია, არა, მაგრამ ინტუიციით დროდადრო თითქოს იგულვებდნენ კიდევ იმ-მატერიალური ზესთასოფლისა და ფიზიკურისგან განსხვავებული ძალის მქონე ღმერთის იდეას. დავუკვირდეთ.

სიყვარულის პირმშვენიერ ქალღმერთს ინანას (იშთარს) გილგამეშზე გული შეუფარდება, მაგრამ ურუქელი გმირი მის სიყვარულსაც უარყოფს და შეურაცხყოფს კიდევ. განაწყნებული ქალღმერთი ზეცის ღმერთს, ღვთაებათა მამას ანუს შესჩივლებს. განრისხებული ანუ ზეციურ ხარს შექმნის და მიუშვებს ურუქზე. მაგრამ გილგამეში და ენქილუ ამ საზარელ არსებას სძლევენ. ცრემლად იღვრება ინანა, გილგამეშს სწყველის და ემუქრება. მაშინ ენქილუ მოკლულ ხარს ფეხს ააბღერს და სახეში ეხვრის ქალღმერთს.

ეს არის შუამდინარული მითოსისთვის ტიპური ერთ-ერთი ეპიზოდი. და, როგორც ვხედავთ, კაცთა და ღვთაებათა ურთიერთობა ფიზიკურ პლანს არ სცილდება, კაცთა მოდგმასთან ანგარიშის გასასწორებლად ღვთაებებს ფიზი-

კურის გარდა სხვა რამ საშუალება არ მოეპოვებათ. ასეა ყველა სხვა შემთხვევაშიც — ვბლურ მხედრთა შემოსევა იქნება, სენულმბა, გავლვა, ქარი თუ წარღვნა. მატერიალურ სტიქიონეზე აღმატებულ ძალას ეს მითოსი არ იცნობს, რამეთუ მისი კოსმოსიც — მიწიან-ზეციანად — ოღონდ მატერიალური ბუნებისაა და ამგვარივე ბუნებისანი არიან მისნი ღვთაებანი.

მაგრამ დროდადრო გაკრთება აჩრდილი ბედისწერის, კაცთა და თუგინდ ღვთაებათა ნებაზე დამოუკიდებელი გარდევალი აუცილებლობისა და რაღაც მისტური შიში იპყრობს ადამიანებსაც და ღვთაებებსაც. ზოგჯერ შიში ძრწოლადაც იქცევა. ნიშანდობლივია, რომ ეს მაშინ ხდება, როცა ქვესკნელს ეხება საქმე, ნიშანდობლივია, რომ ქვესკნელის საზარელი ძალის წინაშე ღვთაებთა წინამდგომიც კი უძლური აღმოჩნდება ხოლმე (შესაძლოა იმიტომ, რომ არსებითად სწორედ მისგან არის შობილი თავადვე).

ზემოსხენებულ ექვსაც ეს აღძრავს. სოფლის შინაგანი რაბა იშვარ ასპექტებს გამოავლინებდა, რომელთა ღრმად გააზრებისას უნდა წარმოჩენილიყო მითოსისეული მოდელის უქმარისობა და გონი ენლილსა თუ მარდუქზე აღმატებული ძალის მქონე არსებობის მიემართა (ესე იგი მითოსის ადგილი ჩამოყალიბებულ რელიგიას დაეკირა).

ეს აღარ დასცალდა შუამდინარულ კულტურას.

2

შუამდინარულ კულტურას საფუძველი შემეჩება ჩაუყარეს და მათვე აიყვანეს ეს კულტურა თავისი დროისათვის უმაღლეს საფეხურზე შემდგომში შუამდინარეთი სემიტური მოდგმის ხალხებს დარჩათ და ამ უკანასკნელბთან შერივის გამო შემერებიც გადაშენდნენ და შემერულიც მკვდარ ენად იქცა. ოღონდ შემერთაგან მიღებულ მემკვიდრეობას სემიტთათვის ფუჭად არ ჩაუვლია, ისე რომ ძველი წილთთარისკვი პირველი ათასწლეულის შუა ხანებამდე შუამდინარული კულტურა კვლავაც ჰყვავდა. და ამ კულტურისგან მრავალი რამ შერივებს და შეისიხსილბორცის ებრაელებმა — სემიტური მოდგმის ხალხთაგან უდაბვეწილისი გონების მქონე ერმა.

დახვეწილობის ნიშანი ისიც იყო, რომ ერთმა პირველთაგანმა სწორედ ამ ერმა მიაკვლია შემოქმედი ღმერთის იდეას, რის მეორებითაც მისი სულიერი განვითარება, შუამდინარული კულტურის მხრძე მძლავრი ზეგავლენისდა მიუხედავად, ამ კულტურისგან განსხვავებული გზით წარიმართა. თუ შუამდინარეთში ბოლო-

1 ამ ლიტერატურიდან ქართველი მკითხველი უეჭველად უნდა გაეცნოს ზურაბ კიკნაძის წიგნს „შუამდინარული მითოლოგია“ (გამოცემულია ორჯერ — 1976 და 1979 წლებში).

რამზა მზარაძე
სოფელი და ზემსასოფელი



დე ვერ მოხერხდა მითოსის სამანების გადალახვა, ებრაელთა სულიერი ძებნები საბოლოოდ ჩამოინაცვთა მაღალგანვითარებულ რელიგიად. ამის უპირველესი დასტურია „ბიბლიის“ ქრისტიანობამდელი ნაწილი — „ძველი აღთქმა“.

ჩვენთვის ამჟამად საკულისხმოდ ასპექტითაც ებრაელთა ხალხთა წინაშე შორს სცილდებოდა შუამდინარეთში ოდენ ბუნდოვნად გამოხატულ იდეებს, სოფლის წარმავალობასთან, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემასთან, ღვთაების რაობასთან დაკავშირებულს. თავისთავად, მართალია, მომხიბვლელი, მაგრამ მინც ჯერ კიდევ გულუბრყვილო, რევოლუციასთან მხოლოდ ნაწილობრივ ნაწარბები მითების ადგილს აქ უკვე იჭერს ფორმულის სიცხადემდე აყვანილი იმგვარი დებულებები, რომელთაც, გარკვეული თაღსაზრისით, წარუვადი მნიშვნელობა აქვთ და საუკუნეთა სრბოლა ვერ ანელებს მათი ზემოქმედების ძალას. ეს, უწინარეს ყოვლისა, სოფლის რაობას და კაცის, კაცთა მოდგმის სიცოცხლეს ეხება.

ქვემოთ მოხმობილი ციტატები უკომენტაროდ ბოლაც იტყვიან თავის სათქმელს.

„რამეთუ მწირნი ვართ წინაშე შენსა (უფლისა) და წარმავლნი, ვითარცა ყოველნი მამანი ჩვენნი. დღენი ჩვენნი — ვითარცა აჩრდილნი ქვეყანასა ზედა და არა არს დადგრომად...“ (პირველი ნეშტა, 29,15).

„აჲ რაიდ შენ ძრწი, ოდეს ხარ ბრწენილი, და რაიდ შფოთებ შენ, ოდეს ხარ მოკვდავ?“ (მესხე ეზდრასი, 7,15).

„...ვითარცა ყოველი, რომელი ქმნილ არს საუკუნეთა შინა, დასაბამი აქვს, ეგრეთ და აღსასრული არს ცხადი“ (იქვე, 9,4. ეს უკვე წმინდა ფილოსოფიური დებულებებია. შუამდინარეთში აზრი აქამდე ვერ ამაღლდა).

„...გუშინდელნი ვართ და არა უწყით, რამეთუ აჩრდილ არს ქვეყანასა ზედა ცხოვრება ჩვენი“ (იოხი, 8,9).

„არს ხისა ხასობა — უკეთუ მოკვეთოს, კვალად აღყვავდეს და მორჩნი მისნი არა მოაკლდენ... ხოლო კაცი მოკვდავი განვიდა, დაეცა კაცი, — მერმედა არა არს... და კაცი დაძინებული არღარა აღდგეს...“ (იქვე, 14,7-12).

„რამეთუ ოდეს ჰგონებდეს აჲ დამტიცებულ ყოფად, მაშინ წარწყმდეს სრულიად. ხოლო მხილველნი მისნი იტყოდნენ: სადა არს? ვითარცა სიწმარო, არა იპოვოს, განფრინდა, ვითა მოჩვენება ღამისა“ (იქვე, 29, 5-8).

„...ყოველნი კაცნი მძქად მიიქცენ, სადათგან დაზადებულ იქმნა“ (იქვე, 34,15).

„ესებრა, ზომით ჰყვენ დღენი ჩემნი, და არსებობა ჩემი ვითარცა არარაბ არს შენ წინაშე. რამეთუ ყოველითავე ამო არს ყოველი კაცი ბორციელი“ (ფხალმუნე, 38,6).

„...და დამფარნა ჩვენ აჩრდილმან სიკვდილისამან“ (იქვე, 48,28).

„ამო არიან ძენი კაცთანი... და იგინივითავე ოებით არიან ურთიერთს“ (იქვე, 61,10).

„ვინ არს კაცი, რომელი ცხოვრდეს და არა იხილოს სიკვდილი და იხსნეს სული თვისი ხელთაგან ჭოჯონეთისათა?“ (იქვე, 88,49).

„კაცისანი ვითარცა თვა არიან დღენი მისნი და ვითარცა ყვავილი ველისა, ეგრე ყვავიან. ჰბეროს მას ქარმან, არღარა იტოს, არცადა ჩნდეს ადგილი მისი“ (იქვე, 102,15-16).

„ნუ ესავთ მთავართა, ძეთა კაცისათა, რომელთა თანა არა არს ცხოვრება. გამოვიდეს სული მათი მათგან და მიქციენ მუნვე მიწად მათა. მას დღენა შინა წარწყმდენ ყოველნი ზრახვანი მათნი“ (იქვე, 145,8-4).

„და მოვიძულე მე ყოველი სოფლისა და შრომა ჩემი, რომელსა მე ვშვრები მზესა ქვეშე, ვინათგან ყოველნი ამო და აღჩრევა სულისა“ (ეკლემიასტი, 2,18).

„რამეთუ მითცა, ვითარცა შემთხვევა ძეთა კაცთასა და შემთხვევა ხაცხოვართა და შემთხვევა ერთი მათდა; ვითარცა სიკვდილი მისი, ეგრეთ სიკვდილი ამათი. და სული ერთი ყოველთა შინა, და რათა უმეტეს აქვს კაცთა პირუტყვთა არარავე. რამეთუ ყოველნი ამო, ყოველნი მივლენ ადგილსა ერთსა შინა; ყოველნი შეჰქმენ მიწისაგან და ყოველნი მიიქცივიან მიწადევი ვინ უწყის — სული ძეთა კაცთასა, უკეთუ იგი აღვალს მაღლა, და სული ხაცხოვართა, უკეთუ შთავალს იგი დაბლა ქვეყანად? და ვინილენ, რამეთუ რაბ არს კეთილი, არამედ გარნა რომელ იპაროს კაცმან ქმნილთა თვისთა ზედა, რამეთუ ესე — ნაწილი მისი. ვინათგან ვინ მოუყანოს იგი ხილვად, რომელიცა იქმნებინ შემდგომად მისა?“ (იქვე, 3,19-22).

„...ძალი ცოცხალი — იგი უკეთეს, უფროს ღობისა მკვდრისა, ვინათგან ცოცხალნი სცნობენ, რამეთუ მოკვდებიან, ხოლო მკვდარნი არა არიან მეცნიერ არარაბასა და არა არს მათდა მერმეცა ხასხხელი, რამეთუ დავიწყებულ არს ხასხხენებელი მათი. და სიყვარული მათი და სიძულილი მათი და შური მათი — ეგრეა, წარწყმდა, და ნაწილი მათი არა არს მერმე საუკუნოდ ყოველსა შინა ქმნულსა მზისა ქვეშე“ (იქვე, 9,4-6).

„ყოველი ბორცი ვითარცა სამოსელი დამკვლდეს, რამეთუ აღთქმა საუკუნითგან — სიკვდილითა მოკვდე. ვითარცა ფურცელი იზრდებთან ხესა ზედა ხშირსა, ზოგი დაცვივდების, ხოლო სხვანი აღორძინდების, ეგრეთვე ნათესავიცა ბორცისა და სისხლისა — ზოგი მოკვდების, ხოლო ზოგი იზობენ“ (ისო ზიგა, 14,18-19).

„...და არიან, რომელნი არა არს ხასხხენებელი, და წარწყმდეს ვითარცა არამყოფნი და იქმნეს ვითარცა არაქმნილნი...“ (იქვე, 44,8).

„...ჭამონ ბორცი და სვან დღინო მეტყველთა: ვჭამოთ და ცხვით, რამეთუ ხვალე მოკვდებით“ (ესაია, 22,18).



„ყოველი ხორცი — თევა და ყოველი დიდება კაცისა — ვითარცა ყვავილი თვისა. განხმა თევა და ყვავილი დამოცვივა, რამეთუ სულმან უფლისამან განვლო მის ზორის. რამეთუ მართლიად თევა არს ერი ესე; განხმა თევა და ყვავილი დამოცვივა...“ (იქვე, 40, 8-9).

„...აჲ ყოველნი თქვენ ვითარცა სამოსელნი დასძველდეთ და ვითარცა მღლიმან შეგკამნეს თქვენ“ (იქვე, 50, 9).

„...ქვეყანა ვითარცა სამოსელი დაძველდეს, ხოლო დამკვიდრებულნი მისნი ვითარცა იგინი მოკვდებიან...“ (იქვე, 51, 8).

„... ვაჲ ჩვენდა, რამეთუ მიდრკა დღე, რამეთუ მოახლდებიან აჩრდილნი მწუხრისანი“ (იერემია, 8, 4).

„ნუ სტირთ მომკვდარსა, ნუცა ეგლოვთ მას, და იტირეთ ტირილით განძავალი. რამეთუ არღა მოიქცეს მერმე, არცა იხილოს ქვეყანა მამული-სა მისისა“ (იქვე, 22, 10).

„...ახსთვის იყვნენ ვითარცა ღრუბელი განთა-ღისა და ვითარცა ცვარი ცისკრისა წარმავალი, ვითარცა მტვერი, განწეული კალსაგან, და ვითარცა ორთქლი კრემლთაგან ნაკვამლევა“ (ოსე, 13, 8).

ეს იყო ეპოქა, როდესაც კაცის აზრი მანამდე გაუგონარი ძალით უღრმავდებოდა სოფლის რაობას და, როგორც ვნახეთ, ზარდამცემ ფორმულებსაც კმნიდა ამ რაობის წარმოსაჩენად. აქ უკვე ისახებოდა სოფლის მოძაგების იდეა, როგორც, ხანა რომ გამოხდა, დაახლოებით ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგს (ოღნავ ადრე ან ოღნავ გვიან — შერის კუთხეს გააჩინა), აზრთა ნაშვლი მსურობელად იქცა. ოღონდ ჩვენთვის ამჟამად საულისხმო ათასწლეულის მანძილზე ეს იდეა ჭერ არ ჩამოყალიბებულა მთელი თავისი უღმობელი სიმკვეთრით. ჭერაც ძალუმი იყო მითოსიხეული ტრადიციები, სოფლისა და კაცთა ყოფის ერთ დიდ პარმონიად დამსხველურის ძალითაც ეს სოფელი მოსაძაგებლად ჭერობით არ ემეტებოდათ.

ამიტომ ზემოთ მოხმობილ მძაფრ დებულებათა პარალელურად „ძველი აღთქმა“ სოფლის მშენიერებისა და სიეთის არაერთ სურათსაც წარმოგვიდგენს და, ამასთან. მყარად ადგას თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც სწორად ამქვეყნაური აქტიური ქმედება არის უფლის სასურველი წესი არსებობისა. აქ უმთავრესია შექმნილი არ გარდახდეს შემქმნელის მიერ დადგენილ ნორმებს, მორალური კოდექსი არ დაარღვიოს, არ დაიიწყოს შემოქმედისთვის შესატყვისი პატივის მიგება, ანდა სულაც ზურგი არ აქციოს მას და უცხო ღვთაებათ არ ეთაყვანოს (ერთადერთი გამონაკლისია წიგნი ეკლეზიასტიკა, რომლის უსაშველო პესნიზმიმ საუკუნეებს გამოჰყვა და არამცირელი საფიქრალი გაუჩინა მომდევნო თაობებს).

რამეთუ სოფელი ღმერთის მიერ არის შექმნილი და, ამდენად, ვითარცა ნაყოფი უზენაესი გონებისა, თავისი ბუნებით უძველად კარგი უნდა იყოს (შესაქმის ყოველი აქტის შემდეგ დასტურდება: „და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ“). ამ ტექსტებში „კეთილი“ უვლდენ „კარგს“ ნიშნად.

„და შემდგომად უფალმან ქვეყანასა ზედა მოხედა და აღაჯნა იგი კეთილთაგან თვისთა“ (იხსო ზარაქ, 16, 24).

„ყოველი სოფელი ბრწყინვალითა ნათობს ნათლითა და განუყენებელთა საქმეთა თანა იყრობებოდა“ (სიბრძნე სოლომონისი, 17, 19).

„...უფალი, რომელმან შექმნა ცაჲ, ესე ღმერთი, რომელმან გამოაჩინა ქვეყანა და შექმნა იგი. მან განსაზღვრა იგი. არა ცუდად (ამაოდ) შექმნა იგი, არამედ სამკვიდრებელად“ (ესაია, 45, 11).

„...რომელმან შექმნენ ცათი და ქვეყანა ყოველითურთ სამკაულით მათით...“ (ქერე ნეშტა, ლოცვა მანასე მეფისა).

„...მზე და მთვარე და ვარსკვლავნი მყოფნი ბრწყინვიდ და მოვლინებულნი სახმარად კეთილ მორჩილ არიან“ (ბარუქ, 6, 28).

მაშასადამე, სოფელი, წინააღმდეგ უფრო ადრე მოტანილი დებულებებისა, სულაც არ არის ამაო და მოსაძაგებელი. სოფელი შექმნილია ყოველად პარმონიულ და მშვენიერ რამედ, შექმნილია მოსახმარად და სახიხარულოდ (ყურადღება მივაქციოთ უფლის მუქარას ურჩთა მიმართ: „სიხარულსა შინა ყოვლისა ქვეყანისასა ოხრე გყო შენ საუკუნო“, ეზეკიელი, 35, 14. ყურადღება მივაქციოთ, რომ თვით „ეკლეზიასტიკა“ აღიარებს: „ტბილ არს ნათელი და კეთილ თვალთა ხედვად მისისა“. 11, 8).

ეს ბუნებრივი თვალსაზრისი მთელ „ძველ აღთქმას“ გასდევს და „ახალ აღთქმასაც“ მემკვიდრეობად გადმოცემა. მაგრამ ასევე გადმოცემა მემკვიდრეობად სოფლის უარყოფის პათოსიც. თვალსაზრისთა წინააღმდეგობა და შეუთავსებლობა თითქოს აშკარაა და ამ წინააღმდეგობის ასახსენლად არ გამოდგება მორალური დებულება, რომლის თანახმადაც, როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის წიგნები საერთოდ სავსე არის წინააღმდეგობებით, იმიტომ რომ, ნიშნის მოგებით დასძენენ ზოლმე, ეს წიგნები მართლა ზეგარდმო სულის შოაგონებით კი არ იქმნებოდა, უბრალო მოკვდავთა მიერ არისო შეთხზული.

ვერაფერიშვილი საბუთია, რამეთუ, ჭერ ერთი, რატომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ის უბრალო მოკვდავი უძველად ჩვენზე ბრწყინი იყვნენ და ამდგვარ ელემენტარულ წინააღმდეგობებსაც ვერ ამჩნევდნენ; მეორეც, „ძველი აღთქმის“ წიგნები ათასწლეულზე მეტი ხნის განმავლობა-

რიმბზ თხზარამი
სოფელი და ზმსთასოფელი

ში იქმნებოდა, საუკუნეთა მანძილზე ხდებოდა მათი რედაქტირება, დახვეწა, დაწმენდა, კანონიკური ტექსტის შემუშავება, ასე რომ ავტორთაგან შემუშვეული შეუსაბამოხანი რედაქტორებს მაინც არ უნდა გაჰპარვოდათ.

როგორც ჩანს, საკითხი სხვაგვარ მიდგომას მოითხოვს, როგორც ჩანს, მის არსებაში გასარკვევად თუ არა, ასე თუ ისე მასთან მისახლოებულად აზრის მეტი დაძაბვა განხორციელდა და არა ფაქტების ზედაპირზე ლივლივი მხოლოდ.

თავდაპირველად ალბათ იმას უნდა შევეცადოთ, რომ თანადროულით კი არა, იმდროინდელ ავტორთა თვალსაზრისით შევხედოთ საქმის ვითარებას, ესე იგი ვალაიროთ, რომ, რაც კი რამ არსებობს, თავისთავად ვერაფერი შეიქმნებოდა, ყოველსავე არსებულს შემქმნელი უნდა ჰყავდეს. მაშინ უბრალო დაკვირვებითაც საჩინო გახდებოდა, რომ შემოქმედი თავისი ბუნებით უქმნილზე დიდად აღმატებული თუ არ იქნა, შექმნის აქტი ვერასმეტო ვერ განხორციელდება (არამცთუ შემოქმედი, თუნდაც ღმერთიც, „ხელისანი“ უკვე „მზა“ ქაოსიდან მწყობრი რაიმეს — კოსმოსის გამფორმებელი უქვეყლად დიდად აღმატებული უნდა იყოს). სწორედ ამ „დიდად აღმატებულის“ ცნების გამოძიებას მიჰყავს გონება სამყაროს განმგებელს, გამირგეთა, ღვთაებათა მოაზრებაში, დაბოლოს კი — მონოთეისტურ იდეაშიც ერთი ღმერთისა. აზრი იმასაც ადასტურებს, რომ ამ ერთი ღმერთის ცნების გამოწველივით, ჩაღმავებით დამუშავება აუცილებელს ხდის იმის აღიარებას, რომ შექმნილია და შემოქმედს შორის ოდენ ხარისხობრივი სხვაობა (დიდად აღმატება) კი არ უნდა ივარაუდებოდეს, არამედ — თვისებრივი, არსებითი. ესე იგი ღმერთის ცნება თავისთავადვე მოითხოვს მის განმარტვას ნებისმიერი მატერიალური ბუნების პრედიკატისგან.

გარნა აბსტრაქციის თუნდაც ამ საფეხურამდე აღწევებულ შემოქმედს იხილ მოეთხოვება, რომ მის მიერ ქმნილიც, მისგან წარმოშობილიც (ჩვენს შემთხვევაში — სოფელი) სრულყოფილების ნიშნით იყოს აღბეჭდილი. მითხის ეპოქის ანთროპომორფულ ღვთაებებს, პოლითეისტური პანთეონის მკვიდრთა არაერთი შეცდომა მოსილიდათ, მათ მიერ გაწყობილ სამყაროს მრავალი ზადი ჰქონდა და კაცის გონება ამ ამბავს დიდ ცოდვად არ უთვლიდა მათ. მაგრამ შემოქმედი ღმერთის მიერ გაჩენილ სოფელს ზადი აღარ უნდა ჰქონოდა.

არადა სამყაროს გულდასმით მიმოხილვისას არცთუ ძნელად შესამჩნევია იყო ეს ზადი, უსრულობა, შეუსაბამობა, — რას დავარქმევთ, სულერთია. და ამითვე აღიძვროდა ის თავსატეხი, ის წყუელი პრობლემა, საუკუნეთა განმავლობაში მოსვენებას რომ უქარგავდა კაცთა მოღვაწის.

ამ პრობლემის გადაჭრის შედარებით მარტივი

გზა დაისახა ირანულ აზროვნებაში. როგორც ტრიზმა ორდ შემოქმედი, ორი საწყისი აღმარა — ერთილი და ბოროტი, ასურა მარჯა და ამარმანი (ანპრო-მანიუ), და კოსმოსსა თუ ცხოვერებაში არსებული ყოველი ნაკლულევანება უკანასკნელს მიეწერა. ორი ურთიერთდაპირისპირებული უზენაესი ღვთაების ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა სამყაროს ბედობლი (ოღონდ ფრინად საგულდისმობა, რომ აღმანის თავისუფალ ნებას, თავისუფალ არჩევანს ბრძოლის პროცესში უდიდესი მნიშვნელობა მიეწევოდა).

ამ დუალისტური მოძღვრების ფუძემდებელმა ზარატუსტრამ ვერ გაითვალისწინა, რომ გამოხედვებოდა რამდენიმე საუკუნე და ქვეყნიერებას მოველინებოდა ახირებული ხალხი — ფილოსოფოსები, რომელნიც გადაურთ უარყოფდნენ საწყისთა სიმრავლეს, თუნდაც ორ საწყისს, და გულდაქერბულნი განაცხადებდნენ — საწყისი მხოლოდ ერთი შეიძლება რომ იყოსო. და რადგან „ძველი აღქმის“ შემქმნელთა დამაბული გონება სწორედ ამ ერთი ღმერთის საკითხს უღრმავდებოდა უსასრულოდ, ზარატუსტრას მიერ გაკვალული გზა მათ აღარ გამოადგებოდათ (ეს ფაქტიურად იქნებოდა მიზარუნება ესოდენ დიდი ძალისხმევის მეოხებით ძლიერი პოლითეიზმისკენ). ამიტომ მათ სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ — ზემოხსენებული პრობლემა ისე უნდა გადაეჭრა, ღმერთის სრულყოფილებას, ყოველის-შემძლეობას, სიბრძნეს, მის ერთადერთობას ჩრდილი არ უნდა დასცემოდა და, ამასთან, არც სოფლის ნაკლულევანებაზე უნდა დაეხუჭათ თვალნი.

უღონდ რა არის სოფლის უმთავრესი ნაკლულევანება და ზადი? პასუხის მოვნა ძნელი არაა: წარმავლობა, უკვადვებასთან უზიარებლობა. ეს არის ყველა სხვა უბედურების სათავე. სოფელში არაფერია მარადიული, ყოველივე ხილული მდინია, საბოლოოდ — ხრწნაღი. არამცთუ მიწიერი მხოლოდ, თვით ზეცაც კი, თვით ციური მნათობნი: „არც ცაა არს წმიდა წინაშე მისსა“ (იობი, 15, 5); „...მოთვარება უბრძანოს და არა ნათობს, ხოლო ვარსკვლავნი არაწმიდა არიან წინაშე მისსა“ (იქვე, 25, 6); „არა შესაძლებელ არა ყოველთა კაცთა შორის ყოფიდა, რამეთუ არა უტვადვ არს ძე კაცისა. რაა უნაიღვდა მწენა, და იგიცა მოაკლდეს... ხოლო ყოველნი კაცნი — მიწა და ნაცარ“ (ისო ზირაქ, 17, 26-27); „დასახამსა შენ, უფალო. ქვეყანა დაამყარე, და ქმნულნი ხელთა შენისა ცანი არიან. იგინი წარხდენ, ხოლო შენ ეგო უქუენისამდე. ყოველნი ვითარცა სამოელნი დამკვლდენ, და შენ ვითარცა შესამოსელნი სცვალენ იგინი, და იცვალდენ, ხოლო შენ თავადი იგივე ხარ და წელიწადთა შენთა არა მოაკლდეს“ (ფსალმუნნი, 101, 26-28).

მაშასადამე სოფლის ნაკლულევანება შეფარდებითია მხოლოდ. ღმერთის მარადიულობასთან და თვალშეუდგამ სიდიადესთან მიმართ-

ბით არის იგი მტერი და ამოცხება, თორემ თავისი მოცემულობით შექმნილია როგორც მწყობრი, ყოვლად მოწესრიგებული, პარმონიული და მშვენიერი რამ, ღმერთის სიბრძნისა და ყოვლისშემძლეობის, აგრეთვე მისი სიკეთის განმაცხადებელი (კვლავ გადავიკითხო შეშთ მოხმობილი ამ უაღის ციკატები). ამიტომ არს, რომ „ძველი აღთქმის“ არამტოვ სხვადასხვა წიგნები, თვით ერთი და იმავე ავტორის თხზულებებიც შეიცავს ცალკერძ სოფლის ამოცხებად ცალკერძ სოფლისავე დიდებულების მაუწყებელ სტიქიონებს (და ეს ქმნის სწორედ ზემოხსენებულ წინააღმდეგობას). ამ დიდებულებას ცხადყოფს ყოველივე არსებული, ღმერთის მიერ შექმნილი, მისგანვე განსაზღვრული, ზღვარადღებულ და ბუნებრივ, ანუ იგივე საღმრთო წესის და მორჩილებული (ცოურ მნათობთა უცდომელი სრლობა, დღისა და ღამის თუ წილწადის დროთა მწყობრი მონაცვლეობა, სტიქიონთა გონივრული შეწონასწორება და მისთანანი).

ოღონდ სოფელი ამგვარია მისი სტატიკური მოცემულობით, ხოლო ეს სიმწყობრე და პარმონია უმალ ირღვევა, რა რომ სოფლის წიაღში ამოქმედდება კაცის თავისუფალი ნება, უკეთ რომ ვთქვათ, რა რომ კაცის თავისუფალი ნება გარდახდება ღმერთის მიერ დაწესებულ მცენებებს (აღამისა და ევას ცოდვა, პირველცოდვა): „თვით დასაბამსა შექმნა (ღმერთმა) კაცი და დაუტევა ხელსა შინა ნებისა მისისას... უკეთუ გენებოს, დაიბარხნე მცენებანი და სარწმუნოებისა ჰქმნენ სათნოება. წინა დაგიდვა შენ ცეცხლი და წყალი, და რომლისცა ზედა გენებოს, განუშარტე ხელი შენი წინაშე კაცთა სიცოცხლე და სიკვდილი, და რომელცა უკეთუ ინებოს, მიეცეს მას“ (ისო ზირაქ, 15, 14-17).

ნების ეს თავისუფლება ხილულ არსებობადაც ოდენ კაცს აქვს ბოძებული, რადგან მხოლოდ კაცი არის შექმნილი ღმერთის მსგავსად. „და თქვა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენად... და შექმნა ღმერთმან კაცი, ხატად თვისად შექმნა იგი“ (შესაქმე, 1, 26-27). გარდა ამისა, კაცი შექმნილია ვითარცა ქვეყნიერების უფალი: „...და მთავრობდეს იგი თევზთა ზღვისა და მფრინველთა ცისათა და პირუტყვთა და მხეცთა და ყოველსა ქვეყანასა და ყოველთა ქვეწარმავალთა ქვეყანასა ზედა... და აკურთხა იგინი ღმერთმან მეტყველმან: აღორძნდით და გამარავდით და აღავებთ ქვეყანამ და ერუფლენით მას“ (შესაქმე, 1, 26-28); „უფალმან შექმნა კაცი... და მისცა ხელმწიფება მას ზედა მყოფთა... და ხატისაებრ თვისისა ჰყო იგი, და დასდვა შიში მისი ყოველსა ზედა ხორციელსა, და უფლებად მხეცთა და საცხოვართა და მფრინველთა. განაზრახა და ენა და თვალნი და ყურნი და გული მისცა მას გულსისხნის ყოფად. ხელოვნებათა მეცნიერებით აღავსო იგი და კეთილი და ბოროტი უჩვენა მას. დაუდვა თვალნი

თვისნი გულსა შინა უწყებად დიდებულებინა საქმეთა თვისთა... დიდებულება დიდებისა ობიექტულს თვალთა მათ და დიდება ხმისა მათისა ისინინეს ყურთა მათ“ (ისო ზირაქ, 17, 1-10); „ცანი ცათანი უფლისანი არიან და ქვეყანა მისცა მათა კაცთასა“ (ფსალმუნნი, 113, 24).

მაგრამ სწორედ ამ თავისუფალი ნების გამოვლინებამ დააკარგინა კაცთა მოდგმას სამოთხის ნეტარება და უკვდავება. დამაფიქრებელია, რომ, მეორე მხრივ, სწორედ ამ თავისუფალი ნების გამოვლინებელი აქტის აღსრულება — კეთილისა და ბოროტის ცნობების (ანუ შეცნობის) ხის ნაყოფის ჰამა — ექცა მიზეზად იმ ამბავს, რომ ადამი და ევა იქმნენ „ვითარცა ღმერთნი, მეცნიერ კეთილისა და ბოროტისა“ (შესაქმე, 3, 5) და უფალმაც ამის შემდეგ თქვა: „...აჲ, ადამ იქმნა ვითარცა ერთი ჩვენგანი, მეცნიერი კეთილისა და ბოროტისა“ (იქვე მ, 22).

ისიც დამაფიქრებელია, რომ ცოდვამდელი ყოფა უკვდავებად არის დასახული, თვით მატერიალური სამყაროც ხრწნილებისა და სიკვდილისგან მიუხეზებლად წარმოდგენილი, რადგან რაც კი ღმერთის მიერ არის შექმნილი, მას არც უნდა მოაკლდეს არამე, არც მიემატოს: „...ყოველი, რაოდენი ქმნა ღმერთმან, ესენი იქმნებიან საუკუნენი (მარადიულნი), მათ მიმართ არა არს შეძინებად და მათგან არა არს გამოხვევად“ (ეკლემიასტე, 3, 14); „ღმერთმან სიკვდილი არა ქმნა, არცა იხარებენ წარწყმედასა ცხოველთასა. რამეთუ შექმნა, რომელსა შინა ყოფად ყოველი, და ცხოვრებანი შექმნა სოფლისა. რამეთუ არცა არს მათ შინა მკურნალობისა მოხასრველი, არცა ჭოჯობითისა სუფვა ქვეყანასა ზედა. რამეთუ სიხარულე უკვდავ არს, ხოლო უსამართლობა შესწირეს სიკვდილსა...“ (სიბრძნე სლომონისი, 1, 18-15); „ღმერთმან შექმნა კაცი უხრწნელებასა შინა და ხატად მსგავსებისა შინა თვისისა ქმნა იგი. რამეთუ შურითა ეშმაკისათა სიკვდილი შემოჰხდა სოფელსა შინა, ხოლო განსცვიან მას, რომელნიცა ნაწილისა მისისაგან არიან“ (იქვე მ, 22-23).

ვიდრე ჩვენს მსჯელობას განვაგრძობდით, უნდა ჩავუთხოთ ზოგიერთი რამ. ჯერ ერთი, ამ წუთას მიმოხილული საკითხები „ძველ აღთქმას“ არცთუ მწყობრად, არცთუ ბოლომდე ცხადად არის დამუშავებული, ზოგჯერ პირს კიდევ ჩამონაკეთული აზრის გამოტანა (ამგვარია, მაგალითად, საკითხი, თუ როგორ ჰქონდათ წარმოდგენილი ცოდვამდელი არსებობის უხრწნელება და უკვდავება. ამის ერთადერთ მოწმედ თითქოს ის ჩანს მხოლოდ, რომ „შესაქმის“ დასაწყისშივე ნათქვამია — სამოთხეში ხე ცხოვრებისა იღვა და ადამისა და ევას გამოძევების შემდეგ ღმერთმა მას მცველი დაუდგინა).

რამავს მივარამდ სოფელი და ზმისთასოფელი



გარდა ამისა, „ძველი აღთქმის“ წიგნები ერთდროულად არ შექმნილა, მთელი ათასწლეულის განმავლობაში იწერებოდა და, ამდენად, მათში ჩანს კაცობრიული აზრის განვითარების გარკვეული ეტაპები თუ საფეხურები. ოღონდ ამის შემისას ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მომდევნო ორი ათასი წლის მანძილზე შორწმუნენი მას აღიქვამენ, როგორც სწორედ ერთხელ და სამუდამოდ განცხადებულ ერთგვაროვან ჭეშმარიტებას. ამ მომენტის დაიწყება არსაგზით არ შეიძლება შუა საუკუნეთა კულტურის ფაქტების კვლევისას.

აქვე ზემოთ მოხსოვლილი ციტატებით ერთი უმნიშვნელოვანესი დებულება გამოიკვეთა ჩვენს წინაშე: სიკვდილის, ბრწინლების, წარმავლობის სატანისთვის გადაბრუნება („ღმერთმან სიკვდილი არა ქმნა...“, „შურითა ეშმაკისათა სიკვდილი შემოხდა სოფელსა შინა“).

ეს თვალსაზრისი დამატარალურად საწინააღმდეგოა იმ ტენდენციას, რომლითაც ვითარდებოდა „ძველი აღთქმის“ მონოთეისტური რელიგია და მკაცრად მონისტური მსოფლმხედველობა. რამეთუ შემოქმედელი ღმერთის, ერთი ღმერთის იდეა თავისთავად უნდა გამოირიცხადეს რაიმე იმგვარის არსებობას, რაიც ღმერთის მიერ არ იქნებოდა შექმნილი და დასასწავრული („თანაცა თქვენნი განრაცხილ არიან“, — როგორც იტყვის „ახალი აღთქმა“). ამ ასპექტით „ძველი აღთქმის“ აზრთა წყობას სწორედ საპირისპირო დებულებები შეესატყვისება: „უფალი მოაკვიდინებს და აცხოვნებს, შთაიყვანებს ჭკობითა და აღმოიყვანებს...“ (პირველი მეფეთა, 2, 8); „კეთილი და ბოროტი, ცხოვრება და სიკვდილი... უფლისაგან არიან“ (ისო ზირაქ, 11, 14); „მე ვარ, რომელმან შევშაღედ ნათელი და ვქმენ ბნელი, მე ვარ, რომელი ვქმ მშვიდობასა და აფუგებ ბოროტთა, მე ვარ უფალი ღმერთი, მოქმედი ამით უკეთლთა“ (ეზაია, 45, 8).

ისო ზირაქის წიგნი კიდევ უფრო აზუსტებს ვითარებას: ყოველივე ღმერთმა შექმნა, — ნათქვამია ამ წიგნში, — დასაბამითვე კეთილთათვის კეთილი შეიქმნა, ხოლო ცოდვილთათვის — ბოროტი. ოღონდ ბოროტი ცოდვის მისაგებელია მხოლოდ. „საქმენი უფლისანი ყოველნი კეთილ ფრიად“, უფალი ოდენ კეთილის მოქმედი, მისი ყოველი საქმე მშვენიერია და ის, რაიც შესაძლოა ახლა ბოროტად მოგვეჩვენოს, თავის დროზე კეთილად წარმოჩინდება (34, 21-41).

აქ ჩადგმულია ის ბალანსი, მრავალი საუკუნის შემდეგ ფსევდო-ლოზინი არკოპაგელის დიდებული მოძღვრება რომ დაემყარა. აღმათქმის იყო ერთადერთი გზა, რომელსაც უნდა გამოყოლოდნენ „ძველი აღთქმის“ ავტორები, თუკი მონისტური მსოფლმხედველობიდან გადახვევას არ ისურვებდნენ.

მაგრამ, როგორც ვნახეთ, საქმე სხვაგვარად წარიმართა და ამ ბუნებრივ თვალსაზრისს „ძვე-

ლი აღთქმის“ წიგნებშივე დაუპირისპირებულად ორ თვალსაზრისი — სიკვდილი, წარმავლობა, ბოროტება ეშმაკის ნამოქმედარი აჩისო. ამქრად ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა იქნის იმ აზრის, „ბიბლიის“ შემქმნელთა აზრის ნაყოფი იყო ეს შეხედულება, თუ, როგორც ფაქრობენ, სხვა რელიგიების, კერძოდ — ირანული მსოფლმხედველობის გავლენის შედეგი. ასეთი თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩება: აზრის ხელახალი გაყენვა პირველად, მითოსურ საფეხურზე, როდესაც წარმავლობისა და სიკვდილის ზარდამცემი რეალობა საფუძვლს აცლიდა მარმონიულად გაწყობილ მოდელს სამყაროსისა. ზოროასტრიზმი, როგორც ითქვა უკვე, ამ წინაუქმობისთვის თავის გართმევას ორი საწყისის აღიარების მეოხებით შეეცადა. „ძველი აღთქმის“ შემქმნელნი ამ საფეხურს გასცდნენ, მონოთეიზმამდე ამაღლდნენ, მაგრამ დუალიზმი ბოლომდე ვერ იქნა ძლიერი. სიკვდილის განმგებლად სატანის დასახვა ის სავალალო წინაპირობა იყო, რომელმაც შემდგომში ყოველივე ბრწინადი, წარმავლი, მოკვდავი, ანუ მატერიალური, ანუ სოფელი უარსაყოფად და მოსაბაგებლად აქცია მრავალმარავალთათვის. ეს იყო იმ თითქოსდა უმარტივესი ჭეშმარიტების უშუალებელყოფა, რომ ღვთისგან გაჩენილი ღვთიური ბუნებისავე უნდა ყოფილიყო. შემდგომ და შემდგომ სოფლის ნაკულუტევანება ოდენ შეფარდებით რაიმედ კი აღარ ისახებოდა (როგორც ზემოთ აღინიშნა — ღმერთის სიდიადესთან მიმართებით ნაკულუტევანი), არამედ არსებით თვისებად, საბოლოოდ — ღვთისგან წყვეულ და ბოროტ ბუნებად.

ხოლო ეს ყოველივე შეიძროდ უაკვირდებოდა ეთიკურ ასპექტებს, რომლებიც, თავის მხრივ, „ძველი აღთქმის“ შემქმნელი ერის სვებედზეც იყო დამოკიდებული. ყოველი პოლიტიკური და სამხედრო მარცხი უფლის მიერ მოვლენილ სასჯელად მიჩნეოდა, რის გამოც კვლავ და კვლავ ხელს მიჰყოფდნენ ხოლმე ცოდვითა რაობის გამოძიებას და პირველცოდვის ფაქტის ხელახალ გააზრებას: „მე დაგერგე შენ — ვენახი ნაყოფის გამოძიდებელი ყოვლად ჭეშმარიტი. ვითარ გარდაიქმე სიმწარედ ვენახი უცხო?“ (იერემია, 2, 21). მართლაც — ვითარ? ამ კითხვის ერთმნიშვნელოვანი პასუხის მოკვლევა „ძველი აღთქმის“ წიგნებში არ ხერხდება. ერთადერთი ის არის ცხადი, რომ: „მიდრეკილ არს გული კაცისა მოსწრაფებით ბოროტთა სიქაბუთით მისით“ (შესაქმე, 8, 20), „მწვენი თესლი სიბოროტისა დათესილ არს გულსა შინა აღამისსა პირველითგან და რადენ მრავალი ბოროტნი შვა აწინდლამდე და შობს, ვიდრე მოვიდეს მკა“ (მესამე ეფდრა, 4, 30), „უქმარიტად არა ვინ არს წაშობთაგანი, რომელმანცა არაწმიდება არა ქმნა, და აღმსარებელთაგანი, რომელმანცა არა გყოდა“ (იქვე, 8, 35). ეს



არის და ეს ხოლო თუ მოვიწინააღმდეგებდით გამოგვიძიებინა მიზეზი ამგვარი თანდაყოლილი ცოდვითანობისა, კვლავ თავისუფალი ნების პრობლემას გადავაწყდებოდით და, ამდენად, დახშულ წრეში ამოვყოფდით თავს ისევ და ისევ...

მრავალი სხვა ხალხის მითოსური თუ რელიგიური წარმოდგენების მსგავსად, „ძველი აღთქმის“ პირველი კაციც მიწისგან (თიხიგან) შეიქმნა. მაგრამ, ასევე მრავალი ხალხის წარმოდგენებისგან განსხვავებით, მას თავად შეემოქმედმა შთაბერა სული (შესაქმე, 2,7). მართალია, არაერთი მეცნიერი თავს იკვავს — უკვდავი სულის იდეა „ძველი აღთქმის“ წიგნებში იმთავითვე არ ყოფილა, მხოლოდ მოგვიანებითა, ელინისტურ ეპოქაში გაჩნდა, ისიც სხვათა (კერძოდ, სპარსელთა) გავლენითა, მაგრამ ეს შეხედულება საყოველთაო ჩანს ფრიად, ჭერ ერთი, სრულადი წარმოდგენილია, თუ როგორ უნდა მოაზრებულყო უფლის მიერ აღამისთვის სულის შთაბერვა, თუ არ სწორედ ღვთაური (ანუ უკვდავი) სულის ბოძებდა. გარდა ამისა, უუკვლად კომპიუტრად გამოყოფრებიან ის მკვლევარნი, რომელნიც ამტკიცებენ, — ღმერთმა რომ სხად თვისად შექმნა კაცო, ეს ფიზიკურ მსგავსებას გულისხმობს მხოლოდ. „შესაქმის“ ავტორი არაგზით არ არის განვითარების იმ ადრეულ საფეხურზე მდგარი პიროვნება, როდესაც ღვთებმა ფიზიკურ, მატერიალურ, ხორციელ არსებად წარმოიდგინებოდა. ღმერთის სხად და მსგავსად კაცის შექმნა ოდენ სულიერ რაობას შეიძლება გულისხმობდეს. დახოლოს, იგივე „ეკლესიასტიკ“, რომელსაც მოიხმობენ ხოლმე იმის დახტურად. რომ, იმდროინდელ წარმოდგენათა თანახმად, სხეულთან ერთად სულიც უნდა კვდებოდეს („...ძალი ცოცხალი — იგი უკეთეს, უფროს ღმრთისა მკვდრისა. ვინათგან ცოცხალნი სცნობენ, რამეთუ მოკვდებიან, ხოლო მკვდარნი არა არიან მეცნიერ არარანსა და არა არს მათდა მერმეცა სასუიდელო... არა არს ქმნილი და გულის სიტყვა და მეციერება და სიბრძნე ჭკობითნა შინა, სადაცა შენ დახვალ მუნ“, 9,4-10), ხომ აღძრავს ამგვარ კითხვას: „და ვინ უწყის — სული ძეთა კაცთასა, უკეთუ იგი ადვალს მალდა, და სული საცხოვრთა, უკეთუ შთავალს იგი დაბლა ქვეყანად?“ (8, 21). აქ ხომ ეგვირა გამოთქმული და ეს ეგვირა ხომ უკვე სახეობთ ჩამოუთქმებულ თვალსაზრისს უპირისპირდება — სიკვდილის შემდეგ კაცის სული ზეცად მიდისო.

ასე რომ, იერემიას წინასწარმეტყველებაში მოცემული ფორმულა — „ცხოველ არს უფალი, რომელმან შექმნა ჩემი ესე სული“ (88, 18), იმთავითვე შემუშავებულ თვალსაზრისს უნდა გამოხატავდეს და არა ოდენ გვიანდელს,

ოღონდ ის კი მართებულად აქვთ შენიშნუ-

ლი მკვლევარებს, რომ „ძველი აღთქმის“ წიგნებში, განსაკუთრებით — ადრეულ ნაწილებში, სიკვდილის შემდეგ მისი სულის ასავალ-დასავალი.

მსგავსად შუამდინარეობა, მსგავსად ქართველთა, მრავალი სხვა ხალხის მსგავსად, ძველ ებრაელთა სამყაროც სამ შრეს, სამ იერუსს წარმოადგენდა ვერტიკალურ განსერში: მიწის ქვეშეთს, მიწას და ზეცას (პირველსა და მესამეს ქართულად ძველთაგანვე ერქვა „ქვესკენელი“ და „ზესკენელი“).

ძველთუძველესი წარმოდგენების თანახმად, ქვესკენელი მიცვალებულთა და მკვდართა სამყოფელი იყო, მიწის პირი — ცოცხალ არსებთა და კაცთა მოდგმის, ზესკენელი — ღვთებთა საყოფლო. ადრეულ ხანაში, ვიდრე სულის მოძღვრება საქმარისად განვითარდებოდა, მიჩნეული იყო, რომ კაცი სიკვდილის შემდეგ ქვესკენელს შთაბებდა და იქვე რჩება სამარადისოდ შავეთის უსინარაულო და უღიმღამო არსებობას შერწყმული. ოღონდ რას ნიშნავს „კაცი“, „ადაიანი“? მისი სხეულია ეს, თუ სხვა რამ? მკვდარი სხეული სადაა უნდა შთაბდეს, გარდა საფლავისა, რაღა ბედი უნდა ეწიოს, გარდა გაცამტვერების და სრული განქარვებისა? აბა სული შთაბდება ქვესკენელს?

საქმე ის გახლავთ, რომ უსხეულო, არამატერიალური, დამოუკიდებელ სუბსტანციად არსებული სულის იდეა უძველეს დროს არ გაჩნდათ. სული წარმოიდგინებოდა დამკრობილი ფიზიკური სხეულის მსგავს რაიმედ, ამ სხეულის უხილავ ორეულად თუ ღანდად, აჩრდილად, სხეულმებრვად და არც სხეულმებრვად. ამიტომ საჭიროება მიცვალებულთა სამყოფელ დარჩენილთაგან ზრუნვას, სასმელ-საქმელსაც კი მაგრამ ეს მინც სული იყო და არა სხეული. და სწორედ ის უნდა ჩასულიყო შავეთს ანუ სულებთს.

„ბიბლიის“ ადრეულ წიგნებში, ღმერთისგან ბოძებულ უკვდავი სულის იდეის პართიკურად, დახტურდება ხსენებული მითოსური წარმოდგენა სიკვდილის შემდეგ ქვესკენელს შთაბდომისა. იაკობმა რომ საყვარელი ძის — იოსების დაკარგვის ამბავი შეიტყო და მკვდრად მიიჩნია, „დაიბო საშოხელი თვისი და ძაძა თვისისა წელთა ზედა თვისთა და ერთხელა ძესა თვისისა დღეთა მრავალთა... და არა ინება ნუგეშისნიცემა მეტყველმან, ვითარმედ: — შთავიდე ძისა ჩემისა მიმართ მგლოვარე ჭკობითად“ (შესაქმე, 87, 84-85).

აქ ქართული თარგმანის „ჭკობითი“ მომდევნო დროის ქრისტიანულ ჭკობითს კი არ

რეპავ თხარამე სოფელი და ზამთასოფელი

ნიშნავს, არამედ მითოსურ ქვესკნელს მხოლოდ-
სხვა შემთხვევებშიც ასე: „ვიდრემდე არა გან-
ვიდე, სადათლა არა მოვიქცევი, ქვეყანასა შინა
ბნელსა და წყვდიადსა, ქვეყანასა შინა ბნელსა
საუკუნესა, სადა არა არს ნათელი“ (იობი,
10, 21); „უოველნი კაცი მიწად მიიქცეს, სა-
დათგან დაბადებულ იქმნა“ (იქვე, 34, 15); „ვინ
არს კაცი, რომელი ცხონდეს და არა იხილოს
სიკვდილი და იხსნეს სული თვისი ზღოთაგან
ჯოჯობისათა?“ (ფხალმუნნი, 88, 49); „...არა
არს ქმნილი და გულის სიტყვა და მეცნიერე-
ბა და სიბრძნე ჯოჯობისა შინა, სადაცა შენ
წარხვალ მუნ“ (ეკლემიასტი, 9, 10); „დაიძინონ
ძილი საუკუნო და აღარა განიღვიონ უკუნი-
სამდე“ (იერემია, 51, 57).

მაგრამ, ამასთანავე, უფრო და უფრო ნათ-
ლად გამოიკვეთება ის იდეა, რომ ღმერთისგან
კაცისთვის ბოძებული სული უკვდავი უნდა
იყოს. უკვე მეორე ნუსხაში წიგნი მანახე მეფე
ამგვარ ლოცვას აღაღერებს უფლისადმი: „ნუ
რისხვით იხსენებ ბოროტთა საქმეთა ჩემთა,
ნუცა დამსჯი მე ქვესკნელთა ქვეყანისათა, რა-
მეთუ შენ ხარ ღმერთი, ღმერთი მონათულთა“.
აქ უკვე ილანდება სიკვდილის შემდეგ კაცის სუ-
ლის განკითხვის და მისაგებების იდეა, რაც,
ცხადია, მითოსურ ქვესკნელში შთამბდარ აჩ-

რდილს ველარ დაუკავშირდებოდა. შემდგომში
აქცენტი იმ გარემოებას უკეთდება, რომ მიწად
ქვესკნელად ის მიიქცევა არსებულთაგან, ვისაც
ღვთაებრივი სული განეშორება, ესე იგი სული
ღმერთის უბრუნდება და მისი სამყოფელი ქვეს-
კნელი ვერ იქნება (ფხალმუნნი, 108, 29, 14; 3-4, იერემია, 10, 16). ბოლოს მისაგებების თვა-
ლსაზრისი წინა პლანზე წამოიწევს: „მართალთა
სულნი ზღოთა შინა ღვთისათა და არა შეეხოს
მათ ტანჯვა (სიბრძნე სოლომონისი, 8, 1). ამას
უკვე მოსდევს ქრისტიანული რწმენისთვისაც
სავსებით ორგანული თვალსაზრისი: „მრავალნი
დაძინებულნი ქვეყანასა შინა მიწასა აღდგენ
— რომელნიმე ცხოვრებად საუკუნოდ და რომ-
ელნიმე უვადრებად და სირცხვილად საუკუ-
ნოდ“ (დანიელ, 12, 2); „იუვენით გამწადებულ-
ნი მისაგებებისა მიმართ სასუფევებისა.. ივ-
ლტოდით აჩრდილისა ამის საუკუნისა“ (მესამე
ეზდრასი, 2, 85-86); „იეხ არიან, რომელთა გა-
ნაძარცვებს სამოსელი მოკვდავთა და შეიმოსეს
უკვდავთა“ (იქვე, 2, 45).

ოღონდ, როგორც ითქვა უკვე, ზოგიერთი
მკვლევარი იმ თვალსაზრისს ადგას, რომ უკვდავი
სულის იდეა „ძველი აღთქმის“ შემქმნელებმა
მაცნდამაინც სხვათაგან ისესხეს მაინცდამაინც
არაუადრეს ელინისტური ხანისაო.

გაგრძელება იქნება





თამარ ლომიძე

„მან სათა გარის, მანცა თამარის...“

ძარტმელ მებობეთა — ჩახტუხაძისა და შავთელის — ქმნილებების მხატვრულ თავისებურებათა შორის უველაზე თვალსაჩინო დამახასიათებელი ნიშანა ომონიმური რითმების პარადიგმის გამოყენება:

ჩახტუხაძე:
„შან ცათა შარის, მანცა თამარის გან მზე აბნელა მაციკროვინებად“.

შავთელი:
„ხარე ისარი ხარ კეისარი, სიმღიდრათ ლალი ჭიმშედ-მფლობელი“.

იმ სტრიქონებში, სადაც ომონიმური ანუ მაჭამური რითმა გამოყენებული, გამოყოფა წინაცეწურული მაჭამური ნაწილი და უკანაცეწურული ნაწილი.

პირველი მათგანი, თავის მხრივ, არ ნაწილად აქვდა, რომელთა ბგერითი შედგენილობა მათგან ან ნაწილობრივ თანხვედრისა. თითოეულს კეთილშეკრება წაჭმოქმენება მხოლოდ მეორე ნაწილს ომონიმ. ცალ-ცალკე აღქმისას კი ისინი, გარკვეულად, შეიშლებება მხატვრული სამოსელისგან, რაც წინა პლანზე წაშორებს მათ აწრთბრვ მხარე. შეიძლება ითქვას, რომ მაჭამის ყოველი ნაწილი ორგანო-შემაღლებიანია — მხატვრულ განწყობილებას წარმოშობს მეორე ნაწილთან ურთიერთმოქმედება. მაჭამის თავსთავადობა, მისი მთელი სპეციფიკა განისაზღვრება მათი ურთიერთგამხვავლებით, რომელიც მათ უფრო მდიდრია, რაც უფრო ახლოს არიან ისინი ერთმანეთთან.

გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომელსაც ი. ტინიანოვმა „სალექსო რიგის სიმპილაროვი“ უწოდა. მისი ზეგავლენით სალექსო სტრიქონში მოთავსებული სიტყვების სემანტიკა უფერულდება (უკანასკნელი სიტყვის გარდა). სტრიქონი, რომელსაც მაჭამური სტრუქტურა აქვს, უფრო მძლავრადაა შემპიდროებული, ვიდრე გარეგნობითიან ჩვეულებრივი სტრიქონი, რადგან მასში ურთიერთმოქმედებს სულ ორი ერთგვაროვანი ან თითქმის ერთგვაროვანი ნაწილი. მათ შემადგენელ სიტყვებს დამოუკიდებლობა დაკარგული აქვთ — ისინი აღიქმება,

როგორც ორი მთლიანობა, ორი „სიტყვა“. ამის გამო ჩახტუხაძის წინაცეწურული მაჭამური ნაწილი უფრო მეტადაა შემპიდროებული, ვიდრე უკანაცეწურული ნაწილი და უპირისპირდება მას. კერძოდ, ომონიმური „სიტყვების“ დესემანტიკაციის შედეგად შვეთრად აღიქმება უკანაცეწურული გამოთქმის შინაშენლობა — სტრიქონის ეს მონაკვეთი სემანტიკურად გამოიყოფა.

თუ განვიხილავთ თვით მაჭამურ რითმათა ურთიერთმოქმედებას, აქ მეტად საინტერესო ფსიქოლოგიური ეფექტი შეინიშნება — მასში თავს იჩენს გიგე მექანიზმი, რომელიც ხაფუქვლად უღედს ცნებათა წარმოქმნას.

უპირველეს ყოვლისა, ომონიმური „სიტყვების“ სემანტიკური განსხვავების შენიღბვის გამო, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ისინი აღნიშნავენ ერთსა და იმავე საგანს ან მოვლენას (ან, უფრო ზუსტად, უკანაცეწურული ერთსა და იმავე წარმოდგენას) — და ომონიმია სინონიმად გარდაიქმნება. რა თქმა უნდა, შინაარსობრივა განსხვავება მაინც აღიქმება, მაგრამ ის თითქმის დაძლეულია სიმპიდროვის ფაქტორის მიერ.

ეს სინონიმია უჩვეულო ბუნებისა: ორი — მთლიანად ან ნაწილობრივ — გიგეობრივი გამოთქმით აღინიშნება ორი თითქმის იდენტური შინაარსი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს შინაარსები ურთიერთშენაცვლებიანია ერთი „სიტყვის“ მიმართ, რაც ცნებითი აწრთვების საფუძველია: „ორი სხვადასხვა საგნის ურთიერთშენაცვლებადობა რაიმე სიტყვის მიმართ ნიშნავს ამ სიტყვის მეშვეობით მათი ინვარიანტის განყენებასა და განწოვადებას“ — შენიშნავდა პალეოფსიქოლოგი ბ. ფ. პორშენევი. გარეგანი მაჭამური რითმების გამოყენებისას ეს ეფექტი არ წარმოიშვება. მისი პირობაა რითმების მოქცევა ერთ სალექსო სტრიქონში ანუ მათი მაქსიმალური შემპიდროება.

სად უნდა ვეძიოთ ის წოვადი მსოფლმხედველობრივი საფუძველი, რომელიც ამ მხატვრულ ფორმას საპირობებს?

ქართველ მეზობლებთან აზროვნების ღლოცვა და სტილი გამგავსება ნეოპლატონური ფილოსოფიის ფუძემდებლის — პლოტინის აზროვნების ღლოცვასა და სტილს, რომელსაც ა. ფ. ლოსკვი „ცნობით — დიფუზურს“ უწოდებს და ამგვარად ახასიათებს: „პლოტინის ფილოსოფიური სტილი არაა გარეგანი რამ და არ წარმოადგენს მწერლის მიერ თავისი აზრების გადმოცემის გარეგნულად შემთავსებელ მანერას. ეს სტილი და ეს მანერა დაკავშირებულია პლოტინის თეორიული ფილოსოფიის არსთან და, თუმცა, ერთი შეხედვით, გარეგნულია, მაგრამ მართლ სახეებით ონტოლოგიური სფეროა. ის პლოტინისეული თხრობის საკლი კი არაა, არამედ პირიქით, მის მიერ დამუშავებული, სრულქმნილი, მაქსიმალურად გამოხატული და ბრწყინვალე ფორმის მარკინებელია“.

პლოტინთან ფილოსოფიური კატეგორიები დიფუზური სახითაა წარმოდგენილი, კმნად, განვითარებად მდგომარეობაში. ქართველ მეზობლებთან (ქვემოთ, სიმარტივისათვის, ვიშკელებით ერთ-ერთი მთავანის — ჩახრუხაძის შესახებ) მოცემულია ცნების კმნადობის სურათი, ე. ი. არა თვით ცნებები, არამედ — მხატვრული საშუალებებით — მათი წარმოქმნის საფუძველი. ამიტომ ჩახრუხაძის მხატვრული აზროვნება აგრეთვე შეიძლება განისაზღვროს, როგორც „ცნობით-დიფუზური“; ჩახრუხაძეში განსხვავებულ შინაარსთა დაახლოებისა და შერწყმის, ურთიერთგამსჭვალავს შედეგად მიიღწევა გარკვეული „ცნობითობა“.

ესა ყველაზე ზოგადი ნიშანი, რომელიც აერთიანებს პლოტინის ფილოსოფიური აზროვნების სტილსა და ჩახრუხაძის ლიტერატურულ სტილს. მსგავსების საფუძველია აზროვნების ერთგვაროვნება. „ენეალების“ შინაარსი განსაზღვრა ავტორის ცნებით-დიფუზურმა აზროვნებამ, რომელიც ჩახრუხაძის „თამარიანში“ კრისტალიზებულია ასეთივე — ცნობით-დიფუზური სახით. მართალია, ერთ შემთხვევაში მივიღეთ ფილოსოფიური მოძღვრება, მეორეში კი — მხატვრული ნაწარმოები, მაგრამ მათ შორის ამ ეპოქაში არც ისე მკვეთრი განსხვავებაა.

ეს მსგავსება მით უფრო მკვეთრად ვლინდება, რაც უფრო ღრმად დავაკვირდებით ჩახრუხაძის საღებავ სტრიქონის სტრუქტურას, კერძოდ, სტრიქონის წინაცეზურულ ნაწილს.

შემოდ აღნიშნეთ, რომ ჩახრუხაძის წინაცეზურულ ნაწილში თითოეული ომონიმური „სიტყვა“ მეორე „სიტყვის“ სხვადასხვანაირად წარმოადგენს, ხოლო მათი თავისებურებები წარმოჩნდება მხოლოდ ურთიერთშეპირისპირებისას. ლექსის მატერიალური მხარის ეს ნიშნები შემთხვევითი არ უნდა იყოს, ვინაიდან ნაწარმოების მიკროკოსმი ახახავს მაკროკოსმს, ის

სამყაროს განუყოფელი ნაწილია და მისი თვისებებით ხასიათდება. „მკვლევარის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სწორედ „მსოფლიმხედველობრივი სტილის“ ერთიანობის ფაქტორებს; სამაგრებს, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოდგენათა იმ სამყაროს ერთიანობას, რომელშიც მაშინ ცხოვრობდა ადამიანი“ — ხაზგასმით მიუთითებს ხ. ს. ავერნიცევი „ადრებიზანტიური ლიტერატურის პეტიკაში“. მართლაც გარესამყაროს აღქმა ესთეტიკურია და ესთეტიკურ ობიექტში — ლიტერატურულ ნაწარმოებში უცვლელად აისახება, ხოლო ნაწარმოების „მატერიის“ სტრუქტურა ემთხვევა სამყაროს მატერიალურ სტრუქტურას. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ჩახრუხაძის ქმნილების მატერიალური მხარის გაფორმება შეესაბამება მის წარმოდგენას მატერიის შესახებ. ეს წარმოდგენა კი ნეოპლატონურია. მატერიის ძირითადი განსაზღვრა პლოტინთან „მიუთითებს იმაზე, რომ ყოველი საგანი გულსხმობის თავის გარემოცვას, თავის ფონს, თავის სხვადასხვანაირებას, ესე იგი, არა აქვს არავითარი ნიშანი და თვისება... ეს „უაზრო“ მატერია, რომელიც ყოველივეს გარემოცვისა და, მასთანამდე, სხვადასხვანაირების პრინციპს წარმოადგენს, პირველად ზღვის შესაძლებლად რაიმეს გამოვლენას თავისი თავისთვის“ (ა. ფ. ლოსკვი).

როგორც ვხედავთ, მაქამური რიომის ინდივიდუალობა, სიმჭიდროვის პრინციპის მოქმედებისას, მართლაც დაკავშირებულია იმ ქმნადობასთან, როდესაც ერთი და იგივე კულტიურული ხატი თავდაპირველად ორ განსხვავებულ შინაარსს აღნიშნავს, შემდგომ კი, ამ შინაარსთა ურთიერთმოქმედებისას, ამჟღავნებს „ცნობითობის“ თვისებას.

შემდგომ, თუ უკანაცეზურულ გამოთქმაში რაღაც შინაარსი გამოხატული, წინაცეზურული ნაწილი ანტიშინაარსობრივია — მასში აზრი იმგვარადაა გამოთქმული, რომ გამოთქმის ფორმა ანტიტრალბებს ამ აზრს: პირველი მთავანი რაღაცაზე მეტყველებს; მეორე — ამაზე — დუმს. ბოლოს, მაქამური „სიტყვების“ სემანტიკური გაუფერულება წააგავს საკუთარ სახელებში მნიშვნელობის გაუფერულებას (საკუთარი სახელები არაფერს არ აღნიშნავს, ყოველი მთავანის თავისებურებას განსაზღვრავს ბგერითი შედეგნილობა).

მაშასადამე, ჩახრუხაძის წინაცეზურული ნაწილი სამ ასპექტში ავლენს ინდივიდუალურ ნიშნებს: 1. ცნობითობა; 2. ანალოგია დუმითთან; 3. საკუთარ სახელთან მიმსგავსება.

საგულისხმოა, რომ პლოტინის აზრით, დუმითი წარმოადგენს „ერთიანადმი მიახლოების უკანაცეზურულ შესაძლო საფეხურს“... „ერთი გამოთქმელია და ეს ლიტონი რიტორიკა როდია, არამედ სპეციალური მისტერიალური

ტერმინია... პლოტინი თითქოს პოულობს პოზიტიურ-აღწერით ტერმინს გამოუთქმელ და წარმოდგენელ საგანთან ცნობიერების წიარებისთვის — ესაა thisis, შეხება, წიარებაც კი“ (ა. ფ. ლოსევი). შეხებისას ისპაობა წყაროს სუბიექტსა და ობიექტს შორის, ისინი ურთიერთს ერწყმის. ამის შედეგად ენა თავისუფლდება საგანთა სამყაროსთან მიმართებისაგან, თავისთავში იკეტება, ესე იგი, უარყოფის თავის თან, ნაწილობრივ (უპარო გამოწაობვაში) ან მკლანად (დემიოში).

ჩახრუხაულის წინაცუჭურული ნაწილის მესამე თვისება აალოებს მას საკუთარ სახელთან — რომლის აარგმნა შეუძლებელია. საკუთარ სახელს სინონიმები არ გააჩნია, ის ერთადერთი და განუმეორებელია.

ჩახრუხაის მიერ კონკრეტული მხატვრული სტრუქტურის შერჩევა განაპირობა „თამარიანის“ ეანრმა. მასში წარმოებს თამარის — ერთადერთის, განუმეორებლის, „ღვთაებრივის“ სახელდება. ამიტომ ჩახრუხაულის ფორმა ემსახურება თამარის სახის განწოგადებას („ცნებითობა“), მისი განუმეორებლობის, ღვთაებრიობის შობაბედილების შექმნას (ანალოგია საკუთარ სახელებთან) და ექსტატური გზით (ანალოგია დემიოთან) მისი სრულყოფილების წვდომას. ცნობიერი მომენტი აქ ნაკლებნიშვნელოვანია. პოეტის აწროვნების თავისებურებები ეპოქის საერთო სულსდებობით იყო განსაწლვრული.

ჩვენი დებულებების დასასაბუთებლად საჭიროა, გამოვავლინოთ ნეოპლატონური ფილოსოფიის განვითარების შინაგანი ლოგია პლოტინიდან პროკლემდე. ამ შემთხვევაში არსებითია არა მათი ფილოსოფიის შინაარსი, არამედ ის კანონწომბერება, რომელმაც განაპირობა ამ შინაარსის განვითარება.

ნეოპლატონური აწროვნების ლოგიაკმ პროკლემ მიიყვანა რიცხვთა სფეროს პრობლემის დამუშავების აუცილებლობამდე. პლოტინთან რიცხვები ქერ არაა გამოყოფილი დამოუკიდებელ იერარქიულ საფეხურად. პროკლეს სამყაროში კი „რიცხვები ანუ ღმერთები“ „ერთის“ შემდგომი საფეხურია, რომელსაც მოსდევს „გონი“ და, ბოლოს, „სული“ — დაღმავალი იერარქიით.

რიცხვების ცალკე საფეხურად გამოყოფა ნიშნავს, რომ პროკლემ ან შეცვალა სამყაროს იერარქიული დაყოფის პრინციპი, ან დინახა რიცხვებში ისეთი რამ, რაც არ შეუძნევიპლოტინს, ე. ი. ახლებურად აღიქვა ისინი, იმ ასპექტში, რომელშიც რიცხვები ღმერთის იგივეობრივია.

იერარქიული დაყოფის პრინციპი პროკლეს არ შეუცვლია. ამიტომ უნდა გამოვყოთ რიცხვთა ის თვისებები, რომლებიც, ერთი მხრივ, აიგივებს მათ ღმერთებთან, მეორე მხრივ კი

— კლებულობს დაღმავალი იერარქიული განხილისას, წარმოდგენს რა, საწოგადღო, ნეოპლატონური სამყაროს გააწრების საერთო პრინციპს.

რატომ აიგივებს პროკლემ რიცხვებსა და ღმერთებს? ა. ფ. ლოსევი ამის რამდენიმე მიზეზს ასახელებს: იმას, რომ განუცნებულ რიცხვს რა აქვს არავითარი თვისობრიობა; რომ ასეთი რიცხვები კიდევ უფრო განუცნებელია, ვიდრე განუცნებელი ცნებები და მსკელობები; ბოლოს, რაცხვი არის „რალაც მარტივი, უშუალოდ აღქმადი, თვალსაჩინო, აბსოლუტურად განუყოფელი და ერთეული. რიცხვს, განხილულს მისი განუყოფლობის, ერთეულობისა და აბსოლუტური სიმარტივის მხრივ... პროკლემ უწოდებს უბრალოდ „ერთს“ — ამიტომ პროკლესთან, საწოგადოდ, უკელა რიცხვს, რამდენი ერთეულისაგანაც არ უნდა შედგებოდეს ის, მუდმივად ეწოდება „ერთეული“.

ა. ფ. ლოსევი არ ამახვილებს უწრადღებას იმ გარემოებაზე, რომ უკველი განუცნებელი რიცხვთა ერთადერთია. მას მიაჩნია, რომ ესა თუ ის რიცხვი ერთეულია, ერთია — მისი ერთიანობის, განუყოფლობის გაგებით. ვფიქრობთ, პროკლეს მიერ უკველი რიცხვის „ერთად“ გამოცხადება მისი ერთადერთობის აღიარებას ნიშნავს. რიცხვთა ეს თვისება საშუალებას იძლევა, ვივარაუდოთ მიზეზი, რომლის გამო პროკლემ აიგივებდა ღმერთებსა და რიცხვებს: არსებობს ღმერთების ერთადერთი სიმარტევი. გარდა ამისა, უკველი ღმერთი ერთადერთია, უნიკალურია. აქედან გამომდინარეობს ის ქვეთიებები, რომლებიც დასახელებულია ა. ფ. ლოსევის მიერ და რომლებიც აგრეთვე აერთიანებს რიცხვებსა და ღმერთებს.

ამ ვარაუდის სისწორეს ადასტურებს ის, რომ პროკლეს მიხედვით, რიცხვთა უბრალოდ ერთი კი არაა, არამედ — „წეშთარსობრივი ერთეული“. მართლაც, დავიწყებთ თუ რა კონკრეტული საგნების დათვლას, რიცხვები მუისვე დაკარგავენ არა მარტო „წეშთარსობრიობის“, არამედ ერთადერთობის თვისებასაც. ასეთი რიცხვები განმეორებადია, ყოველ წეშთარსობრივი რიცხვი ერთი კი — ერთადერთი.

რაც შეხება რიცხვთა ერთიანობას, აბსოლუტურ განუყოფლობას და სხვ., რომელთა შესახებ ა. ფ. ლოსევი მსკელობს, უკელა ეს თვისება შეიძლება გავაერთიანოთ და ვივლინახსოთ, რომ აქ მოქმედებს სახელდების პრინციპი. ნიშანდობლივია, რომ „წეშთარსობრივი რიცხვების ბუნების ახსნა, განმარტება (იხევა, როგორც საკუთარი სახელებისა) შეუძლებელია თითოეული ასეთი რიცხვი არა მარტო ერთადერთია, არამედ განუმეორებელიც (განუმარტავი).

თამარ ლომიძე
„მან ცაშა მარის, მანაც თამარის...“



სახელდების პრინციპს ყველაზე მეტად ემორჩილება „ერთი“, რომელიც აბსოლუტურად განუმარტავი, „უთქმელი“, განუმეორებელია.

ამ გაგებით, ერთის ძალის შემცირება ყოველი ინარჩქილ კვესაფებურზე ნიშნავს მისი განუმეორებლობის, გამოუთქმელობის თვისების შემცირებას. ამიტომ კანონზომიერია, რომ გონისა და სულის რაობის წვდომისას პროკლე სპირტება მანმარტებამ. საინტერესოა, რომ დანაწევრებულია არა მარტო მისი მსჯელობა, არამედ თვით ეს ქვედა საფებურებიც — გონი უფრო ნაკლებად, სული კი — უფრო მეტად. ამასთან, მსოფლაქმის ეს ფორმა პროკლესთან გადმოცემის, მსჯელობის სტილში არ აირეკლება (მაშინ, როდესაც პლოტინის მსჯელობა ცნებით — დიფუზურია) და ამიტომ ნაკლებად შესამჩნევია. ის ლოგიკურ პლანში აისახება.

ერთისა და რიცხვებისაგან განსხვავებით, გონი და სული რადაცას აღნიშნავენ, რადაცის ნიშნებს წარმოადგენენ, ე. ი. რადაცის მეშვეობით განიმარტებიან.

გონის სფეროში პროკლე ათავსებს ყოფიერებას, სიცოცხლესა და აზროვნებას. ეს საფეხური ზეთაარსობრივი აღარაა — გონი დაკავშირებულია ყოფიერებასთან. გარდა ამისა, ის არ ემთხვევა საკუთარ თავს და აღნიშნავს ყოფიერებას, სიცოცხლესა და აზროვნებას.

ამიტომ საკუთრად გონზე სახელდების პრინციპი აღარ ვრცელდება, მაგრამ მას ექვემდებარება როგორც ყოფიერება, ასევე სიცოცხლე და აზროვნება. ისინი განმარტავენ გონს, მაგრამ თვით მათი განმარტება შეუძლებელია. მასხადაში, გონი ნაკლებად ამჟღავნებს განუმეორებლობის თვისებას, ვიდრე ერთი და რიცხვები, რომლებიც აღნიშნავენ მხოლოდ საკუთარ თავს. სამაგიეროდ, განუმეორებელია გონში შემავალი სამი ზემონახსენები სფერო.

სული კიდევ უფრო ნაკლებად ავლენს განუმეორებლობის თვისებას. ეს ცნება ძალზე დანაწევრებულია. ის განმარტება, როგორც, ერთი მხრივ, უნივერსალური სული და სამყაროსწინა სულები; მეორე მხრივ — ესაა სულის იერარქიული ტიები. უნივერსალური სული წარმოადგენს კოსმოსის განვითარების პრინციპს, სამყაროსწინა სულები კი ცალკეულ საგანთა ან მოვლენათა განვითარების პრინციპებია. უნივერსალური სული შეიძლება განვიხილოთ კოსმოსთან მისი კავშირის გარეშე — აქ პროკლე განასხვავებს ღვთაებრივ სულებს, გონის სულებსა და ცვალებად სულებს.

განვითარებად კოსმოსთან ან განვითარებად საგანთან დაკავშირებული უნივერსალური სული და სამყაროსწინა სულები აღარ ექვემდებარებიან სახელდების პრინციპს. მათი წვდომისათვის საკმარისი აღარაა მათი დასახელება,

საბერო კოსმოსისა და ცალკეული საგნების თანხებურებათა გათვალისწინება:

სახელდების პრინციპი ვრცელდება სულთა იერარქიულ ტიებზე. თითოეული მათგანი განუმეორებელია. მათი საშუალებით პროკლე განმარტავს სულის ცნებას.

განუმეორებლობის გარდა, რიცხვათა თვისებაა მათი ერთადერთობა, რომელიც აგრეთვე წარმოადგენს ნეოპლატონურს სამყაროს იერარქიული დაყოფის საფუძველს.

ერთი — არა მარტო ერთიანია, არამედ ერთადერთიც, რადგან არ არსებობს მეორე ერთი.

ყოველი რიცხვი უნიკალურია, განუენებულ რიცხვათა სიმრავლე — ერთადერთია. ამ საფეხურზე ერთადერთობის თვისება სიმრავლეშია განვლული.

რიცხვათა ამ თვისობრიობის წვდომა გონს არ შეუძლია; ამიტომ ის რიცხვათა შემდგომი საფებურია. თუ რიცხვები განვლულია განუენებულ სიმრავლეში, გონს განვლულია ყოფიერების, სიცოცხლისა და აზროვნების თვისობრივ მრავალფეროვნებაში.

რიცხვათა ეს თვისებები, რომლებიც ჩვენ საგანებოდ აღვნიშნეთ, მათი ძირითადი დამახასიათებელი თვისებებია, ვინაიდან ისინი ავლენენ ნეოპლატონური სამყაროს სტრუქტურის, მისი იერარქიული საფებურების შინაგან კავშირს და ყოველი საფებურის, მათ შორის, თვით რიცხვათა სფეროს, სხვა საფებურებთან მიმართების ხასიათს. კერძოდ, ერთის ძალის შემცირება ყოველ კვესაფებურზე ნიშნავს მისი განუმეორებლობის, ერთადერთობის (რაც ესთეტიკური ობიექტების თვისებაა) გაუფერულებასა და შემცირებას. აქედან გამომდინარე, პროკლეს ფილოსოფიაში სამყაროს იერარქიული საფებურების დახასიათების ლოგიკურ პლანში ასახულია მათი მსთმბმპური ურთიერთმიმარტება. პროკლე ამაზე უშუალოდ არაფერს ამბობს, მაგრამ ის გარემოება, რომ ერთის, რიცხვების, გონისა და სულის შესახებ მსჯელობისას ის სულ უფრო მეტად მიმართავს განმარტებას და არა სახელდების პრინციპს, ე. ი. იყენებს ორგვარ ლოგიკას, ამის დამადასტურებელია.

ერთის წვდომისთვის სულმა უნდა უყუარდოს ყოველგვარი დაპირისპირება და დანაწევრება (გონი), დაძლიოს საგანთა და მოვლენათა სიმრავლე და, საზოგადოდ, სიმრავლე (რიცხვები).

რა ენაზე მეტყველებს სული ამ დროს? ბუნებრივია, ეს არ იქნება გონის ენა, ვინაიდან სულმა უკვე დაძლია ეს საფებური. მას სჭირდება რაღაც ანტიენა, ანტიმეტყველება, ანტი-აზროვნება, რომელიც სრულიად უთარგმნელი, განუმეორებელი უნდა იყოს. ასეთია უაზრო

მეტყველება ან სიმღერა, მუსიკა. მესამე გზაა
დუმილი. პოეზიაში დასაშვებია პირველი გზა
და ჩაბრუნებამ სწორედ მას მიმართავს: ერთ
სალექსო სტრიქონში მოთავსებული ომონიმური
გამოთქმების ურთიერთმოქმედება მათ ღებ-
მანტიანდაც იწვევს, რაც ექსტაზისა და ერთის
წვდომის საშუალებაა.

ჩაბრუნებულში მაქამურ წინაცეზურულ ნაწილს
მოსდევს შემდეგი ფრაზა, სადაც წარ-
მოებს სუბიექტის პრედიკაცია. შესაძლებელია,
პრედიკატი წინაცეზურულ ნაწილშიც შეგვ-
ხვდეს, მაგრამ მისი ბგერითი ორგანიზაცია
მიანც აუფერულებს პრედიკატს.

უკანაცეზურულ მონაკვეთში ხასიათდება,
ძირითადად, თვით თამარი, უფრო იშვიათად,
სხვა პირები. უცვლელია მხოლოდ ერთი რამ:
მაქამური ნაწილში წარმოებს სახელდება, მის
შემდგომ — პრედიკაცია. ჩაბრუნებამ მსჭე-
ლობს: ის თამარი, რომელიც მოიმოქმედა
ესა და ეს, ან — რომელიც ამგვარია.

რატომ არ შეიძლება მაქამათა გაბნით
გამოყენება, ისე, რომ ავტორს წარმოედგინა
მაქამური სტრიქონების უწყვეტი რიგი?

აქ ვლინდება აზროვნების ის თვისება, რომე-
ლიც ენაში მყარი კანონზომიერებით მოქმე-
დება. კერძოდ, ჩვეულებრივ, „საკუთარი სახე-
ლები თითქმის კრძალავენ შემდგომ ინდივი-
დუალიზაციას მსაზღვრელის „ეს“ და ა. შ. მი-

ერთების გზით. თუ ასეთი მსაზღვრელები ფა-
ტიურად გამოყენება, ეს იმას ნიშნავს, რომ
საკუთარი სახელები მოცემულ სიტუაციაში ან
კონტექსტში არასაკუთარია“ (ი. ს. სტეპანო-
ვი). არასაკუთარის ინდივიდურობის ქვეშ აქ
იგულისხმება საკუთარი სახელის განწოგა-
დება, ე. ი. მის მიერ თავისი თავის უარყოფა.

მაშასადამე, თამარის სახე რომ ნაკლებად
განწოგადებული იყოს, მას პრედიკაცია არ
დასჭირდება და მაქამური სტრიქონები ერთ-
მანეთის მიყოლებით იქნებოდა განლაგებული.
მაგრამ ავტორისთვის თამარი „ღვთებაა“:
უკიდურესად განწოგადებული სახეა, რომე-
ლიც პრედიკაციასა და დაკონკრეტებას მოით-
ხოვს. რიგითი პიროვნებისადმი ხოტბის შესწმი-
სას სტრიქონის მაქამური ნაწილი უადგილო
იქნებოდა და არც პრედიკაცია იქნებოდა საჭი-
რო, დაირღვეოდა სახოტბო ნაწარმოების
ფორმა.

ნეოპლატონურმა მოძღვრებამ ასახვა ჰპოვა
არა მარტო რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“
— ავტორის მიერ გამოთქმული შეხედულე-
ბების სახით, არამედ ქართულ მეხოტბეთა
ქმნილებების გამოშახველობით პლანშიც, რაც
კიდევ ერთხელ ავლენს ამ ფილოსოფიის ღრმა
ზეგავლენას შუა საუკუნეების ქართულ კულ-
ტურაზე.





გრიგოლ რუხაია

ეს იყო სპირდლოვსკუი

უნივერსიადაზე დაკავებულმა პირველმა ადგომმა „ბურევსტნიკის“ მესვეურებს გადააწყვეტინა ჩემი გამოყვანა სვერდლოვსკის რინგზე, სადაც ორიოდე კვირაში უნდა დაწყებულიყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კრივში.

... სვერდლოვსკში ღამით ჩავფრინდით. ავტობუსმა მალე სასტუმროს კარებს მიგვაყენა. მწვრთნელებმა თაღარიგი დაიჭირეს, რომ ნომერში ორ-ორი სპორტსმენი მოეხავეხებინათ. მე კი იდენს ვეცადე. ცალკე ნომერში განვმარტოვდი. შეიძლება ზოგიერთს ეს არ ენია მოვნა, მაგრამ მე სხვაზე უკეთესად ვიცნობდა საკუთარ თავს. მარტოობა ჩემთვის (ფეიქრობ, ბევრია განმარტოების მოყვარული სპორტსმენი) უნაგბადივით აუცილებელი იყო. არაერთი გამარჯვება ხელიდან გამიშვია უბრალოდ იმის გამო, რომ ბრძოლის წინასწარი დაგეგმვისა და გააზრების საშუალება არა მქონია. მახსოვს, ერთხელ, ოთხი მოკრივე ვისვენებდით ერთ ოთახში. სამნი ჩემად ვიყავით გაშოტლინი ჩვენს საწოლებზე და თვალდახუჭულნი ვინ იცის რაზე არ ვფიქრობდით, მეოთხე კი, ოდესღაც, დიდი უსრადლებით უსმენდა რაღაც გადაცემას. ფეიქრობდი, აი, ეს ოხერი გადაცემა მალე დამთავრდება და რადიოს გამორთავს-მეთქი. გადაცემა დამთავრდა. მაგრამ საქმეში ხარ? შემდეგი გადაცემა სოფლის მშრომელთათვის იყო გამიზნული. უსმენს ეს ჩვენი კოლეგა და თვალსაც არ ახამხამებს. ფეიქრობ, ხომ შეიძლება ამ კაცს სოფლის მეურნეობაც აინტერესებდეს-მეთქი, ხომინდისა და შაქრის ჯარხლის მოყვანის აგრონომები. მოლა, ველი, როდის დამთავრდება გადაცემა. როგორც იქნა დასრულდა და ეთერში კამერული მუსიკის კონცერტი გაუშვეს. ჩვენი კოლეგა თვალბგაბრწყინებული და უსრებადაცქვეტილი მისჩერებოდა ოსტკუთხა ულის, თითქოს დედის ნანა ეხმისო. რას იზამ,

კაცია და გუნება. მალე დაიწყო გადაცემა სამელიციონო თემაზე, მას მოჰყვა ნაწყვეტი რომელიღაც ოპერიდან და ვერ მოვითმინე, წამოვიწიე და უნებურად, ძალზე ხმაშლილი დავუყვირე, ესლავე გამორთი-მეთქი. მან იმწამსვე გამორთო რადიო და კრინტიც არ გაუღია. დიდხანს ვიწეე გალიზიანებული, როგორც იქნა გონს მოვეგე და ვინანე, რომ ვუყვირე, რა უფლებით ვუყვირი-მეთქი. ცოტა ხანში წამოვიწეე და გვერდულად გავხედე რადიომანს და რასა ვხედავ: რადიო ჩამოუღია, უსრთან მიუტყუბებია და თან ბალიში წაუფარებია ზემოდან, სხვები არ შევაწუხოო. გამეღიმა, რას ვიზამდი, ავდეკი და ფეხაკრფვით გარეთ გავედი, ბაღში.

ყოველ დღილით, რვის ნახევარზე, ვესტიბიულში ვეწყობოდით მწყრივებად. სიის ამოკითხვის შემდეგ ძუნძულით გავდიოდით გარეთ და სასტუმროს პარკში, თოვლში ვასრულვდით სხვადასხვა ვარჯიშებს. მე ინდივიდუალური გეგმით ვვარჯიშობდი. როლანდი იმეამად არ მახლდა, მაგრამ თავს მაინც უსრადლად ვვარჯიშობდი. არავინ, ჩემს გარდა არ დაიჭერბდა ჩემპიონატის დასაწყისში ვინმეს სხვათა შორის რომ ეთქვა, ქვემძიმე წონაში ჩემპიონი კვაჭაძე იქნებო. ეს მე მაშინვე ვირწმუნე, როცა პირველ საღამოს მარტო აღმოვჩნდი ნომერში. შეიძლება ვინმეს გაეცინოს და მიამიტობაში ჩამომართვას, სხვას კიდე ეგონოს აზვიადებსო, მაგრამ ეს, ჩემთვის ჭერაც აუხსნელი, ფენომენი თვითარწმენისა, თუკი დამეფუფლებოდა — ყველაფერი მისრულდებოდა ხოლმე.

აწონვისა და საუზნის შემდეგ, მიმიხმო „ბურევსტნიკის“ მთავარმა მწვრთნელმა კონსტანტინე კობცევმა და მაცნობა, შენი შეტოქე მერვედენილში საზონოვი იქნებო. მასზე არაფერი მსმენოდა. ასახელებდნენ



ლენინგრადადელ მირონიუკს (მას შორიდან ვიცნობდით), იუნიორთა შორის ევროპის ჩემპიონს, რომელსაც კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. აქებდნენ ბისტროვს, ტქენიურსა და მრავალმხრივი ტაქტიკის მქონე მოკრევის ბევრს ლაპარაკობდნენ უნივერსალური სტილის მოკრევი ანფიმოვზე, რომლის მარჯვენა ზეფი უმრავლეს შემთხვევაში ნოკაუტს იწვევდა. ანფიმოვი და კოროტაევი, სხვათა შორის, სპორტკლავის ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. ბრძოლა უშედეგათო და დაძაბული იყო. ნოკლაუნე ხუთჯერ აღინიშნა და მეხუთე კოროტაევმა მიავლო მეტოქეს. გამარჯვება მასვე დარჩა. ფავორიტი ჩემს წონაში უდავოდ იყო ოლეგ კოროტაევი, ევროპის ექსპერიმენტი, სსრკ და სპორტკლავის მრავალგზის ჩემპიონი. მე გამარჯვების კანდიდატთა არც ერთ სავარაუდო სიაში არ ვყავი შეტანილი. მაგრამ მე ჩემი სია მქონდა, თუ ბაქაობაში არ ჩამომარტმევს ვინმე.

პირველი რაუნდი. რეფერემ მიგვიხმო რინგის შუაგულში, მოგვიწოდა წესიერი, რაინდული ბრძოლისაკენ და მალე გონგამაც დაჭრა. საზონოვი ჯერ სწრაფად წამოვიდა ჩემსკენ, მერე დისტანციაზე შეყოვნდა და მარცხენა მუცხსეულად ზედზედ ორჯერ მებოქა მარჯვენა ხელთათმანზე, იგი ნელა, ძლივს შესამჩნევად ირწეოდა ადგილზე, აკვირდებოდა ჩემს ღრმა დაცვას და ხარვეზებს ჩხრედა. მეც რწევა დავიწყე, თან თვალს არ ვაშორებდი მის ხედებს. უცებ ვიარზე, რომ საზონოვი ცაცია იყო. არა დგომის მიხედვით, ცხადია. ზოგი მოკრივე, აქაოდა მემარჯვენე, ე. ი. არაცაცია ვარო და ცილილის მაოდუნოს შენი უფრადღება, თამაშობს ცხვირწინ, ვინიცობაა მარჯვნივ გაიხსნასო, მისთვის არაბუნებრივ დგომს ირჩევს. საზონოვმა მალე მარჯვენათი დიწყო ჩემი დაცვის მოხიწყვა. მე მხოლოდ ერთხელ ვაქინე მარჯვენა და ისიც ავაცილდი. შესვენებაზე კოპცევმა, რომელიც ჩემი სკულანდატის როლში გამოდიოდა, მიწურჩულა, შეუტევი თორემ მეორე რაუნდიც ხელში შემოგადნებაო. ეტუხოა, საზონოვის სკულანდამაც იგივე უჩურჩულა თავის მოკრივეს. ასე რომ, შევწყვეთი მძლავრად, ყოველგვარი დაწვეარებისა და ტაქტიკის გარეშე. ამგვარი ხელჩართული ბრძოლა ანუ ინტაინინგო, ჩემთვის უპრიანი იყო, რადგან თავს მეტოქეზე მხნედ ვვარძობდი. ვაცვალეთ რამდენიმე დარტუმა და კლნიჩის შემდეგ ისევ ვუთაქეთ სიფათში ერთმეორებს. რეფერემ რამდენჯერმე ვავარჩა და შენიშვნებიც მოგცვა, მოგვიწოდა სუფთა ბრძოლისაკენ. ჩემთვის მთავარია შეუვალი დაცვა და თუ იგი საიმედო და სანდო ვაქვს, შეგიძლია უშიშრად შეუტევი მეტოქეს. ვერ ვიტყვი, თითქოს დაცვა იდეალური მქონდა მეორე რაუნდში, მაგრამ ჩემმა ორმა ჯებმა მარჯვენათი და მარცხენათი, დააშოშმინა საზონოვი.

მისი ძლიერი მარცხენა ზუკისთვის იყო შემბროლი, მაგრამ არ დასცალდა. გონგის გაისმა. მესამე რაუნდის წინ კოპცევმა ტქმის გაზრდა მირჩია, მეტი აგრესიულობა. ხოლო გული მიკარნახებდა, რომ ეს არ იყო ჩემი სტილი. საჭირო იყო დამთმემა, ტაქტიკური, მეტოქის გაშლიზიანებელი ორთაბრძოლის წარმოება.

გონგისთანვე საზონოვი ფოცხვერივით წამოვიდა ჩემსკენ, მისი მზერა და სიბრანე, რომელსაც მთელი სხეული აეცაცცახებინა, ჩემს შესამუსხრავად გადმოსეტილიყო. მას გადამწყვეტი ბრძოლის გამართვა ეწადა. ვაქრა ჩემმა დაცვითმა ტაქტიკამ (გარეგნულადაა დაცვითი თორემ...) და როცა მისი შეტევა წუდებოდა, მე ელვისებურ იერიშზე გადავიდოდი. მალე მეტოქეს ნირი შეიცვალა. იგი ჭკვიანი იყო და მიხვდა მოუშალებელ შეტევათა უაზრობას. ოგრძო, რომ ბრძოლის სადავეები მე შექირა ხელთ და რომ გამარჯვებაზე ფიქრი ზედმეტი იყო. გონგის შემდეგ ჩვენ-ჩვენი კუთხისაკენ გავეშურეთ და აქოშინებულთი მსაჭათა გადაწყვეტილბას დავმლოდეთ. „ახლა რომ გამარჯვებულად საზონოვი გამოაცხადლენ?!“ — უნებლიედ გამეწწლა ექვმა.

შეტევა, საერთოდ, ეფექტურია და შემტევი მოკრივე სიმათიებს იმსახურებს ხოლმე მათურბლებში. და არა მხოლოდ მათურბლებში. ბევრჯერ მწარედ ჩამიკენებია ტუჩი იმისგან გამწარბულს, რომ მსაქებმა არაერთხელ მიაგეს დაუმსახურებელი გამარჯვება ჩემს მეტოქეებს. მხოლოდ ორჯერ უფოლა, როცა ძალით გამარჯვებული მოკრივე მოსულა და უთქვამს, გამარჯვება შენი იყო, დათო, მსაქები შეტდენილო ეს რომ თქვა, ვუყავი უნდა იყო. გამარჯვების ეფექტს ქმნის მუშტების სერები მეტოქის მიმართ, რომელთა უმრავლესობა ან ხელთათმანებს ხვდება, ან მხარზე ასხლტება და თან, უარეს შემთხვევაში ჰაერს გაჰკვთის ხოლმე. ქულბებს აგროვებს მოკრივე, რომელიც მეტოქეს ურტყამს სახეში და სხეულზე ზუსტად. ცხადია, ეშხში შესული მათურბელი ამას არად დაგიდევთ და შემტევი მოკრივეს თანაუგრძობს, მხედველობიდან რჩება რა თავდაცვლი მოკრივის საბასუხო, ზუსტი დარტუბები, რომელიც რეშერის თანდათანობით აცხრობს და სუშბურული შეტევიბიდან თავდაცვაზე აიძულბებს გადავიდეს. სავალალოა, როცა მსაქი ცდება ამგვარ სიტუაციაში. იგი ან არაკომპეტენტურია, ან დათერს სახსახურს უწევს მავან მოკრივეს. და როდესაც 4:1 გამოაცხადეს ჩემს სახარგებლოდ, გული დამწყუდა სსრკ ჩემპიონატზე ვაიმსაქის უფონის გამო.

„ზურევეტნიკელებმა“ მომილოცეს. ფრთაშესხმული დავბრუნდი სასტუმროში, წამოწევი-

ბრიგოლ რუხინი
ის იყო სპერდლოვსკში

ქი საწოლზე და შევეცადე ბრძოლის ყოველი დეტალი მახსოვრობაში აღმედგინა. ბრძოლა იმდენად ხელნართული, წესიერი კრივის თვალსაზრისით — იმდენად უღაზოაო იყო, იტყობა, რომ ვერაფრით აღვიდგინე გონებაში. ვერ მოვისვენე. ნელთბილი შხაპი გადავივლე და გვიანობამდე ვიყიადე თერთად აქათათბუღი სვერდლოვსკის ქუჩებში.

ბოლო სამი დამე თითქმის თერთად გაათვალი დათო.

აი, ახლა, როცა მირონიუცი ჩამოცვიდა გზიდან და ნახევარფინალში ყველაზე მთავარი შეხვედრა კლის კოროტაევთან. რა ხდება, რატომ არ ასვენებს იდუმალი ხმა, გულიდან მომდინარე. თვალები ძალით დახუჭა, ცხადა რომელიმე ერთ მოვარებაზე კონცენტრირება.

... დილით ის-ის იყო უნდა გასულიყო ოთახიდან, რომ კაკუნი და კოპცივის ხმა შემოესმა კართან — ჰეი, კვაჰაძე! — დაა — შეხხიანა. — ცოცხალი ხარ თუ მკვდარი, სად დაიკარგე? — მეძინა, კონსტანტინე ნიკოლოზის ძვე (კოპცივს, იუშუცა ორი წლით იყო დასოული უფროსი, სიამოვნებას ჰგვირბდა მამის სახლით მიმართვა).

კოპცივმა უცნაური რამ შესთავაზა, თუშუცა დიდი რადითა და ტაქტით. წინადადება ასეთი იყო: კვაჰაძე უარს ხომ არ იტყოდა ხვალინდელ ნახევარფინალურ ბრძოლაზე კოროტაევთან. ამ წონაში, ცხადა, ოლეგი მოიგებს ოქროს და, ზომ არ აჯობებსო ბრძოლაზე თავის არიდება. მით უმეტეს, მაღე მონრეალში ოლიმპიადა იწყება და კოროტაევმა უნდა ძალეები შეინარჩუნოს იჭაური საპასუხისმგებლო ბრძოლებისთვის. ასე თვლიდა ჭეროიანი კოროტაევის მწვრთნელი, მეტად გამოცდილი სპეციალისტი და თადარიგოიანი კაცი. მაგრამ არც ჭეროიანმა, არც კოპცივმა და, ბუნებრივია, არც კოროტაევმა არაფერი იცოდნენ კვაჰაძის საკუთარი „ისის“ არსებობის შესახებ. და, კაცმა რომ სიმართლე თქვას, ამა, ზაიდან იცოდინებოდათ. მოდა, დათო, როგორც ამგვარ თუ ხვანაირ სიტუაციებში ბევრჯერ ყოფილა, ღრმად ჩაფიქრდა. იგი ფიქრობდა იმაზე, თუ რა ამინდი იქნებოდა ახლა ორთაბალაში, ისე თუ იღო დილოტრული შეხანაბას კალიტებზე. მერე თვალეები მოსისრისა, კოპცივს გაუღიმა და მიუგო: — კონსტანტინე ნიკოლოზის ძვე, ჩვენ, ესე იგი მე და შენ ნახევარფინალში ვიბრძობლებთ. ხომ მართალია? — სწორი გადაწყვეტილებათა, — მოეწონა კოპცივს.

დილით ყოჩაღად წამოღდა. თავს ჩიტივით გრძობდა. გრამი ნაღეკი არ დარჩენია უძილობისა, გული საამურად ძვერდა, შევიცარული საათივით მუშაობდა ფიქრის მექანიზმი: კოროტაევი პროფესიული სტილის მოკრივეა, ეშმაკი, ძლიერი და ფრთხილი. ვისაც მაგის მუშაკი თუნდაც ერთხელ მოხვედრია, გახსენებაც კი ეწარება. რინგზე გამოწოშილად მოძრაობს, სპორტის დიდოსტატია, მისი მარჯვენა

თუკი გაუშვა ვინმემ. ნოკაუტი ცხრა მინას იქით არაა, ნოკაუნი ხომ ხელში უტირავს! ასე, რომ, დათოს უნდა ეჩვენებინა, რისი გამოკეთებელი იყო როგორც სპორტსმენი. ის კი არადა, ამ ორთაბრძოლით იწყებოდა ორთაბაღელი ჰაბუის აღმართი ან დაღმართი. უკანდასახევი ვაა მოკრილი ჰქონდა.

სპორტის სახახლის დარბაზში ნემსი არ ჩავარდებოდა, სკასავით ზოუწუნებდა ურიცხვი მაკრებელი. დათო მარჯვედ გაჩვედა ზავრიტებს შორის, პირველი გამოჩნდა რინგზე. ხუთოღე კაცმა თუ დაუკრა, ისიც მოვალეობის მოხდის მიხნით, უღიმღამო ტაში. როდესაც სეროიუული სახეით მიუახლოვდა კოპცივი, დათომ თვალე ჩაუკრა და ხალხიანად შესძახა: „მე და შენ ვიბრძობლებთ, კონსტანტინე ნიკოლოზის ძვე“. უცებ მთელი აუდიტორია ფეხზე წამოღდა და გამაურებელმა ყუიენმა და ალღოდისმენტებმა მაყურებელთა დარბაზის კერე რამდენიმე მეტრით ასწია: ოლეგ კოროტაევი მოდოლოა! იგი დირსუღლად აძლევდა საღამო შემხვედრ ხალხს, მერე მძიმედ ავიდა რინგზე და ხელეების აწვივით პატივი მიავო დარბაზს. თუშუცა მოსკოვის სახელით გამოდიოდა, იგი ადგილობრივი, სვერდლოვსკელი იყო და, ცხადა, მხარდაჭერა მიავარი ექნებოდა.

თუთო კვართსა და შარვალში გამოწყობილმა რეფერე მსკრეტი მონახა, დაღა და დაელოდა ოვაციების უკანასკნელ ტალღათა მიქცევის.

დათოს სახეზე სიმშვიდე ედინა. ისე არჩებოდა, თითქმის მთელი ეს ტაში და აურსაური მეს ცუქუნოდა, თანაც თვალს არ აშორებდა მეტოქეს, რომელიც უკანასკნელ მოთიებებს იღებდა სახელოვანი მწვრთნელის ჭეროიანისაგან. მისალმებისას დათომ გაუღიმა ოლეგს, პახუხად კი შეუბღვირეს. იგი გარგნულად მშვიდობა ჩანდა, მხოლოდ იქ, გულის სიღრმეში, ფაჩუნობდა რაღაც პატარა და უცნაური ცხოველი, რომლის დაშოშმინება პირველ რაუნდშივე აუცილებელი იყო, თორემ შეიძლებოდა ვარდილიყო და დიდი ფორმები მიეღო.

გონვისთანავე დაცვიით დღომა მიიღო. აქაოდა, თუ მივედლის, მხოლოდ ესაო. კოროტაევი შორიანლო დაღა და რწვევა დაიწყო. უცებ დათომ მარჯვენა ხეტიქა უბაზე, მერე მარცხენა, ისევე მარჯვენა და გაცეალა; მისი ტაქტიკა, რომელიც დილით, ჩაის სმისას შეიზუშვა, ძალზე მარტივი იყო. მეტოქე უნდა მისივე იარაღით დაეპარებინა. ეს რთული იყო, შეუძლებელი კი — არა. ამ სამმა დარტყმამ მაყურებელი გააჩუმა, ხოლო კოროტაევი გააღიანა. სიბრაზის სიწილემ მოიცვა მისი სახე და ჭიქურ წამოვიდა, წინაღობათა დასამხვერვად და დასატკეანად, მაგრამ დათომ შესანიშნავად აუღო ალღო მეტოქის ჩანაფიქრს, თავად გადავიდა შეტევაზე და კვლავ ხეტიქა უბაზე მარცხენათი. კოროტაევი მიღლად გაშავდა სიბრაზისგან, იგი კო

რიდის ხარის დემისგავსა და ამ დროს, საკმა-
რისი იყო ოდნავი შეერთება, ნირის შეცვლა,
რომ ნოკაუტი არ ასცდებოდა. მაგრამ მან ვაუ-
კატურად მოიგერია საშინელ დარტყმათა გრძე-
ლი სერია, უმრავლესობა ხელთათმანზე მიიღო,
ფოგმა ყურთან გაუწუჭუნდა... საკვირველი ის
იყო, რომ კვაჭამე არ გაურბოდა ინფატიონს,
მაშინ როცა კოროტაევის ყველა აღრინდელი
მეტოქე დისტანციაზე იბრძოდა. რაუნდის მი-
წურულს დათო გარეგანა მეტოქეს და ისე
აამუშავა მეტოქე, თითქოს მასწავლებელი მო-
წაფეს კრივის ანბანს ასწავლისო. გონგოსთანვე
იგი მზიარულად გაეშურა თავისი კუთხისაკენ,
ხოლო დარბაზი... აი, დარბაზში საოცარი რამ
ხდებოდა: მაყურებელი, როგორც ერთი კაცი,
ისე უკრავდა ტაშს უცნობი ჭაბუკის გახედუ-
ლებას და მსუბუქ მოძრაობას, მთელი შეხვედრის
მანძილზე დათო თვალს არ აშორებდა
ჩვეულებრივად მშვიდ ჭერიანს, რომელიც
ცხარე ენტიკულაციით რაღაცას უხსნიდა
ოლეგს. მეორე რაუნდის გონგოსთანვე წამოხ-
ტა და ცქვიტ წავიდა მეტოქისაკენ. დარბაზში
გაინახა, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. აშ-
კარა იყო, მან რაღაც ახლებური ტაქტიკა ჩაი-
ფიქრა... იგი გარშემო უვლიდა გორაკად
მდგარ, ასაფეთქებლად გამზადებული ბომბივით
მხოლოდ მეტოქეს. ხან გაიხსნებოდა, მოდი თუ
ბიჭი ხარ დამარტყო, ხანაც ერთ ადგილზე
დღვებოდა, საშინლად დავიღალეო. ერთხელაც,
ვერ მოითმინა ამგვარი თავხედობა ოლეგმა და
მარტყენა საშინელი ძალით გაუქნია კვაჭამეს,
მან კი საილტებით აიცილა ეს დარტყმა და
მარტყენა ზუსტი უთავაზა. შუტებ თვალმობიდან
წაიჭრებოდა დასცვივდა კოროტაევის, სიმბიზის
ცენტრი დაჰკარგა, უმწიოდ აიქნია ხელი, თით-
ქოს საყრდენს ეძებოს. მეორე ფეხები აერია და
რეფერიმ ანგარიში გახსნა. ხალაქ, დარბაზში
შორსულ რიგში მჭადარ მაყურებელს გულმა
არ მოუთმინა და დაიბახა — „მაალადაც, კვა-
ჩაღზე!“ დათომ მისალმების ნიშნად ხელი
დაიქნია და თავისი კუთხისაკენ წავიდა. მეშვი-
დე დათვლაზე ოლეგი დათოსკენ წამოვიდა,
მაგრამ მის თვალბეში ძველი კოცონი აღარ
ნთო. კვაჭამეც შესახვედრად გაეშურა, მაგრამ
გონგმა გააუკარა მებრძოლები.

— სწორი ტაქტიკა ავიჩივია — ჩასძახა
კვაჭამეც ყურში კვაჭამეს, რომელიც სკამზე
ჯდებოდა. დათო კვლავ არ აშორებდა თვალს
ჭერიანს, რომელსაც თავისი მოკრივის ფერი
გადასდებოდა. მისი ენტიკულაცია, ეტუხობა,
მის მათწუხებელი უნდა ყოფილიყო, თუ გა-
ვიმარტყებო, ისეც ნოკაუტიო...

დაიწყო მესამე რაუნდი, ყველაზე მნიშვნე-
ლოვანი რაუნდი დავით კვაჭამის ცხოვრებაში
კოროტაევი, მაინცდამაინც არ ვესწრაფი შე-
ტევასო, ნელა ირწეოდა კვაჭამის წინაშე. მისი
მანოკაუტებელი მარტყენა გაყინული იყო სა-
ხის წინ, ხოლო მარტყენა უხილავ ქსელს აბა-
მდა მეტოქის ხელთათმანებთან. ცხადი იყო,
კოროტაევი ნოკაუტისთვის ემზადებოდა. დარ-
ბაზში სრული ხმაური იდგა, ჰაერი თითქოს
შეგებუბუბუბო... ხოლო როდესაც მეტოქე
შტრეს, დარბაზში ტაშისა და ბრაგოს ძახილი-
საგან ყურთანმენა დაიკარგა. ოლეგი სიყვარუ-
ლიანი, კეთილი თვალბეით იმზირებოდა კვაჭამის
კუთხისაკენ.

— ფინალში ეგოროვს უნდა შეხვედროდი,
რომელმაც მეორე ნახევარფინალში გაიმარტყა.
პირველი რაუნდის დასწყისიდანვე ემკვირე
ეგოროვს, მაგრამ ინფატიონი არ მიიღო,
ჩემს წინაშე მსუბუქად მიმოდიოდა, თან მარტ-
ვენათი ამოწმებდა ჩემი ხელთათმანების შეცერ-
ვის ხარისხს. ერთი სიტყვით, ტექნიკურ კრივს
მიესწრაფვოდა. მგონი, ეგოროვი ფინალშიც
იყო ერთხელ გასული, ხოლო სსრკ ჩემპიონა-
ტების პრიზიორი მრავალგზის გახლდათ.
ფრთხილობდი, ისიც ფრთხილობდა. ასეთი
კრივი მაყურებელს არ მოსწონს, ამიტომ აქა-
იქ უშეაფიცილების აღსანიშნავად სტვენა გაი-
ხმა. დაახლოებით თანაბარ ბრძოლაში დავამ-
თავრეთ პირველი რაუნდი. ჩავითქვი, მეორე
რაუნდი შემხვედრ დარტყმებზე ამეგო. წამოი-
წუებდა მეტოქე შეტევას, სწრაფად ვამგერებდი
მარტყენას და ქულას ქულაზე ვაგროვებდი.
მეტოქე მტკაღ სწრაფ რეაქციის მოკრივი იყო
და ძნელი იყო მისი გამოჭერა. ერთხელაც, ამ
რაუნდის მიწურულს მარტყენა ზუსტად წონას-
წორობა დააკარგინა და მოუშვადებელ შეტე-
ვაზე გადავივია. მე გამოწვევა მივიღე, რადგან
ახლო ბრძოლა მაწყობდა და ერთხელ ძლიერ
და მოვავხვედრე ნიკაშში. ეგოროვი, ჩემთვისვე
მოულოდნელად, მოეშვა, მძიმედ დააბიჭებდა-
ის-ის იყო ძლიერ დარტყმას ვამზადებდი, რომ
გონგმა დაჰკარა.

მესამე რაუნდში შეტევაზე გადავიდი, იგი
კარგად იცავდა თავს, მაგრამ ჩემმა მარტყენამ
ისეც ნიკაშამდე მიადწია და მივხვდი, საქმე დამ-
თავრებული იყო. ის მხოლოდ ბრძოლის დას-
რულებაზე ფიქრობდა. ცხადია, მეც არ მოვიწყა-
დინე ასეთი ღირსეული მეტოქის დალილოობის
ბოროტად გამოყენება.

როცა ტაშის გრაილში რეფერიმ ხელი ამი-
წია, პირველმა ეგოროვმა მომილოცა.

ეს იყო ჩემი პირველი ოქრო სსრკ ჩემპიონა-
ტზე.

მომავალზე „მისკრის“ ახალგაზრდა ავტორებზე



გომადრძი ჩხიკიანი დაიბადა 1954 წელს დუშეთის რაიონის სოფელ ჩოხში. 1979 წელს დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტის კინოსარტეზის სორო ფაკულტეტი. პირველი მოთხრობები გამოაქვეყნა 1977 წელს ჟურნალ „ციცქარში“. პირველი წიგნი გამოვიდა 1980 წელს „წერილი ნაძვებს“, 1982 წელს „ბინდისფერი ხეობა“.

მუშაობს კინოსტუდია „ქართული ფილმი“, რეჟისორად.

ბორბინა ჯაბუკიანი დაამთავრა თსუ ფილოლოგიური ფაკულტეტი. პირველი ლექსები გამოაქვეყნა 1969 წელს. პირველი წიგნი „მინდვრის სიზმარი“ გამოსცა გამომცემლობა „მერანა“ 1979 წელს.

მუშაობს გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ უფროს კორესპონდენტად.

მბაბ ჯონხაძე დაიბადა 1948 წელს თბილისში. 1969 წელს დაამთავრა ზ. ფალიაშვილის სახ. მე-2 მუსიკალური ტექნიკუმი, 1971 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება, 1976 წელს ასპირანტურა უახლესი ქართული ლიტერატურის სპეციალობით. არას ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

პირველი მოთხრობა დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოში“ 1968 წელს. პირველი წიგნი, მოთხრობების კრებული, გამოვიდა 1976 წელს. 1981 წელს გამომცემლობა „მოდოლია გვარდიამ“ გამოსცა მკაც ჯონხაძის მოთ-

ხრობების კრებული: „კაცი პატარა ეწოდან“.

გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები დ. კლდიაშვილისა და ს. ცირკიის შემოქმედებაზე, აგრეთვე ლიტერატურული და პუბლიცისტური წერილები, ესსეები.

ზაზა გომბიძე დაიბადა 1954 წელს, ქ. თბილისში. 1977 წელს დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი. ამჟამად მუშაობს შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში. გამოქვეყნებული აქვს წერილები აღმანახ „განთიადში“, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“.

თამარ ლომიძე დაიბადა 1947 წელს ქ. თბილისში. 1971 წელს დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი. ამჟამად მუშაობს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში ლიტმცოდნეობის ჯგუფში.

გამოქვეყნებული აქვს წერილები ლიტმცოდნეობის საკითხებზე ჟურნალებში „მნათობი“ და „ციცქარი“ და გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“.

ბრიგოლ რუხბინა დაიბადა 1949 წელს ხობის რაიონის სოფ. პატარა ფოთში. 1978 წელს დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი.

1977 წლიდან ქართული ლიტერატურულ პერიოდიკაში სისტემატურად ქვეყნდება მისი ლექსები და მოთხრობები.

ჩ ვ ე ნ ი მ ე ხ ა მ ა რ თ ი : თბილისი, 880007, დადიანის ქ. № 2.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ე ბ ი : მთავარი რედაქტორი — 99-85-81. მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, პასუხისმგებელი მდივანი 72-48-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-80, „ციცქარის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

გაღივცა ასაწყობად 12. 11. 82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 10. 01. 83 წ., ჯალღდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11, სააღრ.საგ. ცაბახი 15.85. შეგვ. № 2695. უე 13282 ტირაჟი 56.000.

საქართველოს კ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ფანი 60 კპპ.

27/32



ქართული
ლიბრერიის
სამსახური

იხსნება 1926 წელს

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ